ზვიადი ყუფარაძე

კოკოზი

გიორგი ყუფარაძე

გ ო რ ო ზ ა

წიგნის მიზანია მკითხველის ღირსების, ღირებულებების
შეფასება-გადაფასება განსჯით, თავად როგორ
მოვიქცეოდით ნაწარმოების გმირის ადგილზე?!

თბილისი
2005

УДК 894.631-31
ყ 05

გიორგი ყუფარაძე

ნაწარმოების მთავარი გმირის „გოროზას“ სახით წინა პლანზეა წამოწეული თანამედროვე ძალოვნების და მათი აქტივისტი-აგენტე-ბის ურთიერთდამოკიდებულება და რამდენად სჭირდებათ მათ ერთ-მანეთი ქვეყანაში წესრიგის შესანარჩუნებლად, კანონის და კანონიერების დასაცავად.

მხატვრული რედაქტორი პროფ. ლ ე რ ი ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე

ISBN 99940-0-459-X

საუნივერსიტეტო გამოცემა
თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტი „ეკო+“

ვუძღვნი გულიან კაცს
ამირან ლობჟანიძეს

ამირანს მეორე ღამეა არ უძინია. არც არაყის სმამ უშველა და არც ტელევიზორის ყურებამ. საათს დახედა — ღამის პირველი საათი იქნებოდა, უძილობის და ნერვიულობის მიზეზი მისი ნაადრევად, თანაც მოულოდნელად, პენსიაზე გაშვება იყო. ამასთან, ახალდანიშნულმა არაპროფესიონალმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ამირანის პენსიაში გასვლის ბრძანებას ხელი ისე მოაწერა, რომ მას არც კი გასაუბრებია. ბრძანება ამირანს კადრების განყოფილების უფროსის მდივანმა გადასცა. სამინისტროში, სადაც ამირანმა თავის დროზე 15 წელი იმსახურა სხვადასხვა სამმართველოების უფროსად და ერთ-ერთ საუკეთესო ოპერატიულ მუშაკად ითვლებოდა, იმის ღირსადაც არ ჩათვალეს, მადლობა ეთქვათ და ადამიანურად გაეცილებინათ. ამირანი ბოლოს ქალაქის მილიციის უფროსის პირველ მოადგილედ მუშაობდა, ამ თანამდებობას ძირითადად პროფესიონალები იკავებდნენ და მათ ასე ჰაი-ჰარად არ უშვებდნენ სამსახურიდან. ამირანს ისევ გუშინდელი დღე გაახსენდა: როდესაც ბრძანება წაიკითხა, მოულოდნელობისაგან გაშრა, ხმა ვეღარ ამოიღო. იფიქრა, იქნებ მდივანს რამე ეშლებაო და გაოცებულმა შეხედა. მდივანმა შეამჩნია ამირანის გაოგნება-გაოცება და უთხრა:

— რას ვიზამთ ბატონო ამირან, ახალგაზრდებს უნდა დავუთმოთ ადგილები! იმ კაცმა, მთავრობაში რომ მოიყვანეს ვარდებით, ხარკი ხომ უნდა გაიღოს!

ამირანმა ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და წაიღუღლუღა:

— თამარ! შენ იცი, მილიცია რომ ცხვირმოუხოცავი ბალღების საქმე არ არის! აქ იმდენი ჭუჭყია, რომ აქედან სუფთად გამოსვლა პროფესიონალებსაც უჭირთ!

— ეჰ, საწყის ეტაპზე რევოლუციის ლიდერებს პროფესიონალიზმი სულაც არ აინტერესებთ, მთავარია მომხრეები მაღალი თანამდებობებით დააკმაყოფილონ, რადგან სხვანაირად ამ ხალხის ვალს გადახდა მათ არ შეუძლიათ.

— კი, მაგრამ ვის უნდა გადავაბარო ჩემი საქმეები, ეს მაინც არ უთქვამთ? — ბოლოსდაბოლოს მოეგო გონს ამირანი.

— მითხრეს გასაღები შენ ჩაგაბაროსო.

— ესე იგი ადგილებს ათავისუფლებენ თავიანთი ხალხისათვის, ჩემს ადგილზე ეტყობა ჯერ არავინ დაუნიშნავთ!

— ეტყობა, მეც მალე თქვენი ბედი მელის, აბა ამ გოგოშკებს, გვერდიდან რომ არ სცილდებოდნენ „იმათ“, უყურადღებოდ ხომ ვერ დატოვებს! მაგრამ მე პენსიაში გასვლამდე კიდევ დიდი დრო დამრჩა! — ამოიოხრა თამარმა.

— რას ვიზამთ, ჩემო თამარ, თავს ზემოთ ძალა არ არის! კაბინეტიდან ჩემს ნივთებს ავიღებ და გასაღებს დაგიტოვებ.

ფიქრი ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა. საათს დახედა „ასე გვიან ვინ უნდა რეკავდესო“, გაიფიქრა და ყურმილი აიღო:

— გისმენთ, ბატონო!

— რა იშოვე ჩემო „გოროზ“ ასეთი, რომ ძველი ძმაკაცები აღარ გახსოვს?

ამირანმა თავისი ძველი მეგობრის და პროტეჟეს, ყოფილი პარტიული მუშაკის, რეზო ჩხუბიანაშვილის, ხმა ეცნო და გაუხარდა:

— რეზოს გაუმარჯოს! როგორ ხარ, სადა ხარ, რასა იქმ, როგორაა შენი საქმეები? — დააყარა კითხვები.

— ბიჭო! გავიგე ჩამოპლაცკარტებას უპირებენ „ვარდისტი“ ვირიშვილებიო, მართალია?

— „დეპოში“ გამიშვეს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის და ვარდების გარეშე!

— ვა, რას ვიზამთ, ჩემო ამირან, მაგათი დრო მოდის, ადრე თუ გვიან მაინც მაგათმა უნდა მართონ ქვეყანა!

— კი ბატონო, მართონ, ვინ არის წინააღმდეგი, მაგრამ მაინცდამაინც აკვნიდან უნდა დაიწყონ ეს საქმე?

— ხომ გაგიგია, „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“. შენ ის მითხარი, დღეს ხომ გცალია, შვილიშვილისშვილი შემეძინა, მე და

შენ ვიქნებით, ერთი ძველებურად შევუბეროთ, ის კარგი დრო გავიხსენოთ, „ჯეელობა“ რომ ჰქვია.

— შენ გენაცვალე! სად ამოვიდე, რომელ საათზე და რა წამოვიღო, ღვინო მაქვს მაგარი!

— ვაკეში ამოდი, საღამოს ხუთ საათზე, არაფერი არ მინდა სხვა, დანარჩენი ყველაფერი მაქვს!

— ბატონი ბრძანდები! როგორც უფროსი „ამხანაგები გვირჩევენ ზევიდან“, ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთ, ბატონო რეზო!

— შენ იცინე, იცინე და მთლად ცუდი დრო არ იყო. ერთი ჭკვიანი კაცი დენ-სიაო-პინივით ვერ გაძვრა ჩვენს მთავრობაში თორემ ასე არ აიჭრებოდა ეს ქვეყანა. კარგი, ამირან! დანარჩენი ჩემთან რომ ამოხვალმ მერე, — და ყურმილი დაუდო.

ამირანი ისევ ფიქრებმა წაიღო, გაახსენდა ახალგაზრდობის წლები „ოქროს უბანში“, რკინიგზის სადგურთან, ძველი ერთ და სამსართულიანი სახლები იყო ჩამწკრივებული. რატომ დაარქვეს „ოქროს უბანი“ ძნელი სათქმელია, ალბათ იმიტომ, რომ ამ უბანში ყველა რჯულის და ეროვნების ხალხი სიამტკბილობით და არამდიდრულად ცხოვრობდა, მაგრამ მეგობრულად და მხიარულად. ამ უბანში დაიბადნენ ცნობილი კომპოზიტორები, მწერლები და ალბათ, პოლიციისთვის საინტერესო ბევრი „კარგი ბიჭი“.

ასე იყო თუ ისე, ამირანმა 19 წლის ასაკში სიყვარულით თავისი უბნელი მოიყვანა ცოლად, ბიჭიც შეეძინათ, მაგრამ ცხოვრება ვერ აეწყოთ. ამირანი ბუნებით ამაყი ბიჭი იყო, ოჯახის შესანახად კი მეტი ფულია საჭირო, ვიდრე იგეგმება და ხელფასი გაქვს. ამირანმა ამის გაგება დროზე ვერ მოახერხა, რადგან იგი მხოლოდ სიყვარულით ცხოვრობდა და იმედი ჰქონდა ტრფობა ყველაფერს მოაგვარებდა, მაგრამ... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს წაიჩხუბნენ. ქალმა წამოაძახა: „ჩემს სახლში ცხოვრობ და კიდევ დიდ გულზე ხარო“! ამირანს გულზე მოხვდა ეს სიტყვები და ცოლს უთხრა: „დღეიდან ამ სახლში ფეხის დამდგმელი არა ვარ, თუ გადმოხვალ გადმოდი ჩემთან საცხოვრებლად ორ დღეში, თუ არა და შენი არაფერი მინდაო“.

რა იცოდა ამირანმა, რომ ოჯახის დასანგრევად ყოველგვარი საბაბის გარეშე მრავალი „საბაბი“ არსებობს, ხოლო ოჯახის შენარჩუნება — ვაჟკაცობა. იგი ძალზე ახალგაზრდა იყო.

ორი დღეც გავიდა, ოციც, ცოლი მისკენ არ იყურებოდა. ამირანიც გაბრაზდა და უთხრა: „გავიყაროთო“, „კი ბატონო“ — შეეხმიანა ცოლიც და სიყვარული, რომელიც სამუდამო ეგონა, ხელში შემოადნა. ამირანმა უკან არ დაიხია, განცხადება შეიტანა სასამართლოში გაყრაზე და მოსამართლის გარდა ამ ოჯახის შენარჩუნებას ერთმანეთის ჯიბრზე არავინ ცდილობდა.

გაიყარნენ და ცხოვრობდნენ ერთ ქუჩაზე ცალ-ცალკე, ერთი — ქუჩის დასაწყისში, მეორე — ქუჩის შუა გულში. გადიოდა დღეები, თვეები, ამირანი სამსახურს გულს ვერ უდებდა და ამ ორი წლის განმავლობაში სამი თუ ოთხი სამუშაო ადგილი გამოიცვალა. მოკლედ, ვერც ფულის საკეთებელი სამსახური ნახა და ვერც ისეთი, სულს რომ მოესალბუნებოდა.

მართალია, ნიჭი მეტად ძნელი გასაცემია ყოვლისშემძლე ღმერთისთვის, მაგრამ უფრო ძნელია ამ ნიჭისთვის ცხოვრებაში ადგილის მოძებნა, თუ შემთხვევა არ დაგეხმარა. ეს დღეც დადგა.

ერთ დღეს მეტრო „რუსთაველთან“ რეზო შეხვდა, ჩხუბიანაშვილი, თბილისის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. რამდენიმე კვირა ერთმანეთი არ ენახათ. ერთმანეთი გადაკოცნეს, მოიკითხეს. მერე რეზომ წამოიწყო:

— ამირან, ჩვენთან შეიქმნა შტაბი, რომლის ამოცანაა ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის, ე.წ. „აცვენილი“ ბიჭების სწორ გზაზე დაყენება, კაცს ვეძებთ შტაბის უფროსის ადგილზე, შენ ხომ არ წამოხვიდოდი?

— წამოსვლით როგორ არ წამოვალ, თანაც უმუშევარი ვარ, მაგრამ რა უნდა გავაკეთო, რომ არ ვიცი!

— მოკლედ, შენ უნდა იყო ჩვენი კომკავშირული მილიციის უფროსი.

— რეზო, შენ ხომ იცი, მე და მილიცია ერთად ვერ ვბალახობთ.

— ამირან, შენი გოროზა ხასიათი რომ ვიცი, არავის შეეპუები, ამიტომ ან შენ უნდა იჯდე ციხეში შენი ხასიათის გამო, ან შენ უნდა ჩასვა სხვა!

— რეზო, ოქროს უბანში გაზრდილმა კაცმა მილიციაში მუშაობა როგორ დავიწყო!

— მე, ბიჭო შესადარებლად გითხარი მილიცია-მეთქი, თორემ ისე, არც ფორმა გეცმევა, არც იარაღი გექნება და არც წოდება.

— აბა, რაღა მილიციაა!

— მე უბრალოდ აგიხსენი, რომ მილიციის მუშაობას გავს, შენ შენი აქტივისტები უნდა გყავდეს უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, რომ ახალგაზრდებმა რაიმე სისულელე არ ჩაიდინონ.

— მაგას ჩვენებურად ჩამშვებები ჰქვია!

— შენ რაც გინდა, ის დაარქვი! მაგრამ ბიჭებს რომ მორფის გამყიდველებს მოაშორებ, ქურდობისკენ ხელს არ ჰკრავ, არ ახულიგნებ, რამდენ ოჯახს მოუტან შვებას, ამაზე რატომ არ ფიქრობ? მოკლედ, საზოგადოების სასიკეთოდ თავი უნდა გადადო!

— კი, ბატონო! კაცმა უნდა იცოდეს, რის გულისთვის უნდა შესწიროს თავი ხალხს: სამშობლოსათვის, ტრადიციებისათვის თუ შთამომავლობის გადარჩენისათვის.

— მოკლედ, მომავალი თაობის გადარჩენას უნდა შესწირო თავი ჩემო ამირან! მე გითხარი და თუ მოგწონს, ხვალ მეტყვი, ხომ იცი, რეკომენდაცია მე უნდა გაგიწიო და თუ გული არ გაგიწევს, ნუ შემარცხვენ!

— კარგი, ხვალ მოვალ და ან „ჰოს“ გეტყვი ან „არა“-ს.

— მოდი, მოდი, თორემ შენი გოროზა ხასიათის გამო ციხეში „პერედაჩების“ მოტანას მაინც გადავრჩები. ხომ იცი ამირან, კაცი, რომელიც საქმიანად არ იყენებს თავის ინტელექტს და არ რისკავს, ის მუდამ უკან ჩანჩალისთვის არის განწირული, ხოლო შენ მაგისთვის არ მემეტები. მოკლედ, ხვალ გელოდები!

ამირანს ბევრი არ უფიქრია, სადღაც საქმიანობაც მოსწონდა, ბიჭებშიც ეხერხებოდა „ჭრელი ბაზარი“, ცდილობდა ყოველთვის თავისი აზრი გაეყვანა. მეორე დღეს, როცა გაეღვიძა, უკვე მიხვდა, რომ შინაგანად ამ თანამდებობის დასაკავებლად მზად იყო. იმ დღესვე რეზომ თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან შეიყვანა, გააცნო და იქვე დანიშნეს შტაბის უფროსად, იმ მხედარმთავრად, რომელსაც ჯარი არ ჰყავს და თავად უნდა შეექმნა უხელფასოდ, აქტივისტების ხარჯზე, მსტოვართა არმია.

ამირანმა მეორე დღესვე დაიწყო სიარული უმაღლეს სასწავლებლებში, ეძებდა აქტივისტებს, დავალებებს აძლევდა, ზოგს ელაზღანდარებოდა, ზოგთან სერიოზულად ეჭირა თავი, ასე, რომ მალე ამ ხალხში თავისი მხარდამჭერებიც ნახა, მითუმეტეს, რომ ყველას შტაბში ჩარიცხვას და პერსპექტივას შეპირდა, ხოლო ვინც მოინდომებდა და თავს გამოიჩენდა, კომკავშირის რაიკომში სამუშაოს გამოუძებნიდა, ეს კი კარიერის კიბეზე ფეხის შედგმას ნიშნავდა.

მონდომებული მუშაობის შემდეგ ორ თვეში საკმაოდ კარგი სამუშაო ბირთვი შექმნა, ეს დაინახეს უფროსმა ამხანაგებმა და ამირანი პირველ „პიკნიკზე“ — თავშეყრაზე მიიწვიეს, ეს კი ნათლობას, მის მიმართ კეთილ დამოკიდებულებას ნიშნავდა.

მართლაც მაშინ კარგი დრო გაატარეს. ბევრი ტკბილი და ფხიანი სიტყვა ითქვა, მაგრამ სუფრის წევრები განსაკუთრებით პირველ მდივანს ნოდარ ერგემლიძეს ემლიქვნელებოდნენ.

მეორე დღეს ამირანი თბილისის კომკავშირის კომიტეტის ბაღში იდგა და თავის ხალხს წინადღის დროსტარების შესახებ უყვებოდა. ამ დროს მეორე სართულზე კარები გაიღო, პირველი მდივნის საქმეთა მწარმოებლის — ნარგიზა დოლიძის შეშფოთებული ხმა გაისმა:— ამირან, სასწრაფოდ ამოდი, ნოდარ ნიკოლაევიჩს ვიღაც ლოთი შემოუვარდა, ხელში დანა უჭირავს და ახრჩობს!

ამირანი თვალისდახამხამებაში მეორე სართულზე გაჩნდა, ფრთხილად შეიხედა პირველი მდივნის კაბინეტის შეღებულ კარებში და რას ხედავს, მომხვდური ზურგით იდგა კარებისაკენ, ნოდარისთვის მარცხენა ხელი ყელში აქვს წაჭერილი, ხოლო მარჯვენათი ბებუთს სახესთან უტრიალებს და ემუქრება:

— შე შობელძაღლო, ახლავე გამოგჭრი ყელს, ჩემს ძმისშვილს რად იბარებთ, „ბოზობას“ რად ასწავლით? — „გვითხარი, ვინ რას ჩალიჩობსო“ — არა გრცხვენიათ? ჩემი ბოზობა არ გეყოფათ, ახლა ბავშვი გინდათ „გამიბოზოთ“? ვითომ მილიციის გოთვერნობა არ გვეყოფოდა, ახლა თქვენც დაიწყეთ? მე შენი დედა.... და ა.შ.

ამირანი კატის ნაბიჯებით უხმაუროდ მიუახლოვდა თავისი აღშფოთებული რიტორიკით გართულ მოძალადეს, თან ნოდარს თითით ანიშნა, ჩუმად იყავიო. ამირანის მიახლოება იგრძნო მოძალადემ და

უკან მოიხედა, მაგრამ გვიან იყო... მან პირველი დარტყმა ყბაში იგემა, დანა ხელიდან გაუვარდა, ამასობაში მეორეც მოხვდა მუცლის არეში და იატაკზე დაენარცხა. ამირანმა წამოაყენა, კიდევ ერთხელ ძლიერად მოსდო ყბაში და საწყალი სულ გათიშა. შემდეგ ცხვარივით მოიგდო ზურგზე, კიბეები ჩამოირბინა, სადარბაზოდან გამოვიდა, ქუჩა სირბილით ჩაიარა და იქვე ჩაიყვანა მილიციის სამორიგეოში მომხვდური, ამ უბნელი ნარკომანი, უშნოდ აწოწილი, გაძვალტყავებული კოლა — მორიგე მილიციელის საწერ მაგიდაზე დააგდო.

ამირანს ზედმეტი სახელი, „გოროზა“, უბანში შეარქვეს და ეს გარკვეულ პატივისცემასაც გამოხატავდა, რადგან „ოქროს უბანში“ ასეთ სახელებს ჰაი-ჰარად არ არიგებდნენ.

ამირანს ტყუილ-უბრალოდ, უმიზეზოდ ჩხუბი არ უყვარდა, მაგრამ რიგიანად კი ჩხუბობდა. წარსულში საქართველოს ჩემპიონი იყო კრივში ახალგაზრდებს შორის. დღეს იგი საქართველოში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში, „ლოკომოტივში“ თამაშობდა რაგბის — პირველ ხაზში „კვაჭად“, სადაც შერკინების მთელი უხეშობა და ეშმაკობა მას უნდა ეკისრა, რადგან ბურთის შერკინებიდან გამოტანა ამირანის მოხერხებაზე და ტექნიკაზე იყო დამოკიდებული. პირველ ხანებში, მოწინააღმდეგის მოხულიგნო მოთამაშე, მალულად ხელს ითავისუფლებდა და შერკინების დაწყებისას ყბაში მუშტს ურტყამდა ამირანს. სანამ ამირანი გაერკვეოდა ვინ დაარტყა და როგორ, ბურთი უკვე მოწინააღმდეგის გუნდს ჰქონდა და ათამაშებდა მათი მოედნის ნახევარზე. ცხადია, ეს ყველაფერი მსაჯის ნამალევად ხდებოდა. ასე არ უნდაო და ამირანმა ეს ფანდი თავად დაამუშავა და ვეღარავინ ასწრებდა მუშტის დარტყმას. შედეგად მოწინააღმდეგე როგორც კი იგრძნობდა, რომ მას ვალში არ დარჩებოდენ, ორივე მხარე თავს იკავებდა ამ ვერაგობისგან. როგორც ხედავთ, ამირანს თავისი ჯიუტი ხასიათი, შემართება თამაშის დროსაც გამოადგა და თანდათან ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა.

იმ ხანად ამირანის უბანში ერთი მეგობარი ჰყავდა, რომელიც გოგოლის ქუჩის დასაწყისში ცხოვრობდა — ანზორ იაშვილი. იშვიათად წყნარი და დინჯი ბიჭი იყო ანზორი, მაგრამ როგორც კი მოჩხ-

უბრებს დაინახავდა, უნდა გენახათ როგორ იცვლებოდა, სახეზე სასიამოვნო ღიმილი გადაეფინებოდა, თუ პიჯაკი ეცვა, წყნარად გაიხდიდა, რომელიმე ჩხუბის მაცქერალს ჩააბარებდა და მოჩხუბრების იმ მხარეს დაიჭერდა, სადაც ნაკლებნი იყვნენ. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა იყო ჩხუბის მიზეზი, ვინ იყო დამნაშავე ან მტყუანი-მართალი. მისი ჩარევის შემდეგ ის მხარე რჩებოდა გამარჯვებული, რომელ მხარესაც ანზორი აღმოჩნდებოდა. ანზორის ჩხუბში ჩაბმა და მისი დამთავრება ერთი იყო. ის ყველა მოწინააღმდეგეს გამოზომილად ყბაში ურტყამდა. გაოგნებული გამარჯვებულები გონზე მოსვლას ვერც ასწრებდნენ, ანზორი სეირის მაცქერალს თავის პიჯაკს გამოართმევდა, მადლობას გადაუხდიდა და ჩუმათ გაეცლებოდა იქაურობას. მეორე დღეს იწყებოდა ანზორის ძებნა უბანში. ერთნი ეძებდნენ, რათა საყვედური ეთქვათ, რომ ჩხუბში ჩარევას მას არავინ ეკითხებოდა, ხოლო მეორენი — რათა რესტორანში დაეპატიჟათ მადლობის ნიშნად, მაგრამ ანზორი არც ერთ მხარეს არ იკარებდა.

აი, ასეთი უცნაური მეგობარი ჰყავდა ამირანს. ერთ დღეს გოგოლის ქუჩაზე წყნარად მოსეირნობდნენ ამირანი და ანზორი მშვიდად საუბრობდნენ. უცბად ხალხის ჩოჩქოლი მოესმათ. ახლოს რომ მივიდნენ, დაინახეს, რომ ხუთი მუტრუკი სცემდა ორ ცხვირმოუხოცელ ბიჭს; ანზორი აღშფოთდა, პიჯაკი სასწრაფოდ მიუგდო ამირანს და გადაეშვა ჩხუბში. ბიჭებს როგორც კი მიეცათ ხელიდან დასხლტომის საშუალება, ჯერ ერთმა და შემდეგ მეორემაც სასწრაფოდ მიატოვეს ჩხუბი და თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ და ხუთი მუტრუკის წინ ანზორი მარტო აღმოჩნდა. ერთი უკვე გამოყვანილი ჰყავდა მწყობრიდან, მისთვის ჩვეული ყბაში მუშტის დაკვრით, ხოლო დანარჩენი ოთხნი უტევდნენ მუშტებით, ერთს ხელში მილიციელის ხელკეტი ეჭირა, რომელიც ანზორსაც რამდენჯერმე მოხვდა, მაგრამ ვერ დააგდეს, მიუხედავად იმისა, რომ ორი კაცი ცდილობდა მისთვის ხელების დაჭერას. მეტი რა ჩარა იყო, ამირანმაც გაიხადა პიჯაკი და შუაგულ ჩხუბში გადაეშვა. ერთი წუთის შემდეგ ოთხივენი ძირს ეყარნენ. ამასობაში მილიციაც გამოჩნდა. დამარცხებულებიც და გამარჯვებულებიც განყოფილებაში მიაბრძანეს, სადაც მოჩხუბრებმა ერთმანეთი გაიცნეს. ვითარება ასეთი ყოფილა. დამარცხე-

ბულთა მხარეს მოჩხუბარი ხალხი მამა, ძმები და შვილები აღმოჩნდ-ნენ რომლებმაც ორ ნარკოტიკებით მოვაჭრის ცემა გადაწყვიტეს. მოჩხუბრები შეარიგეს, ხოლო ამირანს და ანზორს ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს. ამირანმა მოიხადა ბოდიში გარკვეული მდგომარეობის გამო, ხოლო ანზორი ვირზე შეჯდა: ბოდიშს არაფრით არ იხდიდა. „ეგ რომ მცოდნოდა, მაგ ნაბიჭვრებს მე თვითონ გავტყეპავდიო, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია, როცა ხუთი კაცი ორს სცემსო, პირობას გაძლევთ თუ ის ბიჭები დავინახე სადმე, მარტო ცემას არ ვაკმარე-ბო“.

— ანზორ, უკვე მორჩა ჩვენი ძხმაკაცობა. კიდევ ერთხელ დაგ-ინახავ, რომ სხვის ქეიფში უკანალს გათამაშებ და რომ ვიცოდე იმ ჩხუბის მერე საავადმყოფოში მოგაყუჩებენ, ხელს არ გავანძრევ ამხელა კაცი ხარ და ჭკუა ვერ უნდა ისწავლო!

— ჩემო ამირან, ადამიანს საკუთარ შეცდომებზე სწავლა არ შეუძლია, აქ მისი ასაკი და სიცოცხლის ხანგრძლივობა არაფერ შუაშია, ის უბრალოდ ამ შეცდომებისათვისაა დაბადებული!

— მე გაგაფრთხილე ძმაო! დღეიდან დაიწყებ ჩხუბს იქ, სადაც არავინ არაფერს გეკითხევა, მოვტრიალდები და წავალ, მერე არკვიე შენ შეცდომების გამოსასწორებლად ხარ დაბადებული თუ შეც-დომების ჩასადენად!

— ჰო, კარგი, რა მოხდა ერთხელ შემეშალა!

— ეს ერთხელ არა? ის როგორ იყო ტრამვაიში ხელი რომ ჩაუყავი ქურდს ჯიბეში და მერე ტრამვაიდან გადააგდე? ის ქურდი რომ მომკვდარიყო, სად მიდიოდი მაშინ?!

— ვა, შენ იქ არ იყავი, ბიძას უყოფდა ხელს, ავდექი და მე კიდევ იმ ქურდს ჩავუყავი ხელი ჯიბეში, მაინტერესებდა რა რეაქცია ექნებოდა. მოკვდებოდა ეხლა ქელეხზე არ დაგვპატიჟებდნენ!

— კი, მაგრამ წიხლი რომ ჰკარი ტრამვაიდან გადააგდე.

— ვა, ვერ დაინახე „აბაროტის“ აღება მოგვინდომა და ჯიბის-კენ წაიღო ხელი? ხომ უნდა დამესწრო, აბა ამოღებას დავაცდი-დი?!

— კაი, კაი, კიდევ სპორტის სასახლესთან რომ სამ ქურდს ეჩხუ-ბე?

— იქ ბიჭო წესიერ ახალგაზრდას იმ ახვრებმა შეურაცხოფა მიაყენეს, სულ „კასოი“ უძახეს, ვითომ იმ ბიჭს თავისი გაჭირვება არ ეყოფოდა, კინაღამ ხელიც გაარტყეს იმისათვის რომ ხელი არ შეუწყო იმ „გაფუჭებულ ხალხს“ რათა ვიღაცა დეიდასთვის ფული ამოეცალათ! — აღშფოთდა ანზორი.

— მერე შე კაი დედამიშვილო, გეთქვა რომ ცუდად იქცეოდნენ, რომ ეცი და სამივე ტროლეიბუსის გაჩერებასთან დააწვინე, ხომ შეიძლებოდა რომელიმეს შემთხვევით საფეთქელი ჩამოარტყას რამეს და მოკვდეს, ციხეს თავი დავანებოთ, იქ რა თვალებით უნდა შეხედო ღმერთს! ეჰ ჩემო ანზორ იმდენი უსარგებლო ღირსება გაქვს, რომ მათ გამოყენებებს ხულიგნობამდე, უზრდელობამდი მიყევხარ!

— შეიძლება მეც ყოველთვის მართალი არა ვარ, მაგრამ მე რომ „შემჯექი“, შენ არ იყავი, ზღვაზე ჩემი გულისათვის ხის კეტით რომ დაუხეთქე თავები ადგილობრივებს? რაღა მაინცდამაინც ჩემი დარტყმის მერე უნდა მოკვდეს კაცი, შენი კეტი რა, ბამბუკის იყო?

— ახია ჩემზე! ერთი კარგად უნდა მიებეგვეთ და მერე უნდა მოგშველებოდი!

— რომ მსაყვედურობ ჩემო „გოროზ“, ეგ ჭკვიანური აზრები ეხლა მოგდის თორემ რომ დამინახე განსაცდელში, ვეფხვივით გადმოხტი! თვალის დახამხამება ვერ მოვასწარი — ის ხალხი მიწაზე ეყარა!

მაშინ მათი დისკოთეკა „ტანცებზე“ სიარული იყო. საცეკვაო მოედანზე მაგნიტოფონი იყო ჩართული. ძირითადად აქ ხდებოდა გოგონების გაცნობა. ანზორიმ ცეკვა არ იცოდა, ვერც გოგონებთან იყო მაინცდამაინც თამამი. თუ ვინმე გამოიწვევდა საცეკვაოდ ქალების ანუ „ბელი ტანეცზე“ ეგ იყო, თუ არა და ეს ღმერთივით, ლამაზი ბიჭი იყო მაყურებლის როლში. ამირანი კი პირიქით, აქტიური იყო, ახლადგაცნობილი გოგონებს და ქალებს ანზორის აცნობდა ხოლმე. ამირანი ხანდახან კარგ ცირკსაც ატარებდა. შარვლის შიგნით ფეხებზე ხის პარკეტის ნაჭერი ჰქონდა დამაგრებული და მასზე თითის დარტყმით ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს ფეხის „პროტეზი“ ჰქონდა, გაშეშებულ ფეხებით და ასეთი კაკუნით, არეული ნაბიჯებით მიუახლოვდებოდა ამირანი იმ ქალს, რომელიც ყველაზე უკეთ ცეკვავ-

და და საცეკვაოდ გაიწევდა. ქალი უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, უარს ვერ ეუბნებოდა და საცეკვაოდ მიჰყვებოდა, აქ კი ამირანი თავის შესაძლებლობის მაქსიმუმს ავლენდა. რამდენიმე ცეკვის შემდეგ ის უკვე შესამჩნევი პიროვნება ხდებოდა საცეკვაო მოედანზე. ქალების აღფრთოვანებას და გაკვირვებას იწვევდა განსაკუთრებით მისი „ვალსი", ცეკვის დასასრულს ამირანი კვლავ ფეხების თრევით მიაცილებდა ქალს იმ ადგილამდე, საიდანაც საცეკვაოდ გაიწვია. ანზორი ამ ცირკს აღფრთოვანებით უყურებდა, მაგრამ ხანდახან ზოგიერთ ნელ ცეკვაზე მიწვევას ისიც იღებდა. ასე იყო თუ ისე, ანზორი ერთმა გოგონამ რამდენჯერმე გაიწვია საცეკვაოდ და ცეკვის სწავლებაც შესთავაზა. თურმე ეს გოგონა ადგილობრივი მცხოვრები ყოფილა და მასზე ერთი მეზობელი ბიჭიც ყოფილა შეყვარებული. ბიჭმა შეამჩნია რა, რომ ანზორმა და მისმა გოგონამ რამდენჯერმე ერთად იცეკვეს, გადაწყვიტა ანზორისთვის ჭკუა ესწავლებინა — გაელახა. იგი მივიდა ანზორთან და შესთავაზა გარეთ გასვლა — „სალაპარაკოდ"!? იქ კიდევ ოთხი ადგილობრივი ბიჭი შეუერთდათ და ანზორი „სალაპარაკოდ" ანუ „ჭკუის სასწავლებლად" ტყისკენ წაიყვანეს. ეს თავისებურად მიღებული ფორმა იყო მაშინდელ ყოყლოჩინა ბიჭებში.

ამ დროს ცეკვით და ასე ვთქვათ თავისი „ცირკაჩობით" გართულმა ამირანმა შემთხვევით თვალი მოჰკრა ანზორს, რომელიც ვიღაცას, უცნობ ბიჭს გარეთ გაჰყვა.

ანზორი ტყის პირას მიიყვანეს და შარის მოდება დაუწყეს, ერთი ანეგდოტისა არ იყოს:

— „ჭიჭიკია, გევიგე შენ ჩემი დაია გყვარებია, — როგორ გეკადრება, მაგაზე არც მიფიქრიათ. — აბა, გეზარება, მე შენი დედა ვატირეო — და მოსდეს ჭიჭიკიას".

სწორედ ასე ვითარდება სიტუაცია ანზორსა და ადგილობრივებს შორის. ანზორი, არ დაიბნა და იმ გოგოს შეყვარებულს დაასწრო და დაარტყა მაგრამ ვერ დააგდო. სხვები ეცნენ და დაუშინეს მუშტები, ანზორი ხეზე მიყრდნობილი იგერიებდა მათ. ამასობაში ერთერთმა ადგილობრივთაგანმა უკნიდან მოუნდომა მიპარვა და კეტის დარტყმა. ანზორმა შეამჩნია ეს და ვიდრე რამეს მოიმოქმედებდა,

მისდა გასაკვირვად ყველა „ადგილობრივი“ მის დაუხმარებლად მიწაზე ეყარნენ. ჯერ ვერ მიხვდა, მაგრამ ამირანი რომ დაინახა კეტით ხელში, ყველაფერი გასაგები გახდა. წამოაყენეს ბიჭები. წყალთან მიიყვანეს, სისხლი მობანეს და შეთანხმდნენ იმ დღიდან მეგობრები ყოფილიყვნენ. იაშვილმა კი პირობა დადო იმ გოგოს არ გაკარებოდა.

— ანზორ, ეტყობა მეც შენ დაგემსგავსე, ვითომ ჩემი თანდაყოლილი მანკიერება და ცოდვები არ მეყოფოდა! — გაეღიმა ამირანს.

* * *

მეორე დღეს ნოდარ ერგემლიძემ ამირანი დაიბარა და მადლობა გადაუხადა.

— ამირან, შენთან ვალში ვარ!

— რას ბრძანებთ! რა უნდოდა, მაგის ნარკომანი დედა ვატირე!

— მაგ ვირიშვილს კაბინეტი შეეშალა, უფრო სწორედ, შენს ძმაკაცთან, რეზო ჩხუბიანაშვილთან, უნდა შესულიყო, მე მგონი ეგ იცნობს მაგის ძმისშვილს და უნდოდა ცუდი წრისთვის ჩამოეშორებინა, მაგრამ როდესაც ასეთი ვიგინდარა ახლობელი ჰყავს, ძნელია ეგეთ ხალხთან მუშაობა. მაგათ თავი დავანებოთ, როგორ არის შენი მუშაობის საქმე?

— კარგი ბიჭები ამომიდგნენ მხარში, თბილისის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩემი ბიჭები მყავს, ცდილობენ ყოველთვის ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ.

— ჰო, რეზომ მითხრა შენზე, ჩვენთან მოსვლა არ უნდოდაო, მაგრამ ახლა გულიანად მუშაობსო.

— რა ვიცი, ვცდილობ, სამი წამლის გამყიდველი დავიჭირეთ და მილიციას ჩავაბარეთ, ერთი ჩემს ქურთ გურამას შემოელახა, მაგრამ რად გინდა, ერთ კვირაში ყველა გარეთ გამოყარა მილიციამ. ჯერ არც კანონი გვაქვს ხეირიანი და მილიციაც ხელს ითბობს. ასე, რომ ჩვენი შრომა წყლის ნაყვაა. ბიჭებს ყველაფერი გულთან მიაქვთ.

— ჩვენ, ჩემო ამირან, ამქვეყნად ბევრი რამის შეცვლა არ შეგვიძლია, ამიტომ გონების ჩაურევლად ყველაფრის გულთან ახლოს

მიტანამ შეიძლება სისულელემდე მიგვიყვანოს, ამიტომ შენს ბიჭებს უთხარი ზედმეტად ტვინს ნუ შეაწუხებენ.

— ტვინის ჭყლეტა, ბატონო ნოდარ, ადამიანს არ ვნებს, პირიქით ეს ხახუნი ახლა ენერგიას გვმატებს.

— გავიგე უნივერსიტეტში რაღაც ორგანიზაცია აღმოგიჩენია.

— არაფერი ისეთი, აცვენილმა ბიჭებმა გოგონების მოყვარულთა პარტია „ფუნჯი“ შექმნეს. იქ სოფლიდან ჩამოსულ გოგოებს ქალაქურ ცხოვრებას ასწავლიან. შეხვედრებს, საღამოებს მართავენ, ცეკვავენ. წამლის გაყიდვა ვერ დავაფიქსირეთ, მაგრამ უნიფხვო გოგოები კი ბლომად იყვნენ. ამ პარტიის თუ ორგანიზაციის წესდების თანახმად თავშეყრის ადგილებში ბიჭებსაც და გოგოებსაც საცვლების ჩაცმა ეკრძალებათ; ყველას არა, მაგრამ რამდენიმეს მართლა არ ეცვა ტრუსები.

— ამირან, თუ ძმა ხარ, ერთი ეს მითხარი, ვის მოაქვს ამბები, რა ხალხია ეს შენი აქტივისტები, თავის სახელით რომ დავარქვათ, აგენტები?

— აგენტებს ნუ ვიხმართ ბატონო ნოდარ, თორემ ყურს ცუდად ხვდება, აქტივისტები უფრო კარგად ჟღერს.

— კარგი აქტივისტები იყოს, მაგრამ, თავის თანაკურსელებს რომ „უშვებენ“, სინდისის ქეჯნას არ განიცდიან?

— პირიქით, აქტიურობენ, მაჩქარებენ, გახარებულები არიან რომ რაღაც გაიგეს. თან სულ ერთად ტრიალებენ.

— კი, მაგრამ თვითონ იმ გოგონებთან ყოფნა არ უნდათ? ეტყობა გამბედაობა არ ყოფნით.

— გამბედაობა, ბატონო ნოდარ, მოთმინება და დროის შერჩევაა და არა აფექტში ხელების ქნევა, ამასთან კარგი ის არის, რომ რასაც აკეთებენ, იმისა სწამთ, სჯერათ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემო ამირან. ჰო, მართლა, შენი განყოფილება მეზობელ ქუჩაზე გადავიტანეთ, მე ახალი ავეჯი შევიძინე ჩემი კაბინეტისთვის და თუ იკადრებ ჩემს ძველ, გამონაცვალ ავეჯს, ორშაბათს დამირეკე და გეტყვი, როდის წაიღო.

— დიდი მადლობა ნოდარ ნიკოლაევიჩ! აბა ორშაბათს შეგეხმიანებით. — დაემშვიდობნენ ერთმანეთს და ამირანი თავისი კაბი-

ნეტისკენ წავიდა. იქ თავისი ბიჭები დახვდნენ. ყველას მიესალმა და გამოუცხადა „ხვალ ტაბიძის ქუჩაზე გავდივართო და მოდით, ვნახოთ როგორი ოთახები მოგვცესო“. მართლაც, თბილისის კომკავშირის ცეკადან ხუთი წუთის სავალი აღმოჩნდა. სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე მათთვის ოთხი ოთახი დაეთმოთ. ბიჭებს ოთახები მოეწონათ, გამხიარულდნენ და ორშაბათისთვის გადმოსვლა დაგეგმეს, საბარგო მანქანაც მოიძიეს.

თავის კაბინეტში დაბრუნებულ ამირანს ქალაქის მილიციის უფროსის მოადგილემ, გივი ხაბაზმა, დაურეკა:

— ამირან, ნახევარ საათში ოპერაციაზე მივდივართ, ერთი მექრთამე უნდა დავიჭიროთ, უცნობი კაცი გვჭირდება და ან ვიღაც მოგვეცი, ან შენ წამოდი. არ გაინტერესებს, როგორ ვიჭერთ მექრთამეებს?

— კარგი წამოვალ, დიდი არაფერი სანახავია, მაგრამ ერთხელ მაინც ხომ უნდა ვნახო!

— აბა, გელოდებით, მოდი სასწრაფოდ!

ამირანი ათი წუთის შემდეგ გივი ხაბაზთან იყო კაბინეტში.

— ამირან, ჯგუფი მზად არის იმ კაცის ასაყვანად, ავტოფარეხის უფროსია, მძღოლს ისე არ მიიღებს სამსახურში, ფული თუ არ გამოართვა.

— ფულს ყველა იღებს, ეგ რა, წითელი კოჭია, უარი თქვას!

— მეც ვიცი, რომ სადაც ფული კეთდება, ყველგან ფულს იღებენ, მაგრამ იღებენ ჭკვიანურად, უსაყვედუროდ. თუ საჭიროა ქრთამს კრედიტითაც გასცემენ, კაცს არ დაახრჩობენ და რაც მთავარია, ფული კადრების გამგემ უნდა აიღოს და არა ავტოფარეხის უფროსმა, აქ სუბორდინაციაცაა დარღვეული, ეტყობა ღორია, ფული უყვარს და გაყოფა ეზარება ე.ი. ალიბის გარეშე მუშაობს, ასეთი კაცი უნდა დაისაჯოს!

— ალბათ, სხვამ რომ აიღონ, ისინი თავისას „მოტეხავენ“, საქმე რომ გასკდეს, ქრთამის აღება კადრებს დაბრალდება.

— ჰოდა, რომ გაისუქა ერთი ადგილი და აამყრალა სამსახურში საქმე და მეტისმეტს შვება, იმიტომ უჩივლეს და ამიტომაც უნდა გავამწესოთ ვირის აბანოში!

— ჩემზე რა არის დამოკიდებული, მე რაში უნდა მივიღო მონაწ-ილეობა?

— შენ ვითომ საქმეზე ხარ მისული, ის დამსმენი რომ შევა და ფულს შეუტანს, ნიშანს მოგცემს — თავს მოიფხანს. შენ მაშინვე წამოდგები და კაბინეტში შეხვალ, მდივანს ყურადღებას ნუ მი-აქცევ. შენი შესვლა იმიტომაა საჭირო. რომ ფულის გადამალვა ვერ მოასწროს, ამასთან ერთი გარეშე პირიც გვჭირდება მოწმედ.

— კარგი წავიდეთ, ერთი ვნახავ ვინ იქნება ჩემთვის პირველი მექრთამე რომელსაც დავიჭერ!

— ამირან. ხომ იცი, ეგეც პირველი ქალივითაა, მთელი ცხოვრე-ბა მაგ კაცის სახე დაგამახსოვრდება. აბა კარგად იყავით, წარმატე-ბას გისურვებთ! შემდეგ ზარს თითი დააჭირა. შემოვიდა საშუალო ტანის ოპერატიული მუშაკი.

— შოთა კიკნაძე.

— ეს ამირან ლომჯარიაა, გაიცანით ერთმანეთი. მე საქმეს გავა-ცანი, მაგარი ბიჭია. აბა, წარმატებას გისურვებთ. შოთა, რაიმე გაუგე-ბრობა არ მოხდეს.

— ნუ გეშინიათ, ბატონო გივი, „გარაჟის“ უფროსი კი არა, უფრო სერიოზული ხალხი დაგვიჭერია!

მანქანა რუსთავის გზაზე გავიდა. „ჟიგულში“ მძღოლიანად ხუთი კაცი იჯდა, ამირანი წინ დასვეს. მანქანაში მსხდომნი ხმას არ იღებდნენ.

— ბატონო შოთა, მარტო ჩვენ ვართ?

— არა, უკან მეორე მანქანაც მოგვყვება:

მანქანამ სვლა შეანელა და ავტოფარეხთან გაჩერდა.

— ჯერ ბატონი ვანო და ბატონი ამირანი გადავიდნენ, ასე, ხუთი წუთის შემდეგ ჩვენც შენობაში ვიქნებით.

ამირანი და ვანო გადმოვიდნენ. ამირანმა პირველად შეათვა-ლიერა კაცი, რომლის დამაჯერებელ მოქმედებაზეც იყო დამოკიდე-ბული ოპერაციის წარმატებით ჩატარება. ვანო საშუალო ტანის, ზომიერად ფერხორცასხმული კაცი იყო, ასე ორმოცი წლის. ისინი რკინის ჭიშკარში შევიდნენ და ყარაულს ჰკითხეს „ავტოფარეხის დირექტორი, თეიმურაზ გორგოძე, თუ იყო ადგილზე“.

— დირექტორი დილიდან აქ ბრძანდება, მიბრძანდით ბატონო! მესამე სართულზეა მისი კაბინეტი!

ისინი შენობისკენ გაემართნენ. ამირანი რაღაც შეფიქრიანებული ჩანდა. დირექტორის გვარი და სახელი ძალიან ნაცნობი აღმოჩნდა. ამასობაში კაბინეტსაც მიაღწიეს.

— ქალბატონო ციცინო, თუ დაკავებული არ არის შევალ ბატონ თეიმურაზთან.

— შებრძანდით, თავისუფალია, თქვენ გიცდით, თქვა, თუ მოვიდა, შემოვიდესო.

ვანომ კარები შეაღო. კაბინეტიდან ამირანისთვის ძალზე ნაცნობი ხმა მოისმა:

— სად ხარ ბიჭო აქამდე, წასვლას ვაპირებდი! კარები დაიხურა.

ამირანს არასასიამოვნო გრძნობა დაეუფლა. უცბად გაახსენდა თავისი თანაგუნდელი თეიმურაზ გორგოძე, ისინი ერთ ინსტიტუტში სწავლობდნენ. თუმცა თეიმურაზი ორი კურსით წინ იყო. გუნდში დიდ ხანს არ უთამაშია, ვარჯიშზე უფრო სახალისოდ დადიოდა, ხშირად აცდენდა, იშვიათად ათამაშებდნენ ძირითად შემადგენლობაში. ფიზიკურად კარგი მოზრდილი, ჩაფსკვნილი ბიჭი იყო. ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. პურმარილი კი ძალიან უყვარდა.

ერთხელ რესტორნიდან გამოსულმა კარგა გვარიანად შეზარხოშებულმა, თეიმურაზმა ამირანი დაინახა, ძალიან გაუხარდა და რესტორანში ძალით შეიყვანა. პურმარილიანი ბიჭი იყო და ამ ამბავში არაფერი ეშლებოდა. აი, ამ კაცის დასაჭერად იყო მოსული დღეს ამირანი. ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და გამოვიდა ვანო, რომელმაც თავი მოიფხანა, მას თეიმურაზიც გამოყვა და მისაღებში ამირანი რომ დაინახა, ძალზე გაუხარდა:

— ბიჭოს, ამირან! შენ აქ რა გინდა, რამ შეგაწუხა, რატომ მოხვედი ჩემთან? აბა, შემოდი!

ამირანმა წელი ძლივს აითრია, გადაეხვივნენ ერთმანეთს, გადაკოცნეს და მიხვდა ამირანი, რომ ბედმა მწარედ დასცინა — მისი პირველი დასაჭერი კაცი მისივე ახლობელი, თანაგუნდელი გახდა.

— ციცინო! არავინ შემოუშვა! ისეთი მეგობარი მომივიდა, რომ ამას აქედან უპატივცემულოდ ვერ გავუშვებ. ამირანი კაბინეტში შეუშვა. სკამი გამოუწია, მხარზე ხელი მოუთათუნა.

— ამირან, დღეს პატარა ფული ვიშოვე, სულ შენ უნდა დაგახარჯო!

— თეიმურაზ, ეგ ფული გადააგდე სადმე — ჩუმად უთხრა ამირანმა.

— რა ფული, — ვერ მიხვდა უცბად თეიმურაზი.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა შოთა კიკნაძე ორი ოპერატიული მუშაკის თანხლებით.

— რაშია საქმე? აქ როგორ მოხვედით? — იკითხა გაკვირვებულმა თეიმურაზმა.

— ჩვენ ვართ თბილისის მილიციის სამმართველოს დატაცების და მექრთამეობის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის წევრები. ჩვენი ინფორმაციით, თქვენ აიღეთ ქრთამი ხუთასი მანეთი, მძღოლის სამუშაოზე მოწყობაში. აღიარებთ თუ არა იმ ფაქტს, რომ თქვენ მოქალაქე ვანო ონოფრიშვილმა ქრთამი — ხუთასი მანეთი მოგცათ!

თეიმურაზი უცებ გატყდა, დაფიქრდა, რაღაცის მოგონებას ცდილობდა. ამ დროს ამირანი წამოდგა სკამიდან, რომელიც აქამდე იჯდა და თეიმურაზს მიმართა:

— ბატონო თეიმურაზ! ჩვენ გვაინტერესებს, დაგიტოვათ თუ არა ამ კაცმა ფული და გვაჩვენეთ სანამ ჩხრეკვას დავიწყებდეთ, შეიძლება გასესხათ, გაჩუქათ ან ვალი დაგიბრუნათ, მაგრამ ამ კაცმა ფული რომ შემოგიტანათ და დაგიტოვათ, ჩვენ ვიცით. ამირანი შეეცადა როგორმე დახმარებოდა მას, მაგრამ ამირანის სიტყვებმა უფრო დააბნია თეიმურაზი და გააბრაზა. მთელი ბრაზი ამირანზე გადმოანთხია:

— შენც ამათთან ხარ, ამირან?! არა გრცხვენია, შენც ჩემს დასაჭერად მოხვედი? ამას ვიფიქრებდი?!

— მოკლედ, გვანახეთ ფული, რომელიც გადმოგცათ მოქალაქე ვანო ონოფრიშვილმა — უთხრა შოთამ.

— ეგერ დევს მაგიდაზე, ხელიც არ მიხლია!

შოთა მაგიდასთან მივიდა და ძებნა დაუწყო მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა.— აქ არაფერი არ დევს!

— მაგიდის უჯრაშია ჩადებული, მაგას როგორ ვიფიქრებდი, ამას როგორ მოველოდი ვანოსაგან, ჩემთან მუშაობდა მძღოლად ერთი წელი, მერე სხვაგან გადავიდა სამუშაოდ, მერე ერთი თვის წინ მთხოვა სამუშაოზე მოწყობა, დღეს მოვიდა, განცხადებაზე თანხმობა დავაწერე და სიკეთის მაგიერია.

— კი, მაგრამ ფული რაში მოგცათ?

— მე რა ვიცი, ამოიღო კონვერტი და დადო, მე მეგონა „მაღარიჩი“ იკისრა, ჩემთან ადრე ასეთი წესი იყო, მძღოლს რომ მივიღებდით, რესტორნის ფულს ტოვებდნენ.

— ჩვენთან კი განცხადება დაწერა, სანამ ხუთას მანეთს არ მივცემ, საჭესთან არ მსვამსო, სამი შვილის მამა ვარ და სად მაქვს მაგის მისაცემი ხუთასი მანეთიო! — უთხრა შოთამ.

— მოკლედ, ჩემო თეიმურაზ, თუ ფული გადათვლილი არ გაქვს და მასზე შენი თითის ანაბეჭდები არ არის, რაღაცა გეშველება, თუ არა და.... ახლა წამობრძანდით ჩვენთან მილიციის სამმართველოში და დანარჩენს იქ გავარკვევთ!

თეიმურაზი უსიტყვოდ წამოდგა, კაბინეტის კარი გასაღებით გადაკეტა და მდივანს, რომელიც ამავე დროს კადრების გამგის მოვალეობასაც ასრულებდა, დაუბარა:

— ციცინო, აჰა გასაღები, არავინ შეუშვა, შენს იმედზე ვტოვებ ამ კაბინეტს და წარმოებას.

— მაგაზე ადრე უნდა გეფიქრათ ბატონო თეიმურაზ, მარტო რომ იჯიბავდი მაგ ფულს! — წაუსისინა ციცინომ.

— ეგეც შეგშურდათ, თქვენც რომ საქმეში გამეყვანეთ, ეხლა ჩემს გვერდზე იქნებოდით! ასეა ჩემო ამირან, ხალხს ვერ ენდობი, ხუთის წუთის წინ შენც და ეს ქალბატონიც ყველაზე ერთგულ ახლობლებად მეგულებოდით, ახლა კი, ეჰ! — ხელი ჩაიქნია თეიმურაზმა.

ამირანს ხმა არ ამოუღია სამმართველოში მისვლამდე. შოთა და ამირანი ერთად შევიდნენ გივი ხაბაზის კაბინეტში. შოთამ მოახსენა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, დავალება შესრულებულია, ფულადი მტკიცებულება ამოღებულია, დასადგენია თითის ანაბეჭდების არსებობა ფულზე!

— რაო, აღიარა ქრთამის აღება, თუ როგორც ყოველთვის ისე დაუტოვეს, არც გაუგია?

— ამბობს, მე რესტორნის მაღარიჩი მეგონაო, თან ადრე უმუშავია მაგასთან.

— ეგ არაფერია რას ამბობს, მთავარია ახლა ფულზე მისი თითების ანაბეჭდი აღმოჩნდეს. აბა, შოთა, მიხედე საქმეს! — შოთა გავიდა. ამირანი და გივი მარტო დარჩნენ.

— ა, ჩემო ამირან, როგორ მოგეწონა ნათლობა? შენი პირველი მექრთამის დაჭერა დაგამახსოვრდება?

— ეს რა მიქენით, ბატონო გივი! ეგ კაცი ჩემი ინსტიტუტის მეგობარია, გუნდშიაც ერთად ვთამაშობდით, დამამახსოვრდება კი არა, თავი არ გამომეყოფა.

— მდა, არ არის კარგი საქმე, მაგრამ რას ვიზამთ, მოგვანდეს ამ ბინძური საქმის კეთება და არ გავაკეთოთ, არ შეიძლება. ოჯახში პურმარილის შემდეგ ჭუჭყიანი თეფშები რომ დაგროვდება, ვიღაცამ ხომ უნდა გარეცხოს, გაამშრალოს და თავისი ადგილი მიუჩინოს, ჩვენ ამისთვის ვართ მოწოდებულნი!

— და რომ კვლავ დაისვაროს...

— აბა, უმაგისობა ღმერთმა ნუ ქნას, მაშინ ვიღას დასჭირდება ჩვენი სამსახური და ჩვენ!

— გივი, მოკლედ რა ეშველება მაგ კაცს, დიდ „სროკზე“ არ გაუშვათ!

— მოკლედ, ახლა მაგის ბინის ჩხრეკა უნდა ჩავატაროთ, შენც წაყევი ბიჭებს, ნახე რამე გაუფორმებელი იარაღი არ ჰქონდეს. თუ ფულზე ხელი არა აქვს მოკიდებული, შეიძლება რაღაც ეშველოს.

— მე მგონი ვერ მოასწრებდა, ის ჩამშვები დიდის ამბით გამოაცილა, მე რომ დამინახა, ისე გაუხარდა, კონვერტისათვის არც მიუქცევია ყურადღება, ეგრევე დაიწყო სუფრის გაშლა და ამ დროს თქვენი ბიჭები შემოცვივდნენ.

— ამირან, ხომ იცი, ყველაფერი ჩვენზე არის დამოკიდებული, ცოტა ღმერთიც უნდა გწყალობდეს კაცს. ისე, როგორი ბიჭია, რომ არ მივაწვეთ, გადამხდელი თუა?

— მეგობრობა, სუფრა არ ეშლება.

— ჩვენს კაცს უსუფროდ უჭირს ფულის გაღება, თორემ სუფრაში იმაზე ორჯერ მეტს გადაიხდის რომლის ნახევარი შემმოწმებელს დააკმაყოფილებდა.შემდეგ ზარს თითი დააჭირა. შემოვიდა შოთა.

— რა ქენი შოთა, არის ფულზე თითების ანაბეჭდი?

— ფულზე ვერ აღმოვაჩინეთ, მაგრამ კონვერტზე არის.

— მაშინ მორჩით მაგ საქმეს, ამირანიც თან წაიყვანეთ, ოჯახში ჩხრეკა ჩაუტარეთ, იქნებ რამე ნახოთ ხელმოსაკიდი!

— ხომ არ იქნებოდა სასურველი, ბატონი გივი, ეჭვმიტანილიც დასწრებოდა თავის ბინაში ჩხრეკას?

— შეიძლება დაესწროს! მე წინააღმდეგი არა ვარ.

ცოტა ხნის შემდეგ ამირანი, შოთა და კიდევ ორი თანამშრომელი თეიმურაზთან ერთად მილიციის მანქანით გორგოძის სახლს მიადგნენ. კარებში გაღიმებული სახით თეიმურაზის ცოლი გამოეგებათ. მაგრამ როცა გაიგო, ვინც იყვნენ და რაზეც იყვნენ მისულნი, ღიმილი წაუხდა.

— თემო, — გადაუჩურჩულა ამირანმა — ყური დამიგდე, თუ იარაღი ან ფული გაქვს სადმე გადამალული, ახლავე მითხარი, სად არის, სანამ დამსწრეებს დავუძახებდეთ და ჩხრეკას დავიწყებდეთ. მეუღლეს რა ქვია?

— მაყვალა.

— ქალბატონო მაყვალა, ნახეთ ერთი-ორი ახლობელი მოწმეებად. წესია ასეთი, ჩხრეკვას უნდა დაესწრონ, ბატონი შოთა, თქვენ წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

— კი ბატონო! ვინც გაგიხარდებათ, თქვენ თვითონ დაუძახეთ!

მაყვალა უხერხულად შეიშმუშნა, ეტყობა არავის დაძახება არ ეხალისებოდა და თეიმურაზს მიუბრუნდა:

— ვის დავუძახოთ თემო, რომ ქვეყანას არ მოსდოს ჩვენი ოჯახის შერცხვენა!

— ვისაც გინდა დაუძახე, რა, ეგენი ხელფასზე ცხოვრობენ? ჯობს ჩვენს ზევით ჯაყელების ოჯახი რომაა, ორთავენი ჩამოვიდნენ, ისევ ეგენი სჯობიან სხვებს, ნაკლებად იჭორავებენ.

მაყვალა გარეთ გავიდა.

— შოთა, თქვენ აქ დაბრძანდით, ამ ჩემი მეგობრის ოჯახში პირველად ვარ. იმის მაგივრად, შამპანურებით შემოვსულიყავი, ჩხრეკის ორდერით მოვედი!

— რას იზამ, ამირან! შენც იცი, ჩვენი ნება არ არის ამქვეყნად ყველაფერი!

— აბა, თეიმურაზ, დამათვალიერებინე შენი ბინა, სანამ ჩხრეკას დავიწყებდეთ, ხომ უნდა ვნახო, რა სიმდიდრის პატრონი ხარ, ღირს თუ არა შენი გაჩხრეკა წინასწარ ხომ უნდა მქონდეს წარმოდგენა!

— ამირანი და თეიმურაზი მომდევნო ოთახში გავიდნენ, შემდეგ აღმოჩნდნენ სააბაზანოში სადაც თეიმურაზმა აბაზნის ქვემოდან გამოაძრო ცელოფანის პაკეტში გახვეული ფული, რომლიც ამირანმა გამოართვა და სასწრაფოდ ჩაიდო პიჯაკის ჯიბეში. თეიმურაზმა წასჩურჩულა:

— ტუალეტში, უნიტაზის ბაჩოკში, ცელოფანში გახვეული მაკაროვის სისტემის პისტოლეტი დევს.

— ტუალეტი სად გაქვს, თემო? აგერ ყოფილა, ხომ შეიძლება შესვლა?

ამირანი შევიდა ტუალეტის ოთახში და იარაღიც სასწრაფოდ ჯიბეში ჩაიდო.

მაყვალა შემოუძღვა მეზობელ ცოლ-ქმარს.

შოთამ გაცნო მეზობლებს საქმის ვითარება, ჩხრეკის ორდერი აჩვენა და უხალისოდ დაიწყეს ჩხრეკა. ნახეს რამდენიმე ოქროს ნივთი, რომელიც მაყვალას თქმით მისი მზითევი აღმოჩნდა. ერთ-ერთი ახალგაზრდა ოპერი, გიგა ოქრუაშვილი, ძალზე აქტიურობდა, ტუალეტის ბაკს სახურავი ახადა, აბაზანის ქვეშაც შეიხედა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ვერ ნახა. ჩხრეკა დამთავრდა. მეზობლებს ხელი მოაწერინეს, თეიმურაზი თან წაიყვანეს და გავიდნენ, ხოლო ამირანი მაყვალასთან შეყოვნდა. მან ფული ამოიღო ჯიბიდან სასწრაფოდ და მაყვალას გადასცა.

— ქალბატონო მაყვალა, ამ ფულს გიბრუნებთ, იარაღი კი ჩემთან დარჩება და მილიციას ჩავაბარებ. რაც შეეხება თეიმურაზს, მისდა ბედად მე შევეფეთე და კონვერტიდან ფულის ამოღება და დათვლა ვერ მოასწრო, „მიაწვეს პირველ ჩვენებას“. მაგის საქმე ქალაქის მილიციის უფროსის მოადგილეს, გივი ხაბაზს, აქვს, კარგი კაცია, მასთან ლაპარაკი შეიძლება. სჯობს საქმე მილიციაში მოგუდოთ, უფრო იაფი დაგიჯდებათ. მე მაგ საქმეში ვერ ჩავერევი, რის გაკეთებაც შემეძლო, გავაკეთე. მილიციაში იციან, რომ ჩემი მეგობარია. მე მგონი, მაინცდამაინც ტყავს არ გაგაძრობენ. დღესვე მიდით გივი ხაბაზთან და დაელაპარაკეთ.

— კი, ბატონო, ახლავე წავალ.

— აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, მე მგონი, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

* * *

ამირანის განყოფილება ახალ შენობაში გადავიდა. საჭირო იყო შეპირებული ავეჯის გადმოტანა, ან ახლის შეძენა, რადგან თანამშრომლებისათვის ავეჯი აშკარა არ ჰყოფნიდა.

ერთ დღეს ნოდარ ერგემლიძემ დაურეკა და სთხოვა სამუშაოს დამთავრების შემდეგ მასთან ასულიყო კაბინეტში. ამირანი დათქმულ დროზე მასთან იყო. ნოდარი კაბინეტში მარტო იყო. იგი მაშინვე დაფაცურდა, გამოიტანა შამპანური, წინასწარ მომზადებული საჭმელი და ჭიქები შეავსო:

— ამირან, ხვალ ჩემი დაბადების დღეა. ალბათ სხვა დონის და „მასტის“ მილოცვასაც მივიღებ. იქნებიან ჩემი ის მოადგილეებიც, რომლებიც თავის კაბინეტებში ჩაიკეტნენ და „არა ვხედავ“-ის თამაში დაიწყეს როდესაც ის მორფინისტი მოსაკლავად შემომივარდა. ეს თავისებური პოლიტიკაა, როდესაც სკამისთვის მიდის ბრძოლა, ერთმანეთს არ ინდობენ. მე ყველაფერი ვიცი, იმ ექსტრემალურ სიტუაციაში ვინ როგორ მოიქცა და ვინ როგორ მოიქცეოდა. მოდი, ამ ჭიქით ჩვენს ურთიერთობას გაუმარჯოს, იმ ურთიერთობას, კარიერისთვის ერთმანეთს რომ არ გავწირავთ, თორემ უხიაგ კაცებზე მეტი რა არის, ზოგს ისეთი მამიკო ჰყავს, სიმდიდრე თავზე გადადის, მაგრამ

მაინც კომკავშირში მოძვრება კარიერის გასაკეთებლად. რაღაცა უნდა გწამდეს, აპარატში მუშაობას რომ იწყებ, საქმეს გულით უნდა მოეკიდო, ორგანიზაციული ნიჭიც უნდა გქონდეს, უნდა შეგეძლოს შენი აზრის დაცვა. მარტო ჩასაფრებული კი არ უნდა იყო — ვის ფეხი როგორ და როდის გადაუბრუნდება!

— გამიგია ბატონო ნოდარი, „პოლიტიკა ჩასაფრება და მოთმინებაა“. ეს უჭკუო ხალხს არ უთქვამს.

— ვიდრე პოლიტიკოსობას დააპირებ, ჯერ შენი „მე“, შენი რწმენა, ტრადიციები უნდა გაგაჩნდეს, რომელიც თანდათან სიკეთის კეთებისკენ უნდა გადახარშო, თავი უნდა შეამოწმო, გადაამოწმო ხალხი როგორ გაფასებს და მერე უნდა მოკიდო ხელი პოლიტიკას, მაგრამ მამიკოს სიმდიდრით გათავხედებულებს ამას ვერ შეასმენ!

— უხიაგ კაცზე, სიმდიდრის ქონა—არქონის მიუხედავად, აზრი არ უნდა შევიცვალოთ, ბატონო ნოდარ, თუ თქვენ ის კაცი არა გჭირდებათ ფსონის ჩასადებად!

— რას ვიზამთ, ესეც პოლიტიკაა. მაგათი არც ფსონი მინდა და არც სიმდიდრე! ძნელია იმ ხალხთან მუშაობა სადაც შენი ცუდიც უხარიათ და კარგიც, რადგან ორივე შემთხვევაში ვაკანტური ადგილი ჩნდება კარიერის კიბეზე ასასვლელად, ხოლო თუ არაფერი ხდება, მუშაობენ წყნარად, მაგრამ ნაპერწკლის, შემართების გარეშე, არა იმიტომ, რომ საქმე აკეთონ, არამედ რაიმე არ დააშაონ და ყველაზე ცუდი ეს არის აპარატის მუშაობაში.

— რა ვიცი, ყველას თავისებურად ესმის ეს ცხოვრება, მეობა, კაცობა, საქმის სიყვარული. როდესაც ადამიანს უჭირს, მაშინ უნდა დაეხმარო! მე მართლა მინდა რაღაცა გავაკეთო, რათა ეს ჩვენი ახალგაზრდობა ნარკოტიკს არ დაუძმაკაცდეს, მაგრამ ეს რომ გაკეთდეს, ათასი რჯულის ხალხს უნდა დაუახლოვდე, ზოგს მეგობრადაც კი უნდა მოაჩვენო თავი. ეჰ, ვხედავ რომ ესეც ბინძური საქმეა, მაგრამ სამწუხაროდ ამ სიბინძურეში ხელის ფათურის გარეშე სიკეთის კეთებაც არ გამოდის. ცხოვრებაში ჯერ არ მქონია შემთხვევა, რომ თუ შემეძლო, არ დავხმარებოდე ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს. ბატონო ნოდარ! გილოცავთ დაბადების დღეს! მინდა გისურვოთ

ჯანმრთელობა, წარმატება და წინსვლა! თუკი რამეში გამოგადგებით, ყოველთვის თქვენ გვერდით მიგულეთ!

ამირანმა ბაკალი ბოლომდე შესვა, შემდეგ ცერა თითზე დაიკაკუნა და უთხრა —ასე მტერი დაგეცალოს!

— როგორაა, ამირან, თქვენი ახალმოსახლეობის საქმე, როგორ მოეწყვეთ?

— ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ თქვენი დახმარების მიუხედავად, ავეჯი არ გვყოფნის, გასაშლელი დივანი გვჭირდება, ჩემს ბიჭებს უნდათ ღამითაც მორიგეობა დავაწესოთ მილიციასთან ერთად, გავიდეთ ოპერაციებზე, დავესწროთ და მონაწილეობა მივიღოთ პირველად გამოძიებაში, თორემ ჩვენამდე ხმა მოვიდა, ზოგ ყოჩ ბიჭს, რომელიც ძველბიჭობს და ცუდს არაფერს აკეთებს, ხან ნარკოტიკს ჩაუგდებენო, ხან იარაღს შეაჩეჩებენ და მერე მიდის ფულის გამოძალვა!

— თუ დასჭირდათ, ზოგს ცემენ ალბათ და ისე იღებენ ასაღებს.

— როგორც ვთქვი, ჩემო ნოდარ, ცემა ზოგს უხდება კიდეც! მე თავად დავსწრებივარ. თავიდან ელპარაკებიან ადამიანურად, ის უხეშად პასუხობს. მოსდებენ და ხელად ზრდილობიანი ხდება; ცემა არ არის მთავარი, აქ უპრიანია, ციხეში არ შეაგდონ და იქ ყოფნას არ მიაჩვიონ!

— იქ თუ მოხვდებიან, ბევრი მათგანი ჩამოყალიბებული ნაძირალა ხდება!

— ზოგი, ჩემო ნოდარ, ნაძირალად იბადება; ეტყობა საზოგადოებას ასეთი ხალხიც სჭირდება როგორც ცხვარს მგელი, რომ არ მოდუნდეს! მაგრამ არიან კარგი ბიჭები, სისხლი რომ უდუღთ და არ იციან თავიანთი მოჭარბებული ენერგია რას მოახმარონ, ჩემი ნება რომ იყოს, ალტერნატიულ სასჯელს შემოვიღებდი, მაგალითად გაროზგვა, ფულადი ჯარიმა. იმ დღეს გაუპატიურობაზე დაიჭირეს ერთი ახალგაზრდა ბიჭი. მომეწონა, მერე ის „გაუპატიურებული“ გოგოც ვნახე და დედამისიც. აშკარა იყო, იმ გოგოს ის ბიჭი გოგოს თანხმობის გარეშე ვერ გააუპატიურებდა, მაგრამ რა გინდა ჰქნა, მოიტანეს ექსპერტის ცნობა ძალადობის შესახებ; გოგოს მართლაც დალურჯებული ჰქონდა მკლავები, რაც შეიძლება დედამისის დამ-

სახურებაც იყო. ნაჩქმეტებით გამოწვეული. იმ ბიჭს კი ხუთწლიანი მუხლი აქვს მიყენებული.

— რა ეშველება მაგ ბიჭს ამირან, შენ რას ფიქრობ?

— მე ვუთხარი, ცოლად მოიყვანე-მეთქი, ჯერ იუარა, მაგრამ რომ ავუხსენი რაც მოელოდა ციხეში მაგ მუხლით შესულს, დაფრთხა და ყველაფერზე დამთანხმდა. სწორედ აქ არის ალტერნატიული კანონი საჭირო! თუ მართალია მიქარა და თუ ორივე მხარე თანახმა იქნება, ეს გოგო ან ცოლად უნდა მოიყვანოს, ან კომპენსაცია გადაუხადოს ჯარიმის სახით, ან გაიროზგოს. ეს უნდა აუხსნას ამ ცხოვრების კანონების უცოდინარ ხალხს ვიღაცამ, თორემ მილიციას რა ენაღვლება, დაიჭერს, შეაგდებს და გეგმას შეასრულებს. კაცი, განსაკუთრებით კი ახლაგაზრდა ბიჭი თუ მოხვდა ციხეში, ის თავისთვისაც დაკარგულია და ქვეყნისთვისაც, რადგან თუ კაცი დიდხანს ქურდებში და ვიგინდარებში მოხვდა, ის ქვეყნისთვისაც დაკარგულია და თავისიანებისთვისაც, ამაზედ კი არავინ ფიქრობს!

— ცოტა ხნით კიდევ წაიმუშავე ჩემო ამირან და მერე წამოაყენე შენი კანონპროექტი, იქნებ ზევით ყურად იღონ და კარიერაც განაღდებული გექნება. ისე ამირან, შენ თუ ეძებ აგენტებს, მე ძებნის გარეშე მყავს ჩემი მსტოვრები, ყველას უნდა ამით თავის გამოჩენა. შენზე მითხრეს პურმარილი უყვარს, ჩხუბში უკან არ იხევსო, ისიც მითხრეს, შენს ბიჭს სისხლს რომ აძლევდი და მერე რაგბის ტურნირებში თამაშობდი. გულმოკლული ბიჭიაო, რა დაემართა ბიჭს, რატომ დასჭირდა სისხლის გადასხმა?

— რა ვიცი, თითქმის ჯანმრთელი ბავშვი დაიბადა, მაგრამ რატომღაც „ანემია“ დაემართა. ექიმმა მითხრა ორ დღეში ერთხელ 200 გრამი სისხლი უნდა გადაუსხაო. ამ პერიოდში გაზეთ “სოციალისტური ინდუსტრიის“ ეგიდით საერთაშორისო მატჩი გაიმართა, საქართველოს ნაკრებში შემიყვანეს. მწვრთნელს რომ გაეგო ამდენ სისხლს ვიძლეოდი, არ მათამაშებდნენ. მეც ჩუმად ვიპარებოდი საავადმყოფოში, მივცემდი ჩემს ბიჭს სისხლს და მერე მივდიოდი ვარჯიშზე ან ვთამაშობდი. მერე შემთხვევით ფინალს ბავშვის ექიმი დაესწრო და ჩემი გვარი რომ გაიგონა და მოედანზე დამინახა, პირველი ტაიმის შემდეგ გასახდელში ჩამოვიდა და ჩვენს მწვრთნელს

სთხოვა შევეცვალე, „შეიძლება მოედანზე მოკვდესო“. არ მინდოდა მაგრამ მეორე ტაიმი ჩემს მაგიერ სხვამ ითამაშა.

— ამირან, რადგან ასეთი გულიანი კაცი ხარ, მოდი მეც მიგულე შენს მეგობრად.

რამდენიმე სადღეგრძელო კიდეც შესვეს, და ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ხუთი წუთის შემდეგ ამირანი თავის კაბინეტში შევიდა. იმ დღეს ქურთი გურამი და რუსი იურა მორიგეობდნენ. შეზარხოშებული ამირანის დანახვაზე ბიჭები ფეხზე წამოდგნენ და მორიდებულად შეეკითხნენ:

— ხომ მშვიდობაა ბატონო ამირან?! —

— მშვიდობაა, ბიჭებო, მშვიდობა — გაეღიმა ამირანს — აქეთ რა ხდება, მილიციის სამორიგეოდან ხომ არ დაურეკიათ?

— დარეკეს, შენ გიცდიდით, ერთი სტუდენტი გოგო ორიგინალურად გაუქურდიათ!

— რანაირად?

— სპორტის სასახლესთან, გაჩერებაზე მდგარა ასე 17—18 წლის გოგონა, ახალგაზრდას გამოუვლია — მათ შორის ერთი გოგო ყოფილა, — მოსწონებიათ იმ გოგოს ჩექმები, ის ორი ბიჭი მისულა გოგონასთან უტაციათ ხელი მკლავებში, აუწევიათ მაღლა, მათთან მყოფ გოგოს კი გაუხდია ახალი ჩექმები, თავისი ძველი ჩექმები იმ გოგოსათვის ჩაუცმევია, ახლები თვითონ ჩაუცვია, მადლობა გადაუხდია ბარტერისათვის და სიცილ-სიცილით იქვე მეტროში ჩასულან. ეს მოხდა გაჩერებაზე, ხალხის თვალწინ. როდესაც „დაბარტერებული“ გოგო და ხალხი აზრზე მოსულან, ისინი უკვე გამქრალან. მაგრამ დარეკეს, ვგონებ დაუჭერიათ!

— რომელ მილიციაში ჰყავთ?

— ჩვენი რაიონის.

— მე შევივლი მილიციაში და ერთ საათში დავბრუნდები. დღეს მეც თქვენთან ერთად ვიმორიგეევებ.

ამირანი მთაწმინდის რაიონის მილიციის მორიგეს მიესალმა და სთხოვა გამომძიებელთან შეხვედრა, რომელიც იმ ახალგაზრდების საქმეს იძიებდა.

— შედი მეოცე ოთახში და იქ არის გამომძიებელიც, დაზარალებულიც და „ბარტერისტებიც“.

ამინრამა კარზე დააკაკუნა, ოთახში შევიდა. ძველ ნაცნობს, მილიციის კაპიტან გივი ჯუღელს, ხელი ჩამოართვა:

— გივი გამარჯობა, შეიძლება დავესწრო თქვენს საუბარს?

— ოჰ, ამირანს გაუმარჯოს! დაჯექი, დაჯექი, რა ვუყო ამ ხალხს არ ვიცი, ქურდობა ჩაიდინეს და ვერ გავაგებინე, რომ ამ სისულელის გულისთვის შეიძლება ციხეში ამოყონ თავი.

— დაზარალებული რას ამბობს, რაო?

— არაფერს. როგორც ესენი ამბობენ — დაკავებულებზე მიუთითა — ათი წუთის შემდეგ დაბრუნებულან, უნდოდათ უკან დაებრუნებინათ, ვიხუმრეთო, მაგრამ ხალხმა იცნო ისინი, მილიციისათვის დაურეკიათ და დააკავეს.

— მაინც როგორ მოხდა ეს ბარტერი, ხელად ახალი სახელი მოუძებნეს ქურდობას და მამაძაღლობას!

— „ბარტერი“, ანუ გაცვლა. შენს ძველმანს თუ ახალ ნივთში გაცვლი, ისე რომ მეორე მხარის თანხმობა არ გაქვს, ეს ქურდობაზე უარესია და ყაჩაღობის მუხლს რომ მივუყენებ, მერე იშაყირონ და იძახონ ბარტერი. ამ სახის დანაშაული გვაკლია ახლა. ყველა უხეირო სიახლეს ახალგაზრდობა უცებ ითვისებს!

— მაინც როგორ მოიფიქრეთ ეს ბარტერი? — ღიმილს ძლივს იკავებდა ამირანი.

— აი იმ გოგოს და იმ ბიჭს ერთმანეთი ყვარებიათ, ეს მესამე კი როგორც ამბობს მომავალი ხელის მომკიდეა — მეჯვარეა; ამოვიდნენ მეტროდან, გოგოს დაუნახია დაზარალებულის ფეხებზე ახალთახალი, მოდური ჩექმები და უთქვამს, ნეტავ სად იშოვა, მეც დამამშვენებდაო — ასეთი ვაჟკაცის საცოლესო! ბიჭები ცოტა ნასვამები ყოფილან და უთქვამთ ახლავე შენც გეცმევაო, ბიჭებს გოგონა ზევით აუწევიათ, გოგოს კი გაუხდია დაზარალებულისთვის ახალი „საპოჟკები“, თვითონ ჩაუცვამს, თავისი ძველები მისთვის ჩაუცმევია და მეტროში გაუჩინარებულან. მერე ეტყობა მიხვდნენ რომ მიქარეს და როგორც თვითონ ამბობენ, უკან დაბრუნება უნდოდათ, მაგრამ ჩვენთან მოაბრძანეს.

— რა ეშველებათ ახლა მაგათ? რას საქმიანობენ?

— ბიჭები პოლიტექნიკურში სწავლობენ — მესამეკურსელები არიან, გოგონა — უნივერსიტეტში — ფილოლოგიურზე. დაზარალებულიც უნივერსიტეტში სწავლობს ბიოლოგიურზე. გოგოები პირველკურსელები არიან. თუ გაუწევს შუამდგომლობას კომკავშირი და თქვენი მხრივ დასჯით, მაშინ ამ საქმეს მსვლელობას არ მივცემთ, მითუმეტეს, დაზარალებულს სარჩელი არ შემოაქვს.

— ჯანდაბა მაგათ თავს! ჩავიწერ მონაცემებს, ხვალ მაგათი კომკავშირის კომიტეტის მდივნებს დავურეკავ და ტყავს გავაძრობინებ, ჩემო გივი.

ამირანმა ჩაიწერა ოთხივე ახალგაზრდას მისამართი, ტელეფონის ნომრები, ფაკულტეტები, ხელწერილი დაადებინეს, რომ მომავალში ასეთ სისულელეს არ ჩაიდენდნენ და გაუშვეს.

ამირანი სამსახურში დაბრუნდა. იმ ღამეს მეტი ღირსშესანიშნავი არფერი მომხდარა.

მეორე დილით, მორიგეების შესაცვლელად აქტივისტები ნიკო და კაკო მოვიდნენ, ამირანმა ოთხი აქტივისტი რომ დაინახა, ღამენათევ ქურთ გურამს უთხრა:

— ახლახან ქალაქის კომკავშირის კომიტეტიდან დარეკეს, დივანი წაიღეთო, დამატებით გვჩუქნიან. გურამ, ამ ბიჭებს მიიყვან თბილისის კომკავშირის კომიტეტში, იქ შეხვალ პირველ მდივანთან და დივანს მოჰკიდეთ ხელი და მოიტანეთ მისი კაბინეტიდან. ეს ბიჭებიც დაიხმარე მაგ საქმეში.

ბიჭები წავიდნენ. არ გასულა ნახევარი საათი და ნოდარი რეკავს:

— ამირან, ბიჭო, ეს ვინ გამომიგზავნე, მეუბნება, გინდა თუ არა ამირანმა ბრძანა მდივანი მომიყვანეო და გადამეკიდა გინდა თუ არა უნდა წამოხვიდეო.

ამირანს სიცილი აუტყდა, წარმოიდგინა ახმახი ქურთი გურამი, ქართული მთლად კარგად რომ არ იცის და დივანი და მდივანი ერთმანეთში აერია.

— ბატონო ნოდარ, მიეცი ყურმილი მაგ ვირიშვილს, ახლავე გავაგებინებ, ქართული კარგად არ იცის და დივანი და მდივანი ერთმანეთსი აერია — ამის გამგონე ნოდარსაც გულიანად გაეცინა.

— გისმენ, ამირან უფროსო, არ მომყვება!

— ბიჭო გურამ! მაგ კაცს თავი დაანებე და დივანი, საწოლი, ტახტი, ბიჭო, ტახტი, რომ უდევს მანდ, ის წამოიღე და თუ რამე სხვა ავეჯს გამოგატანს ბიჭო, ავეჯი წამოიღე!

— ეგრე გეთქვა, ამირან უფროსო, ავეჯი წამოიღეო, მანქანას მოვიყვანდი!

— ჯერ პირველ სართულზე ჩამოიტანეთ და მერე იშოვე მანქანა, მიეცი ახლა ყურმილი ბატონ ნოდარს!

— ბატონო ნოდარ! კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს! ხომ ხედავ, რა ბიჭები მყავს, თუ ძმა ხარ, ავეჯის ნაკლებობას განვიცდით, რაც გემეტება და არ გემეტება ყველაფერი გამოატანე მაგ კაცს.

— წაიღოს რაც უნდა კაცო, მე თავი დამანებოს — იცინოდა ნოდარი.

ცოტა ხნის შემდეგ ნოდარ ერგემლიძის ავეჯმა ამირანის კაბინეტი დაამშვენა.

ქურთი გურამი, ძალიან გულიანი და გემრიელი ბიჭი, ჯერ ქართულ ეზოში გაიზარდა, რუსულ სკოლაში სწავლობდა, ოჯახი ქურთული ჰქონდა.

ტელეფონმა დარეკა. ყურმილში ქალაქის მილიციის უფროსის მოადგილის, გივი ხაბაზის, ხმა გაისმა:

— ამირან, გამარჯობა, როგორ ხარ, დრო რომ გექნება გამომიარე, ერთი სარფიანი საქმე უნდა შემოგთავაზოთ კომკავშირელებს!

— მილიცია როდის იყო, ჩემო გივი, ფულს იძლეოდა, იქით აქვს თვალი ვის რა წაართვას!

— მთელ ქვეყანაში ცვლილებები მიდის და ჩვენც შევიცვალეთ, ფულს ახლა ქურდები და კომერსანტები შოულობენ, ხოლო მილიცია ფულს არიგებს, მეტი რაღა ვქნათ, ბატონო! თუ გცალია, ერთ საათში მე თვითონ შემოვივლი შენთან, — შესთავაზე გივიმ — შენი ახალი მისამართი მითხარი! — ამირანმა მისამართი უკარნახა. მართლაც, არ გასულა ერთი საათი და გივი ამირანის კაბინეტში შევიდა.

— მობრძანდი გივი, რახან შენ ჩემთან მოსვლა იჩქარე და იკადრე , რაღაც კარგ საქმეზე ხარ მოსული, ისე თავს არ შეიწუხებდი!

— ამირან, ამ ჩასწორებული კანონმდებლობის გამოსვლის შემდეგ აირია ყველაფერი, ერთი სიტყვით, კაცი ვერ დაგვიჭერია. ქურდი შედის მოქალაქის ბინაში, ნივთებს აურევს, გატანა თუ ვერ მოასწრო და დაიჭირე, ამ ქურდს მეორე დღეს თავდებით უშვებენ. შენ ხომ იცი ქურდის დაჭერას რამდენი აგენტურული მონაცემი და წვალება სჭირდება, ხანდახან ქურდი რომ დავიჭიროთ, თვეობით ვემზადებით. მოსამართლე კი, თუ პირველი შემთხვევაა, ეგრევე თავდებში უშვებს, ამასთან გვეუბნება: თუ ნივთი არ გამოიტანა და არ გაყიდა, იქნებ სახლში საქურდლად არ შევიდა, გზა აერია და ამიტომ უნდა დაიჭიროთო? მით უმეტეს, თუ პირველი შემთხვევაა!

— რას იზამ, ჩემო გივი, კანონს არ უნდა გადავაბიჯოთ, მას უნდა შემოვუაროთ, თუ საჭიროა, ორმოც უნდა გავუთხაროთ, შიგ ჩავაგდოთ კიდეც, მაგრამ, როგორც სახელმწიფოს ინსტრუმენტს და დანაშაულის პროფილაქტიკის ინსტიტუტს ანგარიში უნდა გავუწიოთ! ეს რიტორიკა ჩემი არ არის, სადღაც წავიკითხე.

— ჩემო ამირან, შენი ბიჭები უნდა დამახმარო, სასურველია ყოფილი სპორტსმენები. იმ ბინებში სადაც ქურდობა უნდა მოხდეს, წინასწარ ვაყენებთ ვიდეო-კამერას, შენს თანამშრომელს თხელ „ჯავშანჟილეტს“ ჩავაცმევთ — ახლახან მივიღეთ, ვინც არ იცის ახალი მოდის პერანგი ჰგონიათ. წინააღმდეგობა გაუწიოს, ცოტას მოსდებენ, დანას ვერ დაარტყამენ პერანგი ეცმევა და ჩვენც ერთ 100—150 მანეთს გადვუხდით, საბუთებს შევქმნით, რომელსაც მოსამართლე ვერ გაექცევა და ვერც ვექილის მცდელობა უშველის. დღეს ვექილის გარეშე პატიმრის დაკითხვა აგვიკრძალეს.

— იმიტომ ჩემო გივი, რომ არც თქვენა ხართ ანგელოზები და ვექილის დასწრება კანონსაც აკანონებს და თქვენს ხალხსაც გააპატიოსნებს.

— ამირან, ერთი დაიმახსოვრე, ვექილი და პატიოსნება შეუთავსებელია.

— ეტყობა თქვენებიც რაღაცას მიჰქარავენ დაპატიმრების დროს. კარგი, ამაზე საუბარი სხვა დროს. კი, მაგრამ რაში დაგჭირდათ ჩემი

ბიჭები, აგენტების მეტი რა გყავთ, ჩემები რომ არ გაიყვანოთ საქმეში?

— შენ იცი, რომ მოწმედ მილიციის თანამშრომელი არ გამოდგება. ჩვენს აგენტებს მტერი ენდო, თუ ფული მისცეს მითუმეტეს დღეს, შეიძლება ქე თქვას დამაძალესო ანდა ისეთი ორჭოფული ჩვენება მისცეს სასამართლოს, რომ ამდენი ნაწვალები საქმე ჩაიშალოს. რაც შეეხება შენს ბიჭებს, ისინი ენთუზიასტები არიან და თუ დაგვეხმარებიან, იმედია სასამართლოზე არც გადათქვამენ თავიანთ პირველ ჩვენებას. მოკლედ, მივხვდი შენი ხალხის უპირატესობას.

— ეგ მეც კარგა ხანია ვიცი, ჩემები რომ უფრო ენერგიულები არიან და იდეურები, მაგრამ ასი მანეთი ცოტაა, ბოლოსდაბოლოს, სიცოცხლეს დებენ სასწორზე!

— ბიჭო, ერთხელ მოვედი დახმარების სათხოვნელად და ამაზე უარს მეუბნები? თან მევაჭრები?

— კარგი, აგერ არიან ბიჭები და დაველაპარაკები, თუ დაგთანხმდებიან, გამოიყენე, მაინც უხელფასოდ მუშაობენ, — ამირანმა ყურმილი აიღო და დარეკა. — გურამ! ბიჭებთან ერთად ჩემთან შემოდით.

გურამა, იურა, ნიკო და კაკო შემოვიდნენ.

— კარგი ბიჭები გყოლია, ჩემო ამირან, სწორედ ასეთი ხალხი გვჭირდება დამხმარედ.

— ბიჭებო, ბატონ გივის იცნობთ. მას ჩვენი დახმარება სჭირდება. ვიღაც მოუხელთებელი და პატრონიანი ქურდი გამოუჩნდათ. საჭიროა მისი არა მარტო დაჭერა, არამედ დაჭედავა და მაღალი „სროკის“ აკიდება ისე, რომ პატრონმა ვერ უშველოს. ვისაც სურვილი გაქვთ, გასაქურდი ბინის დროებითი პატრონი თქვენ იქნებით, წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოთ და ცოტათი თავიც უნდა გაალახინოთ. ამას ვიდეო-კამერა გადაიღებს და ფაქტი სახეზე იქნება.

— ამირან-უფროსო, მე წავალ — თქვა ქურთმა გურამმა, — დედას ვუტირებ, სულ ცხვირპირს დავამტვრევ.

— არა გურამ, იქ შენ არ გამოდგები, შეიძლება ის ქურდები ისე შემოგელახოს ხელში, რომ დასაჭერი შენ გახდე!

— აბა, არ უნდა დავარტყა?!

— პირიქით, გურამ, იმან უნდა გირტყას, რომ დავიჭიროთ, შენ თუ ურტყი, რა გამოვიდა!

— ნიკო, კაკო, თქვენ რას იტყვით? გურამი ხომ ხედავთ, უკვე თანახმაა, თან ერთი ას-ასორმოცდაათ მანეთს გაჩუქებენ პრემიის სახით.

— თუ ფული იქნება, მეც თანახმა ვარ ვითანამშრომლო — თქვა იურამ.

— ჩემო გივი, ბიჭები თანახმა არიან, ოღონდ წინასწარ წაავარ-ჯიშეთ, ინსტრუქცია მიეცით.

— აბა ისე ხომ არ გავუშვებთ, მოკლედ ბიჭების კორდინატებს ჩავიწერ და მე თვითონ დაგიკავშირდები!

— აბა, ბიჭებო, თავისუფლები ხართ, დაგვტოვეთ მე და გივი, სასაუბრო გვაქვს!

ბიჭები სწრაფად წამოდგნენ და გავიდნენ.

— ამირან, ის შენი ძმაკაცი, მძღოლების უსტაბაში, კარგი ბიჭი გამოდგა, რაც საჭირო იყო გაიღო, ჩვენც როგორც შეგვეძლო დავ-ეხმარეთ, თავის ადგილზე მუშაობს, გზათა სამინისტროში წარდ-გინება უნდა გაგვეგზავნა მაგის არასაიმედოობაზე და ფაქტიურად არ გაგვიგზავნია. შენ რომ არ ყოფილიყავი, დღეს ეგ ვირი აბანოში იქნებოდა.

— იმ ჩამშვებს რა უყავით? მე როგორც ვიცი, ან ერთი უნდა დაიჭიროთ ცილის წამებაზე, ან მეორე — ქრთამის აღებაზე.

— შენს ძმაკაცს იმან უშველა, რომ შენ დაგინახა და ფულის დათვლა ვერ მოასწრო და იმანაც, რომ მისი იარაღი შენ ჩაიდე ჯიბეში, შენ ხომ არ გგონია ჩვენთან მასეთი არიფები მუშაობენ. შოთა კიკნაძემ ყველაფერი დაინახა, მაგრამ არ გაგყიდა. ისე, ეგ იარაღი არ ჩაგიბარებია და თუ ჩააბარებ, კარგი იქნება.

ამირანი ადგა, სეიფიდან იარაღი გამოიღო და გივი ხაბაზს დაუდო წინ. — ვინც დააბეზღა, არ უნდა დაგეჭირათ?

— რატომ უნდა დაგვეჭირა, იმან ფული მისცა, შენმა ძმაკაცმა უჯრაში ჩადო, ქრთამის აღება მოხდა, მიცემა ვერ დამტკიცდა, ეს ჩვენი ცუდი მუშაობის შედეგია, რომელზედაც ჩვენც დავთანხმდით,

რადგან ფულით იყო გამაგრებული. რაც შეეხება იმ ჩამშვებს, ის შენმა ძმაკაცმა მოაწყო სხვა ავტოფარეხში, თავის კოლეგასთან.

— მოისმინეს, დაადგინეს, ყველა დარჩა კმაყოფილი!

— ერთი ანეგდოტის არ იყოს: „შვილი დედას ეკითხება: მამაჩემი როგორი კაციაო. ჰეე, შვილო, მამაშენისთვის რომ მეყურებინა, არც შენ არ მეყოლებოდიო“, ჩვენა მთავრობას რომ ვუყუროთ, არც ბინა გვინდა, არც მისი მოწყობა, არც მანქანა და დროც არ უნდა ვატაროთ. ჯერ შენ ახალგაზრდა ხარ, ოჯახი რომ მოგაწვება, მერე გამიხსენებ!

— ოჯახი რომ ვერ შევინახე ისე როგორც ჩემს კნეინას უნდოდა, ამიტომ ვარ დღეს „ხალასტოი“! თუ სახელმწიფო თავის მოხელეს მიზერულ ხელფასს უხდის თავისი მწირი ბიუჯეტის გამო, მაშინ მან კანონის ფარგლებში ამ მოხელეს ფულის გამომუშავების საშუალებაც უნდა მისცეს ჯარიმებიდან, ნაქურდალიდან და ქრთამიდან, რაღაც პროცენტის გამოყოფით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხელე ხალხს კი არ ემსახურება, არამედ იმას, ვინც კანონს არღვევს და იმას, ვისაც მისი დანიშვნა-მოხსნა შეუძლია.

— მაგაზე ნუ ინერვიულებ, ჩემო ამირან! ამ ქვეყანას მე და შენ ვერ გავასწორებთ, ხვალ სურამში მივდივართ, ერთი დაგეგმილი ოპერაცია უნდა ჩავატაროთ, თუ გინდა ორი-სამი დღით წამოდი, თან დაგვესწრები, თან რაღაცას ისწავლი, ტყუილად ხომ არ ავიღე შენზე შეფობა. ერთმა ქურდმა ებრაელებზე მოინდომა ფულის შეწერა, იმათმა არ შეიწერეს; ამ ქურდმა გაიგო მარცხენა საქონელს როდის მიიღებენ თბილისის ბაზიდან და „ქსივი“ მოგვიტანა. მოკლედ ყველაფერი დამუშავებული გვაქვს. სასურველია შენც მიიღო მოანწილეობა, დიდ რეზონანს გამოიწვევს და შენც საქმეში ჩაგეთვლება!

— ამ ოპერაციებზე კი დაგყავარ გივი, მაგრამ იარაღის ტარების უფლება არ უნდა გამიფორმო?

— თუ არ მეტყვი, გულთმისანი ხომ არ ვარ! ხვალ წასვლის წინ იარაღსაც დაგახვედრებ და მისი ტარების ნებართვასაც.

— ჩემთან პირველად ხარ, ცოტა ხომ არ დაგველია, ბიჭები ახლავე მოიტანენ რესტორნიდან ყველაფერს!

— შენს კაბინეტს მერე დავლოცავ, როცა წესიერად მოეწყობი. დანარჩენი სურამში, იქ სასტუმროში ვჩერდებით და თუ რაიმეს კისრებას ფიქრობ, იქ იკისრე!

— კარგი, ეგრე იყოს.

— ხვალ ათი საათისთვის გავდივართ. გელოდები, ახლა წავედი.

მეორე დღეს, დათქმულ დროს, ამირანი გივის კაბინეტში იყო, იქვე იყო შოთა კიკნაძე, ორი ოპერმუშაკი და ქურდი „კოლა“ — ის მორფინისტი, რომელიც ამირანმა ნოდარ ერგემლიძის კაბინეტიდან სააღდგომო ბატკანივით ზურგზე მოკიდებული მილიციის განყოფილებაში ჩაიყვანა.

— ამირანს გაუმარჯოს! დროზე მოხვედი, აქ ყველა ნაცნობია შენთვის. მე მგონი კოლას იცნობ, ჩვენი ფრონტის ჩუმი მუშაკია, როცა საჭიროა, გვეხმარება და ამიტომ პატარ-პატარა შეღავათებს ვუწევთ.

— ამ კაცმა ქალაქის კომკავშირის მდივანს მოკვლა მოუნდომა და გარეთაა?

— ჯერ ერთი ეს ჭკუანაღრძობია — საავადმყოფოში იწვა, მერე შენმა უფროსმა ამ საქმის გახმაურება თვითონ არ მოინდომა: ამასთან პირობა დადო, რომ მეტს აღარ მიქარავს! აბა, ბიჭებო! — ჩადით ქვევით, მანქანები გამოიძახეთ და მეც ჩამოვალ.

ოთახიდან ყველა რომ გავიდა ამირანმა ჰკითხა გივის:

— გივი ერთი გამაგებინე, შენს განყოფილებას „დატაცების, სოციალური საკუთრების დაცვასთან მებრძოლი განყოფილება“ ჰქვია და რა სფერო ეხება, ვგონებ, ყველაფერი, არა?

— დავიწყოთ: სპეკულიანტობა, დატაცება, ქრთამი, მომხმარებლის მოტყუება, თაღლითობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ყალბი საბუთების გამოყენება, ფალსიფიცირება, აკრძალული რეწვა და სხვა.

— ყალბი ფულის მოჭრა, ბეჭდების გაკეთება?

— ესეც ჩვენი საქმეა, მაგრამ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი უნდა გვყავდეს საქმის კურსში და მაგ საქმეებს მაგათ ვაძლევთ. არც სახეიროა და მყრალი სუნი ასდის.

— აბა, ყალბ ფულზე საქმე არ მოგიტანოთ? ეგრე გამოდის.

— ამირან, შენ მოიტანე ყველა საქმე, მერე ჩვენ ვნახავთ, თუ სახეიროა, ჩვენ გამოვიძიებთ, თუ არა და ჩვენს ძმებს მივცემთ უშიშროებაში. აბა, ახლა ჩავიდეთ, ბიჭები გველოდებიან!

— ჩემი იარაღის საქმე როგორ არის? დაგავიწყდა ალბათ.

— ჩემო ამირან, დაიმახსოვრე. გივი ხაბაზს არასოდეს არაფერი ავიწყდება. შენი იარაღიც და მისი ტარების ნებართვაც შოთა კიკნაძეს უდევს ჯიბეში და სურამში სასტუმროში საზეიმო ვითარებაში უნდა გადმოგცეთ!

ორი საათის შემდეგ სურამის სასტუმროში იყვნენ. გივი და ამირანი ერთ ოთახში მოთავსდნენ, შოთა კიკნაძე და მილიციის ლეიტენანტი გერონტი მაისაია მეორეში, მძღოლი ცალკე მოათავსეს ორადგილიან ნომერში, ხოლო კოლა თავის ამფსონებში ცხოვრობდა და მისი ვალი იყო როგორც კი „მარცხენათი“ დატვირთული საბარგო მანქანა უნივერმაღში გადმოიტვირთებოდა, მაშინვე ეცნობებინა გივისათვის. გივი თავისი ჯგუფს სურამში მალავდა და ხაშურის რაიონის მილიციას ჯერ-ჯერობით არ ატყობინებდა, რადგან გაცემის ეშინოდა. სურამის უნივერმაღის გამგეს რაიონში ყველა იცნობდა და ალბათ ბევრი იყო მისგან დავალებული.

— ბატონო გივი, სად არის ჩვენი ოპერატიულობა, თუ ყველამ გაიგო ჩვენი ჩამოსვლის მიზეზი? — ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა იკითხა ამირანმა.

— არც ისეთი მიამიტები ვართ, შენ რომ გგონია, სასტუმროში ადგილები ჩვენ კი არ დავჯავშნეთ, არამედ ხაშურის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორმა დაურეკა ადმინისტრატორს და მან დაჯავშნა გივი ხაბაზის სახელზე, რა იცის ადმინისტრაციამ ვინ არის გივი ხაბაზი! მან ფაბრიკის დირექტორს სცა პატივი და მისი ნაცნობებისათვის საუკეთესო ნომრები დაჯავშნა! გუშინ დილით მაგ კაცმა ჩვენს უფროსს დაურეკა და რაღაც დახმარება სთხოვა, ხომ იცი „ხელი ხელს ბანსო“ და უფროსმაც ჩვენი მოწყობა დაავალა ერთი-ორი დღით!

— სანამ ეგ შენი ფაბრიკის დირექტორი გაიგებს ჩვენს ჩამოსვლას, ჩემს საკისრებელს ვიკისრებ, — გაიქაჩა ამირანი — თორემ მოგვ-

შივდა ყველას, ერთი ყუთი შამპანური თბილისიდან წამოვიღე, ცოტა რაღაცეები გზაში ვიყიდე, დანარჩენიც აგერ ბუფეტში შევუკვეთეთ და შემოვიტანეთ.

მართლაც შემოიტანეს ნომერში ის საჭმელ-სასმელი, რაც ბუფეტში შეუკვეთეს, შოთამ ჩანთიდან მოხარშული დედალი ამოიღო, გერონტიმაც ოჯახიდან წამოღებული რაღაც-რაღაცეები შემოუმატა და დიდებული სუფრა გაიშალა. თამადად, რა თქმა უნდა, გივი აირჩიეს.

— ამ სასმისით მინდა შევსვა ამ სუფრის წევრების სადღეგრძელო, გაგვიმარჯოს! ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას სასიცოცხლო სივრცის მოსაპოვებლად, რაც აზრს აძლევს ჩვენს ცხოვრებას, მიზანს გვისახავს — კარიერისკენ ნაბიჯი წინ წასადგმელად!

— ვა, რაღაც ძალიან რთულად დაიწყე გივიჯან თამადობა!

— ჩემო ამირან, მე რთული კაცი ვარ, შენ დღეს ჩვენი სტუმარი ხარ, რასაც ვიტყვით ან მოვიმოქმედებთ, უნდა აგვყვე.

— ბატონი ბრძანდები, როგორც შენ, იტყვი ისე მოვიქცევი!

— შოთა, მოიტანე ამირანის იარაღი და მოწმობა, საზეიმო ვითარებაში გადავცეთ, თორემ დღეს ეგ არ მომასვენებს!

შოთა წამოდგა და გივის გადასცა ტყავის ბუდეში ჩადებული „მაკაროვი“ და წითელყდიანი წიგნაკი — იარაღის ტარების ნებართვა.

— გილოცავ, ამირან, ჩვენს რიგებში მოსვლას. კაცს რომ იარაღი უყვარს, ხიფათიანი ცხოვრება მოსწონს, ის ადრე თუ გვიან ჩვენი სამინისტროს თანამშრომელი ხდება, გინდა კომკავშირში მუშაობდეს და გინდა პარტიაში. ამირანს გაუმარჯოს! კარგი ბიჭია, თავიდანვე მომეწონა, როგორც შემიძლია შეფობას გიწევ ძმაო, გასწავლი. ახლა სხვა ადგილზე და სხვა გარემოში რომ ვიყოთ, მთელ მჭიდს დაგაცლევინებდი! ეგ შემდეგ ჩვენთან, ტირში. ჩვენს სტუმარს გაუმარჯოს!

— რატომ სტუმარი, — შეედავა შოთა — ჯერ ერთი, უკვე მეორე ოპერაციაში ვართ ერთად და სულ იმის შიშში ვარ, ვინმე ძმაკაცი ან ნათესავი არ გამოუჩნდეს ამ უნივერმაღში, მეორეც სტუმარს, რომელსაც კარზე დაკაკუნება არ სჭირდება, რადგან ხელები აქვს დაკავებული, ხოლო ფეხი კარგად აქვს ნავარჯიშები კარის გასაღებად, სტუმრად არ ჩაითვლება.

ყველას გაეცინა, შოთამ გადაკოცნა ამირანი და გულით მიულოცა იარაღი!

— გაგიმარჯოს ამირან, გისურვებ წარმატებებს! — თქვა გერონტიმ და ჭიქა ტუჩთან მიიტანა.

— ბიჭო, გერონტი, — უთხრა გივიმ — ყველაფერში ჩუმ-ჩუმა როგორ ხარ, ეს კაცი ხვალ შეიძლება ღმერთისხელა კაცი გახდეს, ამასთან შენ დღეს ჩვენ გვერდით ხარ და პატარა მჭერმეტყველებაში გამოიჩინე თავი, ისედაც ხისთავიანები ვგონივართ ხალხს! რაღაცა ისეთი გვითხარი, რომ კომკავშირთან არ შევრცხვეთ!

— ჩემო ამირან, მარტივად მცხოვრები ადამიანი ლაღად ცხოვრობს, იოლად იცვლის ქალებს, სამსახურს, გარემოს, ერთი სიტყვით, ის ყოველი დღით ნასიამოვნებია, შენთვისაც ყველა დღე სიამოვნების და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს!

— ასე, ჩემო გერონტი, ეს სიტყვა-პასუხი არ გეშლება და საქმეში თუ არა, სუფრაზე მაინც გამოაჩინე ჩვენი განყოფილება.

— ეს ყველაფერი კარგია, ჩემო შოთა, ეს საღამო კარგად ჩავატარეთ ამირანის წყალობით, მაგრამ უფროსის პატივისცემა მაინც გეშლებათ, — გერონტიმ და შოთამ ერთმანეთს გაკვირვებულებმა გადახედეს — დესერტი, ბიჭებო, დესერტი დამაკელით, ამისთანა პურმარილის შემდეგ კარგი ქალიც არ გვაწყენდა.

— ო, ო ხო, ხო! — ახორხოცდნენ კაცები.

— წვიმას და ქალს შეჭირვების დროს ყველა ნატრულობს. საწადელის ასრულების შემდეგ ერთი ქოლგის ძებნაშია, მეორე — საწოლიდან თავის დაღწევას ცდილობს. ასე არ მოგვიდეს, ჩემო გივი. — გაეცინა ამირანს.

— შენ მაგ ლოზუნგებით ლაპარაკს თავი დაანებე! ჩემს ბიჭებს ეგ არ ეშლებათ. შოთა, ამდენი ხანია ჩემი თანამშრომელი ხარ, მაგრამ ჩემი კარნახის გარეშე მაინც არ შეგიძლია მუშაობა. მიდი სართულის მორიგესთან, მასეთი ქალების მეტი რა ეყოლებათ!

— უფროსო, ეგ საქმე გერონტის დაავალეთ, ჩვენთან შედარებით ახალგაზრდა კაცია, ამასთან დაზვერვა და უფროსის უზრუნველყოფა მაგას აქვს დავალებული!

გერონტი წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა და ორმოც წელს მიტანებული სართულის მორიგე შემოიყვანა.

— გამარჯობათ, ჩემო სტუმრებო, — აგერ, ბატონი გერონტი თქვენს გაჭირვებაზე მესაუბრა, თუ წინააღმდეგები არ იქნებით, მე მყავს ჩემი ტყუპის ცალი და გადასარევად ლამაზი ქალი, ისეთივე როგორც მე, მხოლოდ უფრო გამხდარი და მოხდენილი, ის მოგემსახურებათ. თუ ისეთ ტემპერამენტს გამოიჩენთ, რომ ის ვერ აგივათ, მეც დავეხმარები.

— თქვენი სახელი გვაჩუქეთ, ქალბატონო!

— მე ინესა მქვია, ჩემს დას — ინგა.

— კი მაგრამ, არ შეიძლება თქვენგან დავიწყოთ? — იკითხა გივიმ.

— ჩემი მორიგეობის დროს ვცდილობ ამ საქმეს არ გავეკარო, მაგრამ თქვენ ისეთი კარგი ხალხი ჩანხართ, ჩემი პრინციპების დარღვევა მომიწევს — „დაიმორცხვა“ ინესამ.

— დარეკე, ინესა დარეკე და დროზე გაგვაცანი შენი და თორემ ამირანის ქარაგმებით ლაპარაკი ყელში ამომივიდა — გაეცინა გივის.

— პირველი ორი საათი — ოცდაათი მანეთი, რადგან სამუშაო ბევრია, ხოლო შემდეგ ყველა საათი თქვენთან ყოფნა — ათი მანეთი, მთელი დღე ერთ კაცთან ყოფნა ასოცი მანეთი. — სხაპასუხით მიაყარა ინესამ — თუ გაწყობთ, დავრეკავ. ავანსი გადამიხადეთ, — ყოველგვარი დამორცხვბისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე მოითხოვა ინესამ ფული.

— შოთა, მიეცი ას ოცი მანეთი, მაგრამ იცოდეთ, ქალბატონო ინესა, თუ არ მოგვეწონება შენი და, შენ მოგიწევს ამ ფულის გამომუშავება!

— კი, ბატონო, მე თანახმა ვარ.

შოთამ ფული დათვალა და მისცა. არ გასულა ნახევარი საათი და ინესამ თავისი ტყუპისცალი, ინგა, შემოიყვანა, რომელიც უფრო მოხდენილად და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ვიდრე მისი და.

— მობრძანდით — წამოდგა გივი — დაბრძანდით, ქალბატონო ინგა, ჯერ პურ-მარილით ვისიამოვნოთ, მერე სხვა რამით!

— ვინ იქნება დღეს ჩემი შეყვარებული? — იკითხა ინგამ, — ხომ იცით, სიყვარული ეს ხელოვნებაა, ის ლოგინში ხელოსნობად არ უნდა გადავაქციოთ — ღიმილით დაუმატა მან.

— მე ვიქნები! — გაებადრა სახე გივის — საზოგადოებამ ასე გადაწყვიტა!

— მე ასეთი წინადადება მაქვს, მოდით, ახლავე გასიამოვნებთ, თორემ მერე თქვენი წვალების თავი არ მაქვს. ზოგიერთი რომ გამოთვრება, არც კი ახსოვს, რისთვის მომიყვანა.

— სრული ჭეშმარიტებაა, — წამოხტა ფეხზე გივი, — აბა, ეს პურ-მარილი ჩქარა გაიტანეთ შოთას ნომერში და მე და ინგა აქ დაგვტოვეთ, ჩვენ მერე შემოგიერთდებით... — აცმუკდა გივი.

ბიჭებმა სწრაფად წამოავლეს ხელი სასმელ-საჭმელს და ოთახიდან გავიდნენ. საჭმელის გატანაში მათ ინგაც ეხმარებოდა.

— შოთა-ბატონო, რომ მორჩებით ქეიფს, მერე მოდით ჩემთან, რაღაც საინტერესო უნდა მოგიყვეთ — მიუბრუნდა ინგა შოთას გასვლისას და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა.

— აუ, ბიჭო შოთა, დაგინახა გადამხდელი რომ ხარ და შენი შეცდენა უნდა — გაეცინა ამირანს.

— მე, ძმაო, ორ სიამოვნებას, — ქალს და ღვინოს, — ერთმანეთს ვერ ვუთავსებ. ამასთან, მამაკაცი ქალის ტუჩებით უნდა საზრდოობდეს და იქიდან ამოჰქონდეს ნექტარი და თავბრუდამხვევი კაიფი უნდა განიცადოს, თორე, მარტო კოცნა ყველას შეუძლია, ისე მე ცოტა ძველი ყაიდის კაცი ვარ, მაგ ქალს ბევრი ეყოლება თავისი კოცნის საფასურად ნასიამოვნები და მაგისთანა ქალებზე გული არ მიმდის, თუ ვინმეს გინდათ ეგ ქალი, დამითმია.

— შოთა, გივი ასე მაგარია ქალებში, რომ ერთ დღეს უქალოდ ვერ ძლებს? — იკითხა ამირანმა.

— მაგარი არა, ჭირი! ტყუილად მახარჯვინებს ფულს, მაგრამ ხომ იცი, უფროსია, თავის გამოჩენა უყვარს, უნდა უფროსებში რომ ვთქვათ „როგორი მაგარი მამაკაცია ქალებშიო“, მაგრამ როგორც

ოპერი და როგორც კაცი — კარგია, თუ ჩვენი პროფესიის ხალხზე რაიმე კარგი ითქმება.

— კი, მაგრამ იმ მაღაზიაში როდის უნდა შევიდეთ?

— როგორც ჩვენი აგენტური მონაცემებიდან ვიცით, ხვალ დღის მეორე ნახევარში უნდა შემოიტანონ ორი მანქანა საქონელი, პირველი მანქანა — „მარჯვენა“, ხოლო მეორე მანქანა იგივე ნომრებით და სააღრიცხვო ანაბრით — „მარცხენა“ და ეგ უნდა დავიჭიროთ. მაგ მეორე მანქანის დაცლა ალბათ ღამით დამთავრდება და მაშინ უნდა დავადგეთ თავზე.

გერონტიმ ჭიქაში ღვინო დაასხა, მაღლა აწია და თქვა:

— ამ ჭიქით ბიჭებო ჩვენს უმადურ საქმეს გაუმარჯოს! ამდენს იწვალებ, თუ გამოგივიდა და დავიჭერთ, ცოტახანს აწვალებენ, გაფცქვნიან, მერე განტევების ვაცს გამონახავენ, ჩვენს ასაღებ ფულს ათჯერ მეტად ეგენი აიღებენ, ჩვენ მადლობა, ქების სიგელი, მაგათ — ფული. ეგ უნივერმაღის დირექტორი ან დარჩება, ან ვინმე თავის ახლობელს მოიყვანს და დაიტოვებს წილს.

— აბა, როგორ გინდა, ჩვენც ხომ უნდა ვაჩვენოთ მუშაობის შედეგი, ისე ვინ გაგაჩერებს, ჩვენც ხომ გვინდა ჩასათვლელი ქულები. ეგ ფული სულ ჩვენ რომ ავიღოთ, პროკურორი, მოსამართლე, ვექილი, პარტია ხომ დარჩა უმაყუთოთ!

— კი, მაგრამ პარტია რა შუაშია? — იკითხა ამირანმა.

— შუაში კია არა ჩემო ამირან, თავშია! კადრებს პარტია ნიშნავს ფაქტიურად, ამ უნივერმაღის დირექტორის დანიშვნაში ხომ აიღო თავის დროზე ფული, ახლა თუ ამ დირექტორს დავიჭერთ, ახლა სხვა დირექტორის დანიშვნაში აიღებს ფულს, თუ დავტოვებთ, მაინც ფულს წაართმევს, რომ უნდობლობა არ გამოუცხადოს და მის დარჩენა-არდარჩენის საკითხი პარტიის ბიუროზე არ გაიტანოს. ასე, რომ პარტია ყოველთვის მოგებულის როლში გამოდის, ერთი სიტყვით, ეს ცხოვრება, ჩემო ამირან ამდაგვარ ძაღლიშვილობაზეა აგებული.

— დიდფულობას და უფულობას ერთნაირი სიმპტომები აქვს: პირველისაა ნერვული შოკი, ფული რომ არ დაიკარგოს, ხოლო მეორე თავის უსუსურობაზე ნერვიულობს, სარჩოს რომ ვერ შოუ-

ლობს. ასე, რომ ყველაზე კარგ პირობებში ჩვენ ვართ, კომკავშირლები არც გვაშიმშილებენ და არც გვალაღებენ, რომ არ ვინერვიულოთ და ფიქრით არ გავცდეთ.

— ეჰ, ამ ცხოვრებას ვერაფერს გაუგებ ჩემო ამირან, როდესაც ფული გაქვს, სახელის მოხვეჭას ცდილობ, როდესაც მიზანს მიაღწევ, ისევ ფულის კეთებისაკენ გიჭირავს თვალი, თითქოს ამ ფულებში უნდა შეგახვიოს ვიღაცამ და ჩაგფლას მიწაში.

— ამქვეყნად მუდმივი და დაუმთავრებელი არაფერია. ფულის კეთებას, ალბათ, იმიტომ ვეჩალიჩებით, რომ სიმდიდრეს ჩვენი სიბერე გვინდა ამოვაფაროთ.

ამ დროს კარი გაიღო და სასტუმროს ნომერში გივი შემოვიდა ინგასთან ერთად.

— მაგარი ქალია, ძმაო! ჯერ ასეთი პროფესიონალი არ შემხვედრია! ხელი არავინ ახლოს, გაფრთხილებთ!

— არა, ბატონო გივი, როგორ გეკადრება, ეგ ქალი თქვენია და თქვენ მოგახმაროთ ღმერთმა! განა მაგისი და ნაკლები იქნება? რას იტყვი ინგა?

— ჩემი დაც მაგარია, მაგრამ ოჯახი ჰყავს, ხანდახან მორიგეობისას თუ წაიცელქებს კაცებთან. ტექნიკას კიდევ გივისთანა მაგარი მამაკაცებთან ვხვეწავ სექსში. ბატონო გივი! ხომ მაგარი ვარ, ჩემსავით, თუ უსიამოვნებიხარ რომელიმე ქალს!

— არა ბიჭებო, მაგარი ვინმეა, ეგ ჰორიზონტალურად დაწვა და მე ვერტიკალურად, ასე რომ მეტად საინტერესო ქალია. მოკლედ აშკარად გარყვნილობას ვეწევით მე და ინგა — აღტაცებული ლაპარაკობდა გივი.

— გარყვნილობაა ჩემო გივი როდესაც ჟინს იკმაყოფილებ, ხოლო როდესაც ხორცსაც აამებ ერთდროულად, მკურნალობა ჰქვია!

— ერთი ჭიქა დამალევინეთ, ინგასთან ყოფნის მინდა ავღნიშნო! — თქვა გივიმ.

— გივი, სმას შეეშვი, წამო შენს ნომერში, ახალ პოზას გასწავლი. აბა, ბიჭებო, კარგად იყავით! — ინგამ გივის სტაცა ხელი და ნომრიდან გაიყვანა.

— აუ, გივის დაერხა, ეგ ქალი ტყავს გააძრობს, დიდის ამბით რომ ტრაბახობს, ხელი არ ახლოთო, ცოტა ხანში მე მგონი თვითონ შეგვეხვეწება, წაიყვანეთ, თავი დამანებოსო, — იცინოდა შოთა.

ამ დროს კარებზე კაკუნი გაისმა, კარი გაიღო და ინესა შემოვიდა:

— აბა, ახლა დავწვეთ, ღამის სამი საათია.

— ჩემო ინესა, მე ჩემს ნომერში არ მიშვებენ, შენი დაა იქ — დაიწუწუნა ამირანმა.

— მაშინ შენ წამოხვალ ჩემს ოთახში, თან ოცდაათი მანეთიც გამოიყოლე!— ახლა ისე ვარ ქალბატონო ინესა, ძილის მეტი არაფერი მინდა!

— შენ ფული გადაიხადე და გინდა იძინე, გინდა ისიამოვნე, ჩემთვის სულერთია, ჩემ ნომრის ღირებულებაში მომსახურების ფულიც შედის.

შოთამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, ოცდაათი მანეთი ინესას მისცა და უთხრა:

— ა, ჩემო ინესა, ამის ხარჯები გადახდილია და თუ ტყავს გააძრობ, პრემიასაც გამოგიწერ!

— ძალიან კარგი, აბა, ახლა დაიძინეთ, — ფული ჯიბეში ჩაიდო, ამირანს ხელი წაავლო და წაიყვანა.

ამირანი მეორე დღეს გვიან ადგა, გვერდზე არავინ ეწვა, ჩაიცვა და შოთას ნომერში შევიდა. აქ უკვე ყველანი შეკრებილიყვნენ. გივისთვის დაურეკიათ და უცნობებიათ, რომ პირველი მანქანა დილის ათ საათზე გამოვიდა და უკვე იცლებოდა უნვერმაღში. ახლა საჭირო იყო ამ მანქანის მეორე რეისს საღამოსთვის დალოდებოდნენ. გივი დაძაბული იყო. წამდაუწუმ საათს დასცქეროდა. ამ დროს ინგამ შემოაღო კარი:

— გივი, დროა, ნომერში შემოდი, გიცდი! — და კარები გაიხურა.

— მომკლა ამ ქალმა, ეგ რანაირი ბოზია ვერ გავიგე, მე უნდა ვაძალებდე და ეგ მაძალებს, კაცო, გუშინ ხუთჯერ ვიყავი და მეტი აღარ შემიძლია! — აშკარად წაიტრაბახა გივიმ.

ამირანმა და შოთამ ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს. შოთამ თვალი ჩაუკრა და ხელები გაშალა. რა უყოთ მაგ ქალს, ბატონო გივი, უთხარით თავისუფალი ხარ-თქო, თავისი ხომ მიიღო.

— ვეუბნები კაცო, მაგრამ „მე შენთან ოცდაოთხ საათი უნდა ვიყოო“, ასე, რომ თუ ვინმეს გინდათ, მიხედეთ, მე და შოთა წავედით უნივერმაღში, ერთი შევალთ, დავზვერავთ.

— ინგას რა ვუყოთ, ბატონო გივი. წინააღმდეგობა რომ გაგვიწიოს და გვითხრას, თქვენ ვინ გეკითხებოდათო, — იკითხა გერონტიმ ღიმილით.

— რაც გინდა ის უყავი, შენი მოყვანილია და შენ მიხედე!

— ვაა, რომ არ წავიდეს, რა ვქნა!

— რაც გინდათ, ის ქენით, უთხარით, გივი გადაუდებელ საქმეზე წავიდა-თქო. შოთა, წავედით, კოლა და მძღოლი თუ მოვიდნენ, აქ დაიცადონ!

შოთა და გივი გავიდნენ ნომრიდან.

— გერონტი, გაგიმართლა უფროსს დაერხა და ნასუფრალი მოგიგდო, მიდი, მიხედე, ქვისლები გავხდებით, — იცინოდა ამირანი.

— მაგას მარტო ამბიციები აწუხებს, იმას მაინც გავიგებ, რამდენჯერ იყო მაგ ქალთან, აქ რომ გაგვექაჩა, ხუთჯერ ვიყავიო! — ამ დროს გაიღო კარები და ინგა შემოვიდა:

— სად არის გივი, ხომ ვუთხარი, გიცდი-მეთქი!

— გივი საქმეზე გავიდა და მე გადმომაბარა მთელი უფლებები, მათ შორის შენზეც, ჩემი ინგა!

— ძალიან კარგი! შენ არ ჯობიხარ, უფრო ახალგაზრდა ხარ, ჯანიანი, აბა, დაყაჭე ოცდაათი მანეთი და შენც მოგემსახურები.

— ინგა, არ შეიძლება ნისიად? ჩვენი ხაზინდარი შოთაა, მე კი ფული არ მაქვს.

— ამირანსაც მან გადაუხადა ჩემს დასთან ყოფნის ფული?! ისე, შენი ძალიან კმაყოფილია ჩემი და, — მიუბრუნდა ინგა ამირანს, — მაგარი მამაკაციაო, სამჯერ სიქა გამაცალაო!

— გივიმ რამდენჯერ გააცალა „სიქა“ ქალბატონო ინგა? — დაინტერესდა გერონტი.

— ერთნახევარჯერ?

— ეგ რანაირი ანგარიშია, ან ერთი ან ორი.

— ერთი, როგორც იქნა, მოახერხა, მეორედ რამდენჯერაც დაიწყებდა ჩამოუვარდებოდა, მინდოდა, როგორმე ის მეორედ დაწ-

ყებული საქმეც დაემთავრებინა, მაგრამ გამექცა. — მერე გერონტის მიუტრიალდა, აათვალ-ჩაათვალიერა, ეტყობა, მოეწონა — ჯანდაბას შენი თავი, იყოს ნისია, ვნახოთ, რა კაცი ხარ!

ამირანი გარეთ გავიდა და ისიც უნივერსამისაკენ გაემართა. ამირანი და საბარგო მანქანა ერთად მიადგნენ უნივერსამს. მანქანის დასაცლელად მოემზადნენ.

ამირანი შევიდა უნივერსამში. იქ უკვე გამოეტანათ გასაყიდად დილით მიტანილი ხელოვნური ტყავის ქალისა და კაცის პალტოები. შეხედულება საკმაოდ კარგი ჰქონდა, არც ძვირი არ იყო, მოდურიც იყო. იოლი ჩანდა მისი სწრაფი რეალიზაცია. რისი გაყიდვაც სურამში ვერ მოხდებოდა, ხაშურის სხვა რეგონებში დაიგზავნებოდა.

ამირანმა პალტო მოიზომა, კარგად მოერგო, მოუხდა კიდეც. მაგრამ მისი შეძენა შემდგომისათვის გადადო. ხალხი საკმაოდ მრავლად ირეოდა მზა ტანსაცმლის განყოფილებასთან და რამდენიმე პალტო გაიყიდა კიდეც, ცხადია, მეორე დღეს მომხმარებელი გაცილებით მეტი ეყოლებოდათ.

საღამოს რვა საათისთვის მეორე მანქანა დაიცალა და ოპერატიული ჯგუფი გივის ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიოდნენ გერონტი, შოთა, ამირანი, შევიდნენ უნივერსამის საწყობის შესამოწმებლად. მათ გამოეგებათ უნივერსამის დირექტორი იოსებ ხანიაშვილი. გივიმ აუხსნა მისვლის მიზეზი.

— რას ბრძანებთ, ბატონო, ყველა საბუთი ადგილზე მაქვს, მობრძანდით, შეამოწმეთ, მაგრამ სანამდის შემოწმებას დაიწყებდეთ, რაიონის მილიციის ადმინისტრაციასაც შევატყობინოთ, ისე მე შესამოწმებლად საწყობში ვერ შეგიშვებთ!

— ახლავე დავრეკავ სურამის მილიციაში — თქვა გივიმ.

— რატომ სურამის მილიციაში? დარეკეთ რაიონში, დაიბარეთ თქვენი კოლეგები, შევქმნათ კომისია და რაც თქვენ გაინტერესებთ, ყველაფერი შევამოწმოთ!

— ამ ღამეს რა კომისია შევქმნა!

— ეგ თქვენი საქმეა, ჩემი წინადადება ასეთია, დავლუქოთ საწყობი. მე მოგცემთ მილიციის უფროსის სახლის ტელეფონის ნომერს,

დაურეკეთ, ჩამოვიდნენ და კი, ბატონო, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მით უმეტეს, რომ ორი კვირის წინათ რევიზია ჩამიტარეს.

— კარგით, თქვენ წაბრძანდით, ჩვენ მოვათათბირებთ, — უთხრა გივიმ.

— რაღაც მაგრად დგას, არ ეშინია, ვინმემ ხომ არ გააფრთხილა! — გადაულაპარაკა შოთამ გერონტის.

— რა ვიცი, ჟურნალში ქარხნის მხოლოდ ერთი ფაქტურაა და ერთი მანქანის გამოსვლაა დაფიქსირებული. ქარხნის საწყობებიც დახურულია. ფაქტია, რომ მანქანა ორჯერ დაიცალა. გამოდის, რომ ერთი მანქანა საქონელი „მარცხენაა“.

— მაგას ალბათ ადგილობრივი დატაცების განყოფილების იმედი აქვს!

— ალბათ იმიტომაც მოითხოვს დაჟინებით იმათ მოწვევას.

— ახლა ღამის ათი საათია, საწყობი დავლუქოთ, საბარგო მანქანის მძღოლი დავაკავოთ და ხვალ შევუდგეთ საქმეს; გერონტი, შენ მიხედე დალუქვის საქმეს და ხვალ ჩავატაროთ რევიზია. შოთა, შემოვიდეს დირექტორი!

დირექტორი შემოვიდა.

— ბატონო იოსებ, რადგან გვიანია, ჩვენს თანამშრომლებთან ერთად დავლუქავთ საწყობს და ხვალ დავიწყებთ შემოწმებას თქვენი რაიონის წარმომადგენლებთან ერთად. გერონტი, გაყევი ბატონ იოსებს და ერთად დალუქეთ საწყობი. ამას შენც დაესწრები! — მიუბრუნდა ამირანს.

იოსებსა და გერონტის ამირანი და უნივერსამის თანამშრომლები გაჰყვნენ, რომლებიც დირექტორის კაბინეტთან იცდიდნენ. ამირანმა თვალი მოჰკრა, თუ როგორ გადასცა ცელოფნის პაკეტი დირექტორმა გერონტის, რომელმაც პაკეტი სასწრაფოდ პიჯაკის ჯიბეში გააქანა. ამირანს გულმა რეჩხი უყო. მივიდნენ საწყობთან, დარწმუნდნენ, რომ მას ერთი დიდი კარები აქვს. გერონტიმ ლუქი სანთებელაზე გაადნო, შემდეგ თასმები კარებში გაუყარა, ზედ ლუქი დაადო და ბეჭედი დაუსვა ყველას დაანახა ლუქი და მასზე ამოტვიფრული ნომრები, დაწერა აქტი, ხელი მოაწერეს და დაიშალნენ.

სასტუმროში, დილით, კოლა მოვიდა და გივის მოახსენა:

— გუშინ უნივერსამი ღამის ორ საათამდე მუშაობდა; რაც სურამში ებრაელობა იყო, ყველა ტყავის პალტოებით და ფუთებით გამოდიოდა. ამდენი ხალხი თბილისის უნივერმაღებში არ მინახავს მე მგონი რაღაცა წაიჩალიჩა უნივერსამის დირექტორმა, ძალიან შებერტყილი ვინმეა, ყველასთან კარგად არის.

მეორე დილით, ათი საათისთვის კომისიამ, რომელშიც რაიონის მილიციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ დაიწყეს ლუქის ახსნა კარებზე. საწყობს დიდი კარები ჰქონდა. მასში დატანებული იყო პატარა კარებიც ხალხის შესასვლელად, ხოლო დიდი კარები იღებოდა მაშინ როდესაც საქონელი შეჰქონდათ მანქანებით. ორივე კარს სამი გასაყრელი ენა ჰქონდა ბოქლომისთვის და ორთავეს ერთდროულად კეტავდა. შოთამ ლუქიანი ზონარი გადაჭრა დანით, მაგრამ ზონარი არ მოუშორებია. ამირანს მოეჩვენა, რომ დალუქული ზონარი მარტო პატარა კარების ენაში იყო გაყრილი. შევიდა კომისია, დაიწყეს აღწერა, ყველაფერი ზედმიწევნით წესრიგში იყო. გივის რატომღაც ეჭვი შეეპარა დიდი კარების დალუქვის სისწორეში და მოითხოვა კარების გაღება. ლუქში სადავო არაფერი არ იყო, მაგრამ დიდი კარები რომ გაიღო, გაირკვა, რომ ზონარი გაყრილი იყო პატარა კარებისა ენასა და დიდი კარების მხოლოდ ერთ ენაში. ე.ი. კარის გაღება შეიძლებოდა ისე, რომ ლუქი არ დაზიანებულიყო. გივი გაცეცხლდა. გერონტი გვერდზე გაიყვანა და მკაცრად შეეკითხა:

— განზრახ გააკეთე?

— რატომ განზრახ, გივი, იოსები მეხმარებოდა დალუქვაში, მეც გავსინჯე, თოკი კარგად იყო ამოყრილი, ჩემი ხელით დავლუქე.

— ღალატის სუნი ასდის შენს დალუქულ კარებს, სამივე ენაში გაუყარე ზონარი?

— როგორ გეკადრება, ამირანიც ჩემთან არ იყო? პირველად ხომ არ ვლუქავ, მაგას როგორ ვერ შევამჩნევდი!

— კარგი, წავიდეთ სასტუმროში, ამ საქმიდან არაფერი გამოვა. დამირეკეს, ქარხანაშიც ყველაფერი წესრიგშიაო.

ამირანიც უხერხულად გრძნობდა თავს, მართალია მისთვის არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ მიხვდა, რომ იოსებმა და გერონტიმ კოლექტივი გააცურეს, გერონტიმ კოლეგები და საკუთარი სინდისიც გაყიდა.

ყველანი სასტუმროში დაბრუნდნენ, ამ დროს ოთახში ინგა შემოვიდა.

— გივი, არ ვიწაწლაოთ?

— ინგა, ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ, თავი დამანებე, სხვასთან იწაწლავე!

— ცუდი ხასიათი, ჩემო გივი შეიძლება სასმელით ან ქალთან ალერსით გამოვაკეთოთ, ისე, უკანასკნელი ჯობს, — „პახმელიაზე“ გამოსვლა არ დაგჭირდება!

— ახლა ისეთ ხასიათზე ვარ ინგა, რომ არც სმა შემიძლია და არც ქალთან ალერსი. თუ გინდა რეკომენდაციას გაგიწევ ბიჭებთან.

— მაგათ ფული არა აქვთ და ისე რა ინტერესია!

— ფული თუ მაგათ არა აქვთ, მე სულ უფულო ვარ, აგერ ამირანი წაიყვანე!

— ამირან, წავიდეთ, — გამხიარულდა ინგა, ხელი წაავლო ამირანს და კარებისაკენ წაიყვანა, ამირანიც გაჰყვა.

— ინგა, რა ტემპერამენტიანი ქალი ხარ, გუშინ ღამე ხომ იყავი გერონტისთან, ვერ დაგაკმაყოფილა? — „დაინტერესდა“ ამირანი.

— რა ვიცი, დილით რომ გავიღვიძე, ხუთი საათი იყო, გერონტი არ ჩანდა, მერე დილით შევედი მასთან ოთახში არც იქ იყო, ქვევით რომ ჩავედი, მანქანიდან გადმოვიდა, „სად იყავი“-მეთქი ვკითხე, „აგერ ბაზარში ვიყავი და რაღა-რაღაცეები მოვიტანეო“ და ერთი ცელოფნის სავსე პარკით ხილი გადმოიტანა.

— ინგა, რა ვქნათ? ყველა ოთახი დაკავებულია, სად მოვახერხოთ ჩვენი საქმე? მერე შენმა დამ რომ გაიგოს, არ ეწყინება?

— მაგაზე ნუ დარდობ, შენ ფული გადაიხადე! მოკლედ მომეწონე და შენი სინჯის აღება მეც მინდა, გადაიხადე ათი მანეთი, სულ ტყუილად ხომ არ მოგცემ, ეს პროფესიის ღალატად ჩამეთვლება. ხომ იცი, ჩემი პროფესიის ქალის უფულოდ ხმარება გაუპატიურების ტოლფასია და თუ სამართალია, ის კანონით უნდა ისჯებოდეს!

— ინგა, ფული არა მაქვს, თუ გინდა ნისიად და თბილისში რომ ჩამოხვალ, გაგისტუმრებ.

— თქვენ რანაირი თბილისელები ხართ, გერონტი ნახევარ ფასში ვასიამოვნე, შოთას ფული გაუთავდა, შენ ფული არა გაქვს, მოკლედ, შერცხვით თბილისელებო!

— რა ვქნა, ინგა, ასეა და რა გიყო!

— ჯანდაბა შენს თავს, რადგან ბიჭი მომეწონე, ისე ვიკისრებ, ჩემთან წავიდეთ სახლში.

იმ ღამეს ამირანი ინგასთან დარჩა. თავი არ შეირცხვინა. მეორე დღეს ორი საათისათვის საერთო აქტი დაიწერა. იოსებმა კომისიის წევრები რესტორანში დაპატიჟა, მაგრამ გივიმ მოიმიზეზა „სამსახურში მეჩქარებაო“ და სასტუმროსკენ გაემართა. ოთახები ჩააბარეს ადმინისტრატორს და წასასვლელად მოემზადნენ. ამ დროს ინგაც გამოჩნდა. მივიდა გივისთან და უთხრა:

— გივი, ერთი ცუდი რამე უნდა გითხრა, დღეს დილით ანალიზის პასუხი მითხრეს და სიფილისი აღმომაჩნდა, მე კიდევ გავესინჯები, მაგრამ თქვენც გაესინჯეთ, იქნებ მართლაც რამე მჭირს და ცოლებს რაიმე არ აჰკიდოთ, აბა, კარგად იყავით, გამოჯანმთელებულები მენახეთ! — თქვა და ოთახი დატოვა. ბიჭები შეშინებული მიაჩერდნენ ერთმანეთს.

— რა თარსი კვირა გამოდგა ეს შობელძაღლი! 21 დღე ცოლს ვერ უნდა გავეკარო! დაიწყო ახლა სახლში ცირკების გამართვა, ხან წნევის მომიზეზება, ხან თავის ტკივილი და რა ვიცი კიდევ რა, ახია ჩემზე! რა აწყობილი ოპერაცია ჩაგვეშალა, სულ გერონტის ბრალია. ჩემი ხელით უნდა დამელუქა საწყობი და ყარაულიც უნდა დამეყენებინა!

— გივი, იქნებ მთლიანად უნივერსამი უნდა დაგველუქა, ეგ იოსები ისეთი შებერტყილი კაცია, ეტყობა პირველი პარტია სექციებში დაარიგა და ზოგიც გაყიდა, ზოგიც ახლობლებს გაატანა, ხოლო მეორე პარტია, რაც იყო, ის გვაჩვენა „გაპრავებული“.

— კოლას თუ დავუჯერებთ, ღამის ორ საათამდე ყიდეს და გაასუფთავეს მაღაზია. მაგრამ საოცრება ის არის, რომ კაპიკი კაპიკზე დაგვისვეს ბალანსში. ზუსტად ეს არის საეჭვო. მაგას მაშინაც ვერ

მოახერხებ, სულ რომ ალალად იმუშაო. ნაღდია გერონტის მიერ უხეიროდ დალუქული კარების გამო ჩაიშალა ოპერაცია.

— მე ტყუილად მაბრალებთ, მე შეიძლება რაღაც შემეშალა, მაგრამ არა საწყობის დალუქვა. ახლა გჭირდებათ განტევების ვაცის პოვნა და მე ამირჩიეთ. რაც გინდათ, ის ჰქენით, გამომიცხადეთ უნდობლობა, ხეზე ხომ არ ჩამომკიდებთ!

— კარგით, წავედით — თქვა გივიმ და დაიძრნენ თბილისისაკენ.

სამი კვირა არ იყო გასული, რომ ამირანს გერონტიმ სამსახურში მოაკითხა. ერთმანეთი მოიკითხეს.

— ამირან, ექიმთან ვიყავი, ანალიზი ავიღე, მითხრეს სუფთა ხარო, შენ ხომ არ ყოფილხარ ექიმთან?

— მე მგონი იმ ქალმა სამაგიერო გადაგვიხადა, ფული რომ საკმარისად არ მივეცით და ის ფული ექიმებში დაგვახარჯვინა. გერონტი მე მიკიბულ-მოკიბული არ მიყვარს, არავისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ ჩემი თვალით დავინახე ცელოფნის პარკში გახვეული რაღაც რომ მოგცა იოსებმა და ჯიბეში გააქანე. ისიც ვიცი, ინგას საწოლიდან რომ გაეპარე; ალბათ ფული სახლში მიიტანე. რა დიდი დრო უნდა სურამიდან თბილისში ჩასვლა-ამოსვლას. ინგამ მანქანის ნომერიც მითხრა, რომლითაც იმგზავრე, ასე, რომ იყავი თუ არა თბილისში, მაგის გარკვევას დიდი არაფერი უნდა, შენც ხომ იცი, არ გაჭირდება.

გერონტი მოტყდა:

— ამირან, გივიზე ღორი კაცი მე არ მინახავს. საქმეს ჩვენ ვშოულობთ. ჩვენ ვაკეთებთ, ფულს ჩვენ ვიღებთ და ეგ მარტო ანაწილებს. ჩვენ რაღაც ათ-თხუთმეტ პროცენტს მოგვცემს, დანარჩენს თვითონ და უფროსი ინაწილებენ.

— მაგათაც ხარჯი აქვთ, აბა, ისე ვინ გააჩერებს მაგ ადგილზე.

— ათი საქმიდან ხომ შეიძლება ერთი გავიყოთ კაცურად და ყველამ არ იცოდეს. ახლა რას მიიტანს, ამ საქმიდან ხომ არაფერი გამოვიდა?

— მაგის უფროსსაც აგენტები ჰყავს, ზემოთ გაყოფაში შეშლა არ შეიძლება.

— ამირან, ყველაზე მეტად ახლობლები გვღალატობენ საქმეში, თორე უფროსებიდან ღალატი გარანტირებულია.

— ღირდა მაინც ამდენ დავიდარაბად? რამდენი გაიმეტა იოსებმა, უბრალოდ, მე ციფრი მაინტერესებს, არაფერში გედავები.

— უსიტყვოდ მომცა ოცი ათასი, ამ თანხით უბინაო კაცმა შეიძლება ბინა იყიდოს, ავეჯით მოაწყოს და ზედ მანქანაც მიაყოლოს. ისე, შენც გეკუთვნის მაქედან, თუ არ მომხსნეს, შენ წილს მოგცემ!

— მე, გერონტი, თავი დამანებე! თქვენ სხვა ორგანიზაცია ხართ, თქვენი კანონები გაქვთ, მე ჩემი ორგანიზაცია მაქვს და ჩემი დაწესებული კანონები. ასე, რომ მე არაფერი ვიცი, არაფერი დამინახავს!

— ამირან, ეგ ფული რომ გივისთვის მიმეცა, შეიძლება ათასი მანეთი გადმოეგდო, ასე კი ბინასაც ვიყიდი და მანქანასაც.

— გერონტი, პიროვნება თუ შინაგანად სიბინძურეს არ ებრძვის, კაპიკია მისი ფასი. შეუძლებელია თავადაც არ გაისვაროს. მე მესმის, რომ ეს ცხოვრებაა და თავისი განზომილებები აქვს. აბა, კარგად იყავი, გერონტი, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს, მაგრამ სხვა დროს, თუნდაც მართლა არაფერი დავინახო, რაც უნდა მართალი იყო, შენში მე ყოველთვის ეჭვი შემეპარება.

გერონტი გასული არ იყო, გივიმ დარეკა:

— ამირან, როგორ არის საქმე, ექიმთან იყავი?

— ვიყავი, ვიყავი. არაფერი გაქვსო.

— მეც ეგ მითხრა, ერთი ჩემი კლასელია მაგის „მასტერი“, სუფთა ხარო! აბა, კარგად იყავი! შემდეგ ოპერაციამდე! ოხ, მაგისი! გერონტის უტვინობის ბრალია ყველაფერი!

არც ისეთი უტვინოები და მოუხერხებლები არიან ხელქვეითები , როგორც მათ უფროსებს ჰგონიათ.

* * *

მეორე დღეს ამირანმა თავისი აქტივი შეჰყარა, სულ ოთხი კაცი ესწრებოდა. ნიკო, კაკო, გურამი და იურა.

— ბიჭებო, ჩვენთან ათ დღეში ცნობილი ინდოელი მსახიობი რაჯ კაპური ჩამოდის. შეხვედრას კინოთეატრ „რუსთაველში“ უწყობენ. უამრავი ხალხი იქნება, ძირითადად ახლაგაზრდობა. ვინმემ

რამე არ მიქაროს და ქურდებმაც არ „გაინავარდონ“, რათა დაუმტკიცონ, რომ ჩვენი ქურდები მისი ფილმების გმირებზე ცხოვრებაში არანაკლებნი არიან, ამიტომ სხვა შერჩეულ კომკავშირლებთან ერთად მსახიობთან ახლოს უნდა ვიყოთ, ეს ნოდარ ნიკოლაევიჩის პირადი თხოვნაა. სხვა რა არის ახალი ნიკა, შენთან პროფტექნიკუმში?

— რა ვიცი, ყური მოვკარი ბიჭები ანაშას ეწევიანო, ისე მწეველნი არ მინახავს, მაგრამ ერთი-ორჯერ ზედმეტი სიცილ-ხარხარით რომ მოდიოდნენ ბიჭები ეგ კი შევამჩნიე.

— სიცილისთვის კაცს ხომ ვერ დავსჯით?

— ამირან, შენ ხომ არ იცი, ერთი-ორჯერ ანაშა რომ მოვწიო, დავეჩვევი?

— არა მგონია, ამბობენ, მაგასაც მიჩვევა უნდაო.

— აბა, თუ არ მომაწევინეს, მაგათ ამქარში არ გავედი, ისე როგორ გავიგებ ვის მოაქვს, ვისი საშუალებით ახდენენ რეალიზაციას.

— რა, ასე მასობრივი სახე მიიღო მაგის მოწევამ?

— მასობრივი შეიძლება არა, მაგრამ, ვისაც ვკითხე, თითქმის ყველა თანახმაა გასინჯოს. ასე გასინჯვით იწყება ყველაფერი, შეიძლება ზოგს მოეწონოს კიდეც და დაეჩვიოს!

— მაშინ გურამიც დაიხმარე მაგ საქმეში. მე კი გივისთან ავალ და ყოველ შემთხვევისათვის ქურდების სურათების კარტოთეკასაც ვნახავ, იმ მსახიობთან ვინმე ვიგინდარა რომ არ მივუშვათ.

ამირანმა ტელეფონის ნომერი აკრიფა:

— გივი, გამარჯობა, შენთან სათხოვარი მაქვს, ხომ იცი რაჯ კაპური რომ ჩამოდის, კომკავშირმა მისი ოპერატიული შეფობა ჩემს განყოფილებას დაავალა, მინდა მოქმედი ქურდების ალბომს გადავხედო, თუ დამეხმარები ამ საქმეში, გამოვალ.

— კარგი გამოდი, აქ დაგხვდები, თანაც ერთი საინტერესო ვინმე მიზის, პირადად გაგაცნობ! — გაისმა გივის ხმა ყურმილში.

რამდენიმე წუთის შემდეგ ამირანი თავის ორი აქტივისტით, იურათი და კაკოთი გივის კაბინეტში შევიდა, სადაც გივის ვიღაც შუა ხანის კაცი ემასლაათებოდა.

— შემოდი ამირან, შემოდი! გაიცანით, „ვასკა“ ჰქვია, ცნობილი ჯიბის ქურდია, „ვასკა“ იმიტომ შეარქვეს, რომ ბავშვობისას ერთი საყვარელი კატა ჰყავდა და რომ მოუკვდა, მისი სახელი ამას „კლიჩკ-ად“ შერჩა, ისე კატასავით მიეპარება თავის მსხვერპლს და ისე ააცლის ფულს, რომ სანამ კლიენტი სახლში არ მივა, ვერაფერს იგებს.

— არც მთლად მასეა ბატონო გივი საქმე, სანამ ტრანსპორტს დავათვალიერებ, სანამ დავრწმუნდები თქვენი ხალხი მითვალთვა-ლებს თუ არა, ამასობაში კლიენტიც ჩადის, ასე რომ გაჭირდა მუშაო-ბა!

— რა ვიცი, ჯერ არცერთხელ არ ჩავარდნილხარ და!

— ალბათ, ბედი მწყალობს.

— ვასკა, ხომ იცი, ქალაქში რაჯ კაპური ჩამოდის, ვიღაცამ თავის მოწონება არ გადაწყვიტოს და რამე არ ამოაცალოს, თორემ შევრცხვებით. ეგ საქმე შენთვის მომინდვია, არ მიღალატო.

— რა ვიცი, კაცო, რა უნდა ამოაცალო იმ მსახიობს, ფული ბანკში ექნება, აქ კი ჩვენ ხარჯზე არის ჩამოსული და ფული რაში ჭირდება?

— შენი პროფესიის ხალხი საკბილოს ნახავს. ჩვენი ამირანი და მისი ბიჭები — კომკავშირლები — დაიცავენ იმ კაცს. „ვასკა“, აბა, წადი ახლა, კარგად იყავი!

ვასკა გავიდა.

— ეგეც შეკრულია, გივი, თქვენთან?

— არა, ეგ ქურდული ტრადიციების მიმდევარია, მაგრამ ჩემთან კარგად არის.

— გივი, მომეცი ეგ ალბომი, გადავათვარიელებ. ჩვენთან ვერც ხალხს გაუგებ და ვერც ძალაუფლებას, ოფოფები სად ყავთ თავში გასაფრენად გამზადებული.

— აი, აგერ დევს მაგიდაზე. ახლა მაპატიე, უნდა დაგტოვოთ. ათვალიერეთ ეგ ალბომი, სანამ არ მოგწყინდებათ, მერე ჩემს მდი-ვანს ჩააბარეთ. აბა, კარგად! — გივი კაბინეტიდან გავიდა.

ამირანმა ალბომის თვალიერება დაიწყო, რამდენიმე ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი, მათ შორის თავის უბნელი ორი ბიჭიც ეცნა-

ურა და რამდენიმე ისეთი სურათიც ნახა, რომ ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ქურდები იყვნენ.

* * *

მოვიდა რაჯ კაპურის ჩამოსვლის დღეც. ამირანს თავისი ბიჭებისთვის მოსაწვევი ბარათები გამოუყვეს წინა რიგებში, შეხვედრის დაწყებამდე ამირანი ორი საათით ადრე მივიდა და მოსაწვევის გარეშე დარჩენილ ხალხში ტრიალი დაიწყო, ცდილობდა არ გამოპარვოდა ალბომში ნანახი სახეები. უცებ თვალი მოჰკრა „ვასკას", საკმაოდ მოდურად იყო ჩაცმული და ასევე გამორჩეულ სამ კაცს ესაუბრებოდა. ამირანს თავი ოდნავ დაუქნია და საუბარი განაგრძო. ამასობაში რაჯ კაპურიც მოვიდა, ხალხი შემოეხვია, შეკითხვებს აყრიდნენ, მსახიობიც ასეთი დახვედრით ნასიამოვნები, ავტოგარფებს არიგებდა. იყო მილიციის დაცვასა და ფანებს შორის შახლა-შემოხლა. როგორც იქნა შევიდნენ დარბაზში, დაიწყო მილოცვები, აჩვენებდნენ ნაწყვეტებს რაჯის ფილმებიდან. დარბაზში სიანთლე აინთო. რამდენიმე კაცი ყვავილებით ხელში გაემართა რაჯისაკენ, მათ შორის იყო „ვასკაც". მან ყვავილები მიართვა მსახიობს, ავტოგრაფიც სთხოვა და უცებ „ვასკას" ხელში გაიელვა რაჯის ოქროს სამაჯურიანმა საათმა. რაჯმა რა თქმა უნდა ვერ გაიგო, მაგრამ „ვასკამ" მსახიობს ხელზე ანიშნა და თან საათიც დაანახა, რაჯ კაპურს გულიანად გაეცინა, გადაეხვია, ზურგზე ხელი მოუთათუნა, მაგრამ საათის უკან აღებაზე უარი თქვა და თარჯიმნის დახმარებით „ვასკას" და ხალხსაც გააგებინა, რომ საათს ჩუქნიდა „ვასკას", ატყდა ერთი ამბავი, მილიციის თნამშრომლები და გადაცმული აგენტები ერთმანეთს გაშტერებულები უყურებდნენ და მხრებს იჩეჩავდნენ, „ვასკას" თხოვნით და თარჯიმნის დახმარებით რაჯიმ ავტოგრაფი მისცა „ვასკას" თავისი სურათით და იქვე მიაწერა „სახსოვრად საათი დიდ „ვასკას" დიდი რაჯისაგან" — რაჯ კაპური. დარბაზი გუგუნებდა, რაჯ კაპურმა „ვასკას" ხელი ხელში მოჰკიდა და ზევით აუწია. ასე ორთავენი მაყურებლებს თავს უკრავდნენ.

იმ დღეს რაჯ კაპურის მეტი არავინ გაქურდულა.

* * *

ერთ დღეს ამირანი გივისთან შევიდა.

— გივი, ჩემმა ბიჭებმა დაადგინეს ვის ჩამოაქვს ანაშა შუა აზიიდან და ვინ არის რეალიზატორი. გვარი ვიცით, მისამართი ვიცით, ვინც ეწევა, ის ბიჭებიც ვიცით, ვინ რამდენჯერ შეიძინა, ისიც ვიცით და ისიც, ვინც შუამავლობს. რა ვქნათ? მე არ მეგონა, თუ ამდენი უგონო ახალგაზრდა გვყავდა ქალაქში. შედეგი ხომ ვიცით, თუ დაეჩვია კაცი, მერე ძნელია გადაჩვევა!

— მასეთი სუსტი ნებისყოფის ხალხი უამრავია, მაგრამ დაჭერას აზრი არა აქვს, ატყდება აურზაური, მერე ყველას გარეთ გამოუშვებენ. ანაშის რეალიზატორს თუ დიდი ოდენობა ვერ ვუპოვეთ, იტყვის, ჩემთვის მქონდა, ვიღაცა უცნობისგან ვიყიდეო და ხელიდან ისიც დაგვიძვრება.

— გივი, მე მაგ ხალხის დაჭერა კი არ მინდა, დაშინება და აურზაურის ატეხვა მინდა, იქნებ თავი დაანებონ ნარკოტიკს, მეცოდებიან, ახალგაზრდები არიან, ჭკუა არა აქვთ, თავს იღუპავენ. მომწოდებლის და გამსაღებლების დაჭერა კი აუცილებელია. ხვალ რომელი მატარებლით ჩამოუტანენ ბაქოდან იმ საწამლავს და ვინ არის მყიდველი და სად მიიტანენ, ისიც ვიცით, მეტი რა ვქნათ!

— შენ გაგახარა ღმერთმა, ასე გამზადებულ საქმეს რომ გვაძლევ! შოთა გაგაყოლებს თავის ბიჭებს და მიხედეთ!

— მწევლები როგორ დავაშინოთ? ისინი როგორღა დავიჭიროთ?

— ეგ ადვილი საქმეა, შენ სია და მისამართი მომეცი, ღამე ყველას ავკრიფავ, ვითომ იმ გამყიდველმა დაასახელა მაგათი გვარები. მოკლედ, ხვალ დიდ აურზაურს ავტეხთ, იქნებ შენი სტუდენტების მშობლებშიც გამოერიოს შეძლებული ხალხი, არაფერი უჭირთ ცოტა ჯიბეზე გაიკრან ხელი, ბოლოს და ბოლოს, შვილები უნდა გადაურჩინოთ მოწამვლისაგან! სია აქა გაქვს?

— კი, აქა მაქვს, სულ 45 კაცია სხვადასხვა ფაკულტეტიდან!

— მოიტა ვნახო, ვინმე ბობოლას გვარი არ იყოს გარეული.

მეორე დღეს, შეთანხმებისამებრ, შოთა კიკნაძის ჯგუფმა მატარებლიდან სახლამდე შეუმჩნევლად მიაცილეს ანაშის ჩამომტანი, ცოტა

ხანში მყიდველებიც და გამსაღებლებიც გამოჩნდნენ. ნიკო შეუშვეს, ვითომ ანაშის „მყიდველი“ იყო. როდესაც გამოსვლა დააპირა, შოთა თავის ბიჭებით მაშინ შევარდნენ სახლში და ჩამომტანი და მყიდველი თავისი ორი ჩემოდნით მილიციაში მიაბრძანეს.

გივიმაც პირობის თანახმად ორმოცდახუთივე სტუდენტი ღამით აიყვანა სახლებიდან. ატყდა ერთ ვაი-ვიში. მშობლები დილით დაიბარეს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის დიდ კაბინეტში შეიკრიბნენ ინსტიტუტის კომკავშირის მდივანი, მშობლები, ლექტორები და წინაღამით დაკავებული ბიჭებიც, რომლებიც მილიციის მანქანებით მოიყვანეს ინსტიტუტში. ეს სტუდენტები ინსტიტუტის კომკავშირის მდივანმა ჯერ გაკიცხა, გალანძღა, შემდეგ ქალაქის მილიციის სამმართველოს წარმომადგენლებს სთხოვა მათი თავდებით გათავისუფლება. გივიმ რექტორის, პარტკომის და პროფკავშირების თავდებად დადგომაც მოითხოვა, ამას მოჰყვა სტუდენტების პარტორგანიზაციის კაბინეტში გამოლანძღვა, შემდეგ რექტორმაც არ დააკლო და დაიწერა თხოვნა, ქალაქის მილიციის უფროსის სახელზე, რომ რექტორი და მისი პარტიული, კომკავშირელი ორგანიზაციები, პროფკავშირები თავდებად უდგებოდნენ სტუდენტებს. სტუდენტებსაც ხელწერილები დააწერინეს, პირობაც დაადებინეს რომ ასეთ საქციელს აღარ ჩაიდენდნენ.

ამირანმა შეამჩნია, რომ დასასჯელ სტუდენტთა სია საკმაოდ შემცირებულიყო, ეტყობა, დანარჩენები გივიმ ან პროტექციით ან ქრთამებით გადაარჩინა.

* * *

მეორე დრეს ამირანი ცირკთან ავიდა ტროლეიბუსში, უცბად ჩოჩქოლი ატყდა. ნასვამი ბიჭი გოგოს ეჭიადვებოდა, ცდილობდა მკერდში ხელის ჩაყოფას. გოგო შველას ითხოვდა. ამირანს თვალწინ დაუდგა შვიდი წლის წინათ მომხდარი ანალოგიური შემთხვევა, როცა ტრამვაიში ახლაგაზრდა ბიჭი ახალგაზრდა გოგოს დანას უღერებდა და ეუბნებოდა: „თუ არ ჩამოხვალ გაჩერებაზე, დანას გაგიყრიო“, დანის წვერი კისერთან ჰქონდა მიტანილი. ხალხი მაშინაც გარინდული შეჰყურებდა ამ სურათს და არავითარ ზომებს არ იღებდა. ამირა-

ნი იმჟამად პირველი კურსის სტუდენტი იყო და პირველად მიუხარ-ოდა ლექციებზე. მიუხედავად ამისა არც დაფიქრებულა ისე სწვდა მარცხენა ხელით ბიჭს დანიან მარჯვენაში, ხელი ზევით შეიმართა, მომენტი შეურჩია და ამ ბიჭს თავური აწეპა, მას დანა გაუვარდა ხელიდან, განთავისუფლებული ხელი სახეზე აეფარა, ამირანმა კი ამასობაში ბეჭებს შორის იდაყვი ჩასცა ძლიერად. ბიჭი ტრამვაის იატაკზე გაიშხლართა. ტრამვაი გაჩერდა და ამირანს ორი კაცი ეცა, როცა გამოერკვა, დაინახა ორი მილიციონერი, რომლებსაც მისთვის ბორკილების დადება მოესწროთ. ხალხი, რა თქმა უნდა, ამირანს გამოექომაგა, მაგრამ მთავარი გამომქომაგებელი, ის ქალიშვილი, რომლის გულისთვისაც ამირანმა თავი გამოიდო, გაპარულიყო.

ამირანი მაშინ რამდენიმე მოწმესთან ერთად მილიციის განყო-ფილებაში წაიყვანეს, აქტი შეადგინეს, ხელი მოაწერინეს და გამოუშვეს. ის ბიჭი საავადმყოფოში წაიყვანეს — წარბი ჰქონდა გახეთქილი, თან ამირანს უთხრეს: „ბედი შენი, რომ ტვინის შერყევა არ მიიღო, თორემ დაგიჭერდითო“.

თითქმის იგივე მდგომარეობა მეორდებოდა ამჯერად ტროლეი-ბუსში, იმ განსხვავებით, რომ ეს ბიჭი უფრო მოზრდილი და ჩაფსკვ-ნილი ჩანდა, ოღონდ უდანოდ. ამირანი უკნიდან მიეპარა, ხელი ყელში ამოსდო და გოგოს მოაშორა, ბიჭი შეეცადა ამირანისკენ შემობრუნებას, მაგრამ ამირანმა ისევ ძველი ხერხი იხმარა, იდაყვი ჩასცხო და ბიჭი იატაკზე გაშოტა.

— გეყოფათ, ახალგაზრდავ, მან თავისი საკმარისი მიიღო, მეტი აღარ არის საჭირო!

ამირანმა კაცს შეხედა, სახე ეცნაურა.

— მე ამ რაიონის რაიკომის მდივანი ვარ, — ამირანს გაახსენდა რესპუბლიკის კომკავშირის პირველი კაცი, რომელიც დღეს რაიონ-ის პარტიულ ორგანიზაციას განაგებდა. ამასობაში ტროლიებუსში მილიციონერები ამოვიდნენ, გალახული ბიჭი წამოაყენეს და ჩაიყვ-ანეს. მთავარი მოწმე — გოგონა, რომლის გამო ეს დავიდარობა მოხდა, ახლაც გაპარულიყო.

— ახლგაზრდავ, თუ დრო გაქვთ, ჩემთან წამობრძანდით, — მიმართა პირველმა მდივანმა ამირანს. როგორც შემდეგ გაირკვა,

რაიკომის მდივანს ტროლეიბუსით მოუნდომებია გასეირნება, უკან კი სამსახურის მანქანა მოჰყვებოდა.

მდივანი კაბინეტში შეუძღვა, ამირანს სკამზე მიუთითა:

— სად მუშაობთ, ახალგაზრდავ?

— თბილისის კომკავშირის კომიტეტში, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებაში, ახალგაზრდებთან მუშაობის შტაბის უფროსად.

— ჩვენ თქვენისთანა ხალხი გვჭირდება, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, რაიონის დატაცების და სოციალური საკუთრების დაცვის მებრძოლი განყოფილების უფროსის თანამდებობას შემოგთავაზებთ.

— მე სისხლის სამართლის განყოფილებაში მუშაობა მერჩია, იქ უფრო საინტერესო სამუშაოა!

— ჩვენ წესიერი ხალხი გვჭირდება დატაცების განყოფილებაში, მოფიქრებისათვის ერთ კვირას გაძლევთ — ჩაიწერა ამირანის სახელი, გვარი, მისამართი, რა თქმა უნდა, მომავალი კადრის შესამოწმებლად.

მეორე დღეს ამირანი რეზო ჩხუბიანაშვილთან შევიდა და წინადღის ამბავი მოუყვა რჩევა ჰკითხა.

— ამირან, ჩვენ აქ ყველა უკეთესს ადგილს ველოდებით. შენ თუ მილიციაში აპირებ მუშაობას, ამაზე კარგი წინადადებას კარიერის დასაწყისისათვის არავინ შემოგთავაზებს, თანაც პირველი მდივნის მოყვანილ კაცს, რაიონში უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს.

— რაღაც შენთან და ნოდართან მეუხერხულება, ჯერ ერთი წელია არც კი მიმუშავია და უკვე მივდივარ.

— მაგის ნუ გეხათრება, შენ რა გგონია, ნოდარს რაიმე რიგიანი ადგილი რომ შესთავაზონ, არ მიგვატოვებს? ერთად შევიდეთ და მე დაველაპარაკები. ის კი არა გაუხარდება, შენს მიმართ იმ ამბის შემდეგ ძალიან სიმპატიურად არის განწყობილი!

რეზომ ყურმილი აიღო:

— ბატონო ნოდარ, მე და ამირან ლობჟარიას გვინდა თქვენთან შემოსვლა. დრო თუ გაქვთ?

შევიდნენ ნოდარის კაბინეტში.

— ჩემო ნოდარ, ეს კაცი ფათერაკებთან ბრძოლისათვის არის დაბადებული. გუშინ პირველი მაისის რაიკომის მდივნის თვალწინ

ცემით გახეთქა ბიჭი, რომელიც ვიღაც გოგოს ლამის ლიფში ჩაძვრომია. მდივანიც შემთხვევით იმ ტროლეიბუსში მჯდარა, თურმე ეხვეწა ამირანს, ნუ მოკლავ მაგ კაცსო, ძლივს გამოუტაცია ხელიდან.

— ჩემგან რა დახმარებაა საჭირო?

— შენგან ჩემო ნოდარ, ის დახმარებაა საჭირო, რომ ეს კაცი გაუშვა იმ კაცთან, რაიკომში სამუშაოდ და ხელი არ შეუშალოთ?

— მერე, მე რანაირად გაუშვა? — ვერ გაერკვა ნოდარი.

— იმ კაცს ეს ჩვენი „გოროზა“ მოსწონებია და თვითონ შეუთავაზებია ადგილი, მოსაფიქრებლად ორი დღე მიუცია!

— მე მაგ კაცის აქედან წასვლა არ გამიხარდება, მაგრამ თუ დააწინაურებენ, ხელს არ შევუშლი!

ამ დროს გაიმა ტელეფონის ხმა.

— გისმენთ, — ნოდარმა ამირანს ანიშნა, შენზე არის ლაპარაკიო, — გისმენთ, ბატონო შადიმან, კი, ჩვენთან მუშაობს, ძალიან კარგი, გულიანი ბიჭია, მოკლედ, ისეთია, შენთან რომ არის ჭირშიც და ლხინშიც, უღალატო კაცია! კი, ეს ბიჭია ბატკანივით რომ შემოიგდო მხრებზე ის ნარკომანი და მილიციაში ჩაარბენინა. რა ვიცი, რა უნდოდა, მაგის ძმისშვილი დაარიგეს ჩვენმა ბიჭებმა, უთხრეს ბიძაშენის ყურება არ გამოგადგებაო და მე მომვარდა, კი, ერთი წელია ჩვენთან მუშაობს, კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. მე თქვენ უარს როგორ გეტყვით, ბატონო შადიმან, მეც ვურჩევ, ისე, ჩვენთან საქმე კარგად ააწყო. კადრების შერჩევა გამართლებაზეა, ბატონო შადიმან, თუმცა თქვენ ეგ არ შეგეშლებათ, კი ბატონო, დავიბარებ და გავესაუბრები. კარგად ბრძანდებოდეთ!

— ეტყობა, მართლა გულით უნდიხარ, ამირან ჩემო, თორემ თვითონ არ დარეკავდა, სხვას დაარეკვინებდა, მაგას ეგ ამბები არ ეშლება, — თქვა რეზომ.

— შენ რას იტყვი, ნოდარ ბატონო?

— რადგან მაგ კაცს თვალში მოუხვედი ამირან, უნდა წახვიდე, ძმაო! ოღონდ, რამე არ შეგეშალოს. ეგ მომავალში რესპუბლიკის უფროსობაზე გაიქაჩება, ესეც იქონიე მხედველობაში.

— ამის გოროზა ხასიათს აწი აღარავინ შეცვლის, ჩემო ნოდარ, ჯობს როგორც უცხოვრია, ისე იცხოვროს, ჯერჯერობით ხომ უმართლებს.

— რადგან წინააღმდეგები არა ხართ, ხვალ მივალ, ვეტყვი, რომ გამომიძახეთ, მესაუბრეთ და მირჩიეთ მასთან მუშაობა, რაც შეეხება ხასიათს, ალბათ, აწი ცოტა დავღვინდები, გამოვსწორდები, სულ ასეთი ხომ არ ვიქნები! — გაიცინა ამირანმა და წამოდგა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემო ამირან! — ხელი ჩამოართვა ნოდარმა.

მეორე დღეს ამირანმა დარეკა შადიმანთან, მდივანმა უპასუხა — იკითხა ვინაობა, ცოტა ხანი დააცდევინა და შემდეგ უპასუხა: — „ბატონი შადიმანი საღამოს რვა საათისათვის გელოდებათ“.

საღამოს, როდესაც ამირანი რაიკომის მდივნის კაბინეტში შევიდა, ბატონ შადიმანთან კაბინეტში პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი იმავე რაიონის მილიციის უფროსი, ვახტანგ ამირეჯიბი, დახვდა.

— მობრძანდით, ამხანაგო ამირან, დაბრძანდით, გაიცანი, ჩვენი რაიონის მილიციის უფროსი, ვახტანგ ამირეჯიბი. ეს კი, — მიუბრუნდა ამირეჯიბს, — თქვენი რაიონის დატაცების განყოფილების ახალი უფროსი, ამირან ლომჯარიაა, ხომ არ ვცდები, ხომ გადაწყვიტე?

— გადავწყვიტე, ბატონო შადიმან, ქალაქკომის მდივანმაც მირჩია.

— ხოდა, თუ გადაწყვიტე, ჩემო ვახტანგ, წაიყვანე ეს კაცი, ორი კვირა საქმეში ჩასახედად ეყოფა და ორი თვის შემდეგ მომახსენებ, ივარგა ჩემმა არჩეულმა კადრმა თუ არა!

— მე და ამირანი შორიდან ვიცნობთ ერთმანეთს, როგორც კაცი — კარგია და ჩვენს საქმეში მთავარი კაცობაა.

ცოტა ხანში ვახტანგი და ამირანი მილიციის უფროსის კაბინეტში საუბრობდნენ.

— შენი მოადგილე იქნება ჭიჭიკო ნაბიჭვრიშვილი, კაცს სახელი და გვარი ასე შეეფერებოდეს, პირველად ვხედავ. ისე, გამოცდილი მუშაკია, მაგრამ სანდო არ არის. შენი ადგილი ორი თვეა თავისუფალია. რა თქმა უნდა, ჭიჭიკოს უნდოდა ეს ადგილი, იმისათვის

რომ თავი გამოეჩინა, ერთ ჩვენი წარმოების უფროსი უმნიშვნელო დანაშაულზე დაიჭირა, იმანაც აგრძნობინა, რომ ფულს მისცემდა. ამ მართლა ნაბიჭვარმა, თავის ოთახში ფარდის უკან ორი კაცი დამალა და კაცმა ფული რომ დაუდო კონვერტით, დაიჭირა როგორც ქრთამის მიმცემი. ვითომ ისეთი პატიოსანია, რომ ქრთამი არ აუღია. ასე უნდოდა სახელის მოხვეჭა და დატაცების განყოფილების უფროსის ადგილის დაკავება. ეს რომ შადიმანმა გაიგო, სულ ცეცხლი ჰყარა. ხომ იცი მაგას ეგ არ შეეშლება, მაგრამ ოპერატიული მუშაობის თვალსაზრისით მართალი იყო.

— რა უქნეს ქრთამის მიმცემს?

— არაფერი, შადიმანმა ის კაცი დაიბარა, გაესაუბრა და დაკითხვის ოქმი დამახევინა, ეგ წესიერი კაცი ჩანს და პროკურატურას და სასამართლოს საჯიჯგნად არ უნდა ჩავუგდოთ ხელშიო. ასე, რომ ვინ გყავს მოადგილედ, უკვე იცი. შენს მუშაობას მაშინ ექნება შედეგი, თუ აგენტურა გეყოლება კარგი. დატაცების განყოფილება — ეს აგენტებთან მუშაობაა, ამიტომ ეცადე, ყველასთან საერთო ენა გამონახო.

— მერე, ასე გამზადებულ აგენტებს ვინ მომცემს, მათთან მუშაობას დრო სჭირდება. რაც შეეხება ხასიათს, მე მგონი ჩემი მხრიდან პრობლემები არ შეგექმნებათ.

— აგენტებს ზოგს მე მოგცემ, ზოგიც თვითონ მოვა, ზოგს რაღაც პატარა საქმეზე გამოიჭერ და ასე შემდეგ.

— აგენტებს ფული ხომ უნდა მივცეთ, ეს როგორღა გაფორმდება?

— ჩვენს მთავრობას საქმის კეთება მუქთად, სულ საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა, ფულს ვერ იმეტებს. ისე, რაიონს 50 მანეთის გაცემის უფლება აქვს თუ საქმე გამოვიდა.

— სულ რა სახის აგენტები არსებობენ, ბატონო ვახტანგ?

— ფასიანი აგენტი, უფასო — კომპრომატზე დაჭერილი, მოხალისე, სამარშრუტო — რომლებიც მივლინებაშიც ვგზავნით და ციხის აგენტი ანუ სექსეტი.

— ბატონო ვახტანგ, აგენტებად, ალბათ, იბადებიან. თორემ თუ არ უნდათ მუშაობა, სულ გაგეცლებიან, ქალაქიდან წავლენ, სხვაგან გადაიკარგებიან საცხოვრებლად.

— მე მაშინ ბორჯომში ვმუშაობდი. ერთი ქვრივი, შვილიანი ქალი მყავდა აგენტად, ხანდახან კარგ საქმესაც გვაძლევდა, თავს მოისაწყლებდა ბავშვისათვის საჩუქრებსაც გამომართმევდა და მერე თუ რამე საეჭვოს ნახავდა, ამბავს გამოიტანდა, ისე კარგი ყნოსვა ჰქონდა. მეც როგორც შემეძლო ვეხმარებოდი, გამონაცვალი ბინაც გავუკეთე, ბავშვისთვის წელიწადში ორჯერ ტანსაცმელს ვყიდულობდი და მეგონა ჩემი აგენტი იყო. ერთხელ სტუმრად ჩამოვიდნენ უფროსი მეგობრების ცოლები ოთხი ქალი ბავშვებით დასასენებლად. ვცდილობდი ყველანაირად პატივი მეცა მათთვის. უნივერმაღის დირექტორს დავურეკე, ოთხი სხვადასხვა ზომის კაბა მოვატანინე და დავასაჩუქრე. ეს აგენტიც ამ მომენტისათვის კაბინეტში იყო. მეორე დღეს მინისტრის მოადგილე მირეკავს თბილისიდან: „შენ რა მაღაზია მოაწყვე კაბინეტში, სპეკულიანტობა დაიწყეო“ წარმოგიდგენია? მინისტრთან დამასმინა. ასე, რომ ჩემო ამირან, აგენტებთან თბილად იყავი, ოღონდ მოშორებით, იმან უნდა იცოდეს თავისი ადგილი!

— მე მაინც აგენტებთან მუშაობის დაწყება მეჩქარება, ჩვენ რაიონში ორი თამბაქოს ფაბრიკაა, ლიმონათის ჩამოსასხმელი ქარხნები, რძის კომბინატი, შოკოლადის ქარხანა, რამდენიმე პურის საცხობები, ყველგან უნდა გვყავდეს ჩვენი ხალხი, აქ კეთდება ყველაზე მეტად ფული.

— მაგათ გარდა, საამშენებლო კომბინატები, ავეჯის ქარხანა. რა თქმა უნდა ყველგან გვყავს ჩვენი ხალხი და ამ ორ კვირაში თანდათან გაგაცნობ. ახლა კი შენი მოადგილე ნაბიჭვრიშვილი გაიცანი. მუშაობა შეუძლია, მაგრამ ნუ ენდობი!

ტელეფონზე ნომერი აკრიფა:

— ჭიჭიკო, შემოდი ჩემთან! — კარი გაიღო და საშუალო სიმაღლის მელოტი კაცი შემოვიდა — გაიცანი, შენი ახალი უფროსი ამირან ლომჯარია, კომკავშირიდან გამოგვიგზავნეს, ანახე სამუშაო ოთახი და ჩააყენე საქმის კურსში!

ორთავენი გავიდნენ.

ჭიჭიკომ ამირანს მომავალი კაბინეტის კარი გაუღო. ამირანმა სეიფის გასაღები ჯიბეში ჩაიდო და ტელეფონის ნომერი ჩაიწერა.

კაბინეტში იდგა საწერი მაგიდა სიგრძეზე მიდგმული მაგიდით, რომელსაც გარშემო შემოწყობილი ჰქონდა 6 სკამი. კედელთან იდგა დივანი და ორი სავარძელი, იქვე გაყოლებაზე პატარა კარადა საბუთებისთვის. ოთახს ერთი ფანჯარა ჰქონდა, რომელიც ქუჩაში გადიოდა.

— ბატონო ჭიჭიკო, რამდენი კაცის დაჭერის გეგმა გაქვთ თვიურად?

— ოფიციალურად, რა თქმა უნდა, არავითარი გეგმა არ არსებობს, მაგრამ თუ ორ კაცზე ნაკლები დავიჭირეთ, ხელად საყვედურებით აგვავსებენ, გვემუქრებიან, გვეუბნებიან „არ მუშაობთო", რა ვიცი კიდევ რას.

— მერე ასრულებთ მაგ, ასე ვთქვათ, „გეგმას"?

— საქართველოში კაცის დაჭერა ძნელი არ არის, ყველა რაღაცას მამაძაღლობს, მაგრამ მისი გასამართლებაა ძნელი, რადგან ყველას პატრონი ჰყავს, ყველა ერთმანეთს იცნობს.

— რომ ვეცადოთ და მათი ნათესავები და ახლობლები არ შევამჩნიოთ?

— მე მიჭირს ამის გაკეთება და თუ თქვენს თავზე აიღებთ, ამას რა სჯობს, თქვენს ზურგს ამოვეფარები და ვიტყვი: „ისეთი უჯიშო და უჯილაგო უფროსი გვყავს, მის გარეშე არაფერი გაკეთდება"- მეთქი.

— თქვი ჭიჭიკო, მე თანახმა ვარ.

— ხანდახან სათხოვნელად თვითონ ის მოდის, ვისი დავალებითაც კაცს ვიჭერ! ბატონო ამირან, თუ საიდუმლოება არ წარმოადგენს, ვისი რეკომენდაციით მოხვედით? ჩვენს განყოფილებაში უპატრონო კაცი ვერ მოხვდება!

— რატომ, ასე ძნელია „ბლატის" გარეშე მოხვედრა?

— „დატაცების განყოფილების" უფროსობა ყველა მილიციის თანამშრომლის ოცნებაა, იმიტომ რომ აქ კარგი „სასუსნავია". ხალხი თვითონ მოდის და გვთავაზობს საწევროს შემოტანას, ჰგონიათ რომ შენ დაიცავ მაგათ, ამასთან მილიციის უფროსის პირველი ძმაკაცი ხდები, სანამ ფეხს არ წაიტეხ!

— თუ ქრთამს აიღებ, უნდა დაიცვა კიდეც!

— ეს თეორიულად კი, ბატონო, მაგრამ ქალაქის დატაცების განყოფილებასაც თავისი გეგმა აქვს, რესპუბლიკისასაც თავისი და შენც იძულებული ხარ, რომელ ობიექტსაც მოგთხოვენ, ის ხალხი ჩაუშვა, შემდეგ შუა კაცის როლში გამოდიხარ. პატარა ქურდებს, საწყობის და ცეხის უფროსებს, ციხეში უშვებ შეღავათიანი „სროკით“, ხოლო დიდ ქურდებს საყვედურებს აჰკიდებენ, მაგრამ ადგილზე ტოვებენ. მერე, ისევ თავიდან იწყება ყველაფერი.

— ერთი სიტყვით ფულის დაგროვების საშუალებას აძლევთ, სულს მოათქმევინებთ და ისევ დააყაჩაღებთ, არა?

— ფაქტიურად ასე გამოდის.

— ატყდება ერთი ალიქოთი: ტელევიზიაში თავის მოწონება, გაზეთებში საქმიანი სტატიები და ისევ ყველაფერი თავისი გზით მიდის.

— უბედური სამუშაო გვაქვს, ბატონო ამირან! თან ვეძმაკაცებით ამ წარმოების ხელმძღვანელებს და მერე თუ დაგვაძალებენ, იძულებულები ვართ დავიჭიროთ, თორემ მოგვხსნიან და ჩვენგან წასულ კაცს არავინ წესიერ ადგილზე არ მიიღებს. ამიტომ იძულებულები ვართ ჩვენს ადგილს მოვებღაუჭოთ!

— რახან თავი გავყავი მილიციაში, კარიერა მხოლოდ მის სფეროში უნდა გავაკეთო, ყოველ შემთხვევაში ვცადო!

— თქვენს პროტეჟეს ეს თავის დროზე უნდა ეთქვა, რაიკომის მდივნობა და მაგისთანა რაღაცეები უნდა დაივიწყო! მაინც არ ამბობთ თქვენი რეკომენდატორის გვარს.

— თქვენი რაიონის პირველი მდივანი!

— ო, ო ეგ მაგარი ზურგია! ე.ი. ჩვენს განყოფილებას ისე, ჰაიჰარად, ხელს ვერავინ წმოარტყამს!

— ეგ იმ შემთხვევაში, თუ კარგად ვიმუშავებთ, ეგ კაცი ძალიან მომთხოვნია!

— ასეა!

— აგენტებთან როგორ მიდის მუშაობა, სად ხვდებით, პირველ ხანებში შეგიძლია რამდენიმე აგენტი გამაცნო?

— აგენტებს ყველას გაგაცნობ, ეგენი ისეთი ხალხია, მათ ინფორმაციას მე რომ ყურადღება არ მივაქციო, ხვალ თქვენთან მოვლენ დაუკითხავად!

— სად ხვდები ხოლმე მათ?

— აღმასკომი სპეციალურად გვიყოფს ბინებს ახალ სახლებში, რომელსაც ორი კარები აქვს, ერთი სადარბაზოდან შედიხარ, მეორე სადარბაზოდან გამოდიხარ. ოროთახიანი და ერთოთახიანი ბინები გვაქვს გაერთიანებული გვერდიგვერდ სადარბაზოებში. მე ჩემი შეხვედრის ადგილი მაქვს. თქვენს ბინას ხვალ განახებთ.

— კარგი, დღეს ამით დავამთავროთ ჩვენი გაცნობა.

— ჩვენი გაცნობა მაშინ ჩაითვლება, როცა თითო ჭიქას თავს წავუქცევთ რესტორანში.

— ეგ მაშინ, როდესაც პირველი წარმატება გვექნება!

არ გასულა ორი დღე და ამირანთან ჭიჭიკომ ერთი კაცი მოიყვანა:

— თამბაქოს ქარხანაში მუშად რომ მოეწყოს, კადრების გამგე ამაში ორიათას მანეთს თხოვს!

ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო.

— ეგ კაცი ხომ არ ამეტებს, იქნებ ორიათასს კი არა ორას მანეთს სთხოვენ?!

— არა, ასეა! მაგ თანხას ეგ ორ თვეში ამოიღებს და მერე სულ მოგებაზე იმუშავებს, სანამ არ დაიჭერენ. დაიჭერენ და მუშაა, რა უნდა უქნა, თვეებში გამოუშვებენ, ან პირობითად რამეს მიუსჯიან და ფული შერჩება.

— კი, მაგრამ როგორ ახერხებენ ამას?

— უბრალოდ, სამუშაო ძალიან მძიმეა და მავნე. ხელფასი 100 მანეთი აქვთ. ადმინისტრაციის ჩუმი თანხმობით ყველა მუშას აქვს უფლება გაიტანოს 100 კოლოფი სიგარეტი „კოსმოსი“, რომლის ღირებულება სამოცდაათი კაპიკია. მუშა, ასი ყუთი რომ გაიტანოს, მექანიკოსს სამ მანეთს აძლევს, საკონტროლო კარებში გასვლისას მანეთს ტოვებს, იქვე ტაქსი ელოდება, რომ მაღაზიაში მიიყვანოს და მოიყვანოს, ესეც ორი მანეთი, სულ ექვსი მანეთია. ამ სიგარეტს აბარებენ ორმოცდაათ კაპიკად. ორმოცდაათ მანეთს გამოვაკლოთ ექვსი მანეთი. დღეში მუშას რჩება ორმოცდაოთხი მანეთი. ეს ნებართვით, ხოლო უნებართვოდ ასიოდე კოლოფს თვითონ დაუმატებს

და ერთ დღეში გამომუშავება ოთხმოცდაათ მანეთს მიაღწევს, რაც თვის ხელფასს უტოლდება.

— კი, მაგრამ ადმინისტრაციას არ ურჩევნია წესიერი ხელფასი მისცეს ამ ხალხს და არ აქურდოს?

— თამბაქო კვების მრეწველობას მიეკუთვნება. აქ ხელფასები მცირეა. მთავრობამაც იცის, რომ რაც უნდა წესიერი ხელფასი მისცეს, ეს ხალხიმაინც მოიპარავს. ამასთან ეს „ბარდაგი“ ქარხნის ადმინისტრაციასაც აწყობს, ადმინისტრაცია მანქანებით უშვებს მარცხენა საქონელს და ხელს ამ მუშებზე იხოცავენ!

— კი, მაგრამ დაცვა ხომ თავისი ჰყავთ?!

— დაცვა ჩვენია, მილიციის, ოფიციალურად ფულს გვიხდიან, აქეთ გვაწვებიან, რატომ აძლევთ ქურდობის უფლებასო, მაგრამ მშენივრად იციან, რომ მილიციელს თვეში ასორმოცდაათი მანეთი აქვს ხელფასი და ერთ მორიგეობაზე შეუძლია ერთი იმდენი გააკეთოს!

— მე შემიძლია კომკავშირელებიდან შევქმნა დაცვა. ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში მაინც ფულს არ აიღებენ. მერე სხვებით შევცვალოთ!

— თვითონ მუშები აბუნტდებიან, ქარხნის ხელმძღვანელობა მუშებს დაუპირისპირდება. ასე, რომ თუ ზევით არ მოგვარდა ეგ საქმე, ჩვენ მარტო ჭუჭყში მოგვიწევს ხელების ფათური.

ამირანი დაფიქრდა.

— კარგი, რა ვუყოთ იმ კაცს, მივცეთ ფული, დავნომროთ და შევაგზავნოთ? თუ აიღო, ეს ჩვენი პირველი საქმე იქნება. მართლა, ფულს როგორ ამუშავებთ?

— ფულის ნომრებს გადმოვწერთ, აქტს შევადგენთ, შემდეგ სპეციალური ფანქრით ვაწერთ: „ქრთამი“, რომელსაც სინათლეზე თუ გახედავ ჩანს, შემდეგ ფული სპეციალური საღებავით მუშავდება. გვაქვს კიდევ ფეთქებადი კონვერტი. როგორც კი გაიხსნება, ხმას გამოსცემს და საღებავი სახეზე ეყრება. ასე, რომ ეგ საკითხი დამუშავებული გვაქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მაგ კაცმა თავისი ფული უნდა მისცეს, რადგან ჩვენ მიერ მიცემულ ფულზე, თუ საქმეს

კარგად ჩააწყობენ, მოსამართლესთან, აქეთ შემოგვედავებიან და გვეტყვიან დანაშაულის პროფილაქტიკაა საჭირო და არა ხელის შეწყობაო, რატომ შეუგზავნეთ ეს კაციო.

— კი მაგრამ მაგ კაცს ორი ათასი მანეთი რომ ჰქონდა, ჩვენთან კი არ მოვიდოდა, მაგ სარფიან საქმეში ჩადებდა.

— მაშინ უნდა გავაფრთხილოთ, რომ თქვას „ფული ჩემი იყოო". ხოლო მაგ ფულის დადება ჩვენ მოგვიწევს, რადგან ბანკიდან რომ ავიღოთ და დაიკარგოს, ყველაფერი ხდება, მოხსნა თუ არა საყვედური არ აგვცდება!

— კი, მაგრამ მე მაგდენი ფული არა მაქვს! — შეიშმუშნა ამირანი.

— მაგ საქმისთვის ჩვენს განყოფილებას ჩუმად გვაქვს ფული გადადებული, უკვე დამუშავებული და დანომრილი, ისე რომ ეგ პრობლემა არ არის.

— კარგი, რა გვარია კადრების უფროსი?

— ხარიტონაშვილი ზურაბი, დიდი გაფხორილი ვინმეა, ადრეც მქონდა მაგაზე აგენტურული მონაცემები. ერთი ორჯერ ჩვენი აგენტის მუშად „მიღება" ვთხოვე, გადამაყოლა, სანამ დირექტორს არ ვუთხარი, ისე სამუშაოზე არ მიიღო.

— როდის უნდა მიუტანოს ფული?

— ორშაბათისთვის არიან შეპირებულები.

— იქნებ ჯერ ნახევარი მიეცა, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, ეჭვს ვერ შეიტანდა.

— ნახევარს რომ დასჯერებოდა, ეს კაცი ჩვენთან კი არ მოვიდოდა. თხოვა ჯერ ნახევარს მოვაგროვებ და მეორე ნახევარს ორ თვეში გაგისტუმრებო, მაგრამ იუარა, ერთად მოსთხოვა.

— ყველამ ხომ იცის ქარხანაში, რომ ეგ კაცი ფულს იღებს, დირექტორს რაში აწყობს მისი ფულის აღება?

— ყველაფერი განაწილებულია, ყველამ თავისი საქმე იცის და ჩალიჩობს, შენ რომ ჩვენს მილიციის უფროსს უყურებ, ის ჩვენს გარეშე იღებს თავის წილს მაგ ქარხნიდან.

— კარგი, მოამზადე დანომრილი ფული და ვნახოთ რა გამოვა ამ საქმიდან. ისე, მილიციის უფროსი ხომ არ უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში?

— ახლა სასურველი არ არის და არც არის საჭირო, რომ დავიჭერთ, მერე მაინც ეცოდინება ყველაფერი.

— კარგი, რადგან არ არის საჭირო, ნუ შევაწუხებთ უფროსებს. ერთხელ კიდევ შემახსენე მაგ კადრების განყოფილების გვარი.

— ხარიტონაშვილი .

— კარგი, თავისუფალი ხარ.

ჭიჭიკო გავიდა. ამირანი დაფიქრდა

ხარიტონაშვილი, ხარიტონაშვილი . . ., უცბათ ამირანს გოგა გაახსენდა, კი, გოგას მამაა. რამდენიმე წლის წინათ გოგამ მამამისს სთხოვა ამირანი მიეღო მუშად. ამირანი რამდენჯერმე იყო კადრების უფროსთან, მაგრამ ის დალოცვილი სულ რაღაცას იმიზეზებდა, ხან შტატების შემცირებას, ხან კომისიის მისვლას, ხან — რას, ხან — რას. მოკლედ, ამირანი სამი თვე ტყუილ-უბრალოდ ატარა. არც ჰოს ეუბნებოდა, არც — არას. გოგა ამას ძალიან განიცდიდა. რა იცოდნენ მაშინ ახლადსკოლადამთავრებულმა ბიჭებმა საიდან და როგორ შოულობდნენ მათი მამები ფულს, თავისი შვილის მეგობარს ფულს ხომ ვერ მოსთხოვდა; ამირანს გაეცინა, ამ კაცის ბედი მის ხელში იყო. კიდევ კარგი, მაშინ არ მიიღო სამუშაოზე, თორემ ამირანი ამდენ ფულს გემოს რომ გაუგებდა, მერე სხვა საქმეს ხელს ვერ მოკიდებდა. არა და გოგას რა უყოს, კარგა ხანია, არ უნახავს, მგონი უნივერსიტეტი დაამთავრა, ეკონომიკური ფაკულტეტი. „მოიცა, ტელეფონი წიგნაკში მიწერია“.

ამოიღო უბის წიგნაკი, ნომერიც იპოვა.

ქალმა გააგონა:

— გოგა სახლში არ არის. საღამოს დარეკეთ, იქნება. რამეს ხომ არ დამიბარებთ?

— გადაეცით, ამირანმა დარეკათქო!

— კარგი, შვილო, გადავცემ. შენ რომელი ამირანი ხარ, ლომჯარია ხომ არა?

— დიახ, ქალბატონო ნინო, მე ვარ, დიდი ხანია არ მინახავს გოგა, მომენატრა.

— მერე, ასე უნდა, შვილო? რაც უნდა იყოს ერთ სკოლაში, ერთ კლასში სწავლობდით, ერთმანეთი არ უნდა დაკარგოთ, ბავშ-

ვობის მეგობრობას სხვა ეშხი აქვს. როგორ ხარ ამირან, სად მუშაობ?

— მადლობა, კარგად ვარ. კომკავშირში ვმუშაობ ქალაქის კომიტეტში.

— კარგია, კარგად გიყოჩაღია. საღამოს რვა საათისთვის დარეკე, სახლში იქნება.

ყველაფერი ძველებურად არის, ისევ იქ ცხოვრობენ.

„რა ბედი მაქვს, პირველ საქმეზე ყოველთვის რაღა ჩემი ახლობელი მხვდება? მართლაც საქართველოში ძნელია მილიციაში მუშაობა. ისევ ორცეცხლშუა ვდგავარ. საქმის მიმცემი ამბის მომტანს, შვილების მამას, დაიჭერენ ცილის წამებისთვის. რა უბედური საქმეა, ერთსთვის მფარველობამ, მეორე უნდა დაიჩაგროს. სამართლიანად გინდა იცხოვრო, მაგრამ ქვეყანას თავისი სამართალი აქვს, ცხოვრებას თავისი წესი. დღეს შენ დაეხმარები ვინმეს, ხვალ ისინი დაგეხმარებიან. ისე, წესით ხარიტონაშვილი არ არის დასანდობი, მაგრამ გოგასთან მეგობრობას რა ვუყო?

ახალგაზრდა კაცი მოდიხარ, მთელი მოდომებით, საქმის, სიკეთის, სამართლიანობის საკეთებლად, შენს ირგვლივ მყოფნი თითქოს ყველა ამისკენ გიბიძგებენ. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყველას თავისი სამართალი აქვს, ყველას თავისი „პროტეჟე“ ჰყავს. იძულებელი ვარ პირველი საქმე ღალატით დავიწყო. აგენტი თავისი გამყიდველი ბუნების გამო მილიციაშიც კი ეჯავრებათ, თუმცა მისი დახმარებით ჭამენ პურს და კარიერას იკეთებენ. ახლა მე თვითონ აგენტი და გამყიდველი გამოვდივარ, მაგრამ რა გინდა ქნა, ყველა ხომ უპატრონო ბავშვთა სახლში არ იქნება გაზრდილი?

ამირანი ფიქრებიდან გამოერკვა, წამოდგა და გოგას სახლისაკენ წავიდა. ავტობუსი გოგას სახლის წინ გაჩერდა, საბურთალოზე „სპეციალისტების სახლთან“. იქვე იყო ტელეფონ-ავტომატის ჯიხური. საათს დახედა, საღამოს ცხრა საათი დაწყებულიყო. ორკაპიკიანი ჩაუშვა ტელეფონის ავტომატში. ყურმილი გოგამ აიღო?

— გოგა, გამარჯობა, ამირანი ვარ, როგორ ხარ!

— ვა, სად დაიკარგე, ბიჭო, აღარ უნდა დარეკო, მე და შენ მგონი ერთი ორი წელია ერთმანეთი არ გვინახავს. სად ხარ, ხომ არ გამოხვალ, ან თუ გინდა ხვალ შევხვდეთ ერთმანეთს.

— გოგა, შენს სადარბაზოსთან ვდგავარ, სასწრაფოდ ჩაიცვი და ჩამოდი. საქმე მაქვს შენთან.

— რაშია საქმე?!

— რასაც გეუბნები, ისე გააკეთე. არავის უთხრა, რომ მე უნდა მნახო, — და ყურმილი დაუკიდა.

რამდენიმე წუთში გოგა ჩამოვიდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ დიდი ხნის უნახავი მეგობრები. ამირანმა გვერდზე გაიყვანა გოგა და უთხრა:

— ორშაბათს მამაშენთან კაცი მივა დანომრილი ფულით. უთხარი, ახლოს არ გაიკაროს. თუ აიღო, უნდა დავიჭირო, ოპერაციას მე ვხელმძღვანელობ.

გოგა გაშრა, სახე შეეცვალა.

— დაბერდა ეგ ვირიშვილი. ვეუბნები, დაანებე ამ მაიმუნობას თავი-თქო, მაგრამ კაცი ფულის კეთებას რომ არის მიჩვეული, იმას მოაშლევინებ?

— მოკლედ, მე წავედი. ამის შესახებ არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს მამაშენის გარდა. ისე, ისიც გაახსენე, იმ ბიჭმა გიხსნა, რომელიც სამსახურში შენ არ მიიღე-თქო და სამი თვე ტყუილად აღადავე-თქო.

— ამირან, მე მთლად კარგად ვერ გავიგე, რა უნდა ქნას!

— რა, და იცის თვითონ ფული ვისგანაც უნდა აიღოს! ის კაცი ახლო არ გაიკაროს! უთხრას რომ მდგომარეობა შეიცვალა, რომ შტატების შემცირება მოხდა, რომ მისი სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით არაფერი გამოვა და რა ვიცი! უარის სათქმელად მიზეზები მამაშენს არ გამოელევა.

ამირანმა და ჭიჭიკომ სამუშაოზე მისაღები აგენტი მათთვის განკუთვნილ ბინაში დაიბარეს:

— ბატონო ბიძინა, თქვენზე არის დამოკიდებული იმ არაკაცის დაჭერა, რომელიც მუშად მოწყობაში ამდენ ფულს გთხოვთ — დაიწყო ამირანმა.

— კი ბატონო, როგორ მეტყვით, ისე გავაკეთებ ყველაფერს.

— ჩვენ ფული დაგინომრეთ, საღებავით დავამუშავეთ და ფეთქებად კონვერტში ჩავდეთ. საკმარისია კონვერტი გაიხსნას და სახეში შეეყრება საღებავი კონვერტის გამხსნელს.

— ჭიჭიკო, ფეთქებადი კონვერტი არ გვინდა, ჯობს ფული გადაითვალოს, ეგ უფრო ნაღდია. შეიძლება კონვერტზე შარი მოგვდოს, რაც შეეხება ფულს, უნდა თქვათ, რომ ნათესავებში ისესხეთ, ზოგი თქვენი დანაზოგი იყო. არ წამოგცდეს, რომ ფული ჩვენ მოგეცით.

— კი ბატონო, ეგ როგორ წამომცდება.

— ბიძინა, ხომ იცით, იმ კაცმა ფული რომ არ აიღოს, ცილისწამებისათვის თქვენ დაისჯებით, ამიტომ ღმერთი არ გაგიწყრეთ, წინასწარ არ გააფრთხილოთ. იმისთვის, რომ სიკეთე გაუკეთეთ, ნუ გგონიათ სიკეთითვე გადაგიხადოს, შეიძლება პროვოკატორი გიწოდოთ და კუდამოძუებული გამოგაგდოთ კაბინეტიდან.

— არა, როგორ გეკადრებათ, მაგ კაცმა პირდაპირ მითხრა, ჩვენთან მუშის მიღების ნიხრი ორი ათასი მანეთი არისო და ეს თანხა სხვადასხვა ხალხზე ნაწილდებაო.

— ეს როდის გითხრათ?

— როდესაც მესამედ მივედი და ვუთხარი, თუ რამეა საჭირო ნუ მომერიდებით მეთქი.

— ჩემო ბიძინა, ხვალ ჩვენი ხალხი ცოტა ადრე მივა, პოზიციებს დაიკავებენ. თქვენ ათის ნახევრისთვის ფულს გადმოგცემენ და შეუტანთ კაბინეტში ზურაბ ხარიტონაშვილს. თუ ფული თქვენს თვალწინ დათვალა, ორივე ხელი გადაისვით თავზე, ხოლო თუ კონვერტი დაიტოვა ერთი ხელი გადაისვით, ხოლო ღმერთმა ნუ ქნას და თუ არ აიღო, თავი რაც უნდა მოგეფხანოს ნერვიულობისაგან, ხელი არ წაგცეთ თავზე გადასასმელად.

— ამირან, მე საბუთები შევადგინე და ბიძინამ ხელი უნდა მოაწეროს. კანონი ასე „მეტყველებს“, ჩემო ბიძინა, ცილისწამებისათვის სამ წლამდე. ე.ი. თუ ხარიტონაშვილი ფულს არ აიღებს.

— ჭიჭიკო, მოიცა, ორშაბათი მძიმე დღეა, შეიძლება ფულის ასაღებად ვერ მოიცალოს. ბიძინას ხელის მოწერა სად გაგვექცევა.

— კი, ბატონო როგორც თქვენ იტყვით, მაგრამ ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ ეს ხელის მოწერა საქმისათვის ხალხს უფრო ერთგულს ხდის.

— ბიძინა, ახლა წაბრძანდით და ხვალ დილის ცხრა საათზე თამბაქოს ქარხნის მოპირდაპირე მხარეს ბატონი ჭიჭიკოს მანქანა იდგება, ნომრები გახსოვთ ალბათ, უკანა კარებს გამოაღებთ და მანქანაში ჩაჯდებით. ჩვენ ფულს გადმოგცემთ და შეხვალ ქარხანაში.

— კი, კარგად ბრძანდებოდეთ! — თავი დაუკრა ბიჭიკომ.

— კარგად იყავი, ბიძინა, ღმერთი ჩვენსკენ! — უთხრა ბიჭიკომ.

— ჭიჭიკო, ეს ხელისმოწერა რომ დაიჩემე, იქნებ ეს საქმე ისე არ გამოდის, როგორც ჩვენ გვინდა, თავს ხომ არ შევირცხვენთ. ამ ოპერაციის შესახებ მარტო მე და შენ ვიცით. ოპერციას მე ვხელმძღვანელობ, ამასთან ქარხანაში ჯერ არავინ მიცნობს. — მე შევალ, ასე, რომ ჯერ კვერცხი დავდოთ და მერე ვიკაკანოთ!

— ბოლო ხანებში იციან ზოგჯერ გულის აჩვილება მაგნაირებმა. აფრთხილებენ ხოლმე თავი მსხვერპლს და კარგ მაყუთსაც ღუნავენ. რადგან ეს ჩვენი პირველი ოპერაციაა, ყველაფერი თქვენებურად იყოს!

მეორე დღეს შეთანხმებისამებრ ბიძინას მანქანაში გადასცეს დანომრილი ფული და ერთი გადაცმული თანამშრომელიც თან გაიყოლეს, ცოტა ხნის შემდეგ ამირანიც შევიდა ქარხანაში და თვალი შეავლო კადრების განყოფილების გამგის ნაცნობ კარებს. აქ თითქმის არაფერი შეცვლილიყო.

ბიძინამ კარზე დააკაკუნა და შესვლა ითხოვა.

— მოიცადეთ ცოტა ხანი, ხომ ხედავთ ხალხი მყავს — გაისმა ზურაბ ხარიტონაშვილის ბოხი ხმა. ზურაბთან შედიოდნენ თანამშრომლები საბუთებით, გამოდიოდნენ. ბოლოს ზურაბიც გამოვიდა კაბინეტიდან გარეთ.

— თქვენი საქმე, არ გამოდის, დირექტორს ვთხოვე, ჩემი ახლო ნათესავია, იქნებ ნახევარ განაკვეთზე მაინც მივიღოთ-მეთქი, მაგრამ იუარა.

— აბა, რა, ვქნათ ბატონო ზურაბ? — წამოიკივლა ნირწამხდარმა ბიძინამ.

— დავიცადოთ, უფრო კარგ დროს დაველოდოთ.

— როდის გამოვიარო, როდის იქნება ჩემი მიღების საშუალება?

— გამოიარე ასე სამი თვის შემდეგ, შეიძლება რაიმე გამოჩნდეს, თუმცა მართალი რომ გითხრა, იმედი არ მაქვს.

— აბა, რა ვქნა, სამი თვე უმუშევარი ხომ ვერ ვიქნები?!

— აგერ, ჩემს პირდაპირ, ლიმონათის ქარხანაა, იქ სჭირდებათ მუშები, თუ გინდათ ჩემს კოლეგას გადავურეკავ და მიგიღებთ!

— არა, მე თქვენთან მინდოდა სამუშაოს დაწყება.

— თუ გიჭირს, იქ დაიწყე ჯერ და მერე როდესაც ჩვენთან გამოჩნდება ადგილი, აგერ არ ვარ, დაგეხმარები! ა, რა ვქნა, დავრეკო?

ბიძინამ ამირანს გადახედა. მან თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. ხარიტონაშვილი კაბინეტში შევიდა, კარები ღიად დატოვა და ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— ნიკო, გამარჯობა, აგერ ერთი ჩემი ახლობელია, ჩემთან მუშის ადგილი ვერ ვუშოვე, მგონი მტვირთავები და ყუთის მჭედავები გჭირდება, თუ მიიღებ, არ ინანებ, ძალიან ერთგული და გულიანი კაცია; რა ბარტერი? ჰა, ჰა, შენც ისწავლე ეგ სიტყვა? კი ბატონო, როცა მექნება შენსავით ვაკანტური ადგილი აუცილებლად გამომიგზავნე შენი კაცი და მივიღებ. ამ კაცს წერილს გამოვატან და მიხედე, პატივისცემა ჩემზე იყოს, ერთ შეკვრა სიგარეტ „კოსმოსს“ გამოვატან! ხომ იცი, სამთავრობო სიგარეტს გიგზავნი და არ შემარცხვინო ამ ჩემს ახლობელთან!

— რა ვქნა, პატივისცემა მინდოდა თქვენთვის, ბატონო ზურაბ, აგერ მაქვს გამზადებული — დაიწყო ბიძინამ.

— აჰ, ჩვენში მასეთი რამე მოდის, ბიძინა? ჩვენ ძველი მეგობრები ვართ, შენ აქ დამიცადე ახლავე, დაგიწერ წერილს — სწრაფად შებრუნდა კაბინეტში, მალე წერილი და ერთი შეკვრა „კოსმოსი“ გამოატანა და ბიძინას გადასცა.

— ამ სიგარეტს მიუტან საჩუქრად, წერილს გადასცემ კადრების გამგეს და სხვა არაფერი პატივისცემა მაგ კაცს არ უნდა, ჩემი მეგობარია. აბა, კარგად იყავი, ჩემო ბიძინა, ღმერთი იყოს შენსკენ და ხანდახან თუ ჩვენსკენ გადმოიხედავს, არაფერი უჭირს! — შემდეგ ამირანს მიუბრუნდა — თქვენ რამე საქმე ხომ არ გაქვთ ჩემთან, ახალგაზრდავ?

— მეც თქვენთან მუშად მოწყობა მინდოდა, მაგრამ იმ თქვენ მეგობარ კაცს ისეთი უარი უთხარით, რომ ენა არ მიტრიალდება სამუშაო გთხოვოთ!

— რატომ, კაცო, თქვენც გამოიარეთ სამი თვის შემდეგ, ასე უიმედობა არ შეიძლება! იმედი და კარგი ხალხი ნუ მოგიშალოს ღმერთმა. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ! — ხარიტონაშვილი კაბინეტში შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ამირანის კაბინეტში შეიყარნენ სამივენი.

— მართლა არ ჰქონდა ადგილი მაგ შობელძაღლს, თუ ჩაგვიშვა ვინმემ? — იკითხა ამირანმა.

— ჩაგვიშვეს, ჩემო ამირან და ვინ, ეგ არის ახლა თავსატეხი!

— ბიძინა, შენ ხომ არ წაგიმუშავებია წუხელ, რაღაც ისე გიღიმოდა, ახლობლადაც მოგნათლა! მე რატომღაც მგონია რომ ჩაშვებულები ვართ, კაბინეტშიც კი არ შეუშვა? იქვე მისაღებში გადაწყვიტა ყველა პრობლემა!

— არა, ბატონო! — შეიცხადა ბიძინამ.

— რაც არის ეგ არის, აწი არაფერი ეშველება! — დაამშვიდა ამირანი ჭიჭიკომ — პირველი ცდა მარცხით დამთავრდა, მარა არა უშავს, შემდეგი საქმე უფრო კარგად წავა.

— აბა, ფული დაგვიბრუნე ბიძინა და წადი ახალ სამსახურში, რას ერჩი იმ კაცს, ხომ მოგაწყო! — მიუბრუნდა ამირანი ბიძინას.

— ამირან, მთლად მასე მარტივად არ არის საქმე, ოპერაცია ჩაიშალა და დამნაშავე ბიძინაა, ცილისწამებისათვის ამ კაცის სქმე გამოძიებას უნდა გადავცეთ!

— კი, მაგრამ არ აიღო იმ კაცმა ფული და რა ქნას ბიძინამ!

— რა და პასუხი უნდა აგოს ცილისწამებაზე!

— რა ვიცი, კაცო, დღეს რა მოუვიდა, — შეეშინდა ბიძინას — თვითონ მითხრა, ამდენი მოიტანეო!

— წესი წესია ჩემო ამირან, — განაგრძო ჭიჭიკომ — შენ ახალი კაცი ხარ და არ იცი, ეს ამბავი რომ გახმაურდეს, მე და შენ ტყავს გაგვაძრობენ!

— აბა, რა ეშველება ბიძინას?!

— ერთი გამოსავალია, — მიუბრუნდა ჭიჭიკო ბიძინას — თუ გინდა საქმე არ გადავცეთ გამოძიებას, ჩვენ უნდა შევქმნათ საბუთები შენზე, რომ ჩვენი უფასო აქტივისტი ხარ!

— ეს რას ნიშნავს!

— ეს იმას ნიშნავს, რომ თუ რაიმე კანონს დარღვევა, გამოძალვის შემთხვევას შეიტყობ ლიმონათის ქარხანაში, ჩვენ უნდა გვაცნობო.

— კი ბატონო! — ყველაფერზე მზად იყო შეშინებული ბიძინა — მე ისე მეზარება ეგ მექრთამე ხალხი, რომ თქვენ რომ არ მითხრათ, მე თვითონ მოვალ.

— მაშინ, ჩემო ბიძინა, შენ თვეში ერთხელ უნდა მოხვიდე ჩვენთან და შენი ეჭვები გაგვანდო.

— ისე, დღეს ბიძინა მე ძალიან მომეწონა, — წააქეზა ამირანმა ბიძინა — ძალიან კარგად ეჭირა თავი, თუ მოინდომებს, შეიძლება ჩვენთან, მილიციაშიც, დავაწყებინოთ მუშაობა.

— აჰ, არა, მილიციაში მუშაობა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ თუ დანაშაულს ჩადის ვინმე, ამას ვერ ვიტან!

— შევთანხმდით, შენ თვეში ერთხელ მოგვინახულებ. აი, ამ ქაღალდზე მოგვიწერე ხელი, რომ შენ ჩვენი აქტივისტი ხარ და შენს საქმეს გამოძიებას არ გადავცემთ.

ბიძინამ რამდენჯერმე წაიკითხა, მისი სახელით დაწერილი განცხადება აქტივისტად მიღებაზე მილიციაში, შემდეგ ხელი მოაწერა, დაემშვიდობა და წავიდა.

— თუ ოპერაციიდან არაფერი სახეირო არ გამოვიდა, ერთი აგენტი მაინც შევიძინეთ, ეს ეს ხეირი მაინც ვნახეთ!

— ჭიჭიკო, წამოდი სადმე რესტორანში შევიდეთ, ეს ბოღმა არაყში მაინც ჩავკლათ!

— არავითარ შემთხვევაში, ახლა რომ დავლიოთ, ოპერაციის ჩაშლაში დაგვებედება, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გამარჯვებები უნდა ავღნიშნოთ, ჩემო ამირან.

— კარგი ეგრე იყოს. აბა, წავიდეთ სახლებში. მე ერთ ბოთლ არაყს მაინც დავურტყამ, რომ ნერვები დავიწყნარო, — ამირანი წამოდგა და ჭიჭიკოსთან ერთან კაბინეტიდან გამოვიდა.

ამირანი სახლში გვიან მივიდა შევიდა თუ არა ოთახში, მაშინვე გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. ამირანმა გოგას ხმა იცნო;

— ამირან, სახლში იყავი, შენთან უნდა გამოვიდე! — და ყურმილი დაკიდა. ამირანი მიხვდა გოგას მოსვლის მიზეზს. მართლაც არ გასულა რამდენიმე წუთი და კარებზე გაისმა ზარის ხმა. კარი რომ გაიღო, ოთახში პირველი ზურაბ ხარიტონაშვილი შერმოვიდა, მას შემოჰყვა გოგა.

— ამირან, ამ კაცს გიტოვებ, მე ქვევით დავუცდი მანქანაში — გოგა მიტრიალდა და ისე დაეშვა კიბეებზე, რომ ამირანმა სიტყვის თქმა ვერ მოასწრო. კარები დაკეტა.

— დაბრძანდით ბატონო ზურაბ, ჩვენ კარგა ხანია ერთმანეთს არ შევხვედრივართ, ალბათ მას შემდეგ რაც სამსახურში არ მიმიღეთ.

— ამირან, მე თავიდან შევიტყვე, რომ ჩვენთან მუშაობა შენი საქმე არ იყო.

— მაშინ, ოჯახი მყავდა და ფული ძალიან მჭირდებოდა, მაგრამ რაც იყო — იყო, იქნება მართლაც უკეთესიც იყო. ასე თუ ისე მე თქვენს ვაჟთან ძმაკაცობას ვერ ვუღალატებდი.

— ეტყობა, არც ბოღმიანი კაცი ხარ!

— ალბათ ეგეც არის.

— ჩემო ამირან, მაგ ფაბრიკაში უკვე 30 წელია ვმუშაობ კადრების უფროსად, მე ჩემი ფულის საკეთებელი არეალი მომცეს და მითხრეს, სხვაგან ცხვირს ნუ ჩაყოფო. არც არასოდეს ჩამიყვია და არც მაგათი საქმეები მაინტერესებს, თუმცაღა ბევრი რამე მესმის და ვიცი.

— ამიტომაც გაძელით ამდენი ხანს.

— ცხრა დირექტორი გამოვიცვალე! თუ შენისთანა კეთილი ხალხი მრავლად იქნა, კიდევ რამდენიმეს გამოვიცვლი!

— რა ვიცი, სიკეთე ჩავიდინე თუ არა, იმ კაცის საქმე გამოძიებას გადავეცით.

— ახია მაგაზე, რას ჩიოდა თქვენთან; კი, მაგრამ რა დააშავა?

— ქრთამის მიმცემი და ცილისმწამებელი ყველა ისჯება!

— ამირან, ეს ჩემი მუშაობის მანძილზე პირველი შემთხვევაა, როცა ფული დამინომრეს, იმიტომ, რომ ვინც ჩვენთან სამუშაოდ მოდის, ყველა დამწყები ქურდია, თუმცა ეს ქმედება ჩვენთან ქურდობად არ ითვლება. მუშებს მიაჩნიათ, რომ ისინი იმ თანხას ინაზღაურებენ ამ ქურდობით, რასაც სახელმწიფო ხელფასის სახით უნდა უხდიდეს, მაგრამ არ უხდის!

— რამდენ ხანში უნდა ამოეღო იმ კაცს ეგ ფული?

— გამოუცდელს, სანამ ისწავლის, მაღაზიებს გაიცნობს, დაცვას ნდობას მოიპოვებს, ოთხი თვეც ყოფნის.

— ერთი ეს მითხარით, ძია ზურაბ, ამდენი ზედმეტი თამბაქო საიდან ჩნდება ქარხანაში?

— მარცხენა შემოდის, ხარისხს აფუჭებენ, სიგარეტის ღეროს ზომას ამცირებენ, სინესტეს უმატებენ.

— საწყალი ლაუაზიე! მაგისთის მოჰკვეთეს თავი ფრანგმა რევოლუციონერებმა.

— ვინ იყო შვილი ლაუაზიე?

— ერთი ფრანგ, კარგი ქიმიკოსი იყო. რევოლუციონერებმა თამბაქოს დამზადება დაავალეს. გზაში შეგვინდა და თამბაქოთი დატვირთული დროგები მდინარის პირას გააჩერა. ვიღაცამ დაასმინა, თითქოს ეს მან განზრახ გააკეთაო წონის მოსამატებლად. თამბაქოს ნესტიანობა მომატებული აღმოჩნდა და როგორც რევოლუციის მტერს თავი გილიოტინაზე მოჰკვეთეს!

— კიდევ კარგი, ეგ კანონები დღეს არ მოქმედებს, თორემ ხომ დარჩებოდა ქარხანა უპატრონოდ! — გაეცინა ზურაბს.

— რამ შეგაწუხათ, ბატონო ზურაბ?

— შვილო ამირან, შენ და გოგა მეგობრები ხართ და ამ მეგობრობამ გადამარჩინა მეც. გოგამ არ იცის, მაგრამ შენ გეცოდინება, საქმიანი მეგობრობა სხვაა, ხალასი მეგობრობა — სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს მეგობრობა ჰქვია, შინაგანად ისინი ერთმანეთს ვერ ეგუებიან და თავიანთი პოზიციებიდან ერთმანეთს ვერ უგებენ.

— მაგით რა გინდათ თქვათ, ძია ზურაბ?

— ის, რომ შენს დღევანდელ ოპერაციაში რამდენიმე კაცი მონაწილეობდა. ალბათ, შენმა უფროსებმა იცოდნენ, ყველა თავის საკბი-

ლოს მოელოდა. ამიტომ, როგორც საქმიანმა კაცმა, შენდამი პატივისცემის ნიშნად ოცი ათასი მანეთი მინდა გავიღო. იმ მადლიერების ნიშნად, დღეს რომ ვირის აბანოში არ აღმოვჩნდი.

— არა, ბატონო ზურაბ! — უხერხულად შეიშმუშნა ამირანი.

— მომისმინე, აქ ემატება თანხა ჯარიმის სახით, რადგან შენი და გოგას ურთიერთსიყვარული ვერ გავიგე და სამსახურში არ მიგიღე. ისე, მართალი გითხრა, არ ვნანობ, დღეს ხომ ვერ გამომადგებოდი!

— ჩემს წილს მე და გოგა გამოვუყვანთ წირვას!

— ეგ თქვენი საქმეა, მაგრამ გოგას არ უთხრა, რომ ამდენი მოგეცი, — უთხარი ხუთი ათასი მოიტანა-თქო თუ გკითხოს, მაგას ადვილი ჰგონია ოჯახის რჩენა!

— გოგა ხომ დაოჯახებულია?

— ორი წლის წინათ შეირთო ცოლი, ერთი ბიჭი მოახლაფორთა, ფულის შოვნაზე არ ფიქრობს, მაგას ჰგონია, მე ყოველთვის ვეყოლები.

— კარგად იყავით, ძია ზურაბ, მეც კარგი საქმე გავაკეთე და თქვენც არაფერი შეგეშალათ!

— აბა, კარგად, შვილო ამირან, აწი უფრო ფრთხილად ვიქნები, ეტყობა წავთამამდი, სიფრთხილე დავკარგე. ყველაფერი წლების ბრალია ალბათ!

— ჯერ ახლაგაზრდა ბრძანდებით!

— ორმოცდათხუთმეტს გადავაბიჯე. აბა, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და კარგად იყავი!

ამირანმა სადარბაზომდე გააცილა და კარები გადაკეტა.

ამდენი ფული ამირანს ერთად არასდროს არ ენახა. ცოტა შეშინდა კიდეც, ეჭვმაც გაკრა, ფრთხილად, პინცეტით გამოაძრო ერთი ასმანეთიანი, სინათლეზე გახედა, ასანთის ღერით წყალიც დააწვეთა, მერე ასანთის ღერო მკლავზე წაისვა, არ გაწითლდა. ყველაფერი რიგზე იყო. ამირანმა ასმანეთიანების შეკვრა სულ სამი აღმოჩნდა. „მაინც სად მოაგროვა ამ შობელძაღლმა ამდენი?“ — გაიფიქრა ამირანმა, ეს ამირანის 18 წლის ხელფასი იყო ამ თანამდებობაზე რომ ემუშავა: „კადრების გამგეს რომ ამდენი აქვს, დირექტორს რა ექნება? ალბათ ფულს წონით ითვლის!“

ამ ფულით მას სამი მანქანის ან ერთი სამოთახიანი ბინის და ერთი მსუბუქი მანქანის ყიდვა შეეძლო. შემდეგ აიღო ქაღალდი და ფანქარიდა გადაწყვიტა ეანგარიშა თუ რამდენს იპარავენ მუშები, დირექტორი და მისი მაფია და ციფრებს რომ გადახედა, გონება აემღვრა, შეშინდა კიდეც. მიხვდა, რა ფულის პატრონებს უნდა დაპირისპირებოდა და ეს მარტო თამბაქოს ფაბრიკაში. რა ხდებოდა კვების მრეწველობის სხვა წარმოებაში და მაცივრებში, მხოლოდ ღმერთმა უწყოდა. კარგა ხანს არ დაეძინა, თავის საქციელზე ფიქრობდა, დღეს რამხელა ფარსი გაითამაშა. ჭიჭიკო ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ეს ოპერაცია ამირანმა ჩაშალა. ხშირად ბევრი გაუგებარი რამ ხდება. მაგრამ ფაქტის სიჯიუტეს წინ ვერაფერი დაუდგება.

მიუხედავად იმისა, რომ ამირანი ამ მოზრდილი თანხის შოვნით გახარებული იყო, თავს მშვიდად მაინც ვერ გრძნობდა, რაღაც სინდისის ქეჯნას განიცდიდა. ამ ფიქრების წვალებაში იყო, რომ ძლივს ჩეძინა.

* * *

დილით ადრე გაეღვიძა. ბინის ყველა კუთხე-კუნჭული მიათვალ-მოათვალიერა. ახლა ამ ფულის დამალვაზე, დაბანდებაზე უნდა იფიქროს, ანერვიულდა: „ღმერთმა ასე უშნო რად გამაჩინა, ამდენი ფული მაქვს და რა მოვუხერხო, არ ვიცი, შეიძლება ჩემი ერთოთახიანი ბინა, — რომელიც მშობლებისაგან დარჩა „ჯერ ორში, შემდეგ კი სამოთახიანში გადავცვალო. მაგრამ ეს უნდა მოხდეს თანდათანობით 2—3 წელიწადში. მანქანის შეძენაც უცბად არ იქნება. ჯერ ჩემს მშობლებს ძროხა, ღორი, დეკეული უნდა ვუყიდო, გავასუქებინო და „ხორცკომბინატს“ ჩავაბარო და იქიდან აღებული ცნობა საშუალებას მომცემს მანქანა ვიყიდო. ჩაბარებული საქონელი არ ეყოფა, ორ სულ საქონელზე მეტის ყიდვის უფლებას კი კანონი არ იძლევა,“.

ამირანი ბებია-ბაბუასთან ხშირად დადიოდა გორის რაიონის სოფელ ქიწნისში; ბებია-ბაბუის გარდაცვალების შემდეგ სოფელში დედ-მამა გადავიდა საცხოვრებლად. ამ ხნის განმავლობასი ამირანი პირველად დაფიქრდა სოფლის მეურნეობაზე და იმ ხვრელების

ძებნაზე, რომელიც მას საშუალებას მისცემდა ეს ფული ყაირათიანად გამოეყენებინა. ფულის მშობლებისთვის მიბარება არ ივარგებდა. მის მშობლებს ამდენი ფულის დანახვა დააფრთხობდა, გონებას აუმღვრევდა.

საათს დახედა, უკვე ათი საათი იწყებოდა. სასწრაფოდ წამოდგა, ფული ლეიბის ქვეშ ამოდო და სამსახურისაკენ გაემართა.

კაბინეტის კარი გაიღო და ზღურბლზე ჭიჭიკო გამოჩნდა ვიღაც სოლიდურად ჩაცმულ შუახნის მამაკაცთან ერთად.

— ბატონო ამირან, შეიძლება? — იკითხა ჭიჭიკომ.

— მობრძანდით! — ამირანი ფეხზე წამოდგა, ორივეს მიესალმა ხელის ჩამორთმევით და სკამზე მიუთითა.

— ბატონო ამირან, მე მინდა გაგაცნოთ ჩვენი დიდი დამხმარე და აქტივისტი ბატონი ბესარიონ ჯაყელი. ეს ჩვენი განყოფილების დიდი მეგობარია, ერთი პერიოდი შევთავაზეთ ჩვენთან შტაბში ემუშავა და ეს წინადადება რომ მიეღო, დღეს ალბათ მაიორობას მაინც მიაღწევდა, მაგრამ მან ჩუმად, თავის ჭკუაზე, მუშაობა არჩია.

— ძალიან სასიამოვნოა, ბატონო ბესარიონ, თქვენი გაცნობა, ჭიჭიკოს ადრეც ჰქონდა საუბარი თქვენს შესახებ, — იცრუა ამირანმა.

— ვცდილობ, ბატონო, რაც შემიძლია, დაგეხმაროთ, — სახე გაებადრა სიამოვნებისაგან ბესარიონს — ხალხში ყოფნა და მასლაათი მიყვარს. ხალხს ხანდისხან ისეთი რამე წამოსცდება, რაც არ უნდა წამოსცდენოდა!

— ბატონი ბესარიონი ჩვენთან უკვე თითქმის ათი წელია თანამშრომლობს, მას „ზევითაც“ კარგად იცნობენ, მაგრამ რადგანაც ჩვენს რაიონში ცხოვრობს და თავის რაიონში უნდა რომ უკეთესად იყოს საქმეები, მოკლედ ჩვენი რაიონის პატრიოტია, ბევრი ვიგინდარა „ჩაუშვა“ ვირის აბანოში; მაგის აგენტურული მონაცემები დაუფასებელია ბატონო ამირან! — შეაქო ჭიჭიკომ.

— სრულყოფილ სახელმწიფოში სიტყვები: — დამსმენი, ინფორმატორი, ჩამშვები, აგენტი, არ არსებობს. არსებობს — კონსტიტუციის და კანონის დამცველი მოქალაქენი, რომლებიც კანონის და კანონიერების დარღვევას პირად შეურაცხყოფად აღიქვამენ — ახლა

ამირანმა მოინდომა მჭერმეტყველების გამომზეურება — ისინი ამ დარღვევებს აცნობებენ კანონის სადარაჯოზე მდგომ პოლიციელებს, რომ ძირშივე აღკვეთონ მოსალოდნელი დანაშაული და ეს პროფილაქტიკა დიდი საქმეა.

— ამირან, ბესარიონი როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ფასდაუდებელი დამხმარეა, ამიტომ პირადად გაგაცანით, ჩვენი საიდუმლო ბინები იცის და თქვენი ნებართვით მინდა თქვენი სამსახურის და სახლის ტელეფონის ნომრები, ბინის მისამართი მივცე, ხანდახან ისეთი სასწრაფო საქმეა, რომ იმ ღამესვე თუ არ იქნა დაწყებული, დილით უკვე გვიან იქნება!

— ბატონო, რადგან ჩვენი განყოფილების ასეთი მეგობარია, რაც საჭიროა, მიეცი, თუ რამეში დახმარება დაგჭირდეთ, ბატონო ბესარიონ, მიგულეთ თქვენს მეგობრად!

— აბა, კარაგდ ბრძანდებოდეთ, ბატონო ამირან, თუ რამე საინტერესო იქნება, პირადად შეგაწუხებთ. — წამოდგა და ამირანს ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა.

— ჭიჭიკო, გააცილე მეგობარი და მერე შემოდი ჩემთან, საქმე მაქვს.

ჭიჭიკომ ბესარიონი კარებამდე მიაცილა, დაემშვიდობა და ამირანთან შეტრიალდა.

— ჭიჭიკო, რა ვუყოთ თამბაქოს ქარხანას, აგენტებმა ისეთი სურათი დამიხატეს, რომ თმები ყალყზე დამიდგა, ზოგ მუშას თურმე ხუთას კოლოფამდე სიგარეტი გამოაქვს დღეში, ხოლო ორასი ცალი მინიმუმია. რეიდი ხომ არ მოგვეწყო ერთი, ასე გათავხედებაც არ შეიძლება, უკვე აღარაფერს ერიდებიან.

— ჯერ ერთი, რეიდი ქალაქის სამმართველოსთან ერთად უნდა მოვაწყოთ, ეს უნდა იცოდეს ქალაქის პარტიულმა კომიტეტმა, ატყდება ბაზარი და ერთი კვირის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

— აბა, რა ვქნათ, არ დავიწყოთ დირექტორზე ნადირობა?

— დავიწყოთ, მაგრამ მაგას ისეთი პატრონი გამოუჩნდება, აქეთ დაგვიჭერს!

— იმ დღეს ვიყავი თამბაქოს ქარხნის დაცვაში, შევამოწმე სატვირთო მანქანების შესვლა-გასვლის ჟურნალი, მე საერთოდ მხედველობითი მეხსიერება კარგი მაქვს. რამდენიმე მანქანის ნომერი და ჟურნალში გატარების რიგითი ნომერი დავიმახსოვრე — ხუთი დღით ადრე, ვიდრე იმ ჩაშლილ ოპერაციას ჩავატარებდით. გუშინ ისევ გადავხედე ამ ჟურნალს და ერთი სატვირთო მანქანის ნომრის მაგივრად ფურგონი „მოსკვიჩის“ ნომერი იყო ჩაწერილი, მხოლოდ ისე, რომ გადასწორებულის არაფერი ეტყობოდა.

— ალბათ აგერიათ ნომრები, როცა ბევრ ციფრს ხედავ, თვალი გიჭრელდება.

— ჭიჭიკო, მე არაფერი მეშლება და არც არაფერი მავიწყდება, ბავშვობიდან მხედველობითი მეხსიერება მაქვს ნავარჯიშევი!

— მე, აბა ვერაფერს გეტყვით, საჭიროა მაშინ ჩუმად მაგ გვერდების გადაღება ისე, რომ დაცვამ ვერ შეამჩნიოს და თუ ეს ასეა, როგორც თქვენ ბრძანეთ, მაშინ უტყუარად გვეცოდინება რამდენი „მარცხენა“ სატვირთო გაუშვეს.

— მასეთი გადასაღები ხელსაწყო ჩვენ არ გვაქვს. ეს საქმე სამინისტროში უნდა აღვძრათ, მაგრამ რა გინდა ქნა, მასეთ ხალხს იქაც ეყოლებათ თავისიანებია და გააფრთხილებენ!

— ამირან, თუ არ იცი, გაგონილი მაინც გექნება, ჩვენთან წარმოების ხელმძღვანელებს ყოველთვიურად მოაქვთ დახმარება — კულტურულად რომ ვთქვათ.

— ჩვენებურად, ქრთამი. — შეეშველა ამირანი.

— სწორედ მაგაშია საქმე, ამ თანხას შენს ადგილზე ვინც იჯდა, ის კრეფდა, ახლა ეს თანხა ჩემთან გროვდება, რომელიც, რა თქმა უნდა, დანაწილებულია — ვინ რამდენი უნდა აიღოს, სად უნდა წავიდეს და ასე შემდეგ. ეს თანხა რომ არ ავიღო, არ გაგვაჩერებენ. მე ჩემი გითხარი და შენ როგორც გინდა, ისე გადაწყვიტე.

— ჭიჭიკო, შენ იცი, რომ მე კომკავშირიდან გადმოსული კაცი ვარ და ვისი რეკომენდაციითაც, ისეც მოგეხსენება; მე მაგ კაცს ვერ ვუღალატებ. ჩვენ ასე შევთანხმდით, ამ ქვეყანას ასე უცებ ვერ გავასწორებთ. ეგ თანხები შენ აკრიფე, ჩემი წილიც შენ გქონდეს და შევთანხმდეთ, რომ მე მაგის შესახებ არაფერი არ ვიცი.

— ასე სუფთად გამოძრომა არ გამოვა, ბატონო ამირან, წესი წესია, თქვენ თქვენი წილი უნდა მიიღოთ!

— ჭიჭიკო, მე ვთქვი და გავათავე! მაგის შესახებ არაფერი ვიცი, თუ აუცილებელია, მოაგროვე ეგ თანხა, თუ არა და ყველას უარი ვუთხრათ და დავუბრუნოთ.

— მაშინ ამის შესახებ ვახტანგს უნდა შევატყობინოთ, როგორც ის იტყვის, ისე მოვიქცევი, რადგან მაგის წილიც საკმარისადაა ამ თანხაში.

— კი ბატონო, ჩვენი საუბარი შეეგიძლია მთლიანად გადასცე!

ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. რეკავდა ვახტანგ ამირეჯიბი.

— ამირან, შენი მუშაობიდან ორ თვეზე მეტი ხანი გავიდა, ბატონმა შადიმანმა დაგვიბარა. გველოდება საღამოს რვა საათზე.

— კი ბატონო, რვა საათისთვის მდივნის მისაღებში დაგიცდით!

ამირანმა ჩამოწერა ქაღალდზე სად რის გაკეთებას აპირებდა.

საღამოს რვა საათისათვის უკვე შადიმანის კაბინეტში ისხდნენ.

— აბა, ამირან, გვითხარი რა გააკეთე, რის გაკეთებას აპირებ?

— ბატონო შადიმან! — დაიწყო ამირანმა — ყველა წარმოებაში ცოტ-ცოტა დარღვევები ხდება, აგენტურული მონაცემებით ვამოწმებთ, მაგრამ, რაც თამბაქოს ფაბრიკაში ხდება, ყოველნაირ ფანტაზიას აღემატება. მუშებს ისე გამოაქვთ თამბაქოს შეკვრები ქარხნიდან, არავის ეპუებიან. სატვირთო მნქანები ერთიდაიგივე ზედდებულით გადიან, შემდეგ ერთ მანქანას ჟურნალიდან ამოაგდებენ და ყველაფერი წესრიგშია.

— კი, მაგრამ ჟურნალში გადასწორება რომ არ შეიძლება.

— ამას ისე აკეთებენ, რომ გადასწორებული არაფერი არ არის. ან ორი ჟურნალი აქვთ, ან რაღაც ხდება.

— რას აპირებთ?

— მინდა პირველ რიგში ამ თავხედობას მოვუღოთ ბოლო და მუშების მასიური დაჭერა მოვახდინოთ. შემდეგ მინდა თქვენი დახმარებით სახელმწიფო უშიშროება ჩავრიოთ თავისი აპრატურით და ეს ჟურნალები ჩუმად გადავიღოთ. შეიძლება იქ ჩვენი აგენტის მოწყობა დამლაგებლად ან სულაც დაცვაში, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც გვეცოდინება, რამდენი მარცხენა სატვირთო მანქანა გადის.

— სხვაგან რა მდგომარეობაა?

— შოკოლადის ქარხნიდან მუშებს ორ-ორი ფილა ყოველთვის გამოაქვთ ყოველგვარი გაფორმების გარეშე, პურის ქარხნიდან სამ-სამი პური, ასე რომ ცოტ-ცოტას ყველა ქურდობს, ოღონდაც, არა მგონია, პური ან შოკოლადის ფილები გაყიდონ, ალბათ, ბავშვებთან მიაქვთ ოჯახში, ან ნაცნობებს აძლევენ. თამბაქოს ქარხანა კი მასობრივ ქურდობაზე და ფულის კეთებაზეა გადასული.

— რას აპირებ? — ისევ ჩაეკითხა შადიმანი.

— თუ თქვენი ნებართვაც იქნება და ქალაქის მილიციის თანადგომაც, რეიდები უნდა მოვაწყოთ. ცოტათი მაინც შეშინდებიან მუშები და ხელმძღვანელობა. თუ სახელმწიფო უშიშროება გადასაღებ აპარატურას გვათხოვებს, დანარჩენს ჩვენ მივხედავთ!

— რას იტყვი ვახტანგ, როგორ მოგწონს ამ ახლაგაზრდის გეგმები?

— მართლაც ცუდი მდგომარეობაა მაგ ქარხანაში. მე რაც მილიციაში ვმუშაობ, სულ მაგ ქურდობას ვებრძვი; დირექტორები ორ წელზე მეტს ვერ ძლებენ, მაგრამ მაგ ქარხანას არაფერი ეშველა.

— მოაწყეთ რეიდები, იქნებ ცოტათი მაინც მივაწყნაროთ ქურდობა. რაც შეეხება გადასაღებ მოწყობილობას, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს მე თვითონ დავურეკავ, მგონია, დაგვეხმარება.

ვახტანგი და ამირანი წამოდგნენ და გარეთ გამოვიდნენ.

— ვახტანგ, ხვალ დილასვე წავიდეთ ქალაქის მილიციის სამმართველოში და მაგ საქმეს გავუკეთოთ ორგანიზება.

მეორე დღეს, დილით ქალაქის მილიციის სამმართველოში, გივი ხაბაზის კაბინეტში, იყვნენ.

— ამირან, ჩემი კოლეგა და ჩვენი საქმიანობის თანამოაზრე რომ გახდი, ამის შესახებ მე ვახტანგ ამირეჯიბისაგან უნდა გავიგო, თუ მე და შენ იმდენი ძმობა არ გვაქვს, რომ თუ არ მოხვედი, დაგერეკა მაინც?

— დამნაშავე ვარ ბატონო გივი, მინდოდა ჯერ გამერკვია, სად გავყავი თავი!

— შენი რაიონი მართლა რთულია, ყველა სასუნავი ორგანიზაცია შენთან არის თავმოყრილი.

— გივი, ამ ჩვენს წამოწყებაში თუ დაგვეხმარები?

— კი, ბატონო. დაგეხმარებით, ხალხსაც მოგცემთ, მაგრამ უფროსს უნდა შეუთანხმო, რადგან ჯერ ავტობუსებით ხალხი დამეჭიროს, შემთხვევა არ მქონია. თქვენ აქ დამიცადეთ, მე მალე მოვალ.

ერთი საათის შემდეს გივი შემოვიდა. მეტად სერიოზული სახე ჰქონდა:

— თანხმობა მიღებულია, პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი საქმის კურსშია, გვთხოვეს ყოველგვარი ექსცესების გარეშე დღესვე ჩავატაროთ ეგ ოპერაცია, თქვენ თუ წინააღმდეგი არა ხართ, უფროსობა მე დამავალეს.

— კი, ბატონო, ჩემთვის ეგ უკეთესია! — თქვა ვახტანგმა — ქუჩის მარცხენა მხარეს, იმორიგეევებენ ჩვენი თანამშრომლები თავიანთი მსუბუქი მანქანებით და სიგარეტს მაღაზიის მაგივრად ჩვენს სამმართველოში ჩააბარებენ. მოკლედ ყველაფერი მზად არის. ბიჭები და ავტობუსები ალბათ უკვე ქარხნის წინ დგანან. შესვენებაზე დაიწყებენ სიგარეტების გატანას ქარხნიდან და ჩვენც იქ უნდა დავხვდეთ. რამდენიმე წუთის წინ მაგ ქუჩებში ავტოინსპექტორები ჩავაყენე და ჩვენი თანამშრომლების მანქანების გარდა სხვას არ გააჩერებენ.

დღის პირველი საათისათვის დაიწყო ოპერაცია, მუშები ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ ქარხნიდან, ყველა მანქანას ეძებდა. იქვე გაჩერებულ თანამშრომლების მანქანებში თითოში ოთხ-ოთხი ადამიანი ჯდებოდა, ქალები ჭარბობდნენ, ხოლო ისინი ვინც ნაცნობ მძღოლებს ეძებდნენ, საწინააღმდეგო მხარეს გადადიოდნენ, სადაც მილიციის გადაცმული თანამშრომლები ავტობუსში ასვლას თხოვდნენ.

ნახევარ საათში ოპერაცია დამთავრებული იყო, სულ ასამდე კაცი მოხვდა ბადეში. ხოლო ვინც საქმის ვითარება გაიგო, ქარხნიდან საერთოდ არ გამოვიდა ან სათადარიგო გასასვლელიდან გააპარა ქარხნის დაცვამ. ამირანს აქაც არ „გაუმართლა“, აქაც ერთი თავისი ყოფილი მეზობელი, დეიდა მზია ნახა, რომელსაც ორმოცი შეკვრა სიგარეტი აღმოაჩნდა. აქტი ყველაზე შეადგინეს, სიგარეტები დაატოვებინეს და ქარხანას სია წარუდგინეს და მოსთხოვეს მათი დასჯა. ამ სიაში დეიდა მზიას გვარი „გამორჩა“ ამირანს.

მეორე დღეს ქარხნის ტერიტორიაზე და გასასვლელში მორიგეობა დააწესეს. მილიციის თანამშრომლებთან ერთად მორიგეობდ-

ნენ კომკავშირლებიც და დროებით სიგარეტების მასობრივი ქურდობა შეწყდა.

ერთ დღეს ამირანთან ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა და მიღება სთხოვა. ამირანმა მიიღო. ბიჭმა კაბინეტში შესვლისთანავე კარი კარგად მიხურა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მოწმობა აჩვენა.

— მე გამომაგზავნეს კომიტეტიდან, რათა ტექნიკური დახმარება გაგიწიოთ. — მან გახსნა „კეისი“ და ამოალაგა ღილი, სანთებელა, ავტოკალამი, მაჯის საათი, — ეს ყველაფერი გადამღები მოწყობილობაა. დაგიტოვებთ ჩემს ტელეფონის ნომერს და როდესაც თქვენ შეარჩევთ პიროვნებას, რომელსაც ამათი გამოყენება დაევალება, დამირეკეთ. ერთ დღეში მოვამზადებ. რაც შეეხება ფირს, ჩვენ გამოვამჟღავნებთ და დაგიბეჭდავთ.

— ყველა ასაკის ადამიანი აითვისებს თვენს აპარატურას?

— დიახ, ძნელი არ არის. აი, ნახეთ საათი, საკმარისია საწერი მაგიდიდან 20–25 სმ დაშორებით ციფერბლატით ქაღალდს მიუშვიროთ და მოსამართს თითი დაჭირეთ და სურათიც გადაღებულია, ასევე ავტოკალამიც, უკან ღილაკზე ხელს დააჭერთ და გადაიღებს. ღილის დაკერებაც შეიძლება მკერდის არეში და ჯიბეში იქნება დასაჭერი მოწყობილობა. ასე, რომ მთავარია იცოდეს, რა უნდა გადაიღოს და რა კუთხით უნდა მიუდგეს გადასაღებ ფურცელს.

— კარგით, ხვალ გამოგიგზავნით. ერთ დამლაგებელი ქალი გვყავს, საკმაოდ საზრიანი და ნახეთ, თუ გამოდგება.

— ხვალ ამ ნომერზე დარეკოს.

კოტემ უკანვე ჩაალაგა თავისი ნივთები და უხმაუროდ გავიდა ამირანის კაბინეტიდან.

ამირანს ესიამოვნა, შადიმანმა გულთან ახლოს რომ მიიტანა მისი თხოვნა და დანაპირები აუსრულა. ერთი კვირის შემდეგ ორმოცდაათ წელს მიღწეული დეიდა მარო გულმოდგინედ ალაგებდა საყარაულო შენობას და შეთანხმებისამებრ ხან — ამირანი, ხან — ჭიჭიკო მიდიოდნენ საყარაულოში და ჟურნალს თვალს გადაავლებდნენ ხოლმე, ამბავს იკითხავდნენ, დაცვის ბიჭებს გაესაუბრებოდნენ და წავიდოდნენ. ამასობაში კი დეიდა მარო მარტო დარჩე-

ბოდა ოთახში და ავტომანქანის მოძრაობის რეგისტრაციის ფურცლებს გულმოდგინედ იღებდა.

ორი კვირის შემდეგ ამირანმა სთხოვა დაცვის ხალხს მანქანების მიმოსვლის აღმრიცხველი ჟურნალის ქსეროასლების გადაღება, ქსეროაპარატურა იქვე ქარხნის ბუღალტერიაში იყო დამონტაჟებული. ეჭვი არავის არაფერში შეპარვია.

მეორე დღეს კოტემ გამოუგზავნა ფოტო-ფირების გადიდებული ფურცლები — 15 დღის ანგარიში.

ამირანი თვალებს არ უჯერებდა, თითქმის ყოვლ დღე ორი-სამი სატვირთო მანქანის ნომერი იცვლებოდა მსუბუქი ავტომანქანების ნომრებით, რომელთაგან ერთი ემსახურებოდა სასადილოს, მეორე — მთავარ მექანიკოსს.

ფირზე აღბეჭდილი იყო სატვირთო მანქანის ნომრები, ხოლო ასლზე ეს ნომრები იცვლებოდა ქარხნის მომსახურებაზე დაკვეთილი მსუბუქი მანქანების ნომრებით. ამირანმა ჭიჭიკოს დაუძახა.

— ჭიჭიკო, ხომ ხედავ, რა მეხსიერება მაქვს, კინაღამ საკუთარ თავში ეჭვი შემეპარა.

— გამოდის, რომ ეგ შობელძაღლები დღეში ორ-სამ კამაზს უშვებენ მარცხნივ.

— ნახევარ თვეში ორმოცი მანქანა გამოვიდა, კვირა დღესაც „მუშაობენ“.

— რა ვქნათ? ვის ვუთხრათ? ბუღალტერიაში ყველაფერი წესრიგში ექნებათ, ექსპერტიზაც ვერაფერს დაადგენს, თანაც ბურთულიან კალმისტარს ისეთი საღებავი აქვს, მისი შეუმჩნევლად ამოყვანა შეუძლებელია, რაღაცაშია აქაც საქმე, ისევ მაროს უნდა დავავალოთ, ღამის ცვლაში ეცადოს იმ სამორიგეოს დალაგება, იქნებ რამეს მიაგნოს.

ამირანის თხოვნით მარომ ღამის დამლაგებელს დილის ცვლაში გაუცვალა ადგილი და შედეგმაც არ დააყოვნა. მაროს თქმით, საღამოს ათ საათზე მოდის მომარაგების უფროსი, დაწერილს ავტოკალამზე უკან გაკეთებული საშლელით შლის სუფთად და მომსახურე მსუბუქი მანქანების ნომერს ასწორებს. ეს კალამი ყველას თვალწინ დევს და ყველა ამ კალმით წერს ჟურნალში მანქანების ნომრებს.

მეორე დღეს ამირანი გულის ფანცქალით მივიდა სამორიგეოში, ტელეფონის ნომერი თხოვა დაცვას და ჟურნალში ჩადებული იმ ავტოკალმით ჩაიწერა. მერე ნახა დრო და ამ კალმისტრის უკან მომაგრებული საშლელი ტელეფონის ნომერს გადაუსვა და ფურცელზე თითქოს არაფერი წერებულა.

ამირანისთვის უკვე ცნობილი გახდა ყველაფერი და გახარებული მივიდა ვახტანგ ამირეჯიბთან, რათა თავისი აღმოჩენა გაეზიარებინა და თანაც თავიც მოეწონებინა.

ვახტანგმა ამისთანა გახარებულ სახეს რომ შეხედა, ჰკითხა:

— ამირან, რაღაც გახარებული ხარ, შენც გაიგე ახალი ამბავი?

— რა ამბავი?

— რა და შადიმანი ჩვენს მინისტრად გადაიყვანეს!

— არა ეს არ გამიგია, პირველად თქვენგან მესმის, მე უფრო სხვა საქმემ გამახარა, — და თავისი აღმოჩენა აცნობა.

— ძალიან კარგი, ჩემო ამირან, უჩვენოდ ნურაფერ ღონისძიებას ნუ ჩაატარებ, ყველაფერი შემითანხმე!

კაბინეტში ჭიჭიკო შემოვიდა, ამირანის გახარებული სახე იმანაც შეამჩნია. ამირანი ყველაფერს მოუყვა. ჭიჭიკოს ეს არ მოეწონა.

— მაგ საქმიდან არაფერი გამოვა, მაგ ქარხნის დირექტორი ვახტანგის მეგობარია და მაქედან კარგ წილსაც აძლევენ, არა მგონია ეგ ქარხანა გაწიროს!!

— აბა, მუშების დაჭერაზე რომ შეგვიწყო ხელი?

— ეგ ოპერაცია ქარხნის დირექციასაც აწყობდა, ის მუშები მის წილს იპარავდნენ, შენ ახლა მაგის წილს შეეხე, ასე, რომ მაქედან, წინასწარ გეუბნები, არაფერი გამოვა.

მართლაც მესამე დღეს ამირანმა გაიგო, რომ ქარხანა მიმდინარე რემონტზე დადგა და მუშები დაითხოვეს ორი თვით, ხელფასის ნახევრის ანაზღაურებით.

ამირანმა სამორიგეოში შეიარა, ყარაულები მოწყენილები მიესალმნენ, ჟურნალს გადახედა, ახალი ჟურნალი იდო, ძველი გაქრა.

— ძველი ჟურნალი რა უყავით?

— დირექტორმა წაიღო, თქვა „ახლა მანქანების მიმოსვლა აღარ იქნებაო“ — თქვა დარაჯმა.

ჭიჭიკო მართალი გამოდგა. ერთი თვის შემდეგ, რაც ავტოკალამის საქმე გაირკვა, მარო ამირანთან საუბრობდა კაბინეტში.

— მარო სად ხარ ახლა, რასა იქმ, შენი და ჩემი წყალობით ქარხანა რემონტში გავუშვით.

— რძის კომბინატში დავიწყე მუშაობა ისევ დამლაგებლად. ჯერ — ერთი, მაგ ქარხანას კარგახანს არ გაარემონტებენ, მეორეც, შევატყვე, რომ სამორიგეოში ალმაცერად დამიწყეს ყურება. მგონი რაღაც იყნოსეს!

— ეგ არაფერი, სანამ მე ვარ, ეგენი ვერაფერს გაბედავენ. ახლა რაზე შეწუხებულხარ?

— ამირან, საოცარი რამ ხდება ჩვენთან, არაჟნის საამქროში. ამ ბოლო დროს ქალაქში კარაქის ნაკლებობა იგრძნობა. კაცები, რა თქმა უნდა, ვერ ამჩნევთ. ჩვენთან კი ტონობით კარაქი მოაქვთ, სპეციალურ მანქანაში რძეს ურევენ და მშვენიერ არაჟანს აკეთებენ.

— მერე რა არის აქ ცუდი?

— ცუდი ის არის, რომ როგორც ყური მოვკარი, 1 კილო კარაქიდან 12 კგ არაჟანს აკეთებენ. მაგ საამქროს უფროსს რაღაც არაჟნის კულტურა ჩამოუტანია ესტონეთიდან, თურმე მარტო რძესაც არაჟნად აქცევს, სისქეს მისცემს, მაგრამ ცხიმიანობა დაბალი ექნება, როგორც მითხრეს, ჩვენს არაჟანს ცხიმიანობა 10–11% აქვს, ქილებზე კი „ოცი“ პროცენტი აწერია. ჩვენი პროდუქცია კი უცებ საღდება!

— საინტერესო საქმეა!

— მე იმასაც მოვკარი თვალი, ზედდებულში კარაქიც უწერიათ, მაგრამ მანქანაზე კარაქს არ ტვირთავენ. ხანდახან მანქანის დატვირთვაში მეც ვეხმარები, ხან რძეს მაძლევენ, ხან — ყველს, არაჟანს მე თვითონ ვიღებ, მაგ საამქროში ვმუშაობ.

— ძალიან კარგი, განაგრძე დაკვირვება, მე ჩემს ხალხს ვეტყვი რომ ამ საკითხზე იმუშაონ. ჩათვალე, რომ ოპერაცია დაიწყო.

— თუ რამე საინტერესოს გავიგებ, დაგირეკავ!

— სულ დამავიწყდა, აი, შენი პრემია, ორასი მანეთი, იმ ძველი საქმისთვის, რომელიც ბოლომდე ვერ მიიყვანე.

— ამირან, ხომ იცი, მე ფულის გულისთვის არ ვმუშაობ, უბრალოდ უსამართლობას ვერ ვიტან.

— მაგ ფულს არსად არ ვაფორმებ და არც არსად გაწერინებ ხელს. ეს ჩემგან საჩუქრად მიიღე შენი მომავალი დაბადების დღის აღსანიშნავად, ჩემს სახელზე რამე იყიდე.

— რადგან საჩუქარია, ავიღებ!

ამირანს რძის ქარხანაში აგენტი ჰყავდა, რიგითი ტექნოლოგი ქეთინო, რომელსაც დიდი ხანია არ შეხვედრია. უბნის წიგნაკში ნომერი მონახა და დარეკა, ქეთინო იკითხა:

— გისმენთ, ქეთინო ვარ.

— ქეთინო, გამარჯობა, შენი მოყვარე ვარ, ამირანი, რაღაც შემემთხვა, ხომ ვერ შესძლებდი ჩემს მეორე ბინაში მოსვლას?

— დღეს არ მცალია, ხვალ გამოვალ, დილის თერთმეტი საათისათვის, ჩემს უფროსს ვთხოვ დღის პირველ ნახევარში გამათავისუფლოს.

— შევთანხმდით.

მეორე დღეს, კონსპირაციულ ბინაში ქეთინო და ამირანი ტკბილად მასლაათობდნენ.

— ქეთინო, თქვენთან ქარხანაში რომ ახალი სახის არაჟნის ფალსიფიცირებას ეწევიან, ამის შესახებ მე არაფერი უნდა ვიცოდე?

— ახალი ამბავი, ვითომ სხვა რა გვაქვს ნატურალური და არაფალსიფიცირებული, არაჟანს კიდევ რა უშავს, რაც ნატურალური რძე მოგვდის მაგ არაჟანში ურევენ, სხვათაშორის, ძალიან კარგი პროდუქციაა.

— კი, მაგრამ ცხიმიანობას რომ?

— ცხიმი ვნებს ადამიანს, ამიტომ ვცდილობთ ხალხი ნაკლებ ცხიმიანი პროდუქტით ვკვებოთ.

— შენ, ჩემსკენ ხარ თუ ეშმაკებისკენ, ვერ გავიგე!

— მე არავის მხარეს არ ვარ, თქვენგან არაფერი ხეირი არ არის, ქარხნიდან ხანდახან რძის პროდუქტი მაინც მიმაქვს.

— თუ წარმატებით ჩაივლის ოპერაცია, მაშინ ჩვენზე იქნება შენი პატივისცემა!

— მე ეგეთი ჩვენზე და მერე იყოს, არ მაწყობს, წინასწარ უნდა ვიცოდე, რას მივიღებ. რასაც მთხოვ ყველაფერს გავაკეთებ, რაც მე შემიძლია, ოღონდ წინასწარ გადამიხადეთ.

— არ გვენდობი?

— შენ კი არა, საკუთარ თავს და ჩემს ქმარს არ ვენდობი. თუ წინასწარ მომცემ ათას მანეთს, გაგიგებ, რაც გჭირდებათ, მით უმეტეს, ვალი მაქვს გადასახდელი.

— ღირს კი მაინც ამხელა თანხად ეს საქმე?

— რატომ არ ღირს, ყოველდღე თუ ორ ტონა კარაქს თორმეტ ტონა არაჟნად გადააქცევენ. თითო ტონაზე სულ ცოტა რვა ათასი მანეთი რჩებათ! თითქმის ნახევარი მილიონია ერთ თვეში, ამხელა თანხა უნდა გამოგაჭერინო და შენ რაღაც ათას მანეთის გადახდაც არ გინდა? იცი რა, ამირან, ათას მანეთს წინასწარ მომცემ და ერთი იმდენს, როცა საქმეს დაამთავრებ.

— თუ დავიჭირე ეს ხალხი, ვინ რას მომცემს!

— შენც ჭუჭულ-ბუჭულების დაიჭირას თავი დაანებე, ღლავებს მიადექი და ისინი გაიმეტებენ, რაც საჭიროა. რას იტყვი, თუ თანახმა ხარ ჩემს პირობებზე, ვითანამშრომლოთ, თუ არა და იმ ხალხს რას ვერჩი? ჩემი საამქროს უფროსი ყოჩაღი ბიჭია, თავისი ინიციატივით წავიდა ესტონეთში, საკუთარი ფული გადაიხადა ტექნოლოგიაში, არაჟნის გასაკეთებელი კულტურა შეიძინა, ერთი თვე სწავლობდა ამ საქმეს, ღმერთმა ხელი მოუმართოს!

— კი, მაგრამ კარაქის ნაკლებობა რომ იგრძნობა ქალაქში?

— ნუ შეჭამს ეს ხალხი ამ კარაქს, გადავიდნენ არაჟანზე, სხვათაშორის კრემიც მშვენიერი გამოდის ტორტისთვის.

— ჯანდაბას შენი თავი, სიტყვა სიტყვაა ორი ათასი იყოს!

— მხოლოდ ათასს დღესვე, აქვე!

— კარგი, ხვალ გამოდი ისევ ამ დროს მოგიტან!

— ყოველდღე ვერ გავეთავისუფლები, შაბათს გამოვალ.

— ქეთი, მომიტანე ტექნოლოგიის ასლები და სხვა რაც საჭიროა ამ საქმის გასახსნელად, თან თუ წინააღმდეგი არ ხარ, ცოტა წავიეშმაკოთ!

— ამირან, შენ ხომ იცი, აგენტებთან წაეშმაკება არ შეიძლება, თუ დაჭირდათ, ჩაგიშვებენ, — ჩაეცინა ქეთის.

— რა ვქნა, თუ ასე მომწონხარ, ჩემო ქეთინო!

— მაშინ მაგ ათას მანეთს ერთი ასი მანეთიც გამოაყოლე, უნდა ამინაზღაურო მორალური შეურაცხყოფა, რასაც ჩემი ქცევით ვაყენებ ჩემ ოჯახს, ქმარს, შვილებს და დედამთილს, რომლის ჩემი სახლიდან მოშორებასაც არ დაადგა საშველი.

— ქეთინო მე ყველაფერზე თანახმა ვარ, თუ წინააღმდეგო არ ხარ, ახლავე აგინაზღაურებ!

— ჯანდაბას შენი თავი, სამსახურშიც ვერ მივდივარ, კარგი, ასი მანეთს ხათრით საღამოს ექვს საათამდე შენს განკარგულებაში ვიქნები.

ამირანი და ქეთინო იმ საქმეს შეუდგნენ, რასაც უხსოვარი დროიდან წყვილთა ურთიერთობას აგვირგვინებდა.

შაბათ დილას ქეთინო და ამირანი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ქეთინოს თავი მოეკოხტავებინა. ამირანს დეტალებში აუხსნა ტექნოლოგია, აჩვენა ახალი არაჟნის წარმოების კალკულაცია, სადაც საცალო ფასი უცვლელი რჩებოდა, ხოლო სახელმწიფოსაგან დოტაციას ამ არაჟნის წარმოებაზე მაინც იღებდნენ. ნახევარ პროდუქციას ასაღებდნენ როგორც ძველი ტექნოლოგიით დამზადებულს, ნახევარს კი ახალი ტექნოლოგიით, ხოლო სინამდვილეში თითქმის 90% პროდუქციისა ახალი ტექნოლოგიით მზადდებოდა.

საქმეს რომ მორჩნენ, ამირანი წამოდგა.

— ამირან, პირობაზე როგორ ხარ? — შეეკითხა ქეთინო.

— ათასი მანეთი ხომ მოგეცი, დამთავრდეს საქმე და მეორე ათასსაც მოგართმევ.

— მე ასი მანეთი მაინტერესებს.

— ხოო, ძალიან ძვირია, სხვა დროს იყოს!

— სხვა დრო არ ვიცი, მე დღეს შენთან საჭუკჭუკოდ ვარ მომზადებული. თუ გეძვირება, ორმოცდაათ მანეთს დაგიკლებ, ისე რამ დაგაჩაჩანაკა „ობეხეს“ უფროსი, შენი თანამდებობის პატრონი ფულში უნდა ცურავდეს, შენ კი კაპიკებზე ვაჭრობ! — არ ეშვებოდა ქალი.

— კარგი, ას მანეთს მოგცემ, ოღონდ ავანსად, როცა „იშტაზე“ ვიქნები, მაშინ ჩამითვალე, — გაეღიმა ამირანს. გათამამებული ქალი იერიშზე გადავიდა:

— სამაგიეროდ, მე ვარ ახლა „იშტაზე“, ახლავე გაიხადე, თორემ მორჩა ჩვენი თანამშრომლობა.

ამირანს გულიანად გაეცინა და დაჰყვა ქეთინოს ნებას.

ორშაბათს ამირანი ჭიჭიკოს თავის კაბინეტში რძის კომბინატის შესახებ ესუბრებოდა.

— ამირან, ეგ კარგი საქმეა, ყველაფერი გამოვა, მხოლოდ ბადეს რომ ამოვიღებთ, ისევ ჭიჭყინები დაგვრჩება ხელში!

— საქმეში ხომ ჩაგვეთვლება!

— საქმეში კი, ბატონო, ჩაითვლება, მაგრამ ამის შესახებ ამირეჯიბს არ უნდა გავაგებინოთ.

— რა ვიცი, მანდაც კუდი არ ჰქონდეს გაფსკვნილი და ეგ ქარხანაც რემონტზე არ გაუშვას.

— არა, მაგ დირექტორთან ვერ ძოვს, ეტყობა მაგ კაცს ცეკაში ჰყავს ხალხი და ჩვენს ვახტანგს ფეხებზე იკიდებს!

— რა, ეგენი არ დებენ ყოველთვიურად მაყუთს?

— დებით დებენ, ოღონდ საწყობის გამგეები, ერთ-ერთი აგროვებს ამ ფულს და მიაქვს.

— ამ ოპერაციაში ისევ ქალაქის მილიცია უნდა ჩავრიოთ ფორმალურად, ფაქტიურად ჩვენ დავამუშაოთ მთლიანად ეგ ოპერაცია.

— რად გვინდა ქალაქის მილიცია, წილში ჩაგვიჯდებიან!

— რა სინდისით გინდა დაიჭირო ეს ხალხი, თუ ჩვენი წილი ყოველთვიურად მოაქვთ!

— კი ბატონო, ჩავრთოთ, მე რა მენაღვლება, უფრო მეტი დაუჯდებათ!

— ვგონებ ასე ჯობს, ამასთან ქალაქთანაც კარგი ურთიერთობა გვექნება, ჩვენს ქორწილში მუქთად ვაქეიფებთ! — გაეცინა ამირანს.

ამირანმა გივი ხაბაზს აცნობა ოპერაციის შესახებ და დახმარება სთხოვა.

— შენ რომ არ მყავდე ამირან, რა მეშველებოდა!

— შენ ჩემი ამბავი, იცი მე მაგ ხალხს ავიყვან. იკისრებენ თუ არა რაიმეს, არ მაინტერესებს, შენ იცი, რომ მე მაგ საქმეში არ გავდივარ!

— არ გადიხარ და ძალიანაც კარგი, შენი წილიც ჩვენ დაგვრჩება! შენ, ძმაო, ახალგაზრდა ხარ, პერსპექტივა გაქვს, წინ უნდა გაიხედო, მე კი დრო უნდა გავატარო, ჩემი კარიერის „კრიშას“ უკვე მივაღწიე, აწი თუ დამაქვეითებენ, თორე არავინ აღარ დამაწინაურებს. რის გაკეთებაც შეიძლება, უნდა გავაკეთო, რომ ამ ქვეყნიდან გულნატკენი არ წავიდე! ასე, რომ მე რა მსჯის წესიერად რომ ვიცხოვრო!?

— ხვალ თქვენი და ჩემი ბიჭები გაყვებიან ათ მანქანას თავის შეხედულებისამებრ, როდესაც პროდუქციას გადმოცლის მძღოლ-ექსპედიტორი, ყველა სავაჭრო ფარდულთან ჩვენი ერთი თანამშრომელი ჩამოვა და შეამოწმებს ზედნადებში გაფორმებულ საქონელს ფაქტურასთან. თუ დარღვევა აღმოვაჩინეთ, ეს უკვე საშუალებას მოგვცემს კომბინატში შევიდეთ და რევიზია ჩავატაროთ.

მეორე დილით, დასახული გეგმის მიხედვით მოხდა სავაჭრო ფარდულების შემოწმება და ყველგან თითქმის ერთნაირი დანაშაული დაფიქსირდა. ზედნადებში აღნიშნული იყო ოცი ყუთი არაჟანი, ფაქტიურად იყიდებოდა ორმოცი, ზედნადებში გაფორმებული იყო ორასი ცალი ორასგრამიანი კარაქი. ფაქტიურად კი კარაქი საერთოდ არ იყო, ასე, რომ პროდუქციის ნახევარი გაუფორმებლად იყიდებოდა.

გივი, ამირანი და ჭიჭიკო შევიდნენ დირექტორის კაბინეტში. დირექტორი გივის ნაცნობი აღმოჩნდა:

— რა არის გივი, ჩვენს კომბინატსაც მოადექი შესამოწმებლად?

— რა ვქნა, ჩემო ვანიჩქა, დავალებაა, არ შევასრულებ — მომხსნიან, ხოლო მოხსნილი კაცის ამბავი კარგად მოგეხსენება.

— რამე ნახეთ სერიოზული?

— მე რომ მკითხო, ისეთი არაფერი, რაც არ ვიცოდი. შევამოწმეთ ორმოცი სავაჭრო წერტი, რომელიც თქვენ გეკუთვნით და ყველა მათგანში აღმოჩნდა „მარცხენა“ საქონელი.

— ეგ წარმოუდგენელია, გივი-ბატონო! შეიძლება საწყობის გამგეები რაღაცას კი მამაძაღლობენ, მაგრამ მაგდენი არავითარ შემთხვევაში არ იქნება.

— ჩემო ვანიჩკა, ხომ იცი ტყუილს არ ვიკადრებ. ყველა გამყიდველი და მძღოლ-ექსპედიტორი დაჭერილი გვყავს, ნახევარზე მეტი დაკითხულია, ასე რომ ფაქტი ჯიუტია.

— ჩვენი რაიონის „ობეხეც“ მონაწილეობდა ამ ოპერაციაში, ბატონო ჭიჭიკო? — ირონიით იკითხა ვანიჩკამ.

— ჩვენ გუშინ საღამოს დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ დილის ექვს საათზე ქალაქის სამმართველოში გამოვცხადებულიყავით, ვიცოდით, რომ რეიდი ტარდებოდა, მაგრამ რომელ ორგანიზაციაში, წარმოდგენა არ გვქონდა, — თვალის დაუხამხამებლად იმართლა თავი ჭიჭიკომ.

— გივი, როგორც ვხედავ, შენ ხელმძღვანელობ ამ ოპერაციას, რა ეშველება ახლა ამ საქმეს? ვინც დასასჯელია, ყველას დავსჯი!

— ვანიჩკა, დღევანდელმა ოპერაციამ საბოლოოდ გამაგებინა, საიდან იქმნება ეს ზედმეტი პროდუქცია, მაგრამ ეს ვერ გავიგე, კაცო, კარაქს აწერთ ამ წერტების გამყიდველებს და ფაქტიურად არც ერთი ბრიკეტი არ შეგაქვთ. მარცხენა საქონელი გამიგია, მარჯვენაც კარგადაა ცნობილი ჩემთვის, მაგრამ უსაქონლო?! ამიხსენი, რაშია საქმე?

— როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი წარმოების უმეტესი ნაწილი რძის ფხვნილზე მუშაობს, არაჟანი ვერ გამოგვდის კარგი, აქ ერთი ნიჭიერი ტექნოლოგი გვყავს, ესტონეთიდან ჩამოიტანა არაჟნის მიღების ახალი ტენოლოგია და რძეში ცხიმის ასამაღლებლად კარაქს ვურევთ.

— ადრე პირიქით იყო, არაჟანის დღვებით ამოჰქონდათ კარაქი, ახლა პირიქით, კარაქს ადღვებავენ რძეს და არაჟანს ღებულობენ. ახლა მივხვდი, თურმე რისი ბრალია, რომ ქალაქი კარაქის ნკლებობას განიცდის.

— თქვე მამაცხონებულებო, ასორტიმენტი გინდათ, ხარისხი გინდათ, რაოდენობა გინდათ, მე ვანიჩქა ვარ, მამაზეციერი კი არა.

თქვენ ნედლეულს არ იძლევით და მე, პროდუქცია საიდან გამოვუშვა, თუ არ ვიმამაძაღლე? ხალხს ხომ არ ავაყეფებთ!

— რა ვიცი, მამაზეციერზე მეტი ხარ მე მგონი, ჩემო ვანიჩკა! არაფერს არ გაძლევენ და ნახევარს მარცხენა საქონელს უშვებ, რომ გაძლევდნენ რაიმეს ხომ სულ სასწაულებს მოახდენ, ფულის გადაღუნვის საქმეში!

— გივი, ჩემი მრეწველობა ისეთია, ჩვენი სამყოფი ყოველთვის დაგვრჩება, შენ ისიც იცი, რომ ჩემი ბიჭები ჩალიჩობენ რუსეთში და კარგად მოგეხსენება, რა მოთხოვნებს და პრეტენზიას გვიყენებენ.

— ვანიჩკა, ხომ იცი, ეს ტყუილი ბაზარია, კანონი კანონია, ჩვენ როგორც ძველი ძმაკაცები, მაინცდამაინც არ მოგაწვებით. მოკლედ, რამდენს გამაზავ, ჩემზე კარგად მოგეხსენება, რა მადიანი უფროსები გვყავს. თუ არ გაქვს ფულის გადახდის საშუალება, მაშინ მაგაზე საუბარს თავი დავანებოთ!

— გააჩნია, რამდენს მოგვთხოვენ, თუ შევძლებთ, რა ჩარაა, გავიღებთ!

— ეგ უკვე საქმეა! ამირან, ჭიჭიკო, თქვენ გარეთ მომიცადეთ, მე და ვანიჩქას ზედმეტი მოწმე ამ საქმეში არ გვჭირდება!

ერთი საათის შემდეგ გივი ვანიჩკას კაბინეტიდან გაღიმებული სახით გამოვიდა.

— წავიდეთ ჩემთან კაბინეტში, ამირან! შენ, ჭიჭიკო, შოთასთან ერთად, ბუღალტერია და სალარო დალუქეთ, მხოლოდ ისე, რომ ხვალ დილით პროდუქტის გატანის საშუალება ჰქონდეთ, ფარდულების გამყიდველებს და ექსპედიტორ-მძღოლებს ხელწერილი ჩამოართვით, რომ პირველ გამოძახებისთანავე გამოცხადდნენ მილიციაში ჩვენების მისაცემად. დღეს ეს გვეყოფა.

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი გივის კაბინეტში საუბრობდნენ.

— გივი, ამდენი ხანი რატომ დაგაგვიანდა, გევაჭრებოდა ალბათ!

— დიდი „სკრიაგა“ ვინმეა, ჩემო კლასელია, სკოლაში კაპიკიანს ვერ გააგდებინებდი ხელიდან, ახლაც ასეთია.

— მერე, როგორ დაიყოლიე?

— შენი ანგარიში გამომადგა, ვუთხარი, რომ მისი წლიური მოგება ერთ მილიონამდე ადის და ერთი მესამედის კისრებაც არ გინდა-მეთქი? თვითონაც გაუკვირდა, თუ განზრახ გაიკვირვა, არ ვიცი. მითხრა, ხვალ საამქროს უფროსებს დაველაპარაკები და თუ შევძელით, გადაგიხდითო, ოღონდაც გარანტია მომთხოვა, რომ ამ წელს დოტაციების განყოფილება არ შეაწუხებს.

— მერე, შენ რა გარანტიის მიმცემი ხარ?

— თავის წილს ზევით მივუგდებთ და არ შეაწუხებენ!

— კი, მაგრამ თუ არ იკისრეს, ვინ უნდა დავიჭიროთ?

— რა ცუდი აზრები მოგდის თავში, ამირან, ეგ ღმერთმა ნუ ქნას! რაც უნდა მოხდეს, დირექტორს ვერ დავიჭერთ, ჯერ — ერთი, ხალხი ჰყავს ზემოთ, მეორეც — ჩემი თანაკლასელია, ღმერთს რა თვალით შევხედო ზემოთ! მარტო შენ კი არ გყავს ძმაკაცები, ჩემო ამირან, მეც მყავს, ამოწყვეტილი ხომ არ გგონივარ?

— კარგი, თუ დაგვთანხმდა, ვის დავიჭერთ?

— ხუთი კაცი, ჯიხურების გამყიდველები, პენსიონერები, უკვე არჩეული მყავს. განაჩენის გამოტანისთანავე ამნისტიას მიუყენებენ. ერთი-ორი ექსპედიტორი, ერთიც — საწყობის გამგე. ერთი-ორი თვე ციხეში იქნებიან, მერე გაამართლებენ და ადგილებზე აღადგენენ!

— იცი, რა — მილიციაში დასჯა-გამართლების თეატრი უნდა შეიქმნას და მთავარ რეჟისორად შენ უნდა დაგნიშნონ!

— ასეა, ეს ცხოვრება თეატრია, მოხერხებული რეჟისორის გარეშე სარფიან სპექტაკლს ვერ დავდგამთ!

მეორე დღეს ისევ გივისთან შეიყარნენ კაბინეტში.

— ბიჭებო, ყველაფერი წესრიგშია! — ომახიანად გამოაცხადა გივიმ, — ფულს ჭიჭიკო აიღებს, თქვენს კონსპირაციულ ბინაში, ერთ-ერთი საამქროს უფროსი მოიტანს!

— რამდენზე დაგთანხმდნენ, ბატონო გივი?

— სამას ათასზე, მითხრეს, მეტი ვერ შევძელითო. ჯანდაბას მაგათი თავი, ჩვენ რას ვკარგავთ. ფული განაწილდება შემდეგნაირად თხუთმეტი პროცენტი თქვენს რაიონში დარჩება, ათს ოპერაციაში მონაწილე ბიჭებს მივცემთ, ოცდახუთს რესპუბლიკის „ობეხეში“ მივიტანთ, ხოლო დანარჩენს მე და ჩემი სამმართველო გავიყოფთ! ხომ სამართლიანი კაცი ვარ?

— ბატონო გივი, ჩვენი რაიონისთვის თხუთმეტი ცოტაა, მილიციის უფროსი მოგვთხოვს, მეც ორი მოადგილე მყავს, კიდევ გამოჩნდება ხალხი. დაიწუწუნა ჭიჭიკომ.

— მე საქმეში ნახევარზე ნაკლებს არ ვიღებ. ასეთი პრინციპი ჩამომიყალიბდა, მეოთხედზე ნაკლებს რესპუბლიკის „დატაცების“ განყოფილებას ვერ ვაკადრებ, ბიჭებსაც ხომ უნდა მივცეთ თავისი? თხუთმეტზე მეტი არ გამოგდით, მით უმეტეს, რომ ამირანი არ იღებს, მაგის წილი გადაინაწილეთ და იმყოფინეთ!

ამირანმა ჭიჭიკოს დაავალა ქეთინოსთვის დამატებით სამი ათასი და დეიდა მაროსთვის ხუთასი მანეთი მიეცა, თვითონ ხეირად კი ის დარჩა, რომ ქეთინოსთან შეეძლო დრო ხანდახან მუქთად ეტარებინა.

* * *

ტელეფონის ზარი გაისმა, მილიციის უფროსი სთხოვდა მასთან შესულიყო კაბინეტში.

— ამირან, რა ქენით გუშინ, აიყვანეთ ქუჩის ქალები? ხომ იცი, ეგ შენი პროტეჟეს დავალებაა, თანაც მითხრა ამ ოპერაციის ჩატარება შენთვის დამევალებინა.

— ქალები ავიყვანეთ, აღრიცხვაზე დავაყენეთ, ნახევარს ჯარიმა გამოვუწერეთ და გავუშვით!

— ამ ოპერაციას წელიწადში ერთხელ ვატარებთ, გეგმაზომიერად, ვითომ ვებრძვით ბოზობას და ყველაფერი მაინც თავისი გზით მიდის. ამირან, ეს ქაღალდი ნახე, ამის მიხედვით უნდა შეავსო ცნობა, ხედავ, რამდენი სახის ბოზი ყოფილა ამქვეყნად. ხმამაღლა წაიკითხე და გამარკვიე, თუ ძმა ხარ, შენ მაინც შედარებით ჯეელი ხარ და უფრო განათლებულიც მაგ საქმეში!

ამირანმა ქაღალდი გამოართვა და კითხვა დაიწყო:

— ოჯახის ბოზი, ქუჩის, ვალუტის, გამოძახებით, ტრანსპორტის, სასტუმროს, ტელეფონის, მოტორიზებული და დანარჩენი. — გაეცინა ამირანს.

— როგორ უყვართ ჩვენში ყველაფერში მეცნიერული მიდგომა. არა-და, ვიღაცა უქნარა ზის პარტიულ აპარატში და ჰგონია, ბოზების ამგვარი დაყოფით საქმეს აკეთებს!

— მაგათზე დიდი ბოზები და ჩამშვებები მე არ მინახავს, ღვთის წყალობით მაგათთან ვმუშაობდი. თუ სკამზე ხარ წამოსკუპებული, ყველას უყვარხარ, ყველა გიცინის და თუ ფეხი დაგიცდა, აღარავინ აღარ გიცნობს, არავის აღარ უნდიხარ! ამიტომაცაა, რომ სკამებს ვებღაუჭებით, რადგან აქედან წასვლა მარტო თანამდებობის დაკარგვას კი არ ნიშნავს. არამედ იმ სასუსნავისაც, რომელსაც შენ, რატომღაც, არ ეკარები, ჩემო ამირან, არავინ დაგიფასებს, დამიჯერე!

— ასაკის მომატებასთან ერთად, ალბათ, გავიაზრებ, მერე შეიძლება ყველას გადაგიჯოკრით!

— ვინმე ხეირიანი ქალი თუ გამოერია?

— ერთს გამომწვევად ეცვა, მაგრამ ცალკე იდგა ტროლეიბუსის გაჩერებაზე და ისიც წამოვიყვანეთ. მკითხა, „რატომ დამიჭირეთო“? მეც ვუთხარი, ისე გამომწვევად გაცვია, რომ ვარიანტი არ არის მანქანა არ გაგიჩერონ-მეთქი. მე მეგონა, მოდაზე ლექციას წამიკითხავდა და ბოდიშის მოსახდელადაც მოვემზადე. იცი, რას მეუბნება? „შენ რა განერვიულებს, მე მიხმარენ, შენ ხომ არაო“? რა უნდა ქნა, დაგცინის და ხმა ვერ ამოგიღია!

— ისე, ჩვენში დარჩეს და ძალიან ვერევით მაგ ქალების საქმეში, თავისია, კაცო, და ვისაც უნდა იმას მისცემს!

— მე ყველაზე მეტად გამაოცა დედა-შვილის ტანდემმა, ერთად მუშაობენ, დედას შორიდან ვიცნობდი და აგენტადაც მინდოდა ამეყვანა, დიდის ამბით მომესალმა. ვკითხე, „ ერთად მუშაობა როგორ მოგივიდა თავში-მეთქი“.

— კარგები არიან?

— გოგო 25 წლის იქნება, ძალიან ლამაზი და მოხდენილია, ხოლო დედამისი 45 წელსაა მიღწეული, ასე, რომ დასაწუნი არაფერი აქვთ. ეს გოგო 16 წლის გათხოვილა, გაყოლია ვიღაც მორფინისტს. ბიჭს ფული რომ შემოკლებია, ჯერ ერთი თავისი ამხანაგი ჩაუწვენია ლოგინში ცოლთან, მერე — მეორე და ბოლოს შეუთავაზებია, „მოდი, შვედური ოჯახი შევქმნათო“ ე.ი. ერთი ცოლი და რამდენიმე ქმარი ან პირიქით.

— კი, მაგრამ, თუ უყვარდა ის მორფინისტი, რატომ ჩაუწვა მის ამხანაგს? — აღშფოთდა მილიციის უფროსი.

— ის მორფინისტი ეშმაკურად მოიქცა: შუა ღამეს წამოდგა, იქვე, მეორე ოთახში, დამალული ამხანაგი შეუშვა და თვითონ სახლიდან აითესა. ორჯერ რომ იხმარა იმ ბიჭის ამხანაგმა გოგო, მერე მოვიდა აზრზე და შეშინდა, ქმარმა ბოზობაში არ გამომიჭიროსო, იმ მორფინისტმა კი იქით დასდო ბრალი. გოგოს დედამ ეს რომ გაიგო, წამოიყვანა შვილი სახლში და ახლა ერთად შოულობენ ფულს.

— ალბათ, შემოსავალი კარგი აქვთ.

— გოგო კისრულობს მხოლოდ იმ ჭაბუკთან, ვისაც ქალი არ უგემია და ამ საქმის ასათვისებლად ბიჭები გოგოსთან მამებს მოჰყავთ. დედა კი ამ ბიჭების მამებთან კისრულობს და ბიჭის მამამ რომ ვერაფერი მოუხერხოს, ეს ქალი მაინც აქებს და ადიდებს.

— ალბათ, ორმაგად უხდიან ფულს! ისე, ჩემო ამირან, მე რომ უფლება მომცენ, გავხსნიდი ახალგაზრდა ბიჭებისთვის სპეციალურ პროფილაქტორიუმ-სანატორიუმს ათდღიანი საგზურით; მოვიდოდნენ ეს ყმაწვილები, გადაიხდიდნენ ფულს, საქმეს ისწავლიდნენ, ამ საქმის ჰიგიენასაც შეითვისებდნენ, ავადმყოფობას არ აიკიდებდნენ, რადგან ყოველნაირად შემოწმებული ქალები იმუშავებდნენ ამ დაწესებულებაში და მე რომ მკითხო, მაგაზე მეტი პროფესიონალიზმი არც ერთ სხვა საქმეს არ სჭირდება.

— ჩვენს მთავრობას რომ ჭკუა ჰქონდეს, იმ ქალებს, რომლებიც ქუჩაში დგანან, ერთად მოუყრიდა თავს ბორდელების მსგავს მასაჟის, აბანოს სახლებში. ვეტყოდი, რომ თვეში ათასი მანეთი ამ ქალს ჩაუდონ ბანკში ანგარიშზე ათასი მანეთი სახელმწიფოს გადაუხადონ და დანარჩენიც სახლის პატრონს მისცენ. ქალს, ჩვენი ხალხის ამბავი ხომ იცი, მარცხენა კლიენტები მაინც ეყოლებათ, ქალები აუცილებლად შემოწმებულები უნდა იყვნენ. ამ საქმიდან სახელმწიფოსაც შემოსავალი ექნება, ქალების მომავალზეც იზრუნებენ!

— მართალი ხარ, ამირან, დიდებული აზრია! ამ ქალებმა 6–8 წელი რომ იმუშაონ, დაახლოებით ასი ათას მანეთს დააგროვებენ, ამასობაში ის ქალური „ხურუშიც“ გაუვლით, შემდეგ გავლენ რუსეთში ან სხვა ქალაქებში, ბინასაც იყიდიან, მანქანასაც, ქმარსაც და სპეციალობასაც მიიღებენ. შეიძლება უმაღლესიც კი დაამთავრონ, შვილებს იყოლიებენ და მერე შენ გაუბედე და უთხარი „ბოზი ხარო“!

— ასეა! ქალი 24–26 წელზე ადრე არ უნდა გათხოვდეს, ჩემი აზრით, რაღაცა სპეციალობა ხომ უნდა მიიღოს.

— ეჰ, ჩემო ამირან, ჩვენ კი გვაქვს კარგი აზრები, მაგრამ ვინ რას გვეკითხება! ჩვენი ცხოვრება მოჩვენებითობაზეა აგებული, ჩვენ ხალხის ბედი კი არ გვაინტერესებს, არამედ ის, „რას იტყვის ხალხი“, ჩვენ იდეოლოგიას უფრო წინ ვაყენებთ, ვიდრე ადამიანის ბედს, მის მომავალს!

— აგერ მაგ გოგოსთან ვიღაცა უშვილო ქალი მისულა და უთხოვია „მე შვილი არ მყავს, ჩემს ქმართან იცხოვრე, ბავშვი იყოლიე მისგან და ფულს მოგცემო. მეკითხება ახლა ეს გოგო, „კანონის წინაშე რამე დანაშაულს ხომ არ ჩავდივარ, მამას შვილს თუ მივცემ და ფული გამოვართმევო“, მე ვუთხარი, „არაფერს უკანონობას არ ჩაიდენ მამას შვილს თუ მისცემ, მაგრამ ფულის გამოძალვაში შეიძლება კანონი შემოგედავოს მეთქი“

— ამირან, კარგი რა, რა ფულის გამოძალვა, კაცო, ჩემს ცოლზე დიდი უაჩაღი და რეკეტი მე არ შემხვედრია, თუ რამე დაიჩემა, სულს ამოგხდის, სანამ შეიძენს, თანაც გაყვედრის, „ყველაფერი შვილებისთვის მინდაო!“ ასე, რომ ჩემო კარგო, კაცების და კანონის წინაშე ყველაზე დიდი დამნაშავეები და ბანდიტები ცოლები არიან და ყველაფერი კანონით მიაქვთ ისე, რომ ხმასაც არ ამოგაღებინებენ!

— იმ უშვილო ქალს უთქვამს, „თუ წესიერად მოიქცევი, ათი ათას მანეთს ჩემი ქმარი მოგცემს და ერთ მაგდენს მე მოგცემ ქმრის უჩუმრადო“. ახლა დედა-შვილი ანგარიშობს, ბოზობით ჯობს ფულის შოვნა თუ ბავშვების გაშვილება-გაყიდვით!

— კი, მაგრამ ამისთანა მოხერხებული ქალები ჩვენს ალყაში რანაირად მოხვდნენ.

— მეზობლის დასმენით დავიჭირეთ, „ორგია აქვთ მოწყობილიო“. ჩვენს ბიჭებს მამაშვილი დახვედრიათ ჩაცმულები, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის წამოიყვანეს, დავკითხე,

— მერე, რა გითხრეს?

— ეგ ქალი მაშინვე მიხვდა, ვინც ჩაუშვა, მითხრა „ეგ ძველი ბოზია, კლიენტები არ ჰყავს, გალოთდა, ჩვენი შურს, ერთხელ ვით-

ომ ხუმრობით მითხრა: „იმ ბიჭებს მამები თუ ჰყავთ, ბაბუაც ხომ უნდა ჰყავდეთო“, მე ვუთხარი, რომ წესით უნდა ჰყავდეთ, მაგრამ ბუნების კანონით ჩამოწერილები არიან და ამიტომ ვერაფერში გამოგადგებათ-მეთქი.

ორთავემ გულიანად გაიცინა.

— რა არის ადამიანი, ეტყობა, დათვრა და დაბოღმილმა მილიციაში დარეკა, ვითომც სერიოზული საქმეები არ გვქონდეს, ამ უსაქმურების გამოძახება გვაკლდა!

— ამირან, ამდენი საქმე გააკეთე, წელი მთავრდება და ერთი რესტორანი არ უნდა იკისრო? გუშინ ერთი ავტობუსი ქალები დაიჭირე, ძმაო, როგორც უფროსისთვის ერთი ქალი არ უნდა მოგეყვანა? სულ გაფუჭდი ამირან, უფროს-უმცროსობა გავიწყდება! ფულს შენ არ იღებ და რას გამინაწილებ, ჯობს მე დაგპატიჟო, წავიდეთ რესტორანში! ერთი მაგრად „დავარტყათ“!

— როგორც უფროსი იტყვის, სხვა რა გზაა, მით უმეტეს, რომ უფროსი კისრულობს. ეს იშვიათი შემთხვევაა და ამას ხელიდან როგორ გავუშვებ!

— ხო, ხო, ბიჭო, რაღაცა წამომცდა და ხელიდან არ გაუშვა! ისე, ჩვენში დარჩეს და რა დამსახურებისთვის უნდა გიკისრო პურ-მარილი, იძლევი რამეს თუ რა!

— თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი კლიენტებივით ცოლთან არ ჩაგიშვი, დავურეკავდი და ვეტყოდი: „ქალაბტონო ნათია, გუშინ ერთ ავტობუსი ლამაზი ქალები დავიჭირე თქვენი მეუღლის ბრძანებით და თქვენი მეუღლე ოღრაშობას მთხოვ-მეთქი“.

— არ დაიჯერებს, ბიჭო, იცის რომ არ ვუღალატებ!

— მე ვეტყვი, ეჭვს გავუჩენ! ასე, რომ როგორც ირკვევა, ტყუილად არ კისრულობ პურ-მარილს!

— კარგი, ვიკისრებ. აგერ, მტკვარს რომ გადაჰყურებს, თევზის რესტორანი, იქ შევიდეთ. თევზის მუშტარი ხომ ხარ?

— მე ყველაფერის მუშტარი ვარ, სადაც დამპატიჟებენ!

ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგი რესტორანში პურ-ღვინოს უკვეთავდა.

— მე რომ მკითხო, მექალთანე კაცი და ავხორცი დედაკაცი ორივე ბოზია საზოგადოებრივ საწყისებზე, მაგრამ მომსახურება აქვთ უფასო.

— ვახტანგ, მაგაში მართალი არ ხართ, ქალი, რომელიც თავის საქმიანობაში აშკარად ფულს არ იღებს, ის საყვარელია და არა ბოზი, რადგან ერთისთვის სექსი მეცხრე ცაზე ყოფნას უდრის, ხოლო მეორესთვის მხოლოდ ტანის რხევას. ასე, რომ წყვილის შერჩევისათვის შემთხვევა და ბედია საჭირო.

ამასობაში სუფრა გაიწყო და ვახტანგმა პირველი სასმისი ასწია:

— ამირან, ამით შენ გაგიმარჯოს! წესიერი კაცი ჩანხარ. ჩვენს რაიონში რომ გადმოგიყვანეს, მართალი გითხრა, არ მესიამოვნა, მეგონა, ჩემს პენსიაში გასაშვებად მოგიყვანეს, მაგრამ კაცური კაცი გამოდექი, ჩემს ადგილზე ყურები დაცქვეტილი არ გაქვს, თუ ვინიცობაა ჩემს ადგილზე დაგნიშნავენ, დამიჯერე, რომ არ მეწყინება, რადგან შენში კაცი დავინახე და არა ჩასაფრებული კარიერისტი. ხომ იცი, კომსომოლებს მაინცდამაინც კარგი სახელი არ გაქვთ.

— ჩემო ვახტანგ, მე იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ თქვენს კოლექტივში მოვხვდი. თუ არა ის შემთხვევა ტროლეიბუსში, ჩვენი გზები სად გადაიკვეთებოდა ან საერთოდ შევხვდებოდით თუ არა ერთმანეთს, არავინ უწყის. მე საჩქარო არაფერი მაქვს, ჯერ ხელობას უნდა დავეუფლო. რაღა შენ შეგეცილო, არ ჯობს სამინისტროში რომელიმე სამმართველოს უფროსად ან მინისტრის მოადგილედ გავიქაჩო? — სიცილით თქვა ამირანმა.

— ამინ! გისმინოს ღმერთმა, ჩემო ამირან, შენ იცი, გამიხარდება! შენ შეიძლება ხუმრობ, მაგრამ მე მომწონს, რომ საკუთარი თავის ფასი იცი! ისე, გავიგე, ამირანი ქალებში დაძვრება და დაოჯახებას არ ფიქრობსო!

— ჩემო ვახტანგ, კაცი რომ არ სვამს, არ ეწევა, არც ქალებში დაეთრევა, ეს იმას ნიშნავს, რომ ფრთები ამოსდის და მამაზეციერთან სასუბროდ ემზადება. შენ გაგიმარჯოს, ვახტანგ, გისურვებ ორმოცდაათი წელი კიდევ გესვას, ბოზებშიც გეგრიალოს და იმქვეყნისკენ არ გეგეხედოს! ამირანმა სასმისი შესვა.

— მადლობა, ჩემო ამირან, ვეცდები, სურვილები განვახორციელო. მე ერთი ქალის მოსიყვარულე კაცი ვარ, თვრამეტი წლისამ

რომ შევირთე, ჩემი კლასელი, აგერ უკვე ორმოცი წელია ერთად ვართ და გინდ დამიჯერე, გინდა — არა, მე ჩემი ცოლისთვის არ მიღალატია! ჩემის აზრით, მამაკაცი ვალდებულია ყველა ქალის კამაყოფილი და მადლიერი იყოს, რომელიც მას ღმერთმა გამოუგზავნა, არგუნა.

— ჩემო ვახტანგ, ქალი რომელიც ლოგინში ჩემთვის ვარგა და შემეწყობა, მე მას არაფერს ვეკითხები, შენ წარმოიდგინე, არც სახელს, რათა ქალური დამსახურებისათვის რამე პერსპექტივაზე არ იფიქროს.

— ამირან, მოდი ამით ჩვენს ოჯახებს გაუმარჯოს! ადრე თუ გვიან ოჯახს მაინც შექმნი, რადგან ეს ჩვენი მოვალეობაა. დროზე მიხედე საქმეს! ამით ჩემს ორ გოგოს და ორ ბიჭს და შენს მომავალ შვილებს გაუმარჯოს, რომლებიც, გული მიგრძნობს, გეყოლება. აბა, კარგად ვიყოთ!

სუფრა კარგა ხანს გაგრძელდა. ამირანმა ფულის შეუმჩნევლად გადახდა მოინდომა, მაგრამ ოფიციანტმა უთხრა: „უკვე გადახდილიაო“! ვინ გადაიხადა, ამირანმა არ იცოდა. ალბათ, მათმა თანამდებობებმა. ერთი ხომ ამ რაიონის მილიციის უფროსი იყო, მეორე კი, რესტორნისთვის ყველაზე საჭირო მილიციელი.

* * *

ერთ ღამეს, როცა კონსპირაციულ ბინაში ამირანი ქეთინოსთან ნებივრობდა, ტელეფონმა დარეკა. ახალი ჩაძინებული იყვნენ. ამირანმა თავი ძლივს წამოსწია და გაბრაზებულმა ჩასძახა ყურმილში:

— რომელი ხარ, ამ შუაღამეს რომ რეკავ?

— მე ვარ, ბესარიონი, თქვენი აქტივისტი.

— რაშია საქმე? — მთლად ვერ მიხვდა რომელ ბესარიონთან ლაპარაკობდა.

— ბატონო ამირან, სასწრაფო საქმეა, მე შენს ბინაში ვიქნები 10 წუთში, კარი გამიღე.

— ბესარიონ, დილამდე ეგ საქმე ვერ მოიცდის?

— მოცდა რომ შეეძლოს, ახლა ხომ არ დაგირეკავდი?

— კარგი, მოდი!

— ვინ დარეკა, ამირან?

ერთმა ჩემმა აგენტმა, შენ გატრუნული იწექი, ხმა არ ამოიღო. — ამირანმა ტანსაცმელი გადაიცვა, პირზე წყლის შესხმა ძლივს მოასწრო და კარებზე კაკუნიც გაისმა. კარი გააღო, შემოვიდა ჭიჭიკოს ნაქები აგენტი ბესარიონი.

— ამირან, არ შეგაწუხებდი, მაგრამ ადგილზე ვერავინ ვნახე, საქმე თამბაქოს ქარხანას ეხება.

— რომელიც რემონტშია?

— არავითარი რემონტი, ეგენი საამქროში ფარულად მუშაობენ და ყოველდღე ორ-სამ მანქანას ტვირთავენ სიგარეტით. ახლა ზედმეტ ფასებში აბარებენ „მარცხენას“.

— ეგ არ ვიცი, მაგრამ სიგარეტის ნაკლებობა რომ იგრძნობა ქალაქში, ეს აშკარაა, მას შემდეგ, რაც ქარხანა რემონტზე დააყენეს.

— ფილტრები ჩემს ცოლისძმას ჩამოაქვს და ჩემს სახლში ინახავს, თან მეტრაბახება, ისეთი სქემა დავამუშავე, თვით მამაზეციერიც ვერ გაიგებსო! ხვალ დილით, ფილტრის ქაღალდს მიიტანენ სანაგვეზე, იქიდან გადატვირთავენ ჩვენი რაიონის ნაგვის მანქანაში და შეიტანენ საამქროში, რომელიც ღამით მუშაობს. დილით კი ისევ ნაგვის მანქანებით გამოაქვთ სიგარეტის ყუთები, მიაქვთ სანაგვესთან აშენებული საწყობში და იქიდან მსუბუქი მანქანებით არიგებენ ქალაქში.

— ახლა რა ვქნათ, ბესარიონ?

— რა და ხვალ დილით უნდა დავიჭიროთ, როდესაც ჩემი სახლიდან სანაგვისკენ ფილტრის ქაღალდის გადატანას დაიწყებენ.

— ბესარიონ, ასე უცბად არ გამოვა ეგ საქმე, უნდა დავზვერო.

— შენ თუ არ დაიჭერ, ხვალ მინისტრის მოადგილესთან შევალ, ისინი დაიჭერენ.

— შენ ხომ იცი, ეგენი ისევ ჩვენ უნდა დავიჭიროთ, თორემ მინისტრის მოადგილე წილშია და შეიძლება წინასწარ გააფრთხილოს. ერთი სიტყვით, ჩავიწერ ყველა აგენტურულ მონაცემს, ყველა ობიექტზე ჩვენი ხალხი უნდა დავაყენოთ ერთდროულად, ყველა ხვრელი უნდა ჩავკეტოთ, თორემ რა ბედენაა, მარტო შენი ცოლის ძმა დავიჭიროთ. ზეგ, დილის ათ საათზე, აქ გელოდები. ნუ გეშინია, მაგას ისე დავჭედავთ, რომ დიდხანს მოუწევს იქ ყურყუტი.

— ამირან, ძალიან გთხოვ, მაგ გაფუჭებული კაცის ჯავრს ნუ გამაყოლებ. აბა, კარგად იყავი. ზეგ, ათ საათზე, აქ ვარ! — თქვა და გავიდა. ამირანმა ამოიოხრა, მერე ოთახში სინათლე რომ აანთო, ქეთინოს გაციებული სახე დაინახა.

— ამირან, მე მეგონა ჩემი თავი გაფუჭებული და ჩემზე უარესებიც ყოფილან!

— რატომ ხარ გაფუჭებული, საერთო საქმეს, სამართალს ემსახურები!

— რა სამართალი, ფულის გულისთვის თორემ, თუმცა არც მთლად მაგისთვის ვკოტრიალობ შენთან, ხალხი ჩავუშვი და რა გამოვიდა, თქვენ ფული იშოვეთ, პატარა ხალხს დაერიეთ!

— ზევით არ გაგვიშვეს, ჩემო ქეთინო!

— თუ არ გაქვთ მაგის შნო, საქმეს არ უნდა წაეპოტინო!

— რას იზამ, ასეთია ჩვენი სამუშაო!

— კი, მაგრამ რას ერჩის ეგ გაფუჭებული კაცი თავის ცოლის ძმას, დავიჯერო ის კაცი თუ ამხელა ფულს შოულობს, თავის დას და დისშვილებს რაღაცას არ მიუგდებს?! მაგრამ გაფუჭებული რომ დაიბადება ადამიანი, ეგ არის!

— შურია ჩემო კარგო, შური!

— ყველა უსაქმური, უძლური, უხერხემლო პატიოსნებაზე დებს თავს, რადგან მას არაფრის კეთება არ შეუძლია, ქვეყანა გაქურდულ-გამამაძაღლებულია, ყველა წაგლეჯაზეა და გამოდის, რომ შენ, მკერდზე ხელმიდებული, პატიოსნებაზე ქადაგებით უნდა მოკვდე.

— რატომ, პატიოსნება თავისებური ეტალონია, ყველა ჩვენი ქმედება მას უნდა შევუფარდოთ, თორემ უიმისოდ რას დაემსგავსებოდა ცხოვრება, რა ქაოსი იქნებოდა, ეს ჩემს წარმოდგენაში ვერ ეტევა.

— რა ეტევა შენს წარმოდგენაში, მე არ ვიცი, — ბობოქრობდა ქეთინო. მე ერთ რამეს ვხედავ, სანამ შეგიძლია, შენი შესაძლებლობით ისარგებლე, თორემ გამიხსენებ, პენსიაში რომ გახვალ, მამაკაცური ღირსება და ფული არ გექნება, პირობას გაძლევ, ახლოს არ გაგიკარებ. სანამ შემიძლია, ვსარგებლობ შენით. ისე, მართლა კარგი საქმე კი გამიკეთე. ვალი გავისტუმრე, ბავშვები დასასვენებლად გავუშვი, მე კი შენთან ვგრიალებ.

— რატომ გგონია, რომ მარტო მე დავბერდები?

— იმიტომ, ჩემო ამირან, რომ შენზე ცოტათი ახალგაზრდა ვარ, ლამაზი ქალის შთაბეჭდილებას ვტოვებ, არც მთლად უჭკუო ვარ, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

— კარგი გვეყოფა, მიიწიე, შემცივდა! იმ ვირიშვილს ამ შუაღამეზე მოუნდა საქმის მოცემა.

— მაგ აგენტს ეტყობა ნერვები ვერ აქვს წესრიგში, ოპერაცია რომ წარმატებით დამთავრდება, სამკურნალოდ ფული გამოუყავი.

— ეგ, ფულის აგენტი არ არის, ეგ იდეისთვის მუშაობს.

— ჰა, ჰა, ჰა, — გადაიკისკისა ქეთინომ — ახლა კი ნამდვილად დავრწმუნდი, რომ მაგ კაცს ყველაფერი რიგზე არ აქვს, — თქვენთან მუშაობს და ისიც იდეისთვის, ამაზე დიდი სისულელე რა უნდა იყოს!

— სხვის სისულელეს თავი დაანებე, ჯობის ერთი გემრიელად მოვიგიჟიანოთ თავი!

— მე თანახმა ვარ!

ამირანი ბევრი ფიქრის შემდეგ მიხვდა, რომ თამბაქოს ქარხნის ირგვლივ ყველა დამცავი წრე შეკრული იყო და მარტო მათ წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა. გადაწყვიტა ქარხნის დირექტორს დალაპარაკებოდა, ეთქვა, რომ შეეწყვიტა სიგარეტის ფარული დამზადება. ამირანმა ქარხნის დირექტორს დაურეკა და მიღება სთხოვა.

— მობრძანდით, ამირან, რამ შეგაწუხათ? ნესტორ ბორჯალაძე იღიმებოდა.

— ხომ იცით, ნესტორ, ჩვენი მიზანია პროფილაქტიკა და არა კაცის დაჭერა. ვცდილობთ ამ ფრონტზეც დაგეხმაროთ, თუმცა არ ხართ მადლიერი ხალხი, მუშების ქურდობა რომ შეგიმცირეთ, მადლობა მაინც გეთქვათ! ჩემო ნესტორ, შენს მიმართ მე გარკვეული სიმპათიები მაქვს და ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. ჩემთან მოდის აგენტურული მონაცემები, რომ შენი ქარხანა ღამით ჩუმად მუშაობს. ისიც ვიცი, ბოშების უფროსმა, ანუ მაგათებურად „ბარონმა“, გარკვეული თანხა მოგცათ, რომ ქარხნის რემონტი გააჭიანუროთ და დეფიციტი შეიქმნას. დეფიციტი კი ორივე მხარეს გაწყობთ, წინათ თუ სიგარეტის ჩაბარება გიჭირდათ, ახლა რიგი გიდგათ.

— ტყუილია, ამირან, ყველაფერი ეგ. ყოველ შემთხვევაში მე მაგის შესახებ არაფერი ვიცი. შეიძლება რომელიმე საამქროში მუშებმა ერთი-ორი, ჰა-ჰა, სამი ყუთი სიგარეტი თავისთვის გააკეთონ, მაგრამ მანქანებით რომ გადიოდეს, მე ხომ უნდა ვიცოდე, ბოლოს და ბოლოს ჩემი წილი ხომ უნდა მომიტანონ, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ!

— ბოშათა „ბარონზე“ რას იტყვი!

— ეგ კაცი ერთი-ორჯერ იყო ჩემთან და მთხოვა მისი მაღაზიისთვის სიგარეტი გამენაწილებინა და ფულიც შემომთავაზა. ეგ რემონტში გასვლამდე იყო. რომ არ მემუშავა და ფული შემოეთავაზებინა, ვინ სულელი არ აიღებდა, მე შენ გეტყვი მიზეზს ვერ მოვნახავდი, უსაქმური მიმოწერის კორიანტელს ვერ დავაყენებდი თუ რა? მაგის მეტი რა შეუძლია უსაქმურ დირექტორს!

— კი, მაგრამ რატომ არ ამთავრებთ რემონტს!

— იმიტომ, ჩემო ამირან, რომ სამინისტრო ფულს მოსკოვიდან ელოდება, უფულოდ კი რემონტს არავინ გვიკეთებს!

— არა ხარ დაინტერესებული ნესტორ, თორემ მოსკოვში კაცს გააყოლებდი სამინისტროს წარმომადგენელს და ყველაფერი მოგვარდებოდა.

— დასამალი არაფერია, მთავრობა ახალია, ყველგან, საკვანძო ადგილებში, თავისი კაცის დაყენებას ცდილობს. ცოტა ხანს წელს გავათრევთ, სანამ ახალ ცოცხს პირი დაუძველდება და ყველაფერი ძველ ჩარჩოებს დაუბრუნდება, აბა, ამ ახალი ქარის ქროლვას თავს ხომ არ გადავაყოლებ, კურდღელივით, ჯერ-ჯერობით, „ჩირგვში ვზივარ, ვერავინ მოვა ჩემზედაო“, ხომ იცი ეგ იგავი?

— ცხოვრების გამოცდილება არ გაკლიათ ბატონო ნესტორ, მაგრამ ამ მარცხენა სიგარეტების გამოშვებას რა ვუყოთ?

— ამირან, არ დაიჯერო, ტყუილია ეგ!

— მე ჩემი აგენტურის მწამს, საკმაოდ გამოცდილი და შებერტყილი ხალხია, მაგათი გაცუცურაკება ძნელია,

— ჩემო ამირან, ათ წუთში კრება იწყება, გააფრთხილე ჩვენი ხალხი, საამქროს უფროსები თუ რამე მიქარავენ და მე არ მეუბნებიან, ყველამ თავის თავს დააბრალოს, ბიჭები, ამბობენ „ობეხე“-ს

წმინდანი უფროსი მოგვივიდაო. შენ, მართალია, არ იღებ, ჩემო ამირან, მაგრამ ჩვენ გასავალს შეღავათი არ ეტყობა, ამიტომ მამაშვილურად გირჩევ, ან აიღე, ან ადგილი გამოიცვალე.

— წავიდეთ კრებაზე, ბატონო ნესტორ, მე მინდა ჩემი სინდისისა და თქვენს წინაშე მართალი ვიყო და თუ ვინმეს დავიჭერ, საწყენი აღარაფერი არ უნდა იყოს.

— კი, ბატონო, წავიდეთ! — ამირანი და ნესტორი გამოვიდნენ კაბინეტიდან და მეორე სართულზე, ქარხნის სააქტო დარბაზში, შევიდნენ, სადაც ასამდე კაცი შეკრებილიყო. კრება პროფკავშირის ინიციატივით იყო მოწყობილი, აინტერესებდათ სადამდე გაგრძელდებოდა ქარხნის რემონტი.

კრება ქარხნის პროფკავშირის თავმჯდომარემ გახსნა და სიტყვა დირექტორს მისცა:

— ამხანაგებო, თქვენ უმუშევრობას უჩივით, ხოლო ჩვენი რაიონის სოციალისტური ქონების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი ცოტა ხნის წინ მიმტკიცებდა, რომ ჩვენი ქარხანა ღამით მუშაობს და ორ-სამ მანქანა სიგარეტს უშვებს ქსელშიო. როგორც მან განაცხადა, ამის დამამტკიცებელი უტყუარი საბუთები აქვს ხელში. რას იტყვის ამის შესახებ საამქროს უფროსი ამხანაგი ამირან ზარიძე, ამბობენ მის საამქროში ხდება სიგარეტების დამზადებაო.

— ტყუილია, ბატონო ნესტორ, მილიცია პროვოკაციას გვიწყობს, ნეტავი შეიძლებოდეს მუშაობა და ვინ ეშმაკი!

— ბატონო ამირან, თქვენ ხომ არ გვეტყვით რამეს ამის შესახებ!

— მეგობრებო, — დაიწყო ამირანმა — გაიგეთ, მე თქვენი ქარხნის მიმართ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ჩემი მიზანი არ არის ხალხის დაჭერა, მე ჩემი მონაცემები მაქვს, ჩემი ვალია გაგაფრთხილოთ, რომ შემდეგ ერთმანეთისთვის თვალებში შეხედვის არ შეგრცხვეს.

— ბატონო ამირან, ამ თქვენ განცხადებას პროვოკაციის სუნი უდის. — წამოდგა საშუალო ტანის, გამხდარი მამაკაცი, მზა პროდუქციის საამქროს უფროსის მოადგილე გელა ხალასტაშვილი, სწორედ ეს გელა იყო ბესარიონის ცოლისძმა.

— ჩემი ვალია გაგაფრთხილოთ! — მკაცრად წამოთქვა ამირანმა.

— ჩვენ პროვოკაციას არ წამოვეგებით, ბატონო ამირან, ამას გეუბნებით თქვენი სეხნია, ამირან ზარნაძე. რას იტყვით, ხალხო, არის თუ არა პროვოკატორის მიერ გავრცელებული ჭორი ჩვენს ქარხანაზე?

— პროვოკატორი, პროვოკაცია, უსინდისო! — ამ შეძახილების გამოისტუმრეს ამირანი კრებიდან.

„ხედავ, რა შეკრული მაფია ჰყავთ ამ ვირიშვილებს?“ — ფიქრობდა გაგულისებული ამირანი — „აბა, რა იქნება, მუშიდან დაწყებული დირექტორით დამთავრებული, ყველა ქურდია! მუშებად ძველი ნაციხრები ჰყავთ, ისინი უფროსობენ საამქროში! ამათთან ბრძოლა არც ისე ადვილია, ვნახოთ!“ — ამ ფიქრებით მივიდა ამირანი სამსახურში. კარებზე წერილი დახვდა, მილიციის უფროსი იძახებდა სასწრაფოდ. ვახტანგ ამირეჯიბის კარზე დააკაკუნა და შეაღო:

— გისმენთ, ბატონო ვახტანგ, თამაბქოს ქარხანაში ვიყავი გადასული.

— სად ხარ, ბიჭო, დაკარგული, — შეაგება ვახტანგმა — დილიდან რეკავენ, მინისტრს უნდა შენი ნახვა. საღამოს შვიდი საათისათვის გაქვს დანიშნული შეხვედრა! მოიცა, ახლავე დავრეკავ და ვეტყვი, დანიშნულ დროს რომ გამოცხადდები. ვახტანგმა ტელეფონის ნომერი აკრიფა: — ნატაშა, მე ვარ, ვახტანგ ამირეჯიბი, ამირან ლომჯარია დღეს შვიდ საათზე უნდა გამოცხადდეს მინისტრთან, რამე ხომ არ შეიცვალა? არა? ძალიან კარგი!

— თქვენ არ წამობრძანდებით? — შეეკითხა ამირანი.

— საბავშვო ბაღის უფროსობას მე დიდი ხანია თავი დავანებე, გული მიგრძნობს, თავისთან წაგიყვანს. თუ დაგაწინაურეს, ძველი ძმაკაცები არ დაგვივიწყო!

— რა გავაკეთე ასეთი, რომ დამაწინაურონ? — თავი გამოიდო ამირანმა.

— საქმე გაკეთებაზე არ არის, საქმე დანახვაზეა, შენს ნამოქმედარს როგორი თვალით შეხედავენ. შენ არ გეცოდინება, ერთი ძველი ანეგდოტია: ცეკაში ერთი მოსახსნელად გამზადებული დირექ-

ტორი დაიბარეს, რომელიც წვერგაუპარსავი მივიდა ბიუროზე. „რა უნდა ამას დირექტორად, წვერის გაპარსვაც კი ვერ მოუხერხებიაო“, მეორე დირექტორის დაჯილდოება ჰქონდათ გადაწყვეტილი. ისიც წვერგაუპარსავი და დასვრილი ჩექმებით შევიდა: „ხედავთ რა მუყაითი კაცია, იმისი დროც კი არ აქვს წვერი გაიპარსოს და ჩექმები გაიპრიალოსო!“.

— რადგან ასეთ ნოტაზეა აწყობილი ეს ცხოვრება, ვნახოთ, რას გვეტყვის მინისტრი!

— მე საღამოს სახლში გვიან მივდივარ, მინისტრთან საუბრის შემდეგ ჩემთან შემოდი, ვინ იცის, იქნებ დალევაც მოგვიწიოს!

დათქმულ დროს ამირანი მინისტრის კაბინეტის მოსაცდელში იყო. მდივანმა ამირანი კაბინეტში მიიპატიჟა.

შადიმანი ფეხზე წამოდგა და ხელი დიდის ამბით ჩამოართვა ამირანს, მოიკითხა:

— როგორ ხარ, ამირან, უჩემოდ ხომ არ მოიწყინე, როგორ მიდის საქმეები?

— საქმეებს არა უშავს, — უპასუხა ამირანმა, — თუ მოგვეცა ვინმეს დაჭერის საშუალება, ვიჭერთ, ვაფრთხილებთ, პროფილაქტიკას ვეწევით!

— ის პირველი ენთუზიაზმი რაღაც არ იგრძნობა შენს თვალებში.

— რთული რაიონია, ყველას პატრონი ჰყავს, უფროსებს ვერ ვიჭერთ, ყოველთვის ჰყავთ თანამშრომლები „განტევების ვაცად“ გამზადებული.

— ამირან, შენ იცი, ალბათ, რომ ქალაქში თამაბაქოს კრიზისია, ადრე ჩვენ გაგვქონდა სიგარეტი, ახლა ჩვენთან შემოაქვთ და ამის მიზეზი ის არის, რომ ნესტორ ბორჯალაძემ თამბაქოს ქარხანა რემონტში ჩააყენა.

— კანონით ვერაფერში შევედავებით, ყოველი სამი წლის შემდეგ ქარხანა რემონტს მოითხოვს, რემონტს იმიტომ ვერ ამთავრებს, რომ ფული არ აქვს გამოყოფილი სახელმწიფოსაგან. იმდენი ალიბი აქვს, რომ ახლოს ვერ გაეკარები.

— ამირან, სიგარეტის დეფიციტი ხალხში არაჯანსაღ აჟიოტაჟს იწვევს. მთავრობის თავმჯდომარეც დაინტერესებულია, რომ ქარხანა დროზე ამუშავდეს.

— რა თქმა უნდა, თუ ნესტორი დაიტერესდება, ერთ კვირაში ქარხანას აამუშავებს, მაგრამ მე როგორც ვიცი, მას თქვენი ეშინია, ჰგონია, რომ მიზეზს ეძებთ მის მოსაშორებლად. ეგ გამოცდილი კაცია, ცდილობს ახალმა მინისტრმა მისი წილი „ტაბიკები“ დაამტვრიოს და როდესაც მდინარე დაწყნარდება, მერე შეუდგება საქმეს.

— მართალი გითხრა, ეგ კაცი მაშინ უნდა მომეხსნა, მდივნად რომ ვმუშაობდი, მაგრამ მაშინ რატომღაც მაგისთვის ვერ მოვიცალე. რაიმე მიზეზი რომ იყოს, ახლავე მოვხსნიდი.

— ბატონო შადიმან, არის მონაცემები, რომ მაგ ქარხანაში ჩუმად უშვებენ სიგარეტს, საიდან შემოაქვთ მარცხენა ფილტრის ქაღალდი, სად მიაქვთ...

— მერე, რა გიშლის ხელს რომ არ იჭერ?

— მაგას იმდენი პატრონი ჰყავს, ისევ ჭიჭყინენი შეგვრჩება ხელში, ხოლო ოპერაცია თუ გამჟღავნდა, ვიცი, წინასწარ გააფრთხილებენ. ამას წინათ მარცხენა საქონლის გაშვებაზე გადავუკარი სიტყვა, ვითომ ვერ მიხვდა, ძალიან გათავხედებულა, არაფრის არ ეშინია.

— რა არის საჭირო მაგ ოპერაციის შედეგიანად დასაგვირგვინებლად?!

— თქვენი ხელმძღვანელობით ისეთი ხალხის გამოყოფა სამინისტროდან რომლებიც ქარხანასთან შეკრულები არ არიან, ამასთან ჩვენი კომკავშირლების ჩართვაც, რომლებმაც ჯერ გაფუჭება ვერ მოასწრეს!

— მყავს ასეთი კაცი. გაგაცნობ. ამირან, ამ ოპერაციის შედეგებზე არის მე და შენი ძმობა დამოკიდებული!

— ვეცდებით, ვნახოთ, რა გამოვა!

შადიმანმა ყურმილი აიღო:

— ზურაბ, შენთან მოვა ამირან ლომჯარია, პირველი მაისის დატაცების განყოფილების უფროსი, ჩვენ გვქონდა მასზე საუბარი. შენც ესაუბრე და ერთად შეიმუშავეთ გეგმა. მომახსენეთ! ამირან, — მიუბრუნდა შადიმანი ამირანს, — მეოთხე სართულზე ოთხასმე-

თოთხმეტე ოთახში ადი, მე საქმის კურსში ვიქნები! — ამირანი წამოდგა, დაემშვიდობა და მეოთხე სართულისკენ გასწია. ოთხასმეთოთხმეტე ოთახის კარებთან რესპუბლიკის „ობეხე“-ს ახლად დანიშნული უფროსი — ზურაბ ემხვარი გამოეგება.

— დაბრძანდით, ამირან, ჩვენ მგონი კომკავშირიდან ვიცნობთ ერთმანეთს, მეც ერთი თვეა ბატონ შადიმანის თხოვნით გადმომიყვანეს რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტიდან. საინტერესო საქმეა? მომიყევით, თუ შეიძლება.

— სიგარეტის ფილტრი, „ჩემპიონი“, შემოაქვთ ფოთიდან. ჯერ შეაქვთ გლდანის ნაგავსაყრელში, შემდეგ სპეციალურად მოწყობილი ნაგვის საყრელი მანქანით შეაქვთ ქარხანაში.

— კი, მაგრამ როგორ შემოდის და რატომ მიაქვთ ნაგავსაყრელზე? — ვერ მიხვდა ზურაბი.

— ჩვენთან შემოდის როსტოვისთვის და მოლდავეთისთვის განკუთვნილი ფილტრის ქაღალდი. ეს ქაღალდი წესით უნდა გაიგზავნოს ამ ქალაქების თამბაქოს ქარხნებში. მაგრამ ვითომ გემი მოყვა დიდ ღელვაში, ფილტრის ქაღალდი დასველდა და ჩამოიწერა. ეს სქემა კარგა ხნის წინათ არის დამუშავებული. მაგრამ ყურს არავინ იპარტყუნებს ამ დაგეგმილ დანაკარგზე. გარკვეულინაწილიფილტრისა შემოდის სომხეთიდანაც და რა თქმა უნდა, „მარცხენა“ საქონელიც მოჰყვება. ამ „მარცხენა“ საქონლის ავან-ჩავანები არიან ქარხნის მექანიკოსები და ისინი ჩალიჩობენ, ყველას თავის წილს აძლევენ.

— ეს სქემა ცნობილი ყოფილა. ჩვენ რა გვაქვს ახალი?

— ახალი ის არის, რომ მე მეცოდინება ფილტრის ქაღალდს როდის გაიტანენ ერთი მოქალაქის ბინიდან, როდის დატვირთავენ სანაგვე მანქანებს და როდის შეიტანენ ქარხანაში. ისიც გვეცოდინება, მზა პროდუქციას როდის გაიტანენ ქარხნიდან.

— შენ ყველაფერი გცოდნია. რა არის საჭირო იპერაციის წარმატებით ჩასატარებლად?

— ხალხი. ყველა გზა ერთდროულად უნდა გადავკეტოთ. ჯერ უნდა მივცეთ საშუალება ფილტრის ქაღალდი მსუბუქი მანქანებით მიიტანონ გლდანის ნაგავსაყრელზე. იქ ნაგვის მანქანებში ჩატვირ-

თავენ და ფილტრის ქაღალდს შეიტანენ ქარხანაში. შემდეგ იგივე მანქანები დაიტვირთება უკვე მზა პროდუქციით. საშუალება უნდა მივცეთ მიიტანონ პროდუქცია მაღაზიებში. ყველა ეს შეკრული ჯაჭვია და ხალხის დაკავება ყველა პუნქტში ერთდროულად უნდა მოხდეს, რათა გასაძვრომი არ დარჩეს ვინმეს.

— კარგი, ჩემო ამირან, მე და შენ ჩაუდგეთ ამ საქმეს სათავეში. მე მგონი, ერთი ორმოცდაათი კაცი გვეყოფა ყველა წერტილში ჩასაყენებლად.

— ფილტრის ქაღალდი ოთხშაბათ დილით შეაქვთ იმდენი, რომ მთელი კვირა ჰყოფნით.

— თამბაქო საიდან შეაქვთ?

— მაგას მამაზეციერი ვერ გაიგებს, ეტყობა, იმდენი მარცხენა შეიტანეს თავის დროზე, რომ ახლა უნდათ მისი მოშორება. ყოველ შემთხვევაში, თამბაქოს შეტანაზე მე ცნობები არ მაქვს.

— თუ საქმე წესიერად დასრულდა, ეგეც ეყოფათ საკვნესად!

ოთხშაბათ დილისთვის ყველაფერი მზად იყო, ამირანი ბესარიონის ზარს ელოდა. ამ ზარის ხმაც დილის ცხრა საათისთვის გაისმა. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ ორივე მხარემ ოპერაცია დაიწყო.

ხუთი მსუბუქი მანქანა დაიტვირთული ფილტრის ქაღალდით გაემართა გლდანის ნაგავსაყრელისაკენ, შევიდნენ სანაგვის ანგარში და კვლავ დაბრუნდნენ ახალი პარტიის წამოსაღებად. ამასობაში დაიტვირთა ერთი სანაგვე მანქანა ქაღალდით და გაემართა თამბაქოს ქარხნისაკენ. რამდენიმე ხანში ეს მანქანა ქარხნიდან გამოვიდა უკვე მზა სიგარეტებით დატვირთული და მივიდა სოლოლაკში თამბაქოს შესანახ ბაზაში. დაიწყო გადმოცლა. ზურაბმა რაციით მისცა ნიშანი თავის ხალხს და ყველა ჯგუფი შეუდგა დაკავების ოპერაციას.

ამირანი ამ დროს ჟიგულების მიმართულებით იყო ჩასაფრებული. შეთანხმებისამებრ ისინი ავტოინსპექტორებმა გააჩერეს. მანქანები დაახლოებით ასი მეტრის ინტერვალით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ინსპექციამ ყველა ერთდროულად გააჩერა. პირველი მანქანიდან გადმოხტა გელა ხალასტაშვილი და ინსპექტორს დაუწყო რაღაცის მტკიცება, მეორე ჟიგულიდან ამირან ზარნაძე გადმოვიდა და ისიც გაჩერების მიზეზით დაინტერესდა, დანარჩენი მანქანები ადგილზე

გაჩერდნენ, მხოლოდ ერთმა უკან მოტრიალება მოასწრო. ინსპექ-ტორმა აუხსნა, რომ რეიდია და მანქანები უნდა გავჩხრიკოთო. გაჩხრიკეს.

— ეს რა არის? — იკითხა ავტოინსპექტორმა.

— ქაღალდია, სახლის რემონტის შემდეგ დაგვრჩა და გლდანის სანაგვეზე უნდა გადავყაროთ!

— რაღაც ძალიან ბევრი ნაგავი დაგიგროვებიათ!

— რას იზამ, მშენებლები ვართ, ნაგავი ჩვენ თუ არა გადავყ-არეთ, აბა ვინ გადაყრის?

ამ დროს მათ ქუდჩამოფხატული ამირანი მიუახლოვდა:

— ეგენი მშენებლები კი არა პროვოკატორები არიან, რამე არ გაჭამონ! — უთხრა ავტოინსპექტორს.

— ეს ვისი ტიკი-ტომარაა, — გაბრაზდა გელა ხალასტაშვილი — შენ ვინ გეკითხება, მე და ინსპექტორი რას ვლაპარაკობთ?

— შენი პროვოკატორი დედა ვატირე, რატომ ატყუებ ამ კაცს!

გელა ყელში წვდა ამირანს, ამირანსაც ეს უნდოდა, გაუქანა თავი და გელა იქვე გაიშხლართა.

— აბა, აიყვანეთ ყველანი, ხელბორკილები დადეთ!

ყველა მძღოლი, საამქროს უფროსი მისი მოადგილე მაშინვე გაკოჭეს და თავიანთი მანქანებით სამინისტროში მიიყვანეს. სამინ-ისტროს ეზოში უკვე იდგა ნაგვის ორი მანქანა მზა სიგარეტებით დატვირთული. ქარხნის დირექტორი და ბუღალტერი ზურაბ ემხ-ვარის კაბინეტში ისხდნენ, როცა ამირანი შევიდა.

— ნესტორ - ბატონო! მე ვტყუივარ რამეში თქვენთან, იმ ხალხს სულ პროვოკატორი და ვიგინდარა რომ აძახებინეთ და ისე გამო-მაძევეთ?

— შვილებს გეფიცები, ამირან, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, კი, რაღაც დარჩენილი პროდუქცია გვქონდა, ვასაღებდით, ხალხ-ისთვის ხელფასი რომ მიმეცა, მარა ეგენი თუ ამას სჩადიოდნენ, როგორ მეგონა!

— ბატონო ნესტორ, — მიმართა ზურაბმა, — თუ იცოდით და ხმას არ იღებდით, ეს დანაშაულია, ხოლო თუ არ იცოდით, ესეც

დანაშაულია თქვენი თანამდებობისა და კოლექტივის წინაშე, რომლის იმედი ვერ გაამართლეთ.

— „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო“.

— ეს ოპერაცია რესპუბლიკამ ჩაატარა, მე ვეხმარებოდი, ღმერთია მოწმე, მე გაგაფრთხილეთ. ახლა კი, ბატონო ზურაბ, მე ჩემი მოვალეობა მოვიხადე. აწი ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. მე ყველა დაკითხვის ოქმს ხელი მოვაწერე, თუ შეიძლება დაგტოვებთ. დაკავებულები, რაც უნდა იყოს, ჩემი ნაცნობები არიან და შეიძლება ყოველთვის სამართლიანი არ ვიყო.

— კარგი, ჩემო ამირან, თავისუფალი ხარ.

ერთი კვირის შემდეგ ამირანი გამოიძახეს შადიმანის კაბინეტში.

— ამირან, სამინისტროში უნდა გადმოგიყვანოთ, ზურაბ ემხვარის მოადგილედ, მგონი კარგად შეეწყვეთ ერთმანეთს, პირველი ოპერაცია წარმატებით დაასრულეთ. თამბაქოს ქარხნის დირექტორი მოვხსენით და ახალგაზრდა კაცი დავნიშნეთ, მე მგონი, ერთ თვეში ქარხანას აამუშავებს. ჯერ, ალბათ, წესიერად იმუშავებს და მერე ალბათ ეგეც დაიწყებს ფულის კეთებას.

— ადამიანს თანამდებობა და ფულის ადვილი შოვნა აფუჭებს, ამიტომ მასეთ ადგილზე ერთ წელზე მეტი არ უნდა გააჩერო კაცი, შემდეგ რაღაც მიზეზით სხვა ადგილზე უნდა გადაიყვანო, სანამ კოლექტივს შეეჩვევა.

— ასე არ ფიქრობენ მინისტრთა საბჭოში. მუშაკი თუ გამოცდილია ანუ ქურდობა ეხერხება, საწარმო კარგად მუშაობს, თუ გამოუცდელია, წესიერი კაცია — საწარმო სულს ღაფავს. ასე, რომ ვერ გაიგებ, ჩემო ამირან, რა სჯობს. შენ რას იზამ, თანახმა ხარ თუ არა ჩვენთან იმუშაო?

— თქვნთან მუშაობაზე თანახმა ვარ, მაგრამ მართალი რომ გითხრათ, დატაცების განყოფილებაში მუშაობა არ მინდა, სამძებრო განყოფილებაში გადამიყვანეთ, იქ უფროა ჩემი საქმე, უფრო საინტერესოც არის და ჩემს ბუნებასაც შეეფერება, — მორიდებულად უთხრა ამირანმა.

— დატაცების განყოფილებაში რა არ მოგწონთ?

— ყველას პატრონი ჰყავს, ვერ გაიგებ, ქურდად მონათლო თუ წარმოების ხელმძღვანელად. ყველა ქურდობს. არის ქურდობის დაუწერელი წესები, შეგიძლია მანეთი მოიპარო და ამაზე წესით არავინ არაფერი გითხრას, ხოლო თუ მანეთნახევარს მოიპარავ, დამნაშავე ხარ. თქვენი თქმისა არ იყოს, თუ წარმოების ხელმძღვანელმა რამე არ იმაიმუნა, ისე ვერ იმუშავებს, თუ იმაიმუნა, მაშინ ყველა ხელში შეჰყურებს, ყველა წილს თხოვს.

— მაგაზე მეც მიფიქრია, ადვილია, როცა შენს წინ მკვლელია, დამნაშავე, გამომქომაგებელი არავინ ჰყავს, მაგრამ მოდი, ჩემი ხათრით, ჯერ-ჯერობით აქ იმუშავე და მერე ვნახოთ, ალბათ, გადაგიყვან! — ღიმილით უთხრა შადიმანმა.

ამირანი ერთი კვირის შემდეგ თავის სამუშაო ოთახში იჯდა ზურაბ ემხვარის კაბინეტის გვერდზე. ამ დროს დარეკა ტელეფონმა, ყურმილში გივის ხმა გაისმა:

— მომილოცავს ამირან, დაწინაურება, იმასაც მოვესწარი, ჩემი უფროსი გახდი და ჩვენს განყოფილებას შენ კურირებ! ისე, როგორც მასწავლებელი, მაგარი გამოვდექი. შენ რას იტყვი?

— მოსწავლე როგორი გამოგადგა?

— მოსწავლეც კარგი გამომივიდა, მაგრამ მთლად ჩემს რჯულზე ვერ მოგნათლე. ისე შენისთანა „წმინდანი“ მაგ კაბინეტში არ მჯდარა, იქნებ სხვებსაც ანგელოზის ფრთები გამოაბა, — ხითხითებდა გივი.

— როდის გინახულო, გივი?

— შეიცვალა, ამირან, დრონი — ახლა მე უნდა გეახლო, მაგრამ როგორც ძველი ძმაკაცი, დღეს მე გეპატიჟები რესტორანში, სმა ხომ არ დაგვიწყებია, ბიჭო?

— სად შევხვდეთ და რომელ საათზე?

— რესტორან „არაგვთან“ ექვს საათზე. შესასვლელში შევხვდეთ ერთმანეთს.

საღამოს ექვსი საათისთვის სუფრას უსხდნენ.

— ისე, დიდ გაუგებარ და უმადურ საქმეს ვემსახურებით, ჩემო ამირან!

— მე სამძებროში ვთხოვე გადაყვანა, მაგრამ ჯერ-ჯერობით უარი მითხრა:

— რა გინდა, ბიჭო, ეს სამძებრო რას აიჩემე, მშიერი ადგილია. თან ფულის პაჭკების ნაცვლად ტყვიას უნდა შეუშვირო შუბლი. თუმცა, შენ ფულს არ იღებ და რა მნიშვნელობა აქვს, სად იმუშავებ.

— ფულს რომ იღებ, ჩემო გივი, უნდა გეკუთვნოდეს, უნდა დაიმსახურო. ჩვენი ხალხი „რეკეტს“ ეწევა, მუქთად მოსდით.

— რას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ხარ! მუქთად მოსულ ფულს აქვს გემო, თორე, ცხრა ტყავი რომ გადაგძვრება, არც მაგისთანა ფული მინდა და არც ტყავის გაძრობა.

ოფიციანტმა ორი ბოთლი შამპანური და ერთ გაუხსნელი კონიაკი მოიტანა, კონიაკის მეორე ბოთლი გახსნილი იყო, სითხე ორ ჭიქაში ესხა და ცეცხლი ეკიდა. ლანგარზე ბარათი იდო: „ასე დაიწვას თქვენი მტრები!“ პატივისცემით, „ვასკა“! ოფიციანტმა თვალით მიანიშნა მაგიდა. „ვასკა“ ჭიქის მაღლა აწევით ორივეს ლოცავდა, ამირანმა და გივიმაც ასევე ჭიქების მაღლა აწევით მადლობა გადაუხადეს.

— ხედავ, ამიარან, ქურდებმაც იციან, ფულს რომ არ იღებ და სასმელი შემოგვწირეს!

ჭიქა აწეული არ ჰქონდა, რომ ოფიციანტმა ახლა ორი მწვადი და ორი კიევური კატლეტი მოაცუხცუხა: „ეს იმ მაგიდიდან! “ ამირანმა ბესარიონს მოჰკრა თვალი.

მასაც ჭიქის აწევით გადაუხადა მადლობა.

— რაშია საქმე, ამირან, მე მინდოდა შენი დაპატიჟება და იქეთ გამოგდის დაპატიჟება! — გაეცინა გივის.

— რა ვიცი, კაცო, ქურდები და აგენტები რესტორნებში დადიან თურმე, მე და შენ კაბინეტიდან ცხვირი ვერ გამოგიყვია!

— ამირან, შენს დაწინაურებას გაუმარჯოს! არა მგონია, ჩემზე მეტად შენი დაწინაურება ვინმეს გაუხარდეს, რაც უნდა იყოს, შენი ნათლია მე ვარ!

— ვიცი, ჩემო გივი, სანამ შადიმანია მანდ, ჩემი კარიერის საქმე, ალბათ, „ალუჩაზე“ იჯდება, შენ ხომ იცი, მონდომებას არ დავაკლებ.

— შადიმანი დიდი გამოცდილების კაცია. ასე ხელაღებით ეგ არავის ენდობა. ყველგან აგენტები ჰყავს, ცდილობს თანამშრომლები ერთმანეთს გადაჰკიდოს, რადგან თუ თანამშრომლები ერთმანეთთან ტკბილად იქნებიან, საქმეს ევნება, ამასთან ხომ იცი, მილიციის დაზვერვა მთლიანად მაგას ემორჩილება, რამე ხუმრობითაც არ წამოგცდეს მაგაზე!

— რა უნდა წამომცდეს, ჩემთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია!

— ვარიანტი არ არის მაგან არ შეგამოწმოს, ვიღაცას სახლში გამოგიგზავნის, ნახავს, როგორ ცხოვრობ. თუ დაგიახლოვდა და დაგაწინაურა, სახლში აუცილებლად მოსასმენ აპარატურას დაგიყენებს. როგორც ამბობენ, „კაცს ენდე, მაგრამ შეამოწმეო“!

— შემამოწმოს მერე, რა უნდა ნახოს?

— ამირან, მე ჩემი გითხარი.

— რაც მოსახდენია მოხდება, დღეს ერთმანეთს სიტყვით მაინც მოვეფეროთ და ვენდოთ.

— ჩემო ამირან, ჩვენი ქვეყანა მაინც სადღეგრძელოების სამშობლოა. ბავშვობიდან გვასწავლიან სიტყვა-პასუხის მადლს. ამასთან კაცი სუფრაზე უნდა მოეფერო, ახლა იგი შენმა თანამეინახემ უნდა შეაქოს და შენი ნათქვამი კი არ უნდა გაიმეოროს, ისიც იძულებულია რაღაც სასიამოვნო ახალი უთხრას და ასე გრძელდება ყველა სუფრაზე. ქართველები რეალურ ცხოვრებიდან განსხვავებით, სუფრაზე კაცში „კარგს“ ვეძებთ და ამ კარგს ტყუილით თუ სიმართლით ყოველნაირად ფრთებს ვასხამთ. ბოლოს თანამეინახე, რომელიც შექების მეათედსაც არ იმსახურებდა, ყოყოჩდება, ეს ვინ ვყოფილვარო და სუფრას ნასიამოვნები ტოვებს. სამაგიეროდ, რეალურ ყოფიერებაში ყველაფერს შებრუნებით ვაკეთებთ. ყოველდღიურ ცხოვრებაში რომ ისეთნი ვიყოთ, როგორებიც სუფრაზე ვართ, ჩვენზე ძლიერი და გამტანი ერი არ იქნებოდა ამ სამყაროში.

— ამიტომაც იყო, თათრები რომ შემოგვესეოდნენ, პირველ რიგში ვენახებს აგვიჭრიდნენ, რადგან ჩვენ ხალხს რომ „ნუნუა“ და სუფრა აერთიანებს, ისე ვერავითარი ძალა ვერ კრავს!

— ჩემო ამირან, ჩემთან შედარებით შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, ამიტომ გისურვებ შენ შენი წილი შეცდომები ყმაწვილკაცობის პერიოდშივე მოგეცილებინოს, რადგან ჩემს ასაკში შეცდომებას არავინ გაპატიებს, დანანებით კი არაფერი არ ინანო, აი ის შენი პატიოსნებაც, ის, რომ ჯერ არ გაფუჭებულხარ და ქრთამს რომ არ აიღებ, არ ინანო! ისე, მე თუ მკითხავ, შენ ჯერ-ჯერობით, შენი თავის ფასი არ იცი, ჩემო ძმაო!

— ჩემო გივი, ალბათ ადამიანი შენი თავის წინაშე მოუსყიდავი მსაჯული-მოსამართლე თავადა ხარ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი თავის ფასი არც მე ვიცოდე და არც შენ!

— ეე, ჩემო ამირან, ფასის დადება ნუ გეშინია არ მეშლება, მაგრამ გადამხდელის მოძებნაა ძნელი.

— როგორც მე ვიცი, გადამხდელის მოძებნა არ გეშლება და არც გიჭირს!

— დღეს მე და შენ ძმაკაცურ სუფრასთან ვსხედვართ. კაცები რომ შეიყრებიან, ვისზე ლაპარაკობენ? რა თქმა უნდა ქალებზე! ამ ჭიქით მინდა იმ მამაკაცის სადღეგრძელო შევსვა, რომელიც ქალის ტუჩებით საზრდოობს და იქიდან ამოაქვს ნექტარი, სიამოვნების მორევში ცურავს და თავბრუ ეხვევა, თორემ მარტო კოცნა ყველას შეუძლია, აქ „კაიფია“ მთავარი!

— გივი, ამ ქალებში რომ დაძვრები, შენი ცოლი არაფერს არ გეუბნება, ან იმ სავალდებულო მინიმუმს რას უშვრები, რომელიც ღმერთის და კანონის ძალით შენი ცოლისთვისაა განკუთვნილი.

— ჩემო ამირან, ჩვენს ქალებს, ცოლები მყავს მხედველობაში, ფული მიუტანე, ბინა მოუწყვე, ერთი სამი ბავშვი გაუკეთე და ეგ საქმე მაინცდამაინც არ ანაღვლებთ. რაც შეეხება სავალდებულო მინიმუმს, ხანდახან სახლშიც ვახერხებ რაღაცას, მთლად უპატრონოდ კი არ მყავს ეგ ქალი მიტოვებული! — ეშმაკური ღიმილი სახიდან არ შორდებოდა გივის.

— რადგან ქალების სადღეგრძელოა, კაცები სუფრაზე, მე ამ სადღეგრძელოს ასე ვიტყოდი — ქალის ვნებათა ღელვის ტალღებში მოხვედრილ მამაკაცს ღირსებას, ვუსურვებ არც თავი დაეზოგოს

და არც ქალი დაენდოს, ერთმანეთის სიამოვნებისათვის არაფერი დაეკლოთ!

— პა, პა, პა, ეს რა ჩვენი პარტიის ლოზუნგებივით იხარჯები:

„ვამბობთ ქალს, ვგულისხმობთ მამაკაცს, ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ სამშობლოს!“ ამირან, როგორც ვიცი, ცოლთან გაყრილი ხარ, თუ არ ვცდები, ერთი ბიჭიც გყავს; ამისთანა კარგ ბიჭს, ქალი ხელიდან გაუშვებდა?

— კაცს მაშინ სჭირდება მხარში დადგომა და მოფერება, როდესაც უჭირს და ცხოვრებაში თავისი გზა ვერ მოუნახავს. მე ცოტა ადრე მოვიყვანე ცოლი, სტუდენტობისას. როცა ინსტიტუტი დავამთავრე, ამ ქალაქში ვერ ვიშოვე ხეირიანი სამუშაო. ხანდახან ჩუმად, რკინიგზის სატვირთო სადგურზე ვაგონსაც ვცლიდი, მაგრამ ეს ოჯახს არ ყოფნიდა, აქედან უკმაყოფილება, უკმაყოფილება კამათში გადაიზარდა, კამათი — ჩხუბში, ოჯახი დამენგრა.

— ბიჭს ხომ ნახულობ, ხომ ეხმარები, ამირან?

— ვნახულობ, ვეთამაშები, მეძმაკაცება. უკვე 10 წლისა გახდა. მაგრამ თავს ჯერ-ჯერობით ბედნიერად ვთვლი, უცოლოდ რომ ვარ!

— ცოლის მოყვანას და ოჯახის შექმნას, ამირან, მარტო სურვილი არ ყოფნის, შინაგანად უნდა მომწიფდე, არა მარტო სულმა, სხეულმაც უნდა გაგრძნობინოს რომ ცოლის მოსაყვანად ე.ი. სულ „სუპის“ საჭმელად მზად ხარ.

— გივი, ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს, ჩემი ჯილა ხარ! მე შენგან ბევრს ვსწავლობ. უშუალო კაცი ხარ, არც მაინცდამაინც დიდი დარდი იცი, საქმე გიყვარს, მაგრამ რაიმე თუ არ გამოვიდა, არც ამაზე იკლავ თავს!

— ამირან, ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს, ახლა უკვე სუფრასთან გილოცავ დაწინაურებას, სულ წინ გევლოს! სიბერეში ამას მაინც ვიტრაბახებ ჩემი გამოზრდილია მეთქი, ხომ იცი, თავის შექება ძალიან მიყვარს!

— ვიცი ჩემო გივი, დიდი მადლობა რომ ჩემს გვერდზე დგახარ. მე მგონი დროებით შესვენების გამოცხადებაა საჭირო, პურმარილზე კიდევ მრავალჯერ შევხვდებით ერთმანეთს!

— ამირან, ახლა ჩვენი სუფრის ფინიშს კარგი ტორტი და ქაფიანი ყავა მოუხდება!

— ტორტს ჭამ ამხელა კაცი?

— რა ვქნა, ბავშვობიდან მიყვარს. ღვინის სმას რომ დავამთავრებ არ შემიძლია ერთ ნაჭერი ტორტი რომ არ მივაყოლო, რა ვქნა სამი სისუსტე მაქვს ცხოვრებაში. ფული, ქალები და ტორტი!

— ოფიციანტ! მოდი ერთი — მოიხმო ამირანმა — თუ ძმა ხარ ერთი, ბისკვიტის ტორტი მოგვიტანე და ორი მოზრდილი კარგი ქაფიანი ყავა და ამით შევაჯამოთ ჩემი და ამ კაცის მუშაობა დღეს!

არ გასულა ათი წუთი ოფიციანტმა უკვე მოიტანა შეკვეთილი და თან იქვე მაგიდაზე მჯდომ ქალზე მიუთითა.

— იმ ქალბატონმა გამოგიგზავნა ბატონ ამირანს! თქვენ რომ დაგშორდათ შემეკითხა „რა შეგიკვეთესო“ და თავისი ოჯახისთვის ტორტი ჰქონია ნაყიდი და გადმომცა თქვენთან მოსატანად თან ნაყინი და ყავაც მან შეუკვეთა თქვენთვის!

ამირანმა გაიხედა და მაგიდასთან ქეთინო იჯდა თავისი მეუღლესთან და შვილებთან ერთად.

— რაშია ამირან საქმე, ქალებიც გიგზავნიან ბიჭო ძღვენს? ახლა მივხვდი რატომ არ იღებ ფულს; ფული გჭირდება იმისათვის რომ დრო ატაროთ, ხოლო თუ დროს მუქთად ვატარებ, ფული რაღად მინდა! არ მითხრა ახლა ეგეც ჩემი აგენტიაო!

— რა იზამ გივი, სრულ ჭეშმარიტებაა! — ამირანი წამოდგა, ქეთინოსთან მივიდა, ხელზე ეამბორა, ქმარს გაუცინა, ხელი ჩამოართვა, ბავშვებისთვის შეკოლადის ფილები შეუკვეთა და თავის მაგიდასთან დაბრუნდა.

— ამირან, აწი ყოველთვის მე დაგპატიჟებ რესტორანში, ყველაფერს ბედი უნდა! ეტყობა მართლა კეთილი კაცი ხარ, თორემ ნებაყოფილობით ამ მასტის ხალხი ასე ადვილად არ სცემენ პატივს ჩვენს საქმიანობის ხალხს!

— რას ვიზამ, კარგი კაცი ვარ, ხომ ვერ დავმალავ — გაიცინა ამირანმა — ალბათ ჩემი დაწინაურების ამბავი გაიგეს! მილიონნახევრიანი ქალაქია და ყველამ ყველაფერი იცის.

— ამირან, ჩვენგან მარცხნივ, მეორე მაგიდასთან, „თავმონიკელებული“ კაცი რომ ზის, ეგ იყო შენს ადგილზე სამინისტროში და ჩვენ-

თან გადმოიყვანეს სამძებროს ინსპექტორად. ვანში ამოწმებდა ღვინის ქარხნის მზადყოფნას. ქარხნის დირექტორმა ორი დღე აქეიფა, დრო ატარებია და გამოისტუმრა თან უთქვამს „ზეგ ჩამოვალ და ხუთას მანეთს ჩვენი ქარხნიდან საჩუქრად მოგართმევო“. მართლაც, დათქმულ დღეს ჩამოსულა ეს კაცი და როცა მაგის კაბინეტში შევიდა. ამ დამპალმა დააჭირა ზარს თითი და ეს კაცი არ დააჭერინა! ბედად, ჩემი პატიმარი იყო წინასწარ დაკავების საკანში. ყველაფერი მითხრა, როგორც იყო. მე ვუთხარი: „მიაწექი პირიქით, თქვი, რომ თვითონ გთხოვა სესხება-მეთქი“. საბოლოოდ დირექტორი გაათავისუფლეს სამსახურიდან. სამაგიეროდ, შადიმანმა ეს დამპალიც მაშინვე მოიშორა სამინისტროს და ჩვენთან გადმოაგდო ინსპექტორად.

— რაო, რა თქვა, რატომ გავაკეთეო?

— ხუთასი მანეთი როგორ მაკადრა ქრთამად, მაგის მათხოვარი ვინ იყოო.

— მთავარია გივი, კაცობაში არ შეგეშალოს! შეიძლება ისეთი ფული ავიღოთ, რომელიც არ გვეკუთვნის, მაგრამ კაცი ტყუილად არ უნდა გაწირო, ღმერთი არ გაპატიებს!

— მაგ კაცს არავინ პატივს არ სცემს განყოფილებაში; ახლა ყურებჩამოყრილია, მე მაინცდამაინც არ ვაწვები, ბიჭები კი უკვე მასხარად იგდებენ, რადგან სამძებროში მუშაობას თავის განძრევა, მეძებრის გეში და თავის ყისმათი უნდა. ჯერჯერობით, იყავი იმ ბაგაზე, სადაც მიგაბეს და შენს სამყოფს ყოველთვის იშოვნი ისე, რომ წესიერი კაცის სახელი შეგრჩეს.

— მეც მყავდა რაიონში ერთი მოადგილე, მთლად ცუდი კაცი არ გამოდგა, მაგრამ ერთ ადგილზე გაყინეს, ჩემს მაგივრად სხვა დაუნიშნავთ განყოფილების უფროსად.

— აბა, დღეს გვეყოფა, ამირან, კარგად დავიტვირთეთ, აღარც ჭამის თავი გვაქვს და აღარც სმის, დანახარჯსაც მე გადავიხდი, სიტყვა — სიტყვაა, ოფიციანტ!

ოფიციანტი ღიმილით მიუახლოვდა და აუწყა:

— გადახდილია ბატონებო!

— ვინ გაბედა! — ყასიდად გაიქაჩა გივი.

— თქვენმა კეთილისმდომებმა და გადასახდელი აღარაფერი დარჩა!

* * *

მეორე დილით, ზურაბ ემხვარის კაბინეტში ამირანი კასპის რაიონიდან მოსულ საჩივარს ეცნობოდა. შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: კასპის რაიონის ყელ-ყურის ექიმმა ბავშვს გლანდები იმიტომ არ ამოკვეთა, რომ ექიმის მიერ დაწესებული გადასახადი, ოცდათხუთმეტი მანეთი ბავშვის დედამ სრულად ვერ გადაიხადა — თორმეტი მანეთი დააკლდა. ბავშვის დედა ექიმის დასჯას და გლანდების ოპერაციის უფასოდ გაკეთებას ითხოვდა.

— ზურაბ, რა ვუყოთ ამ წერილს, რომ დამაწერე, თორმეტი მანეთისთვის დავიჭირო ის კაცი.

— ეგ კაცი უარესის ღირსია, ოპერაცია უფასოა, რის საშუალებაც აქვს პაციენტს და რა პატივსაც გცემს, იმას დასჯერდი! რა, უფულობის გამო კაცი, მით უმეტეს, ბავშვი, უნდა მოკლას?

— მაგისთვის წავიყვანო ოპერატიულ ჯგუფი, იქაურები მაგის დასჯას ვერ ახერხებენ?

— რას იზამ ამირან, თამბაქოს ოპერაციის მერე ასეთ უმნიშვნელო საქმეზე შენი გაგზავნა არ უნდა ეკადრებინათ, მაგრამ ნახე, მინისტრის რეზოლუცია ადევს, სასწრაფოდ გაერკვიეთ სიტუაციაშიო. შენ არ იცი ბანდიტსა და ექიმს შორის რა სხვაობაა, ის რომ პირველი ფულის გულისთვის კლავს ადამიანს, მეორე უფულოდ არ მკურნალობს, შედეგი ერთნაირია, ორივე კლიენტს იმ ქვეყნად ისტუმრებს.

— წავალ დღესვე, ბიჭებს წავიყვან, თან დანომრილ ფულს წავიღებ და იმ კაცს დღესვე მოგგვრი გაბაწრულს! იმ ქალის მისამართი მომეცი.

— მაგ წერილში წერია ყველაფერი, დღეს, საღამოსთვის ველი შედეგს.

ამირანი ოთხი კაცის თანხლებით კასპში წავიდა მანქანით, მომჩივანის სახლი მონახა, ქალს თავის დაწერილი განცხადება აჩვენა, დანომრილი ფული მისცა. მიკროფონი ლიფში ჩაუმალეს.

ქალი შევიდა საავადმყოფოში.

— რა ქენი, მოიტანე? — იკითხა ექიმმა.

— მოვიტანე, ბატონო, მეზობლებში ვისესხე, ხომ გითხარით, იმ თორმეტ მანეთსაც მოგიტანთ-მეთქი ოპერაციის შემდეგ!

— თქვენ, გლეხებმა, მასე იცით, მოგიტანთო და მერე გავიწყდებათ. — ექიმმა ფული გადათვალა — სწორია, ხვალ მოიყვანე შენი ბავშვი და ამოვაცლი მაგ გლანდებს. რაღაც თორმეტი მანეთისთვის უნდა გავაწბილო ბალღი, არა გრცხვენია, წადი ახლა და ხვალ დილით ათი საათისთვის ბავშვი ჩემთან იყოს უსმელ-უჭმელი!

ქალი გავიდა თუ არა, ამირანი შევიდა, ბიჭებიც შეჰყვნენ. ამირანი ექიმს იმ ხელზე ეცა, რომელშიც ფული ეჭირა, მექრთამე დასტაქარს ხელბორკილი დაადეს.

— რა გინდათ ჩემგან, ვინ ხართ, ფულს რატომ მართმევთ?

კიდევ ვერ მიხვდა ექიმი.

— ჩვენ მექრთამეობის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი ვართ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროდან!

— მერე, ჩემთან რა საქმე გაქვთ!

— ქრთამი, შე ახვარო! როგორ არა გრცხვენია ბავშვს თორმეტი მანეთის გულისათვის არ გაუკეთე ოპერაცია!

ექიმი ბოლოსდაბოლოს მიხვდა ვინც იყო ეს ხალხი და რაც უნდოდათ, მაგრამ კატასავით ზურგზე არ ეცემოდა!

— მე რისი უნდა მრცხვენოდეს, ამხელა სახელმწიფოს არ რცხვენია, რომ არ ზრუნავს თავის სპეციალისტების კეთილდღეობაზე აკვნიდან — საფლავამდე და მე უნდა შემრცხვეს? თუ მასეა არც ჩვენ ვართ ვალდებულები მის „სიაფანდ“ კანონებს დავემორჩილოთ და გაჭირვებით ვირჩინოთ თავი!

ექიმი იმასაც მიხვდა, რომ ფული დანომრილი იყო და ფული სპეციალური საღებავით იყო დამუშავებული.

— მერე, მაგის გულისთვის უნდა გაწირო სასიკვდილოდ ბავშვი, ერთ მშობელს არა აქვს, მეორე მოგცემს, რა მოხდა მერე, დაიქცა ქვეყანა? — აღშფოთებას ვერ მალავდა ამირანი ექიმის უტიფრობაზე.

— მაგათ, ასე რომ არ მოვექცე, სულ მუქთად მოინდომებენ ოპერაციის გაკეთებას, კეთილი ინებონ ბატონო, უკეთესად იმუშაონ, ქათმები, საქონელი გამოზარდონ, გაყიდონ და საჭირო ფულიც

მოიტანონ, მე ჩემი ხელფასი არ მყოფნის, რა, კასპში იმიტომ კი არ წამოვედი რომ აქაური ბუნება მომწონს და მშიერი ვიყო!

ამირანი კინაღამ გადაირია.

— კაცო, შენ აქეთ გვედავები, ქრთამზე დაგიჭირეთ, ვერ ხვდები?!

— დამიჭირეთ, ახლა ფეხები არ მომჭამოთ, იმ ქალმა თავის ნებით წინასწარ მოიტანა „მაღარიჩი“ მე კი არ მითხოვია!

— მთლად მასე არ არის, თქვენი საუბარი ჩაწერილი გვაქვს!

— მერე რა, წავალ ციხეში, თქვენ გგონიათ ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტი იქ არ დაჭირდებათ? იქაც ფულს გავაკეთებ თქვენ იკითხეთ, თორემ, მე სადაც არ უნდა მოვხვდე, ყველგან ფული მექნება!

ამირანს აღშფოთება თანდათან გაოცებაში გადაუვიდა, ვერ ხვდებოდა ექიმის ასეთი თავხედობის მიზეზს და შედარებით მშვიდად შეეკითხა:

— თქვენ აღიარებთ ქრთამის აღებას?

— მე არაფერს არ ვაღიარებ, ეგ ფული საიდან შემომტენეთ ხელში არ ვიცი, ალბათ იმიტომაც მეჭიდავებოდით!

— მაგას ჩვენთან გავარკვევთ, წამობრძანდით ჩვენთან სამინისტროში!

— სანამ თქვენთან წამოვიდოდე, ერთი ტუალეტში შევალ, თორემ გამისკდა შარდის ბუშტი!

— შემობრძანდით ბატონო, გიგა მოხსენი ბორკილი!

ექიმი შევიდა ტუალეტში და ცოტა ხნის შემდეგ ხელებგაწითლებული გამოვიდა. ამირანი მიხვდა ექიმის ეშმაკობას, იფიქრა ალბათ საღებავს მოვიცილებ ხელიდანო და ხელებზე გადაიფსა, ის კი არ იცოდა, რომ სითხესთან მიკარებისას საღებავი იხსნებოდა და ხელზე წითლად რჩებოდა.

— რა მოგივიდათ ბატონო ხელებზე? — ირონიულად მაგრამ ვითომ მზრუნველად შეეკითხა ამირანი.

— ეტყობა წითელი ქარი შემეყარა!

— მიდით პირსაბნთან, საპნით დაიბანეთ ხელები, ეგ საღებავი სამი დღე ხელიდან არ გადადის, სანამდე ვუყუროთ შენს ფსლიკიან ხელებს!

ექიმმა ხელები დაიბანა, ხალათი გაიხადა, პიჯაკი ჩაიცვა, ჰალსტუხი გაისწორა და მშვიდად ჩაჯდა მანქანაში.

სასამართლომ ექიმს პირობით ორი წლით იძულებითი სასჯელი შეუფარდა, ხელფასიდან ოცდახუთი პროცენტის დაკავებით და თავის ადგილზე დააბრუნა. ამირანს კი თავისი მეგობრის შეწუხება მოუხდა, რათა ბავშვისთვის გლანდები ამოეკვეთათ.

* * *

მინისტრმა ზურაბი და ამირანი ერთად დაიბარა:

— ეგ საქმე, ჩემო ზურაბ, შენს განყოფილებას დავაწერე. მინდა, რომ შესრულება ამირანს დაავალო, ეგ მაგის სტილშია. საქმე ნახევრად ქრთამს, ნახევრად კრიმინალს ეხება, სერიოზულად მიუდექით, ამ საქმეში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტია ჩართული. საქმე შემდეგშია: მაგათი აგენტი, ვინმე „მადლენა“, ვითომდა ხალხს აწყობდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ხალხს ფულს ართმევდა, ხოლო ვინც ფულის უკან დაბრუნებას მოითხოვდა, მათ სწამლავდა და კლავდა. იგი ლამაზი, მიმზიდველი ქალია, კარგად მოსაუბრე, სექსზე უარს არ ამბობს. მას მაგ საქმეში თავისი ქალიშვილიც ეხმარება, ამბობენ ძალიან სექსუალური გოგოაო. თუ არ ვცდები, ორთავენი მოსკოვში, სასტუმრო „როსიაში“, ცხოვრობენ, იქ „ნადირობენ“ შუა აზიიდან და ამიერკავკასიიდან ჩასულ თანამდებობის პირებზე და ფულიან „კლიენტებზე“. ღამეში ორას მანეთს იღებენ, ხოლო თუ ვინმესთან ბევრი ფული დაიგულეს, წამლავენ, არც ქურდობაზე ამბობენ უარს. შუააზიელი სტუმრების სიკვდილის ოთხი შემთხვევაა დაფიქსირებული.

— ჩვენ რა გვევალება, ბატონო შადიმან?

— გვჭირდება ნივთიერი მტკიცება, ე.ი. საწამლავი, რომელსაც ისინი პარტნიორს სასმელში უსხამენ!

— ის ქალი ამჟამად მოსკოვშია?

— მოსკოვშია, ქალიშვილთან ერთად, უშიშროების კომიტეტს ჰყავს საქმეზე გაგზავნილი. რაც შეეხება უმაღლესში ხალხის მოწყობას, მეძობას, ხალხის მოწამვლას, ეს საქმიანობა შეთავსებული აქვთ. ასე, რომ ჩემო ამირან, მოგიწევს მოსკოვში გაფრენა და დედა-

შვილთან დაახლოება. ფულიან კაცად უნდა მოაჩვენო თავი. ხომ მთხოვე სამძებროში მუშაობა, აგერ აგისრულდა!

— კონსულტაცია ხომ უნდა გავიარო ქიმიკოსებთან, იქნებ სუნით ან ენით ვიგრძნო საწამლავი.

— ხომ არ შეგეშინდა, ამირან?

— ცოტა განათლება ხომ უნდა მივიღო შხამების თაობაზე, მე მგონი, ეს ხელს არ შემიშლის, პირიქით!

— კარგი, კარგი, ამირან, ნუ გაცხარდი! — გაეღიმა შადიმანს, — ხვალ მიდი ამ მისამართზე, ეს უშიშროების ლაბორატორიაა, წინასწარ შევუთანხმდები. იმ კვირისთვის გაემზადე წასასვლელად! ჯერ-ჯერობით, ერთი თვის მივლინებას გაგიფორმებთ!

ამირანი ორი დღე დადიოდა ლაბორატორიაში და ვერაფერი დამამშვიდებელი ვერ გაიგო, ძალზე ბევრი შხამი გამოდგა ისეთი, რომლებსაც არც სუნი აქვს, არც გემო, მაგრამ ასწავლეს პირველადი გადაუდებელი დახმარება.

მესამე დღეს ამირანი სახელწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრე ბილაურმა დაიბარა. ზუსტად საღამოს შვიდ საათზე მოსაცდელში იყო. მალე კაბინეტში მიიწვიეს. თავმჯდომარე წამოდგა, ხელი ჩამოართვა, იქვე სავარძელზე მიუთითა და ისიც მის პირდაპირ ჩამოჯდა.

— თქვენი მინისტრი მესაუბრა, კარგად დაგახასიათათ. საქმე იმაშია, რომ ეგ ქალი ჩვენი ფასიანი აგენტია და საკმაოდ კარგიც. მართალია, ძალიან თავისებური ქალია, მაგრამ მეეჭვება ხალხს წამლავდეს, თუმცა არაპირდაპირი ფაქტები ამაზე მიუთითებენ. შეიძლება ჩვენს აგენტს რაღაც-რაღაცეები ვაპატიოთ, რაღაცაზე თვალიც დავხუჭოთ, მაგრამ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას ვერ ვაპატიებთ. მოკლედ, მაგ ქალის შესახებ ყველა მონაცემი ხელთ გაქვთ, თუ ჩვენი დახმარება დაგჭირდებათ, ამ ტელეფონებზე დაგვიკავშირდით. — ჩემი რჩევაა, არ აჩქარდეთ! პროცესი თავის გზით წავიდეს. ჩვენ მოგიმზადეთ დანომრილი ფული, რომლის ჩვენებაც შეიძლება დაგჭირდეთ იმ ქალბატონისთვის, კუპიურები ყალბია, თუ მოგპარავენ, დიდი დანაკლისი არ იქნება, ვერ გამოიყენებენ. თქვენი მიზანია თავი მდიდარ კაცად მოაჩვენოთ, ამიტომ მივლინების ხარჯებს ჩვენც დავუმატებთ.

რადგან, ისე ცხოვრება, როგორც მაგ ქალბატონს უყვარს, ცოტა ძვირი ჯდება და მარტო თქვენი სამინისტროს ხარჯები ამას ვერ გასწვდება. ამიტომ მთლად ხელგაშლილად ნუ მოიქცევით, ცოტა ძუნწი მდიდრის როლი ითამაშეთ. მთავარია, მათ თვალი მოჰკრან ფულიან „კეისს“. დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული. გისურვებთ წარმატებას. ჩვენს საფინანსო განყოფილებაში მოგართმევენ ყველაფერს რაც საჭიროა.

მეორე დღეს ამირანი უკვე მოსკოვში იყო, სასტუმრო „როსიაში“ მადლენას ნომრის მოპირდაპირე მხარეს ჰქონდა „ლუქსი“ დაკავებული. სასადილოდ რესტორანში ჩავიდა. დედ-შვილი სხვების ფონზე გამოირჩეოდა. ისე მოახერხა, რომ ლიფტში მეექვსე სართულზე დადა-შვილთან ერთად ავიდა, სართულის მორიგეს გასაღები გამოართვა და პირველი წავიდა კარის გასაღებად. გასაღები კარებს „ვერ მოარგო“ და ქართულად შეიკურთხა.

ქალებს გაეცინათ, ამირანი ახლა „მიხვდა“, რომ ქალები ქართველები იყვნენ, ტუჩებზე ხელი მიიფარა და მოიბოდიშა:

— მაპატიეთ, არ მეგონა, თუ ქართველებს შევხვდებოდი ასე მალე!

— არა უშავს, მე დაგეხმარებით კარის გაღებაში, — უთხრა ქალიშვილმა, გასაღები გამოართვა, კარებს მშვიდად მოარგო და გააღო.

— დიდი მადლობა, ქალიშვილო, ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე ამირან ლომჯარია გახლავარ თბილისიდან, თამბაქოს ქარხნის კომერციული დირექტორი.

— ძალზე სასიამოვნოა, იქ ჩემი მეუღლის მეგობარი იყო დირექტორად.

— ალბათ ნესტორ ბორჯალაძე.

— ნამდვილად ნესტორი იყო, დიდებული კაცი!

— ნესტორი მართლაც დიდებული კაცია, შესანიშნავი დირექტორი იყო, მოხსნეს! ვიღაც ახალგაზრდა დაგვინიშნეს. ნესტორი ხელგაშლილი კაცი იყო, დიდი ფულის პატრონი. მაგასაც ჰქონდა და ჩვენც რაღაცა გვხვდებოდა, ახლა როგორ იქნება ჩვენი საქმე, ღმერთმა უწყის!

— ჩვენ გვიანობამდე არ გვძინავს. თუ მოიწყენთ, შემოგვეხმიანეთ, მით უმეტეს, რომ გასახსენებელი და სასაუბრო გვექნება, საერთო ნაცნობიც აღმოვაჩინეთ და კიდევ ბევრს აღმოვაჩენთ ალბათ.

— ქალბატონო, თუ შეიძლება, თქვენი სახელი მაჩუქეთ. როგორ მოგმართოთ?

— მადლენა ვესარიონოვნა!

— თქვენ? — ახლა ქალიშვილს მიუბრუნდა.

— იზაბელა ვახტანგოვნა!

— სასიამოვნოა, ქალბატონო მადლენა, მე უკვე მოწყენილი ვარ და თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ორი საათის შემდეგ თქვენს კარებს მოვადგები ჩემი საყვარელი „ენისელით“. თუ კონიაკს პატივს არ სცემთ, შევცვალოთ შამპანურით!

— ჩვენ პირველ რიგში კაცს ვცემთ პატივს და მერე მის ძღვენს! გელით, ბატონო ამირან!

ამირანი სასწრაფოდ მაღაზიაში ჩავიდა, ტორტი, შოკოლადები, ბუტერბროდები და ორი ბოთლი შამპანური იყიდა, ზედ თბილისიდან წამოღებული კონიაკი „ენისელი“ დაუმატა და ზუსტად ორი საათის შემდეგ ქალების კარზე დააკაკუნა.

ქალები საშინაო ხალათებში იყვნენ.

— ოჰ, რატომ შეწუხდით, ბატონო ამირან, ჩვენც არ გვაქვს ცარიელი მაცივარი!

— რას ბრძანებთ, უბრალოდ ამათი პროდუქციის ხარისხი გაცილებით უკეთესია ჩვენსაზე. სულმა წამძლია ასეთი ლამაზი ტორტი რომ დავინახე!

— ჩვენ რა, ულამაზოები ვართ?

— როგორ გეკადრებათ, მადლენა ვესარიონოვნა, თქვენი სადარი ქალები საქართველოშიც კი სანთლის საძებნელია!

— არც თქვენისთანა მამაკაცია, ალბათ, ადვილი სანახავი.

ქალებმა სასწრაფოდ გაშალეს სუფრა.

— დიდი მადლობა ქათინაურისათვის. ამ სასმისით თქვენს დანახვას გაუმარჯოს, ამ ორმა ულამაზესმა ქალბატონმა თვალები რომ შემომანათეთ, ალბათ, იმის ბრალი იყო, გასაღები კარებს რომ ვერ მოვარგე!

ქალბატონებმა კმაყოფილებით გაიღიმეს.

—ეგ არაფერი, ჩემო ამირან, შენ სხვა რამეზე არ შეგეშალოს გასაღების მორგება, თორემ კარებს ან ჩვენ გაგიღებთ ან ადმინისტრატორი დაგეხმარებათ, — ნაზად გაუღიმა მადლენამ.

— დედა, რატომ არცხვენ ამ კაცს? ამირან, მე შამპანური დამისხი თუ შეიძლება!

— ახლავე, ახლავე, გავხსნი. — ამირანს ბოთლის გახსნა „გაუჭირდა“ — დღეს რაღაცა დამემართა, მაგრამ მთლად ჩემი ბრალიც არ არის, რესტორანში ოფიციანტი ხსნის შამპანურს, სტუმრად მასპინძელი, ეტყობა, პრაქტიკა მაკლია.

— ამირან-ბატონო, თუ საიდუმლო არ არის, რისთვის ხართ ჩამოსული?

— რა საიდუმლო, ქარხანაში როგორც იქნა, რემონტი დავამთავრეთ, ახლა ფონდები, მოწყობილობაა საშოვნი. ეგ მე მეხება და გამომგზავნეს „საქმის ჩასაწყობად“.

— მაგ საქმისთვის ფულიც გექნებათ ჩამოტანილი, ნომერში ნუ გაიჩერებთ, სასტუმროში სპეციალური სეიფები აქვთ, სჯობს დაიქირაოთ და შეინახოთ!

— ოო, დიდი მადლობა, სასწრაფოდ წამოდგა და თავის ნომრიდან „დიპლომატი“ შემოიტანა — კიდევ კარგი, მითხარით, ამ ფულის აქ დატოვება არ შეიძლება, ნეტავ კიდევ სად არის ფულის შესანახი?

— პირველ სართულზე, ადმინისტრატორის გვერდზე ოთახში, ადმინისტრატორთან მიხვალთ და ის მოგცემთ სეიფს.

— მაპატიეთ, ცოტა ხნით დაგტოვებთ, ამ ფულს მოვიშორებ, და მერე უფრო დაწყნარებულად ვისაუბრებთ. რესტორნიდან რაიმე ხომ არ წამოვიღო?

— არა, არაფერი არ არის საჭირო, ისე ერთი-ორ ბოთლ მინერალურ წყალს თუ წამოაყოლებთ, კარგი იქნება!

ამირანმა „დიპლომატი“ გახსნა და ფულის შეკვრებიგადათვალა, დაკეტა და ნომრიდან გავიდა.

— ჰმ, ამ გამოთაყვანებულს ფული როგორ ანდეს!

— რა გინდა, ჯერ ახალგაზრდაა, ეტყობა გამოუცდელია, რა სულელი ვარ, რა მალაპარაკებდა ფული სეიფში შეინახე-მეთქი!

— ჩქარი ხარ დედიკო, ჩქარი! უკვე თავიც შესთავაზე, მაგრამ ეგ რეგვენი, ვგონებ, ვერც მიხვდა!

— ეგ ისეთი ყეყეჩი ჩანს, თავი რომ ვახმარინო, ფულსაც არ გადაიხდის!

— აბა, რა ვქნათ, დედიკო?

— როგორც ყოველთვის, ზეგისთვის შენი დაბადების დღეზე დავპატიჟოთ, ხვალინდელი დღე კიდევ შესაჩვევად დაგვჭირდება.

— ეგ ფულის მომცემი არ ჩანს!

— შენც ისე მოიქეცი, რომ კარგი საჩუქარი გიყიდოს!

ამასობაში ამირანიც დაბრუნდა, გაღიმებული და ბორჯომის ბოთლებით ხელში

— ბატონო ამირან, ხომ ყველაფერი წესრიგშია?

— დიახ, ქალბატონო მადლენა, თქვენი დიდი მადლობელი ვარ, რომ შესაძლო შარს გადამარჩინეთ, მაღარიჩი ჩემზე იყოს! — მადლიერი თვალებით შეხედა ამირანმა.

— ამირან, თქვენ ჩემს გოგონას ძალიან მოეწონეთ და ზეგ მისი კავალრობა მოგიწევთ!

— კი, ბატონო, სიამოვნებით, მაგრამ რაშია საქმე?

— ზეგ ჩემი იზაბელას დაბადების დღეა, ასაკს ვერ გაგიმხელთ!

— მე მგონი იზაბელას ამის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა!

— დაიმახსოვრეთ, ჩემო ამირან! 23 წლის შემდეგ ქალები ასაკს აღარ ამხელენ და თუ ამხელენ ყოველ შემთხვევაში ორ წელს ერთ წლად ითვლიან. ხომ გაგიმხილეთ ქალის საიდუმლოებანი, ჩემო ამირან, ახლა შენ გაგვიმხილე მამაკაცების საიდუმლოებები, შენით დავიწყოთ!

— ნაცოლარი, დროსტარების და წანწალის მოყვარული, ოჯახის შექმნა მაშინ მახსენდება, როდესაც სახლში „ბარდაგი“ მაქვს, მიყვარს სასტუმროში ცხოვრება, დატოვებ არეულს, დალაგებული გხვდება, რომ შეიძლებოდეს, მთელ ცხოვრებას სასტუმროში გავატარებდი.

— ამირან, მე სიგარეტს გავაბოლებ დერეფანში, მხარს ხომ არ დამიჭერთ?

— სამწუხაროდ, არ ვეწევი ქალბატონო მადლენა.

— აა, სხვებს წამლავთ და აავადებთ თავად ჯანმრთელები გინდათ იყოთ, ხომ?

— ჩვენ არავის ვაძალებთ მოწევას!

— კარგით, აბა მე მოვიწამლავ თავს, — და გავიდა ოთახიდან.

— ამირან, ხომ არ გეწყინებათ, ლოყაზე რომ გაკოცოთ? — დედამისის გასვლისთანავე მიახალა იზაბელამ!

— პირიქით, გენაცვალე, რატომ უნდა მეწყინოს — უპასუხა გოგონას აჩქარებით გაოცებულმა ამირანმა.

— თქვენსავით მე ჯერ ბიჭი არ მომწონებია! — მივიდა და ამირანს ლოყაზე ნაზად აკოცა.

— კიდევ ხომ არ გაიმეორებდით? — ესიამოვნა ამირანს.

— დანარჩენი შემდეგ, ჯერ ეს იმყოფინეთ! — მაცდურად გაუღიმა იზაბელამ.

— ეჰ, რა გაეწყობა, ვიმყოფინებ, ოღონდ ხვალ კოცნის ულუფა უნდა გამიზარდოთ.

— გააჩნია როგორ დაიმსახურებთ. ამ ჭიქით ჩვენს ხვალინდელ ურთიერთობას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — ასწია ამირანმაც სასმისი და კონიაკის ჭიქა ბოლომდე გამოსცალა. ამ დროს კარები გაიღო და მადლენაც შემოვიდა.

— ახლა კი მე დაგტოვებთ ძვირფასო ქალებო ხვალამდე! — დაემშვიდობა ამირანი ქალებს და თავის ოთახში შევიდა.

„დღევანდელ დღეს ცუდად არ ჩაუვლია“, — გაიფიქრა ამირანმა — „დღეს ჩამოვფრინდი, სასტუმროში მოვეწყვე, ეს ქალბატონებიც გავიცანი და მათთან ნომერში სასმისიც შევსვი და კოცნაც დავიმსახურე!“ გაეღიმა. „დღეისთვის საკმარისზე მეტიც არის“.

მეორე დღეს, საღამო ხანს, ამირანი კვლავ ესტუმრა ქალებს, ფრთხილად დაუკაკუნა. ქალებმა მხიარულად შეიპატიჟეს.

— დღევანდელმა დღემ როგორ ჩაიარა? — შეეკითხა მადლენა.

— ისე, რა. ფულს ვაძლევ, მაგათი დედა ვატირე, ლიმიტი გვეკუთვნის, მეტი რა ჯანდაბა უნდათ, ვერ გავიგე!

— ალბათ ეცოტავებათ!

— ყველაფერს თავისი ფასი აქვს, ჩვენ იმაზე მეტსაც კი ვთავაზობთ, რაც მიღებულია!

— ალბათ მეტის გამოძალვას ფიქრობენ.

— ჩვენგან იმდენს იღებს ეგ ვირიშვილი, რომ მის მთელ საგვარეულოს ეყოფა და დარჩებათ კიდეც. არ აიღებენ და პარტიის „ცეკადან“ დავარეკინებთ, სულ მუქთაზე გამოვალთ! — უდარდელად ლაპარაკობდა ამირანი.

— ამირან, არ შეიძლება „ზევიდან“ ჩვენ დავარეკინოთ და ეგ ფულიც ჩვენ გავიყოთ? — ეშმაკური ღიმილით იკითხა მადლენამ.

— რატომაც არ შეიძლება, მაგრამ სამსახურში უნდა დავრეკო და ნებართვა ავიღო, ხომ იცით, ქალბატონო მადლენა, ყველაფერს თავისი კუდი გამოებმება!

— შენ ერთი ეგ მითხარი, ვის ეხება ამ ფონდების და მოწყობილობების გამოყოფა, თუ ჩვენ შევძლებთ მუქთად ან შეღავათიან ფასებში მაგის გაკეთებას, არ ჯობს ეგ ფული ჩვენ დაგვრჩეს? რას იტყვი, ამირან, მე აქ დიდი ნაცნობობა მყავს!

— ვნახოთ, ვნახოთ, — თავი „დაიფასა“ ამირანმა, — მე ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით მოვედი, სად იხდით დაბადების დღეს?, რა მოსწონს იზაბელას, რა ვუყიდო საჩუქრად?

— იზამ გადაწყვიტა დაბადების დღე ამ რესტორანში აღნიშნოს. გუშინდლამდე ოცი-ოცდაათი კაცის დაპატიჟება გვინდოდა, მაგრამ რატომღაც დღეს დილით იზამ გადაიფიქრა: „ხვალ ამირანმა გვიკვალროსო, თუ ვინმეს გავახსენდები, თავს თავად შემახსენებსო“.

— საჩუქარს რა ეშველება, მადლენა ვესარიონოვნა? — შეეკითხა ამირანი.

— ოი, — გაინაზა მადლენა — რა ვიცი, ხვალ შენ და იზა წადით საიუველირო მაღაზიაში ერთად და შეარჩიეთ — და სხვათაშორის დაუმატა — ამირან, ჩამაწერინე იმ კაცის სახელი და გვარი, ვისაც თქვენი დახმარება შეუძლია! — ხელჩანთიდან უბის წიგნაკი და კალამი ამოიღო.

— ახლავე, ქალბატონო მადლენა, საკავშირო მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილე, მას ყველაფერი შეუძლია.

— რა თანხას გაიღებთ?

— ალბათ სამასორმოცდაათი — ოთხასი ასათამდე — სხვათაშორის თქვა ამირანმა.

— „დიპლომატში“, ვგონებ, ნახევარ მილიონამდე გიწყვიათ! — გამოტეხვა მოუნდომა მადლენამ.

— მეც ხომ უნდა დამრჩეს ამ მივლინებიდან რაღაც, „ვირის მუშა“ ხომ არა ვარ? — გაიკვირვა ამირანმა.

— კარგი „რაღაცაა“ ასი ათასი მანეთი ერთ მივლინებაში, მე და ჩემმა ღმერთმა!

მადლენა გავიდა. იგი აფორიაქებული ჩანდა.

— იზაბელა, პირობაზე როგორ ხარ? — მოუთმენლად მიუბრუნდა ამირანი გოგოს.

— ჰა, ჰა, ჰა, „ვაცივითა ვარ, ვაცივით“, ჩემო ამირან, იგი მიუახლოვდა ამირანს, ჯერ ერთ ლოყაზე აკოცა, მერე — მეორეზე და მერე ტუჩებზეც დაეკონა — ესეც პრემია!

— იზო, ნუ მასულელებ, მეტი არ შემიძლია! — აღელდა ამირანი.

— მოთმინება, ჩემო ამირან, მოთმინება, ცოტა შეგეჩვიო და მერე ალერსს არ მოგაკლებ! — თან ნაზად უყურებდა თვალებში ამირანს.

— ხვალ რომელ საათზე შევხვდეთ, საჩუქარი ხომ უნდა გიყიდო?

— რა საჩუქარი აგიტყდა, — გაიკეკლუცა იზაბელამ, — თუმცა, რატომაც არა, საყვარელმა მამაკაცმა თავისი გრძნობები საჩუქრის ხარისხით და მომხიბვლელობით უნდა გამოიხატოს, დილის თერთმეტი საათიდან თქვენს განკარგულებაში ვარ, ბატონო ამირან! — და კიდევ ერთხელ ვნებიანად დაეკონა ტუჩებში.

მადლენა რომ შემოვიდა, იზო და ამირანი სავარძლებში ისხდნენ.

— მე წავედი, ქალბატონებო, ნახვამდის! — წამოდგა ამირანი და კარებისაკენ წავიდა.

— ამირან, ხვალ შენს საქმეს მოვსინჯავ, იქნებ რამე გამოვიდეს! — სხვათაშორის დაადევნა მადლენამ.

— კი ბატონო, მე არ ვარ წინააღმდეგი, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს ვინ მიიღებს ფულს, ოღონდაც გამოვიდეს!

მეორე დილით ამირანი და იზაბელა ოქროულობის მაღაზიაში საჩუქრებს ათვალიერებდნენ. საჩუქრად იზამ ბრილიანტის თვლებიანი „სამეული“ აირჩია, რომელიც ამირანს ორი ათასი დაუჯდა. ისინი სასტუმროში დაბრუნდნენ და ამირანის ლუქსში შევიდნენ. ამჯერად იზაბელა დაჰყვა ამირანის ყველა სურვილს და საღამოს ექვს საათამდე ლოგინში ნებივრობდნენ. იგი კმაყოფილი ჩანდა. საღამოს რვა საათისათვის სასტუმროს რესტორანში მადლენა, იზაბელა და ამირანი სუფრას უსხდნენ. თამადობა და საკმაოდ მდიდრული სუფრის ხარჯები ამირანმა აიღო თავის თავზე.

— ამირან, დღეს შენს საქმეზე ვიყავი ერთი ჩემი მეგობრის ოჯახში, რომლის ქმარი კურირებს „ცეკაში“ მსუბუქ მრეწველობას, — დაიწყო მადლენამ — ცოლმა მითხრა, დაგეხმარებითო და ხვალისთვის დამიბარა, თავის ქმარს უნდა შემახვედროს, შენ იმ კაცისთვის ფულის მიცემას ნუ იჩქარებ, შეიძლება ჩვენმა ვარიანტმა აჯობოს.

— კი, ბატონო, ორ დღეს არც გავეკარები! — უპასუხა ამირანმა.

უკვე ღამის პირველი საათი იყო, რესტორნიდან რომ გამოვიდნენ. მადლენა პირველი შევიდა თავის ნომერში, იზამ კი განგებ ფეხი აითრია, ამირანს აკოცა და დაპირდა რომ ხვალ დილიდან თვითონ მივიდოდა. მართლაც, მეორე დღეს იზაბელა დღის თერთმეტ საათზე შევიდა და გვიან საღამოს დატოვა მისი ლუქსი. ამირანს ქალი გარეგნულად მოსწონდა, მაგრამ ლოგინში სულ სხვა ეშხსა და ცეცხლს აფრქვევდა, არც საკუთარ თავს ზოგავდა და აიძულებდა მამაკაცური ღირსების მაქსიმუმი გამოევლინა. სასიამოვნოდ მოთენთილ ამირანს ტკბილად ჩაეძინა.

დილით კარზე კაკუნმა გამოაღვიძა, ათი საათი იყო. გადაიცვა და კარები გააღო. ოთახში გაღიმებული მადლენა შემოვიდა.

— გუშინ ველაპარაკე იმ კაცს — საქმიანად დაიწყო მადლენამ, — მითხრა, „ყველაფერს გაგიკეთებო“. დღეს დარეკავს თქვენს მინისტრთან და თუ თანხმობა მივიღე, ის ფული უნდა მივუტანოთ. სამას ათასს შევპირდი, დანარჩენი ასი ათასი კი ჩვენ გავიყოთ, შენ,

მე და ჩემმა გოგონამ. წინააღმდეგი ხომ არ ხარ? დღეს, ხუთი საათისთვის, დავურეკავ სამსახურში და თუ დასტური მომცა, ფული უნდა მივუტანო მის ცოლს.

— კი, ბატონო, მე თანახმა ვარ — მორჩილად უპასუხა ამირანმა:

საღამოს ექვსი საათისათვის გახარებული მადლენა მოვარდა.

— ყველფერი რიგზეა, მინისტრი თანახმაა, თურმე სცოდნია, რომ თქვენ რემონტში ხართ და შეპირებია: „ რაც ეკუთვნით, ყველაფერს მივცემო, ის კი არა, იმაზე მეტსო, კარგი ხალხიაო“, ძალიან უქია თქვენი ძველი დირექტორი ნესტორი!

— რა ვქნათ ახლა, ქალბატონო მადლენა? — განაგრძობდა ამირანი გულუბრყვილო კაცის როლის თამაშს.

— რა ვქნათ და ფული გავამზადოთ, — დაფაცურდა ქალი, — ხვალ უნდა მივუტანოთ, შენ სად გაქვს სეიფის გასაღები?

— ჯიბეში.

— მაშინ ასეთი რამ გავაკეთოთ, შენ შენი წილი თანხა სეიფში დატოვე, ე.ი. ასი ათასი და პლუს ოცდაცამეტი, დანარჩენი სამასსამოცდაშვიდათასს მე შევინახავ ჩემს სეიფში და როგორც კი მეტყვიან, მაშინვე წავუღებთ მე და შენ.

— ქალბატონო მადლენა, იქნებ დაგერეკათ, კიდევ ერთხელ ჰკითხოთ, როდის მივიდე სამინისტროში, ვისთან, როდის მივუტანოთ ფული, რომ მეც დარწმუნებული ვიყო, — საქმიანად უთხრა ამირანმა.

— აბა, ისე როგორ იქნება, ჩემო ამირან, ხვალ, სადილამდე, დავრეკავ, შენ ადგილზე იყავი, დღეს კი დაისვენე. მე დღეს ჩემს დაქალთან ვარ დაპატიჟებული, შეიძლება არც მოვიდე ღამის გასათევად, ხვალ თუ ყველაფერი რიგზე იქნება, ორი საათისთვის სახლში იყავი. ნახვამდის!

ამირანმა სწრაფად აკრიფა ნომერი და აცნობა: „ოპერაცია დაიწყო!“. ის ღამე იზასთან გაატარა. ამარანი ამჯერად უკვე ფრთხილად იყო, იზას მიწოდებულ წყალსაც კი არ ეკარებოდა.

იზაბელამ ნაშუაღამევს დატოვა ამირანის ოთახი.

ორი საათისთვის მადლენა გახარებული შემოვიდა ამირანთან, დიდის ამბით გადაკოცნა და მიულოცა:

— ყველაფერი ძალიან კარგად აეწყო, სასწრაფოდ გავამზადოთ თანხა და წავუღოთ ჩვენს „პროტეჟეს“ სახლში!

ამირანი და მადლენა ერთად შევიდნენ სეიფების ოთახში. ამირანმა თავისი კუთვნილი თანხა ცელეფონის პაკეტში ჩადო და სეიფში შეინახა, დანარჩენი კი „დიპლომატთან“ ერთად მადლენას გადასცა.

— ამირან, თუ გინდა უშენოდ მივიტან ამ ფულს, უხერხულია, ამხელა კაცს არ ეწყინოს სხვა კაცი რატომ მოიყვანეო. შენ როგორ ფიქრობ?

— არა, ქალბატონო მადლენა, წესი — წესია, ერთად მივიტანოთ, მეც ხომ უნდა ვიყო დარწმუნებული, რომ იმ კაცმა მართლა აიღო! — თავი „გამოიდო“ ამირანმა.

— კარგი, ჩემთან ავიდეთ ნომერში, იქ ჩვენს წილს გადავდებ და იმ კაცს მივუტანოთ ის, რაც ეკუთვნის.

„დიპლომატი“ მადლენას ეჭირა. ნომერში რომ შევიდნენ იქ იზაბელა იცდიდა. მათ გამოჩენაზე იზას სახე შეეცვალა, აშკარად არ ესიამოვნა ამირანის დანახვა. მადლენამ სამოცდაშვიდი ათასი გადათვალა და იზას გაუწოდა.

— ეს თანხა შენთან იყოს სანამ ჩვენ მოვალთ; აბა ერთი, იზა, დედიკო, ამირანის კონიაკი გამოიტანე, გზა დაგვილოცე. იზა კონიაკის დასხმას არ ჩქარობდა. მადლენამ წამით მკაცრად შეხედა იზოს და მერე ისევ ღიმილი გადაიკრა სახეზე, მერე გამოართვა, ორი ჭიქა შეავსო და ერთი ამირანს გაუწოდა. ქალების ნომერში ამირანის ჩამოსვლის დღესვე დააყენეს მოსასმენი აპარატურა მოსკოვის მილიციის სამძებრო განყოფილების ჯგუფმა და თვითონაც იქვე ამირანის გვერდით ნომერში დღე-ღამურად მორიგეობდნენ. პაროლზეც შეთანხმებულები იყვნენ.

— ამ ჭიქით — აწია ჭიქა ამირანმა და ომახიანად დაიწყო — იმ კაცის დედა ვატირე, ვისაც ჩვენთვის ცუდი უნდა! — ამ სიტყვების თქმა იყო და ნომერში ოპერატიული ჯგუფის ბიჭები შემოცვივდნენ. ამირანმა კონიაკის ბოთლს სტაცა ხელი, ხოლო მადლენამ თავის ჭიქიდან კონიაკის დაქცევა მოასწრო იატაკზე, ბოთლი, ამირანის კონიაკით სავსე ჭიქა და მადლენას ცარიელი ჭიქა ქალების თვალ-

წინ დალუქეს და ქიმიურ ანალიზზე გააგზავნეს. საწამლავის მომაკვდინებელი დოზის არსებობა დადასტურდა.

მადლენას თორმეტი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმით, იზაბელას კი პირობითად სამი წელი და ეს გარკვეულწილად ამირანის დამსახურებაც იყო იმ შესანიშნავი სამი დღის სანაცვლოდ, რომელიც იზაბელამ ამირანს აჩუქა. აშკარა იყო, რომ იზამ დედამისის ყველა ხრიკი მშვენივრად იცოდა.

თბილისში დაბრუნებული ამირანი, რა თქმა უნდა, პირველად თავის უფროსთან, ზურაბ ემხვართან, შევიდა. ზურაბი გახარებული გადაეხვია:

— მომილოცავს ამირან, შენზე ზღაპრები დადის, ბიჭო, სამინისტროში, მინისტრიც გახარებულია. აბა, მოყევი, რა ჩაიდინე, ხომ იცი, სხვისი ნათქვამი ერთია, შენი მონაყოლი სულ სხვა იქნება.

— დიდი ეშმაკი და დაუნდობელი ქალი გამოდგა. ტიპიური თაღლითი. გოგოც საქმეში ჰყავდა, მაგრამ მაინც მგონია, რომ მან ყველაფერი ბოლომდე არ იცოდა. იცი, ზურაბ, ჯერ კიდევ ვერ გამოვედი სტრესული სიტუაციიდან, ძალიან დათრგუნული ვარ და არ გეწყინოს, ძმაო! მოდი, ჯერ მივლინების ანგარიშებს გავასწორებ, მინისტრს მოვინახულებ და სახლში წავალ, ერთი გემრიელად გამოვიძინებ, გამოვალ მდგომარეობიდან, თორემ ნერვები დაწყვეტაზე მაქვს. მერე დავსხდეთ სადმე, მყუდრო რესტორანში და ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები.

— კარგი, ძმაო, კარგი, მესმის შენი, — მხრებზე ხელი მოუთათუნა ზურაბმა.

* * *

ამირანის კაბინეტში ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ.

— ამირანი მინდოდა, ლომჯარია.

— მე გახლავართ, — ნაცნობი ხმა იყო.

— ასეა, ძმაო, რაიონში გადაკარგულ ხალხს ვეღარ ვცნობთ, ხომ? ცხინვალის მილიციის უფროსი მაიორი ალექსანდრე გერგაულოვი გაწუხებთ ბატონო ამირან!

— შურა, ბიჭო, შენა ხარ? — გაახსენდა თანაკურსელი.

— კიდევ კარგი, შინაურებს ცნობ! ამირან, დანარჩენი შემდეგ, შენი ჩამოსვლაა საჭირო ცხინვალში, თანაც სასწრაფოდ.

— რა ხდება, შურა?

— თუ ჩამოხვალ საქმე მოგვარდება, თუ არა და ჩემზე ნაწყენი დარჩები.

— რა ქარაგმებით მელაპარაკები?

— დღეს, ნაშუადღევს, მილიციაში გიცდი! — და ყურმილი დაუკიდა.

ამირანი გერგაულოვების ოჯახში რამდენჯერმე იყო ნამყოფი და ნაქეიფარი. მაგრამ ამჯერად სახლში კი არ პატიჟობდნენ, არამედ სამსახურში და თანაც სამუშაო საათებში. ამირანმა დაიბარა „დღეს არ ვიქნებიო“ და თავისი „ჟიგულით“ გაუდგა ცხინვალის გზას. საათნახევრის შემდეგ უკვე ქ. ცხინვალის მილიციაში იყო. შურა კაბინეტიდან გამოვიდა, ამირანს თვალი მოჰკრა, შორიდან გაუცინა, ცოტა ხანს იდგნენ გაღიმებულები და მერე გადაეხვივნენ ერთმანეთს. შურა კაბინეტში შეუძღვა:

— რა მოხდა შურა ასეთი, რომ სირბილით წამომიყვანე დედაქალაქიდან?

— შენმა ძმაკაცმა და ბიძაშვილმა, ბაგრატ ლომჯარიამ, რომელიც ჩვენს პოლიკლინიკაში გინეკოლოგად მუშაობს, პატარძალი გინეკოლოგიურ სავარძელზე გააპატიურა. ქალაქში ერთი ამბავია ატეხილია და მის მკაცრად დასჯას მოითხოვენ. იმ პატარძლის მშობლები სოფელ ხვწედან არიან და მთელი დღე მილიციაში იყვნენ, სიძემაც უარი განაცხადა იმ ქალთან ცხოვრებაზე.

— რამ გადარია ეგ შობელძაღლი, რაც მაგას ქალი და მისი „ბაღნარი“ უნახავს... გაუგე ამის შემდეგ ამ ცხოვრებას რამე! თვითონ რას ამბობს?

— თვითონ დანაშაულს არ უარყოფს, ამბავი გუშინწინ მოხდა. გუშინ ავიყვანეთ, დავკითხეთ და დღეს შეგახვედრებ, ჩემთან მყავს საკანში. ისე, დიდი გამოთაყვანებული ვინმეა, ვკითხე, „ამირანი ვინ არის შენი-მეთქი“? თვითონ არც უფიქრია, რომ შენთვის დაერეკა.

— შურა, ერთი უთხარი მოიყვანონ, მინდა შენთან ერთად გავესაუბრო, მაინტერესებს, რა მოხდა, რატომ გაიგიჟა თავი?

— კი, ბატონო, ადვილი საქმეა, — ყურმილი აიღო, — პატიმარი ლომჯარია ამოიყვანე ჩემთან!

ბაგრატი მოიყვანეს. შურამ მილიციელს ანიშნა, მარტო დაგვტოვეო. ამირანი წამოდგა, ხელი ჩამოართვა, გაუცინა, გადაეხვია და გადაკოცნა.

— შურა, დაკავებამდე ერთმანეთს არ იცნობდით?

— როგორ არ ვიცნობდი, რამდენიმე წელი შვილი არ გვყავდა მე და თამილას და ეგ მკურნალობდა. რომ მცოდნოდა ასეთი ტემპერამენტის იყო, მაგას ცოლს როგორ ვანდობდი! ხუმრობა იქით იყოს და გუშინ ჩემი 3 წლის ბიჭს კოტეს პირველად სერიოზულად დავაკვირდი, მაგრამ წყალი არ გაუვა, ჩემსავით „რიჟა“ და ჭორფლიანია.

სამივეს გაეცინა.

— მერე რაღა შენ დაგემსგავსა ის ბავშვი, ანგელოზივით ქალია თამილა და იმას ვერ დაემსგავსა?

— ხო იცი, რა მაგარი გენების პატრონები ვართ გერგაულოვები, აი ნახე, რა მაგარი ბიჭი მყავს და საწერი მაგიდის უჯრიდან თავისი 3 წლის ბიჭის სურათები ამიღო და ამირანს გადასცა.

ამირანმა სურათებს დახედა:

— რას ერჩი, კარგად გიმუშავია.

— აბა როგორ, ეგ ბავშვი ჩემთვის მინდოდა, სხვისთვის კი არა. თანაც სულ ბაგრატის ინსტრუქციებით ვხელმძღვანელობდი მაგ ბავშვის გაკეთებისას. — სერიოზული სახით ამბობდა შურა.

ამირანმა სურათები დაუბრუნა.

— დაელაპარაკე და მერე ორივემ ერთად რაღაც მოვიფიქროთ, რადგან იმ ქალმა უკანაც რომ გაიტანოს თავისი განცხადება, ჩვენ ვალდებულები ვართ ეს საქმე მოვიძიოთ და კანონის შესაბამისად ვიმოქმედოთ. გარდა ამისა ბაგრატს სამი წლით ხელის აღება მოუწევს თავის პროფესიაზე ციხიდან გამოსვლის შემდეგ, რადგან ჰიპოკრატეს ფიცი დაარღვია და პროფესია ბოროტად გამოიყენა!

— ეგ „სამშობლოს ღალატს“ უდრის!

— ამირან იცი რაშია საქმე, მარტო მე კი არ დავეჭვებულვარ, თამილამ მითხრა, მასთან ვინც მკურნალობდა, ყველას შეუმჩნევია

ქმრებისთვის, რომ ეს ორი დღეა რაღაც სხვანაირი ყურადღებით ათვალიერებენ თავიანთ ნაშიერებს.

— ბაგრატ, თუ ძმა ხარ, მომიყევი ყველაფერი ისე, როგორც იყო, — მიუბრუნდა ამირანი, — ეს კაცი, მიხვდი ალბათ, რომ ჩემი ნაღდი მეგობარია და აქ იმიტომ ჩამომიყვანა, რომ როგორმე დაგეხმაროთ და ამ უხერხული მდგომარეობიდან გამოგიყვანოთ!

— ამირან, — დაიწყო ბაგრატმა, — ეგ გოგო ერთი კვირაა გათხოვილია, ქმარმა ვერაფერი მოუხერხა, ჰოდა, მოვიდა ჩემთან და მომიყვა ყველაფერს. პირველად ვიფიქრე „ვაგინიზმი“ ე.ი. ქალს რომ კაცი არ უნდა, ის ჭირდა, მაგრამ გავსინჯე და ვნახე რომ ყველაფერი ნორმალურად ჰქონდა, უბრალოდ საქალწულე აპკი არ იყო დარღვეული. ეტყობა ქმარი ჰყავდა გამოუცდელი. დავუძახე, შემოვიდა გამხდარი, გამოთაყვანებული. უგერგილო ვიღაცა, ავუხსენი, რაც უნდა ექნა, როგორ უნდა ეყოჩაღა. გავიდა ორი დღე და ის გოგო ისევ მოვიდა ჩემთან და დახმარება მთხოვა, რა უნდა მექნა, გადაწყვიტა ლანცეტით დამერღვია აპკი და იქნება მერე მოეხერხებინა იმ გამოშტერებულს რამე! შემოვასკუპე გინეკოლოგიურ სავარძელზე, ჩამოვაფარე ზეწარი და მოვიმარჯვე ლანცეტი. რა ვიცი, ბიჭო, რა ჯანდაბა დამემართა. მართალი რომ გითხრა, მასეთი ლამაზი „ბაღნარი“ ქალისა მე ჯერ არ მინახავს. ჩემდაუნებურად შევიხსენი შარვალი, თან ეს გოგო შემეცოდა: ქალწულობა დაკარგოს გოგომ და ისიც ლანცეტით? მოკლედ, რომ მოვათავე ჩემი საქმე, მერე მოვედი აზრზე, რა ჩავიდინე!

ამირანმა ძლივს შეიკავა სიცილი.

— რა ვიცი, ის გოგო, თუ უკვე ქალი, ამბობს ვიკივლეო, მაგრამ ყური არ მათხოვაო!

— აბა, რა ვიცი, შეიძლება კი იკივლა, მაგრამ ისე ვიყავი ვნებამოწოლილი, რომ არაფერი გამიგია, მე მგონი, ვერც მოასწრებდა, იმდენად სწრაფად მოხდა ეგ საქმე.

— კი, მაგრამ მეორედაც რომ გიკისრია?

— დავხედე, ხმას არ იღებდა, სახე კი ჰქონდა გაწითლებული, ტიროდა, თან ვიგრძენი, რომ კიდევ უნდოდა და გავიმეორე!

— არ უთქვამს რამე?

— ხმა არ ამოუღია, მაგრამ რომ ვეჩალიჩებოდი, ამ დროს ექთანი შემოვიდა და იმ შობელძაღლმა ატეხა ერთი ვაივიში, თორემ ეგ გოგო არაფრის მთქმელი არ იყო, ეგ კი არა, ფული შემომთავაზა „ოპერაციის“ გაკეთებაში.

აქ კი სიცილი აუტყდათ ამირანს და შურას.

— ეჰ, ამირან, ჩვენი პროფესიის დედა ვატირე, ეგ კაცი იმაში აკეთებს ფულს, რაშიც მე და შენ ვფანტავთ.

— შემდეგ რა მოხდა?

— ამ გოგომაც თავი გაიგიჟა, ის ექთანი მგონი სიძის ნათესავი გამოდგა, სასწრაფოდ ქალთა კონსულტაციაში გადაიყვანა, მილიცია გამოიძახეს, მერე — ექსპერტი და . . გუშინ სამსახურში დამიჭირეს.

— რა ეშველება, ბატონო მაიორო, ამ საქმეს — მიუბრუნდა ამირანი შურას.

— ეგ საქმე აქევე უნდა მოვგუდოთ. როგორც ვიცი, ბაგრატს ცოლი არ ჰყავს. იმ გოგოს ქმარმა კიდე უარი თქვა იმის ცოლად შერთვაზე. იმ გოგოს სოფელში სახელი გაუტყდა, არავინ აღარ წაიყვანს. მე გიმაჭანკლებთ და ბაგრატმა ის გოგო ცოლად უნდა მოიყვანოს. ექვსიოდე თვე ერთად იქნებიან და თუ არ მოეწონება, გაიყრებიან. მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, ძმაო!

— დიდებული აზრია! — მოეწონა ამირანს — ეგ ცოლის მომყვანი კაცი არ არის, თუ არ დავაძალეთ. ისე ჩვენზე ორივეზე ასაკით უფროსია. რას იტყვი, ბაგრატ?

— იმ „პახმელიაზე“ გაკეთებულის ნაწვალები ქალი როგორ მოვიყვანო, ამირან!

— ახლა ნუ გაახურე, ქალს ნამუსი შენ ახადე ძმაო! ცოლად მოყვანაც არ გინდა? მოიცა, იქნებ ის ქალი არც მოგყვება!

— ამას იმ ქალის დაყოლიება რადგან სოფლელია ასე ადგილი ჰგონია. ვიღაც-ვიღაცეები ჭკუას არიგებს „ცოლად არ გაჰყვე, ფული გამოართვიო“, მგონი ექვსი ათასს თხოულობენ, მაგრამ მე მაგ საქმეს ხელს არ მოვკიდებ, რადგან დღეს დილით საოლქო კომიტეტის მდივანმა დამირეკა და საქმე გამომკითხა. თუ ჩავფარცხეთ ეს საქმე, მაშინვე მიხვდება, რომ ფული ტრიალებს და მომხსნიან. შენ, ძმაო,

ქალებში იგრიალო და მე სამსახური დავკარგო, მშიერი დავრჩე, რა ნამუსით შევხედო ოჯახს.

— რა ვქნათ, შურა, რა ეშველება ამ საქმეს!

— რაც ეშველება, მე ვთქვი.

— თუ ფულის აღება უნდათ და გოგო ცოლობაზე ვერ დავითანხმეთ?

— ფულიც მივცეთ მზითვად და ხელიც მოვაწერინოთ, მე რომ თავის გამართლება შემეძლოს.

— მოვიყვან ცოლად, აბა, ციხეში ხომ არ ჩავჯდები? — თქვა ბაგრატმა.

— ახლავე მივდივართ ჯავაში, — დაფაცურდა შურა, — შენ, ამირან, ბაგრატი შენი ბიძაშვილია, მაგრამ „ძმასავითაა“, ჩემს ცოლსაც წამოვიყვან, ბეჭედიც ვუყიდოთ და ქალი ვითხოვოთ! ჩქარა!

— კარგი აზრია, აბა, მივხედოთ საქმეს

— ბაგრატი ჯერჯერობით აქ დავტოვოთ, ბიჭებს ვეტყვი, საქორწილოდ გაამზადონ.

— ჩვენთან ერთად ხომ არ წამოსულიყო შურა, ბარემ სიძეც იქვე იქნებოდა!

— არა, აქ დარჩეს!

ცოტა ხნის შემდეგ ალექსანდრე გერგაულოვი ცოლ-შვილით და ამირანი მიადგნენ ზელიმხან ფიფოლაევის სახლს ხვწეში. მანქანიდან შურა გადმოვიდა, მასპინძელი გამოეგება. ოციოდე წუთის შემდეგ სტუმრები სახლში შეპატიჟეს.

მაგიდას სტუმრები შემოუსხდნენ. ზელიმხანის მეუღლე ქსენია და საპატარძლოდ გამზადებული ზინა შემოვიდნენ და იმავე ოთახში კუთხეში ჩამოჯდნენ. ამირანმა სარძლო შეათვალიერა და კმაყოფილი დარჩა. ზინა მშვენიერი გარეგნობის გოგო აღმოჩნდა.

— ზელიმხან, ამ კაცს რომ უყურებ, ეს თბილისში დიდი კაცია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამმართველოს უფროსია. ეს საქმე რომ მშვიდობიანად მოვაგვაროთ, მოდი შენი გოგო იმ ექიმს მივათხოვოთ, მითუმეტეს, ეგ კაცია შენი გოგოსთვის პირველი მამაკაცი.

— ახლა გიჭირთ, საქმის ჩაფარცხვა გინდათ, — გაჭირვეულდა ზელიმხანი, — პატიმრობიდან განთავისუფლდება, პატარძალთან ერთი წელი იცხოვრებს და მერე უკან დაგვიბრუნებს თავისი ბავშვით!

ქალები ხმას არ იღებდნენ.

— ზელიმხან, ერთი წლის მერე რა მოხდება, ეგ არავინ იცის, მე გავიგე, თითქოს ფულს თუ გადაგიხდიან, ორჯონიკიძეში გადახვალთ საცხოვრებლად. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს, მაგრამ მაგ შენს გამბედნიერებელ მომავალ სიძეს რომ ვუთხარი, იცი რა თქვა, ფულს არ გადავიხდი, მაგრამ „ყალიმს“ მივუტან მის მშობლებს და ცოლად წავიყვანო!

— „ყალიმი“ რაღაა? — იკითხა ზელიმხანმა.

— ქრისტიანებს ცოლი რომ მოჰყავთ, ქალს მშობლები მზითევს თავად აძლევენ, მუსლიმანებში კი, პირიქით, „ყალიმი“ ე.ი. ოქროული და ფული მიაქვთ ქალის მშობლებთან. საპატარძლოს მშობლები დანარჩენი ხარჯებსაც სიძის ფულიდან იხდის.

— ოსები, რა მუსულმანები არიან? — იკითხა ამირანმა.

— ოსებმა თვითონ არ იციან რა არიან, მათი უმეტესობა სახელად ქრისტიანია, მაგრამ შინაარსით კერპთაყვანისმცემლები, რადგან მთიელმა კაცმა მარხვა ვერ დაიცვა, მთაში კიტრი და პამიდორი ვერ მოიყვანა. და რა ეჭმევა ამ კაცს, თუ ხორცის, რძის და კვერცხის ჭამა არ შეიძლება, ხორცს — ცოტა ხნით შეელევა მთაში კაცი მაგრამ რძის, კვერცხის და ოსური ყველის გარეშე ვერ გაძლებს.

— ო, ოსური ყველი განთქმულია, სანამ თანამდებობას დაიკავებდა ეს ჩემი ძმაკაცი, შურა მიგზავნიდა ხოლმე ოსურ ყველის — იცრუა ამირანმა — ახლა რომ დააწინაურეს, ძმაკაცებიც დაივიწყა, ყველიც აღარ ჩამოაქვს და თბილისიდანაც ისე გამოიპარება-ხოლმე არც მირეკავს. და ამირანმა თვალები ჩაუკრა შურას.

— ბიჭო თბილისში რომ ჩამოვდივარ, მთელი დღე დავრბივარ ერთი სამმართველოდან მეორეში, ბოლოს ისე ვიღლები, არაფრის თავი არა მაქვს და სახლში მივდივარ.

— ეგ იმიტომ იმართლებს თავს, რომ ყველის მოტანა არ უნდა.

— მე ძმაო თავი დამანებე, აგერ ახალი ნათესავი გეყოლება ზელიმხანის სახით და ეგ ისეთ ყველს აკეთებს, მთელ ოსეთში მასეთ

გემრიელი ყველის ამოყვანას ვერავინ დაიტრაბახებს! რას იტყვი ზელიმხან, ყველს ხომ გაუგზავნი-ხოლმე ამ კაცს და მეც მეშველება ამოვალ მაგის ყბიდან.

— თუ მოვილაპარაკეთ, ყველის მეტი რა მაქვს არ დავამადლი!

ამასობაში შურას ბიჭი, კოტე, ზინას ჩაჯდომოდა კალთაში და ეთამაშებოდა.

— ეს რა ყველის კეთება აგიტყდათ ამ კაცებს რა საქმეზედაც ვართ მოსულები, იმაზე დაველაპარაკოთ ამ ხალხს — ჩაერია თამილა.

— კი, ბატონო, გოგო თუ თანახმაა და სიძე, „ყალიმია“ თუ რაღაცა, იმასაც იკისრებს, მე რა უფლება მაქვს, უარი ვთქვა, მით უმეტეს, გოგოს მამა ვარ, ახლა მაგას ვინ წაიყვანს!

— თამილა, მიდი, ზინას დაელაპარაკე, თუ თანახმაა, საქმე დღესვე უნდა მოვრჩეთ.

თამილა, ქსენია და ზინა მეორე ოთახში გავიდნენ. კოტე გამოიქცა და მამამის ჩაუდგა მუხლებში.

— ბატონო ალექსანდრე, ჩემს გოგოს და იმ ბიჭს ხელი რომ აქვთ მოწერილი, მაგათ გაყრას ხომ დრო დასჭირდება!

— ზელიმხან, ეგ არაფერი, მაგ ბიჭს ხომ არ მიყავს შენი გოგო ცოლად, განცხადებას დავაწერინებთ და მერე მაგ საბუთს მე გავაუქმებინებ მმაჩის ბიუროს, გამგე ჩემი ცოლის დაქალია.

— იმ ბიჭმა რომ არ მოინდომოს გაყრა? — იკითხა ამირანმა.

— ეგ მე სიძედ აღარ მინდა, — თქვა გაბრაზებით ზელიმხანმა, — მთელი ხუთი დღე აწვალა გოგო და ქალად ვერ აქცია! იმ შენმა ბიძაშვილმა ერთ წუთში გააკეთა ეგ საქმე, მაგ საქმეში კი ყოფილა მარჯვე!

ყველამ გაიცინა.

— ისე, ზელიმხან, ცუდად არ გამიგო და გაგიმართლა იმ ბიჭმა რომ არ წაიყვანა შენი გოგო. ამის დედა ვატირე, ქალიშვილი გაზარდო, არაფერი მოაკლო, გაუმზადო ვიღაცის შვილს და მერე იქით უნდა „უბალეშჩიკო“ კარგად იხმაროს რომ შვილიშვილით დაგასაჩუქროს!

კაცები ახორხოცდნენ.

— რას იზამ, ჩემო შურა, ბიჭები ისე გადაგვარდნენ, ქალთან ხიფინგსაც კი გვამადლიან.

— მალე მოვრჩეთ ამ საქმეს, მთელი დღე საჭმელი არ მიჭამია. ერთი შენი ვალიდანაც ამოვალ, ამირან და კარგი შავი ღვინით, „ჯიპლიტათი“, ლუდით და ოსურიპურის არყით უნდა გამოგათრო, „რახის“ სუნი რომ ასდის.

— მაგას მოვესწრებით, შურა, მთავარია, გოგო დავითანხმოთ!

— ისე, ამ სოფელში, მაგ არყის გამოხდაც კარგი იციან, აქ რამდენჯერ დამილევია, მწარე გემო არ დაჰკრავს, ზელიმხან, შენ გეცოდინება ეგ საიდუმლოება.

— რა დიდი საიდუმლო ეგ არის, გამოხდის წინ წყალში დასველებულ ნამჯას ჩავუფენთ გამოსახდელ მასალას და არაყიც არ მოიწვება.

ამ დროს თამილა შემოვიდა ზინასთან ერთად.

— როგორაა, ქალბატონო თამილა, საქმე, გოგოა თუ ბიჭი? — შეეკითხა ამირან.

— ვგონებ ბიჭია, — გაეცინა თამილას — „ძლივს დავიყოლიე“, ბიჭი კი მოსწონს, მაგრამ რომ იძალა, ეს ვერ უპატიებია.

— შე კაი ქალო, აბა რა ექნა? — გაიკვირვა შურამ.

— კარგი, შურა, მაგას თავი დავანებოთ, რაც მოხდა, მოხდა, — ინიციატივა ამირანმა აიღო ხელში, — მოდი, ზინა, აქ, ჩვენ შინაური ხალხი ვართ, მე ოფიციალურად მოვედი ხელის სათხოვნელად, ეს ხალხიც გვესწრება, თანახმა ხარ ცოლად გაჰყვე ჩემს ბიძაშვილს, ბაგრატ ლომჯარიას?

ზინამ დაიმორცხვა.

— სხვა რა გზაა, თანახმა ვარ.

— ჩემო დაიკო, დაძალებას ადგილი არა აქვს. შენ როგორც გადაწყვეტ, ისე იქნება, მაგრამ ეტყობა თქვენი შეუღლება ზევით იყო გადაწყვეტილი. ხანდახან მამაზეციერსაც უყვარს თავისებურად გახუმრება.

— მე თანახმა ვარ! — გამოაცხადა ზინამ.

ყველას გაუხარდა.

— ზელიმხან, ბიჭო, მიხედე საქმეს, თორემ მუცელი მიმეწება ხერხემალზე, — შეაგულიანა გერგაულოვმა მასპინძელი.

— ახლავე დავკლავ თხას. კი, მაგრამ სიძე სად არის? — ახლაღა მოიკითხა ზელიმხანმა.

— სიძეს ერთ საათში მოგიყვან, თამილა შენ და კოტე დარჩით აქ, მოეხმარეთ! პურ-ღვინოში შევეშველებით. ზელიმხან, წნილი, არაყი და ყველი გექნება, გამოიტანე ოჯახი დავლოცოთ, ერთ საათში შენთან გავჩნდებით, — დიასახლისმა უსიტყვოდ გაშალა სუფრა.

— აბა, ამირან, ამ ოჯახს გაუმარჯოს, კეთილად დაგვირგვინებოდეთ ყველაფერი, — ჭიქა მიუჭახუნეს, წნილი და ხაბიზგინები დააყოლეს არაყს და გარეთ გამოვიდნენ. ერთი საათის შემდეგ ბაგრატი მოიყვანეს და ქალს ბეჭედი წამოაცვეს თითზე. დღესაც ეს წყვილი ერთად ცხოვრობს და მესამე ბავშვს ელოდებიან.

ზელიმხანს თავი არ შეურცხვენია. წელიწადში ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც სამ-ოთხ თავ ყველს ყოველთვის უგზავნის ამირანს.

ასე, რომ ამ საჩოთირო საქმეს კარგი ფინალი ჰქონდა.

* * *

დილის ათი საათი იქნებოდა, ამირანის კაბინეტის კარი გივი ხაბაზმა რომ შეაღო:

— ამირან, თუ დრო გაქვს ერთ კარგ ვინმეს გაგაცნობ და შენთან საერთო სათხოვარი გვექნება.

— შენთვის მოვიცლი, გივი! — შემოიპატიჟა ამირანმა. გივის შემოჰყვა ორმოც წელს გადაცილებული, მაღალი, საშუალო სიმსუქნის, უკვე გამელოტებული კაცი.

— ბატონო ამირან, გაიცანით, „დუ-სე“! — წარუდგინა გივიმ.

— ეგ რომელია, ზარს რომ თამაშობს და ქუჩის ლატარიებს რომ აწყობს?

— დიახ, ეს ის „დუ-სეა“, რომლის დაჭერაც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ვერ გაბედა და გასაფრთხილებლად ყვითელი ბარათი უჩვენა.

— მერე, ამ ღმერთისხელა ხალხს რა გაგჭირვებიათ, ჩემი ნახვით რომ შეიწუხეთ თავი — გაეცინა ამირანს — დაბრძანდით, — მიუთითა სკამებისკენ — გისმენ!

— ერთის სიტყვით, ეს კაცი უშიშროების კომიტეტის გაფრთხილების შემდეგ ისევ თავის ხელობას დაუბრუნდა, ყომარს აგორებს. ვიღაცას ხუთასი მანეთი მოუგო, იმან გაკეთებული კამათლები გამოუჭირა, თუ თვითონ შემოუგორა, ათჯერ მეტი ფულიც შეაწერა და თან მოკვლით ემუქრება თავად მოგიყვება უფრო ზუსტად.

— ვა, მერე ეს საქმე ქურდების „სხოდკაზე“ ვერ მოაგვარა?!

— ის ვიღაც ახვარი კლიენტია, ოცი წლის ბიჭია, ორმეტრიანი ამბალი, მაღაზიებსაც თავისებურად აყაჩაღებს: იარაღს ამოღებს და მაღაზიის გამგეს ეუბნება „ფული მასესხეო“, ან „ნისიად“ გაიტანს რაიმე საქონელს, თან ვითომ ხუმრობით აფრთხილებს, „უარი არ მითხრა, თორემ ნერვიული ვარ და შემთხვევით ხელში არ შემომაკვდეო“. ამირან, შველას გვთხოვენ, მაგრამ საჩივრის შემოტანას ოფიციალურად ვერ ბედავენ.

— რატომ ვერ ბედავენ?

— ხომ იცი, მაგ დანაშაულისათვის, თუ დავუმტკიცებთ, დიდიდიდი სამი წელი მისცენ, იმასაც გაუნახევრებენ და გამოუშვებენ. მაღაზიის გამგეებს კი სამაგიეროს გადახდის ეშინიათ, გიჟივით აბრიალებს თვალებს და შეიძლება მართლაც მოგვკლასო! „დუ-სეს“ გარდა, ქურდებსაც მოუნდება ფულის შეწერა, ვგრძნობ, რომ სისხლის სუნი დატრიალდა ქალაქში, ეგ ვირიშვილი წერას ჰყავს ატანილი, ჯერ ეგ მოკლავს ვინმეს და მერე მაგასაც არ აპატიებენ.

— რა ვქნათ, გივი?

— რა და ათწლიანით უნდა დავჭედოთ და დროებით ქალაქს მოვაშოროთ, დანარჩენს ეს კაცი მოგიყვება, მაგ საქმესაც და თავის ბიოგრაფიასაც, მე მეტს აღარ შეგაწუხებ. თუ დაგჭირდები, გვერდზე ოთახში ვიქნები ამირან!

— რა დრო დადგა, აფერისტს უშიშროება ვერ იჭერს, რეკეტს — მილიცია. კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. აბა, ერთი შენი სახელი, გვარი, მამის სახელი გამახსენე!

— მურად ამბროსის-ძე კვირკველია.

— ერთი ეს გამაგებინე, რას აკეთებდი ისეთს, რომ უშიშროების კომიტეტმა დაჭერა ვერ გაგიბედავდა.

— მოგეხსენებათ, რომ ამ ბოლო დროს ებრაელებმა ისრაელში გადასახლება დაიწყეს. აქედან გზავნიან თავიანთ ბარგს, რაშიც მე ვეხმარები.

ტვირთს ჩემი ნაცნობები აგზავნიან, რადგან თავიანთი გვარით ზედმეტი ტვირთის წაღებას ერიდებიან.

— მერე, სად არის დანაშაული?

— ხუთი ნაჭერი ბარგიდან ერთ-ერთს, რომელიც ყველაზე ძვირადღირებული იყო, ისრაელში გაგზავნისას იქაურ არარსებულ მისამართს ვაწერდით, ხოლო გამგზავნელის მისამართს კი — ჩემი ახლობელისას. ეს ტვირთი უკან ბრუნდებოდა ჩემს ან ნაცნობის მოსამართზე და ჩვენ გვრჩებოდა. ისრაელში ატყდა ერთი ამბავი, ხოლო ბარგის დაკარგვის მიზეზი მაინც ვერ გაარკვიეს!

— ეს კარგად მოგიფიქრებია! — გაეღიმა ამირანს.

— ბატონო ამირან, მე უნამუსო ადამიანი არა ვარ, მთელ ბარგს ხომ არ ვაბრუნებინებდი? ეგეც არ იყოს, რა პატიოსანი გზით მაგათ აქვთ ნაშოვნი ქონება, არაფერი უჭირთ, თუ ცოტათი დავბეგრავ და ჩვენც რაღაც დაგვრჩა.

— რანი ვართ ეს ქართველები: იმან მოიპარა, შენც მოიპარე, „ქურდის ქურდი ცხონებულიაო“ და შენც გასამართლებელი საბუთი იპოვე.

— აბა, რა ვქნა, ბატონო ამირან, რაღაცით ხომ უნდა ვიცხოვრო, თოხზე და ბარზე მუშაობა მე არ შემიძლია, ცოლი მყავს, სამი ბიჭი, ყველანი უმაღლესში სწავლობენ, ოჯახს ხომ უნდა შენახვა? მე, როგორც შემიძლია, ისე ვინახავ, აბა, სახელმწიფოს ხომ არ ავეკიდები სარჩენად? ბატონო ამირან, ჩემი საქმიანობა ხელოვნებაა, რეალური ცხოვრებაა, თავისი ხინჯით!

— კარგი, შენი ფილოსოფია გასაგებია. ახლა ეს მითხარი, უშიშროებამ ამდენი შრომა გასწია, ამდენი დრო დაკარგა, ფაქტები მოაგროვა და არ დაგიჭირა, რატომ?

— რადგან ჩვენთან სოციალისტური წყობაა და კერძო საკუთრება არ არსებობს, მოქალაქეთა დანაშაულიც თვითონ, სახელმწიფომ უნდა ზღოს, ეს რომ დაიანგარიშეს, რამდენიმე ასეული ათასი დოლარი გამოვიდა. ტვირთის ღირებულებას ბარგი შენახვის და აქეთ-

იქით მუქთად გადატან-გადმოტანის ხარჯებიც დაემატა თავისი საჭირო დანამატებით და. . .

— და გასაგებია, სახელმწიფოს კი ამ თანხების გადახდა არ უნდა და „ნე ვიჟუს“ თამაშობს. მერე რა გითხრეს, რომ დაგიბარეს?

— არაფერი, ჩემი ყოფილი თანაკლასელი, მაგათი თანამშრომელია — გამაფრთხილეს, მაგ სქმეს შეეშვიო!

— მერე, ამ საათივით აწყობილ საქმეს ერთი გაფრთხილებით დაანებე თავი?

— ბატონო ამირან, თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რას ნიშნავს მაგათი გაფრთხილება. არ დაუჯერებ და გაგასაღებენ!

— საოცარი ქალაქია ეს თბილისი. კაცის დაჭერა ჭირს. ერთი ქურდია, მეორე — მილიციონერი, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ბავშვობა ერთად აქვთ გატარებული, ერთუბნელები არიან, ყველა ერთმენთს იცნობს, ყველა ერთმანეთის ყვავი-ჩხიკვის მამიდაა. ახლა ეს მითხარი „დუ-სე“ რატომ შეგარქვეს? როგორც გამიგია, შენ კარტსაც მაგრათ თამაშობ.

— ახალგაზრდობაში სვანეთის უბანში ვცხოვრობდი. კუკიის სასაფლაოზე ხშირად ამოდიოდნენ ქურდები ყომარის გასაგორებლად და ვუყურებდით ხოლმე. იქ გავიგე, რომ პირდაპირ თამაშზე ორი ექვსიანი, ორი ხუთიანი, ორი სამიანი ორმაგად იგებს, ხოლო ექვსიანი და ხუთიანი ერთმაგად, რაც შეეხება ორიანს და ერთიანს, ერთიანებს, ორიანებს და ოთხიანებს თუ წყვილად გააგორებ, აგებ. რომ წამოვიზარდე, მივხვდი, რომ კამათელი იმ მხარეს ჯდება, საითაც მეტი სიმძიმე აქვს. მეც ავიღე და სიღრმეში ჩავხვრიტე ოთხიანები, სამიანების მოპირდაპირე მხარეს სიმძიმე მოვუმატე. ასე, რომ თამაში რომ დავიწყე, სხვები თუ „დუშაშით“ მამაძაღლობდნენ, მე „დუსე“-ზე დავიწყე ეშმაკობა. რატომღაც „დუ-შაში“ რომ დაჯდებოდა, ეჭვი ეპარებოდათ, „დუ-სე“-ზე კი ხმას არ იღებდნენ.

— მერე, როგორ სვამენ მაგ კამათელს, შენს მოწინააღმდეგესაც ხომ შეუძლია გააგოროს.

— აქ, ხელის სისწრაფეზეა საქმე, ეს გაკეთებული კამათლები ხელში შეუმჩნევლად მიჭირავს, თუ მეტყვის „მუქთა“ გააგორეო,

ნაღდ კამათლებს ვაგორებ, თუ მეტყვის „მოსულიაო“, ვცდილობ ჩემი კამათელი გავაგორო.

— როგორც ვიცი, თამაშის წინ სპეციალურად მიდიხართ მაღაზიაში და ახალ კამათელს ყიდულობთ.

— მაღაზიაში ნაცნობი გამყიდველები მყავს, როგორც კი შევალთ, იმ ზომის და ფერის კამათელს შემოგვთავაზებენ, როგორც მე მაქვს გაკეთებული.

— კი, მაგრამ ხომ იციან, შენ რომ პროფესიონალი მოთამაშე ხარ, ხელებში არ გიყურებენ?

— ბატონო ამირან, ხელოვნება ის არის, რომ კამათელის შეცვლა ვერ უნდა შეგამჩნიონ. თანაც ამ კამათელს მაშინ ვიყენებ, როდესაც დიდი თანხა დაიდება. მერე კიდევა, მოწინააღმდეგე რომ აგორებს, ჩემს კამათელს შევაჩეჩებ და ვეუბნები, უკუღმა, „ვარი“ გააგორე-მეთქი, თვითოს სვამს „დუ-სეს“-ს და ეჭვიც არ ეპარება წაგებაში.

— კარგი, კარტს როგორღა აწყობ? ესეც ხომ ხელოვნებას მოითხოვს და მე რამდენადაც ვიცი, მოთამაშე კარტს შენს ჭკუაზე არ ჩაგაწყობინებს.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ადამიანის გონება ისეთი ეშმაკია, რომ ყველგან მონახავ გამოსავალს. ლენინგრადში ყოფნის დროს, შემთხვევით გავიცანი ფერადი ბეჭდვის კომბინატის საამქროს უფროსი, ეს კომბინატი ობუხოვის ქუჩაზეა. რამდენჯერმე დავპატიჟე რესტორანში, გატაცებით მიყვებოდა კარტის პერანგზე. უკანა მხარეს რა ხაზების ბეჭდვა შეიძლება, რომ კარტი ამოიცნო. ბოლოს მაჩვენა ამ ხაზების განლაგება. მოკლედ, ვთხოვე ერთი პერანგი კარტისა ჩემი შენიშვნებით გააკეთებინათ და ეს პატარა მთლიანად გამოეგზავნათ კავკასიაში და მოსკოვში, რაშიც სოლიდური თანხა გადავუხადე.

— გამოდის, რომ მოწინააღმდეგის კარტს უკანა მხრიდან ატყობ რა უჭირავს. ამ კარტებით კი შენი ნაცნობი გამყიდველები ვაჭრობენ!

— მართალი ბრძანდებით. ეს არც თუ ისეთი პატარა უპირატესობაა, ამასთან ყველა ძველად გამოშვებული კარტი, რომლებიც

იყიდებოდა მაღაზიებში, სადაც ხელი მიმიწვდებოდა, მე შევიძინე და გავანადგურე.

— კარტს მოჭადრაკეები და ფენომენალური მეხსიერების მქონე ხალხი თამაშობს, ამ ორი წლის წინ სოჭში ერთი მსოფლიო ჩემპიონი თამაშობდა „პრეფერანსს“ დიდ თანხაზე და სულ მოგებული რჩებოდა!

— მაგ მსოფლიო ჩემპიონს მეც ვეთამაშე, მაგრამ ბევრი ვერაფერი დავაკელი, რადგან ჩემზე უკეთ ითვლიდა, მაგრამ მე დიდი ფორა მქონდა; ერთხელ ხუთასი მანეთი მოვუგე, მეორედ — ორასი, მაგრამ მერე ეტყობა კარტი კარგად დაათვალიერა და თვითონ დამიწყო მოგება და მეც შევეშვი, რადგან თვითონაც კარგად გაიწაფა კარტის ამოცნობაში.

— ასე, რომ „მჯობნის მჯობნი არ დაილევა“ ყველა პროფესიაში, მითხრეს, ჭადრაკსაც თამაშობსო „დაუ-დაუბასეთი“, ამას როგორღა ახერხებ?

— „აზარტიანი“ ხალხი ჭადრაკსაც ფულზე თამაშობენ. თავიდან სანამ გავიცნობდეთ ერთმანეთს, უფულოდ ვთამაშობთ, თანაც ყოველთვის ვცდილობ წავაგო. მოწინააღმდეგე „მაქებს“, „ეს რომ არ შეგშლოდა, მოიგებდიო“. მერე ფულზე ვეთამაშები, თუ უარესი პოზიცია მაქვს „დავს“ მეუბნება, მე კი თუ ვხედავ რამდენიმე სვლაში უპირატესობას უნდა მივაღწიო, „დაუბასეს“ ვეუბნები და ვუგებ. მოკლედ, ადრე ჭადრაკის თეორიით ვიყავი გატაცებული და ჭადრაკის ამოცანებსაც ვადგენდი. სანდო თამაში არ არის, ვერ იეშმაკებ, ხანდახან ისეთი ვინმე გამოგიტყვრება, იქით წაგართმევს ფულს.

— ძმურად, შენ ერთი იმ რიგითი მოთამაშე კაცის ფსიქოლოგია გამაგებინე, რომელიც პროფესიონალ მოთამაშეს ეთამაშება. ხომ იცის, რომ პროფესიონალი მას პატიოსნად არ ეთამაშება, რატომ უჯდება სათამაშოდ?

— ფორტუნის იმედი აქვს!

— მოთამაშე კაცი იგივე ნარკომანია, მე ბევრი ვიცი, ოჯახი რომ გადააყოლა თამაშს; თუ შეიძლება მაგათი გამოსწორება?

— ბატონო ამირან, მე ბევრ ნარკომან და მოთამაშე ხალხს ვიცნობ, მათ შორის ზოგი ნარკომანი გამოსწორებულიც მინახავს, მა-

გრამ თამაშისთვის ვინმეს ნებით თავი დაენებებინოს, მე არ შემხვედრია. მაგალითი აგერ გახლავართ.

— შენი ბიჭები?

— ჯერ ერთი, ბავშვებს არც კარტს ვაკარებდი, არც კამათელს. თანაც, რომ წამოიზარდნენ, ყოველთვის ვუგებდი და ინტერესი დაკარგეს.

— ისე, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, მართალი ხარ იმ წაგებული ხალხის წინაშე, ასე რომ აბრიყვებ?

— მართალი რომ გითხრათ, ეგ ხალხი შესაცოდი არ არის. ადამიანი ბრიყვი არ უნდა იყოს. სკოლაში მასწავლებელი ბავშვს ცოდნას რომ აძლევს, გასამრჯელოს სახელმწიფო უხდის. მე, ბატონო ამირან, ჭკუას ვასწავლი ხალხს, ჩავთვალოთ, რომ კერძო კოლეჯი მაქვს გახსნილი და თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ მეცადინეობას ვუტარებ და ამ საქმეში ფულს ვახდევინებ. მე ამ საქმიანობაში დიდ დანაშაულს ვერ ვხედავ. ადამიანს დაბადებიდანვე მიდრეკილება აქვს სხვადასხვა ავი საქმიანობისკენ, დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოსაც — სად დაიბადე და აღიზარდე. კუკიაზე დაბადებული კაცს თუ თამაშისკენ მიდრეკილებაც აქვს და „კარტოჟნიკებში“ იზრდება ეს კაცი მოთამაშე გამოვა, აბა, რა იქნება!

— მაგაში მართალი ხარ, მაგ რაიონს ვერ მოვუარეთ, არადა, სასაფლაოზე სად უნდა სდიო?

— ბატონო ამირან, ქვეყნად იბადებიან მგლებიც და ძაღლებიც. მაგრამ თუ მგელს გარემოს შეუცვლით, ის შეიძლება ძაღლივით ერთგული გახდეს და პირიქით, მაგრამ ძაღლები და მგლები რომ უნდა არსებობდნენ — ბუნების კანონია და ვერ გავექცევით! იმ დღეს ტელევიზიით იყო გადაცემა ლომების ცხოვრებაზეც. ხვადი მხოლოდ ძუ ლომების სექსუალური მომსახურებითაა დაკავებული. ძუ ლომები კი ნადირობენ. ნანადირევს პირველად ხვადი მიირთმევს, თუ რამე მორჩა, ძუ ლომები და მათი ბოკვერები ჭამენ, თუ მათ კიდევ რამე გადაურჩათ, აფთარი გააგრძელებს და ბოლოს სვავები გამოუყვანენ წირვას. ხვადი ლომი როდესაც დაბერდება და ჯოგიდან გააგდებენ, თავის რჩენა აღარ შეუძლია, კვდება და ისიც სხვისი ლუკმა ხდება.

— რადგან ასეა მოწყობილი ეს ქვეყანა, ბუნების კანონია ისიც, რომ უნდა არსებობდნენ ქურდებიც, ყომარბაზებიც და მათი დამჭერებიც! რას იტყვი, მურად, ტყუილუბრალოდ არც ჩვენ ვჭამთ პურს, არა? — გაეცინა ამირანს.

— ბატონო ამირან, ხუმრობა იქით იყოს და ჩვენისთანა ხალხი რომ არ იყოს, თქვენ სამუშაოს ვინ მოგცემდათ? თქვენს პროფესიონალიზმს ვინ დააფასებდა?

— „დუ-სე“ ერთი მითხარი, ვინ არის შენი ფულის შემწერი, რა გვარია?

— გვარი არ ვიცი, კირილე ჰქვია, გადამეკიდა, ვითამაშოთო. ერთხელ ვეთამაშე — ათასი მანეთი მოვუგე, მეორედაც შემომთავაზა. გული არ მიშვებდა, მაგრამ წესით, წაგებული კაცს სანამ ფული აქვს, მის მოვალედ ითვლები და უნდა ეთამაშო. ვეთამაშე და მოვუგე ისე, რომ ჩემი კამათელი არ გამომიყენებია, პირიქით, თვითონ დააძრო ნამამაძაღლევი კამათელი, მერე ჯიბიდან მაგნიტი ამოიღო და ვითომ ფაქტზე დამიჭირა. ეს წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, თვითონვე წამოსცდა. მერე ერთი ორჯერ მომდო ბეჭებში და მითხრა „ერთ კვირაში ხუთი ათასს მოიტანო“! ხმა არ ამოაღებინოს! ვის დაარწმუნებ, რომ „დუ-სე“ წესიერად თამაშობდა. დასამალი არაფერია, ბატონო ამირან, რომ მეთამაშა ჩემი კამათლებით, ვიტყოდი!

— ჰმ, მადა კარგი ჰქონია, ხუთი ათასი კარგი თანხაა.

— ფულზე არ არის საქმე, ეგ ფული რომ მივცე, თავს ვერ გამოვყოფ ბიჭებში. ქურდებს საქმე რომ გავარჩევინო ნახევარს მომთხოვენ და მაგ კირილეს კიდე ქურდების აზრი ფეხებზე ჰკიდია, მთლად დალაგებულს არ ჰგავს, არადა რომ მოვკლა, ჯერ ციხეში არ ვმჯდარვარ და ახლა როგორ ჩავჯდე?

— სანამ შეგვახვედრებდა, გივიმ საქმის კურსში ჩამაყენა. როგორც ვიცი, გივის დაუჭერიხარ ბაზართან, ქუჩის ლატარიას — „ლოხოტრონს“ რომ ათამაშებდი და ხალხს ატყუებდი და ამაში შენი ხალხიც გეხმარებოდა. ეტყობა, რაღაც ახალი სკოლა შექმენი.

— ღმერთმა იცის, ბატონო ამირან, ამ ხალხის წინაშე დამნაშავე არა ვარ. შინაგანად თვითონ გთხოვენ რო მოატყუო, ეს იგივეა, როცა სექსუალურად შეწუხებული ქალი ყველაფრის უფლებას გა-

ძლევს რომ მოეფერო, აკოცო, გარდა საბოლოო აქციისა. ასევეა ჩვენი კლიენტიც თავიდან, ყველაფერი მოსწონთ: ფულის დადება, თამაშის პროცესიც, მოგებაც. დასაწყისში განგებ ვაგებინებ, რომ უფრო მეტად შევიდნენ აზარტში. წაგებაზე გიჟდებიან.

— კი, მაგრამ თავიდან რომ აგებინებ, დავუშვათ, ჩაიდო ჯიბეში ფული და აღარ გეთამაშათ, რასა შვრებით მაშინ?

— ჯერ ერთი, ადამიანის ბუნება უნდა იცოდე და როგორც იგ-ებს, სულ უნდა უძახო „ეს არიფის ხელია და შენი მოგების დღეა ნაღდათო“, ხოლო თუ მართლა მოგებულად წასვლა გადაწყვიტა, ეს ჩემი ხალხი რას აკეთებს, „ლოხოტრონს“ ვინც თამაშობს, მოგე-ბულს არ გაუშვებენ და როგორმე აიძულებენ საბოლოოდ წააგე-ბინონ.

— დასაჭერები ხართ, ყველა! მურად, არ დამიმალო, მილიციას რამდენს აძლევ დღეში?

— დღეში სამიცდაათ მანეთამდე

— ჯგუფში რამდენი კაცი გყავს?

— ხუთი-ექვს კაცი.

— არც ისე ცოტა სულელი გადის ყოველდღე თქვენს ხელში. ჩემო „დუ-სე“, შენს დაჭერაში ოთხი კაცი მონაწილეობდა. კარგად იცი ვინც არიან, მოკლედ, აგენტს ორას მანეთს მისცემ, სამ ოპერ-მუშაკს ას-ას მანეთს ჩამოურიგებ. მე რომ ფულს არ ვიღებ, ეს შენ იცი. რაც შეეხება იმ კირილეს, ფულს დავუნომრავთ, მიუტან ნაკ-ლებს და ვაჭრობას დაგიწყებს, თუ ცოტას მოგდებს კარგი იქნება, ამას ყოველივეს დავაფიქსირებთ. როგორც ვიცი, იარაღიც აქვს, ხომ?

— კი, „ტეტე“ სისტემის იარაღი აქვს.

— როდის უნდა მიუტანო ფული?

— ხვალ.

ამირანმა ტელეფონზე დარეკა, გივის უთხრა „შემოსულიყო“,

— გივი, ამის შემწუხებელი კირილე ხვალვე აიყვანეთ და დაჭე-დეთ, ამ კაცისგან კი პირობა აიღეთ, რომ „ლოხოტრონს“ ახლოს აღარ გაეკარება.

მეორე დღეს კირილე დაიჭირეს ყაჩაღობაზე, მაგრამ იარაღზე ჰილზებზე დასარტყმელი ძუძუკა ჰქონდა მოხერხილი და ცხადია არ

ისროდა. ეტყობა, კირილეს ეს იარაღი დასაშინებლად დაჰქონდა. ამირანმა ექსპერტი გამოიძახა, ჩახმახი შეუცვალეს და მოქმედ იარაღად გაუფორმეს; კირილე დაჭერილი რომ ნახეს, მაღაზიის გამყიდვლებმაც შეიტანეს განცხადებები მილიციაში. სასამართლომ კირილე რვა წლით მიაბრძანა სადაც ჯერ არს. ყაჩაღობის მუხლით.

გავიდა რამდენიმე წელი და „დუ-სე“ ამირანს რესტორანში შეხვდა, ძმაკაცებთან ერთად ქეიფობდა. ამირანი მიიპატიჟეს:

— ახლა როგორ მოგმართო, მე შენ „დუ-სედ“ გიცნობს.

— მე თქვენთვის, ბატონო ამირან ყოველთვის „დუ-სე“ ვიქნები.

— შენი „ძმაკაცი კირილე“ რას იქმს?

— ის თავისი დამპალი ხასიათის გამო, ციხეში გაასაღეს. იქ ქურდებს დაუწყო თურმე ჭკუის სწავლება.

— შენ რას შვრები, „პერესტროიკა“ დაიწყო, რაღაცა საჩალიჩოს გამოძებნიდი, ცოტა ასაკიც შეგტყობია. კარტს და ყომარს დღეს კაზინოში თამაშობენ ყოველგვარი აკრძალვის გარეშე, ხომ არ დარჩი „უმუშევარი“?

— ბატონო ამირან, რას ბრძანებთ, ცხოვრება შეიცვალა, მთავრობა გამოიცვალა, თორემ ხალხი კი არ შეიცვლილა, რამდენი ბრიყვიც იყო ათას სულ მოსახლეზე, იმდენივე დარჩა, თუ არ მოიმატა. მე და ჩემმა მეგობრებმა „კოოპერატივი“ შევქმენით, რომელიც მთვარეზე მიწების გაყიდვით არის დაკავებული, სამყაროში ახლად აღმოჩენილ ვარსკვლავებს კლიენტების სახელებს ვარქმევთ და სამოთხეში მოსახვედრ, ლამაზად გაფორმებულ პლასტიკურ ბარათებს ვყიდით ოფიციალურად და სახელმწიფოსთვის სათანადო გადასახადის გადახდით — იღიმებოდა ამაყად „დუ-სე“.

— ხალხი ეგება ამ სატყუარაზე? — სიცილი ველარ შეიკავა ამირანმა.

— ეგება რომელია, ჩვენს ფირმას სანთლით დაეძებენ. მე, რა თქმა, უნდა რეკლამის გაკეთება შემიძლია, მაგრამ არ გვინდა ვიღაცას ზედმეტად თვალში მოვხვდეთ, ისე ასორმოცდაათ დოლარად არც თქვენ გაწყენდათ მიწის ნაკვეთი მთვარეზე, ხუთას დოლარად თქვენი სახელობის ვარსკვლავი სამყაროში და ოთხმოც დოლარად სამოთხეში შესასვლელი ბარათი, მერწმუნეთ, წასატრაბახებლად ძალზე სასიამოვნოა, მაგ ჩვენი კოოპერატივის ყველა წევრს გვაქვს

ეს სულის სანარნარო სიმდიდრე და ამირანს წინ დაუდო ლამაზად გაფორმებული საბუთები, სადაც უცხოური ბეჭდებიც ერტყა ქართულ ბეჭედთან ერთად. — ამირანს სიცილისაგან ცრემლები წამოცვივდა. დიდი ხანია ასე გულიანად არ უცინია.

— ეს უცხოური ბეჭედი საიდან არტყია?

— ეს, ჩემო ბატონო, ერთობლივი კორპორაციაა, სათაო ფირმა ინგლისში მდებარეობს, ჩვენ მათი ფილიალი ვართ.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, — თქვა ამირანმა, — ამ სამყაროს სულელები არ აკლდება რა ქნას „დუ-სემ“! ამ ხალხს თუ ეს ტყუილი სიამოვნებს!!

— ბატონო ამირან, ადამიანი სუსტი არსებაა, მას უნდა მოეფერო, მისი ფუჭი აზრები, უსაგნო სიხარული უნდა გაიზიარო და სანაცვლოდ ყველაფერი უნდა დასტყუო. ადამიანთა ურთიერთობაში სიტყვას — ქვეყნის ამშენებელს და ამომგდებს, დიდი ძალა აქვს და მეც რაც შემიძლია ამ ტკბილ სიტყვას არავის ვამადლი! — სიცილით უპასუხა „დუ-სემ“.

— ბიჭები რას შვრებიან, თუ დაოჯახდნენ?

— უფროსი უცოლშვილოა, ინგლისში გაგვექცა სასწავლებლად, შუათანა და უმცროსი დაოჯახდნენ, ორი შვილიშვილის ბაბუა ვარ. ახლა მათთვის ვჩალიჩობ, ნორმალურ კაცებად მინდა გაიზარდონ, განათლება მიიღონ და მერე ცხოვრება, როგორც განსჯის, ისე იქნება!

— მოდი, ამ ჭიქით შენი შვილიშვილების სადღეგრძელო დავლიოთ და შენს ახალ საქმიანობას გაუმარჯოს.

— ბატონო ამირან, წასული საქმეა, რომ არ გითხრათ, ცუდად გავხდები, თქვენ როგორც მითხარით მაშინ, ფული იმ ხალხს ისე გადავუხადე, მაგრამ გივიმ დამატებით ათასი მანეთი მომთხოვა, მითხრა ზევით არის საჭიროო. თქვენთვის არ უცია პატივი?

— ჩემო „დუ-სე“, მე ჩემი პრინციპები და ხუშტურები მაქვს, არ მინდა ვთქვა, რომ ანგელოზი ვარ, მაგრამ ჯერ მანეთი ქრთამი არ ამიღია და არც ავიღებ. რაც შეეხება პურ-ღვინოს, თუ ქრთამად ჩავთვლით, ამიღია.

— თქვენზე არ უთქვამს, მაგრამ, მანიშნა ზევით უნდა გადავიხადოო. ზევით კი, თქვენ გარდა, ჩემთვის არავინ არ გაუცვნია!

— მე, ჩემო „დუსე“, იმიტომ მიცნობენ წესიერ კაცად, რომ ნორმალურ ქრთამის აღებაზე, თუ გამოძალვას ადგილი არა ქონია, ყოველთვის თვალებს ვხუჭავდი, რადგან ამ ქვეყანასაც ვერც შენ გაასწორებ და ვერც — მე. ყველამ იცის მილიციაში რომ ფულს იღებენ და მომავალშიც აიღებენ, ეჭვი არ მეპარება, ეს ასე იქნება, სანამ ჩვენი პროფესიის ხალხი სათანადოდ არ იქნება დაფასებული.

ამირანს სახლში მისვლისთანავე გემრიელად ჩაეძინა. დილით პიჯაკის ჯიბეში რაღაც უცხო საგანი აღმოაჩინა. ოქროს საათი იყო. შეატრიალ-შემოატრიალა, შემდეგ ჯიბეში ქაღალდის ნაგლეჯიც ნახა წარწერით: „ამირანს „დუ-სე“-საგან კაცურ-კაცობის სანაცვლოდ“.

* * *

ადრე დილით ამირანის ბინაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

— ბატონი ამირანი ბრძანდებით?

— დიახ, ამირანი ვარ!

— ბატონო ამირან, „ვასკა“ გაწუხებთ ქალაქის იზოლატორიდან, თქვენი დახმარება მჭირდება!

— კარგი ერთ საათში მოვალ, — ამირანს გაახსენდა „ვასკას“ მარიფათი რაჯ კაპურთან შეხვედრისას.

ამირანმა ტანსაცმელი გადაიცვა და იზოლატორისკენ გაიმართა. გაირკვა, რომ „ვასკა“ მაღაზიაში დაუჭერიათ, ყალბი ფულით სიგარეტი უყიდია.

— ბატონო ამირან, ხომ იცით, მე ჩემი სპეციალიზაცია მაქვს, ჯიბის ქურდი ვარ და ყალბი ფული, მისი დახატვა და გასაღება ჩემგან შორს არის. მე ჩემი პროფესიით იმდენს ვშოულობ, რომ ოჯახსაც ვინახავ, ძმაკაცებშიც თავს არ ვირცხვენ. ახლა მე ყალბი ფული და მისი გასაღების მუხლი არაფრად არ მჭირდება

— კი, მაგრამ საიდან მოხვდა ეგ ფული შენთან?

— საიდან და ვიღაცას ერთი მოზრდილი შეკვრა ამოვაცალე, სახე არ მახსოვს, მაგრამ ადგილი გამახსენდა.

— სად ჩაატარე ეგ „ოპერაცია“? — ღიმილით კითხა ამირანმა.

— ვაკეში, უცხო ენების ინსტიტუტთან. მანამდე ტროლეიბუსი გაჭედილი იყო, ტროლეიბუსში უნივერსიტეტთან ავედი, ერთი გაჩ-

ერება დამჭირდა, რათა გამერკვია ჩემს ირგვლივ თქვენი ხალხი იყო თუ არა, ორი გაჩერებაც კლიენტის შერჩევას მოვანდომე, ორი გაჩერებაც შერჩეულ კლიენტთან მიახლოებას, ერთი გაჩერებაც იხარჯება უშუალოდ „ოპერაციის“ ჩატარებაზე, და ტროლეიბუსის დროზე დატოვებაზე. მახსოვს ხელში ვიგრძენი ფულის მოზრდილი შეკვრა. ჩამოვედი თუ არა, მაქანა გავაჩერე და ბაგებისკენ ავუყევი. ფული გადავიხადე, იქვე კაფეში შევედი და ფული დავითვალე. სამი ათასამდე აღმოჩნდა, ამხელა ფულს იშვიათად ვშოულობ. შემდეგ ეს წარმატება კაფეში ერთი ბოთლი შამპანურით ავღნიშნე. გამახსენდა, ცოლმა ბავშვის საჭმელი რომ დამაბარა, მანქანა ისევ ავიყვანე და ბავშვის საკვები ერთ ჩემს ნაცნობ გამყიდველთან შევიძინე პლეხანოვზე, შემდეგ გვერდით სასურსათო მაღაზიაში ასმანეთიანით სიგარეტი ვიყიდე, გამყიდველს რაღაც ეჭვი შეეპარა, ვიღაცეებს ხელით ანიშნა და დამიჭირეს. მთელი ფული წაიღეს, ეს ბოლოს ნაშოვნი ფული, როგორც ამბობენ, ყველა ყალბი გამოდგა. თქვენი ტელეფონის ნომერი სამორიგეოში გავშანსე. ამბობენ, ამ საქმეს უშიშროების კომიტეტს გადასცემენო. თქვენ ხომ იცით, თქვენი სამინისტროს კლიენტი ვარ და არა — უშიშროების.

— „ვასკა“, შენი ნათქვამის ყველაფერი მჯერა, მაგრამ იმ კაცის პოვნაში უნდა დაგვეხმარო.

— ხომ გეუბნები, სახე არ მინახავს, მაგრამ პიჯაკი, ჯიბე, ტანის მოყვანილობა, თუ შემხვდა მეორედ ტროლეიბუსში, აუცილებლად ვიცნობ. მოიცა-მოიცა, ამირან, თუ არ ვცდები ძალზე მოდური და ორიგინალური პიჯაკი ეცვა, მოკლესახელოებიანი პიჯაკი. მასეთ პიჯაკს არა მგონია თბილისში ბევრი ვინმე ატარებდეს, მე მგონი, უცხო ენათა ინსტიტუტში ლექტორად უნდა მუშაობდეს, რადგან რამდენიმე ახალგაზრდას ხალისით ელპარაკებოდა, ამან ძალიან შემიწყო ხელი ფულის შეუმჩნევლად ამოცლაში.

— ყოჩაღ, რომ დაგჭირდა, ყველაფერი გაიხსენე!

— „გაჭირვება მაჩვენეო“, ხომ გაგიგიათ, ბატონო ამირან.

— გაქცევა და ხელიდან დასხლტომა შენ არ გეშლება, — გაეცინა ამირანს, — მოკლედ ამ იზოლატორიდან ჩვენთან, რესპუბლიკურში, გადაგიყვან, დაგაწინაურებ!

— დიდი შეღავათია! სახლში მაინც დამირეკეთ!

— „ვასკა“, აქ ხომ იცი, სხვისი ბოსტანია, ჩემთან გადაგიყვან და შეიძლება თავდებშიც გაგიშვა, თუ უფროსებს დავარწმუნებ.

ამირანი შევიდა იზოლატორის უფროსთან და სთხოვა „ვასკა“ და მისი საქმე რესპუბლიკის გამოძიებისთვის გადაეცათ, შემდეგ ზურაბთან ერთად მინისტრთან შევიდა.

— ყალბი ფულის დამზადება-რეალიზაცია თქვენი განყოფილების საქმეა, მაგრამ უშიშროების კომიტეტსაც უნდა შევატყობინოთ. რადგან „ვასკა“ შენი კაცია და თავდებში უდგები, საქმესაც შენ ჩაუდგები სათავეში ჩემო ამირან. ჯობს უშიშროებაც ჩავრთოთ.

— ბატონო შადიმან, გული მიგრძნობს, მაგ საქმეს ჩვენ გავხსნით. მოდით ჯერ უმაგათოდ დავიწყოთ და თუ დახმარება დაგვჭირდება, მაშინ შევატყობინოთ, სულ მაგათმა ხომ არ უნდა იკოტრიალონ მუქთა კუბოში.

— კარგი, ამირან დაიწყე, ყველაფრის უფლებას გაძლევთ, მხოლოდ ამ კვირის ბოლოს მაგ საქმეს კვალი უნდა დაამჩნიო!

ამირანმა „ვასკა“ თავდებში გაუშვა, ნაღდი ფული დაუბრუნდა, პირობით, რომ მასთან ერთად უნდა მოეძებნა „დაზარალებული“.

ორი დღე, დილის ცხრა საათიდან, მორიგეობდნენ უცხო ენათა ინსტიტუტთან, მაგრამ ამ ორიგინალური მოკლემკლავიანი საზაფხულო პიჯაკით არც შესული და არც გამოსული არ უნახავთ. გამოირკვა, რომ პროფესორ-მასწავლებლები ავტომანქანებს ინსტიტუტის ეზოში აყენებდნენ და უკანა კარებიდან შედიოდნენ. მეორე დღეს ამირანი და „ვასკა“ გაიყვნენ და ამირანმა დაინახა მანქანიდან გადმოსული სიმპათიური, მაღალი მამაკაცი მოკლემკლავიან პიჯაკში. კარგად შეათვალიერა, უკან გაჰყვა და დერეფანში მჯდომ დარაჯს გამოჰკითხა ვინ იყო ეს კაცი.

— ეგ სტუდენტი გოგონების უსაყვარლესი ლექტორი დიმიტრი საღალაშვილია.

იმ დღეს ასეთი პიჯაკით სხვა არავინ შესულა ინსტიტიტში. ამირანი და „ვასკა“ მეორე სართულზე, საპროფესოროში ავიდნენ. „ვასკამ“ თითქოს იცნო, თითქოს — ვერა.

— ეგ რომ ტროლეიბუსში ვნახო, შეიძლება ვიცნო, ნამდვილად ვიცნობ.

— ეგ ადვილი საქმეა, მიდი და საბურავებს დანა უჩხვლიტე, სახლში ფეხით ხომ არ წავა.

დიმიტრი ინსტიტუტიდან გვიან გამოვიდა და ნახა, რომ ოთხივე საბურავი დაშვებული იყო, კარები მიაჯახუნა და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ გაემართა.

ამირანი და „ვასკა“ გაჩერებაზე ელოდებოდნენ, ტროლეიბუსში აჰყვნენ. ტროლეიბუსში ბევრი ხალხი არ იყო, მაგრამ არც დასაჯდომი ადგილი აღმოჩნდა. ამირანმა „ვასკას“ გაუღიმა და თვალით ანიშნა. შემდეგ გაჩერებაზე ორივენი ჩამოვიდნენ. „ვასკას“ ხელში რამდენიმე ცალი ორმოცდაათ და ასმანეთიანები ეჭირა. ამირანმა ფული იმ ღამესვე ლაბორატორიაში მიიტანა. მეორე დღეს გაირკვა, რომ ფული ყალბი იყო, მაღალ დონეზე შესრულებული.

ამირანს გული უგრძნობდა, რომ საქმე წარმატებით დამთავრდებოდა, მაგრამ არ ეგონა თუ ასე სწრაფად მოხდებოდა. იმავე დღეს მინისტრს ყველაფერი მოახსენა.

— ამირან, შენ მთავარი საქმე გააკეთე, საქმე ჩვენ დაგვეწერება. ახლა ჩავრიოთ უშიშროების ხალხიც, რაც უნდა იყოს, ქალაქში ცნობილი პიროვნებაა, ეგენი შევიდნენ მაგის სახლში, კიდევ ერთხელ შეამოწმებენ ყველაფერს და მერე მაგათმა აიყვანონ.

— ბატონო შადიმან, არ გვინდა უშიშროება, მაგათზე ნაკლები ბიჭები გვყავს? მაგ კაცს ცოლ-შვილი დასასვენებლად ჰყავს გაგზავნილი, თვითონ მისაღები გამოცდებისათვის ემზადება. ისიც გავიგე, რომ მისაღებ გამოცდებზეც ჩალიჩობს. ძალიან გთხოვთ, ნება მომეცით ეგ ოპერაცია მთლიანად მე დავამთავრო.

— რადგან ასე ძალიან გსურს, თანახმა ვარ, ოღონდ სახლში ნუ აიყვანთ, რაიმე მიზეზი მოიგონე და ჩვენთან სამინისტროში მოიყვანე, ვთქვათ, ენის შესწავლის კურსების ხელმძღვანელად.

მეორე დღეს ამირანმა დიმიტრი საღალაშვილს პირადობის მოწმობა აჩვენა და უთხრა, „თქვენთან საქმე გვაქვსო“. ლექტორს ნერვიულობისაგან ყბა აუთამაშდა, გაფითრდა და ძლივს გასაგონად ჰკითხა:

— რაშია საქმე?

— საქმე შემდეგშია, სამინისტროში ჩამოყალიბდა გერმანული ენის შემსწავლელთა ჯგუფი. ჩვენი სურვილია სათანადო ანაზღაურებით ამ საქმეს თქვენ ჩაუდგეთ სათავეში.

დიმიტრიმ შვებით ამოისუნთქა:

— კი ბატონო, ეს ჩემთვის დიდი პატივია!

— მაშინ ნუ გადავდებთ, თუ დრო გაქვთ, წამობრძანდით ჩვენთან ერთად, დღეს სამინისტროში აქტივის თავშეყრა გვაქვს და თქვენს მომავალ მსმენელებსაც გაგაცნობთ.

— კი, წამოვიდოდი, მაგრამ გუშინ ვიღაც გარეწარმა მანქანის საბურავები დამიჭრა, ტროლეიბუსში ჯიბიდან ეს უკვე მეორეჯერ ფული ამომაცალეს. საოცარია პირდაპირ ამას ისე აკეთებენ რომ ვერაფერს ვიგებ!

ცოტა ხნის შემდეგ დიმიტრი ამირანის ოთახში იჯდა, შემოვიდა ზურაბი, მას „ვასკაც“ შემოჰყვა.

— ბატონო დიმიტრი, თქვენ მეცნიერი კაცი ბრძანდებით და თქვენთან მიკიბულ-მოკიბული საუბარი არ გამოდგება. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ყალბ ფულს ასაღებთ, ისიც ვიცით საიდან იღებთ, თქვენი ბინაც გავჩხრიკეთ. აი, ეს კაცია ის, ვინც ჩვენი დავალებით ჯიბიდან ფული ორჯერ ამოგაცალათ, ერთხელ სამი ათასი მანეთი, მეორედ — ათას სამას ორმოცდაათი. ექსპერტმა შეამოწმა, ყველა კუპიურა ყალბია. თუ აღიარებთ, შეიძლება რაღაც შეღავათები მოგცეთ, არც ჯგუფური დანაშაული არ აიკიდოთ, მხოლოდ ყალბი ფულის გასაღება დაგრჩებათ. ალბათ, ხუთ წლამდე მუხლს მოგიყენებენ, მერე თქვენ უნდა იჩალიჩოთ სასამართლოში თქვენს კოლექტივთან ერთად. ისე ვიცით, რომ აბიტურიენტების ინსტიტუტში მოწყობაზეც ჩალიჩობდით. მოკლედ, ბატონო დიმიტრი, თქვენდამი ჩვენი კეთილი განწყობა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად გულღია იქნებით.

— რა ვქნა არ ვიცი, ასე უცბად აქ მოსვლას არ მოველოდი.

— ჩვენ ვიცით, ბატონო დიმიტრი, სტუდენტი გოგონების უსაყვარლესი ლექტორი ხართ. შევეცდებით, ეს ამბავი პრესაში არ გახმაურდეს, თქვენ ხომ კარგად გესმით, თქვენი დაჭერა ჩვენთვის რა წარმატებაც არის. რამდენი ხანია ჩვენი ბიჭები დაგდევენ და

გითვალთვალებენ თქვენ და თქვენს მეგობრებს, რომლის გვარების დასახელება თქვენი ინტერესებიდან გამომდინარეობს. ჩვენ მოვერიდეთ ოფიციალურად თქვენთან ერთად თქვენი ბინის ჩხრეკვის ჩატარებას; თქვენი ნებაყოფლობითი მოსვლა და აღიარებაც შესაბამისად გაფორმდება.

— ჩემი ბიძაშვილები, ძმები იურა და კოკა ჯადურაშვილები, მხატვრები არიან. მამაძაღლობისკენ ბავშვობიდანვე ქონდათ მისწრაფება. უფროსი ბიძაშვილი სულ ტრაბახობდა „ის იურა მოკვდეს, თუ ღამეში ათი ცალი ორმოცდაათმანეთიანი არ დახატოს! ოღონდ კარგი ქაღალდი იყოს!“ მერე ასეთი აზრი დაიბადა, მე ვეხმარები აბიტურიენტების ინსტიტუტში მოწყობაში, ფულს წინასწარ ვიღებ. თუ მოხვდება, ხომ კარგი, თუ არა და უკან ყალბ ფულს ვუბრუნებდი. შემოსავლის ნახევარი ძმების იყო. მეგობრებისგან ნასესხებ ფულსაც ყალბი კუპიურებით ვაბრუნებდი. ერთი სიტყვით ხუთიოდე წელია სული მოვითქვი, ამ ხნის განმავლობაში არავის არაფერი შეუმჩნევია.

— „კოკა წყალზე ტყდება“, ადრე ალბათ ქაღალდის და ნამუშევრის ხარისხი კარგი იყო, შემდეგ ადამიანის ბუნება როგორია, რამდენჯერმე რომ გაუვა, წუნის გამოშვება დაიწო.

— როგორ იქნება ჩემი საქმე?!

— განცხადება უნდა დავწეროთ, რომ თქვენი ნებით გამოაცხადდით, ინანიებთ დანაშაულს, გვაჩვენებთ ყალბი ფული სად გქონდა შენახული. ერთ-ერთ ძმას დააბრალეთ, ვითომ მოკვლით დაგემუქრათ, თუ არ გაასაღებდით, როცა მიხვდით, რომ მილიციის ყურადრების ცენტრში მოხვედით საკუთარი სურვილით გამოცხადდით და გააცხადეთ. დაწერეთ რომ ბიძაშვილებთან შეხვედრა მოხდა სამი თვის და არა ხუთი წლის წინათ.

— არ შეიძლება, რომ ბიძაშვილი არ დავასახელო? არ დავწერო, რომ თქვენი ყურადღება ვიგრძენი?

— რაც შეიძლებოდა, მაქსიმალურად გაგიკეთეთ შეღავათი, მეტის გაკეთება აღარ არსებობს. ჩვენც ხომ ჩვენი სამუშაო გვაქვს, ჩვენმა უფროსებმა ხომ უნდა იცოდნენ, რაში გვიხდიან ფულს!

— ბიძაშვილის მიმართ უხერხულია, გამცემი და დამბეზღებელი გამოვდივარ.

— ერთ-ერთი უნდა გავწიროთ, სხვა გზა არ არის, დაჭერით კი ორივეს დავიჭერთ და ჩამოვიყვანთ. ძმებიდან ერთ-ერთმა უნდა აიღოს თავის თავზე, რომელიც წავა „სროკზე“. ახლა კი ბატონო დიმიტრი, თქვენთან ერთად წამოვლენ ჩვენი თანამშრომლები და აჩვენეთ ყველა სამალავი, სადაც ყალბი ფული გაქვთ შენახული! — დიმიტრი გაიყვანეს.

— ზურაბ, ხომ ხედავ, ეგ კაცი გამოუცდელია, ხელად დაფქვა ყველაფერი, ჩვენს „ბლეფზე“ წამოეგო. ისიც დავმალეთ რომ ეს კაცი ხუთი წელია ამ ყალბ ფულს უტრიალებს ცხვირწინ, რესპუბლიკის ორ ამხელა სამინისტროს. მილიციამ და უშიშროებამ ახლაღა გავახილეთ თვალი. გამოძიებასაც თავისი ეკონომიკა აქვს, დიმიტრი ციხეში ხუთი წელი იქნება თუ ათი, არაფრის მომტანი არ არის. ასე ამბობენ, გერმანული ენის კარგი სპეციალისტიაო და გარეთ ბავშვებს ენას მაინც ასწავლის. ძმებიდან კი, თუ ჭკუა საძებარი არ აქვთ, საქმეს ერთი აიღებს თავზე. ასე, რომ ჩვენ კარგი ხალხი გამოვალთ. ვარიანტი არ არის, მაგ ძმებს გასასაღებლად ფული სხვა ქალაქებშიც არ ჰქონდეთ გატანილი. ურთიერთნდობაში შესვლით შეიძლება კიდევ რამდენიმე ღლავიც დავიჭიროთ!

— რაც მელაპარაკე, მინისტრს შენ თვითონ მოახსენე. თუ ის თანახმა იქნება, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

საბოლოოდ, ფულის ხატვა უფროსმა ძმამ იურამ აიღო თავის თავზე და თხუთმეტი წელი მიუსაჯეს, დიმიტრის და უმცროს ძმას გასაღებისთვის ხუთ-ხუთი წელი აკმარეს.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ ამირანს ისევ აღელვებულმა ბესარიონ ჯაყელმა დაურეკა, „საქმე მაქვსო“ და კონსპირაციულ ბინაზე შეხვედრა დაუნიშნა.

— ამირან, მცხეთის ეკლესიაში წირავს ერთი მღვდელი, ყოფილი ქურდი, ციხეში სექსეტობდა, ახლა ეკლესიაში მღვდლად მოგვევლინა, ყოვლად გაფუჭებული კაცია, იარაღს ატარებს, მონაზვნებს, ვისზეც ხელი მიუწვდება არაფერს აკლებს; მრევლი ბლო-

მად ჰყავს, განსაკუთრებით ახალგაზრდები. მარხვის დროს, თუ ძალიან თხოვ და ფულს მისცემ, გოჭს შეულოცავს და გეტყვის „თევზია და შეიძლება ჭამოო“. ერთი სიტყვით ახალგაზრდობას რყვნის, ასეთ კაცს რა უნდა მღვდლად! – აღშფოთებას ვერ მალავდა ბესარიონი.

– რაც შენ მოყევი, ეგ საპატრიარქოს საქმეა, მე რა გიყო, ანონიმკების წერას ხომ არ დავიწყებ? მიდი პატრიარქთან და პირდაპირ უთხარი.

– შენ გგონია, არ იციან? ყველაფერიც იციან, მაგრამ ყველანი მოქრთამული ჰყავს!

– რა ვქნა, ეკლესია დამოუკიდებელია, სახელმწიფოს მათ საქმეში ჩარევის უფლება არა აქვს. გოჭს თევზად მოაჩვენებს თავის მრევლს, თუ ხაჭაპურს – მჭადად, ჩვენი საქმე არ არის. ამის თაობაზე საპატრიარქომ უნდა აღიმაღლოს ხმა. რომ იპარავდეს, მაგალითად, ხატებს, ეს სხვა საქმეა.

– მეტი რა გინდა: თაფლის სანთელში ნახევარზე მეტს პარაფინს ურევს, თაფლის სანთლის ფულს იღებს და მერე მორწმუნე ხალხს ეუბნება: „შედარებით ჩქარა იმიტომ იწვის თქვენი სანთლები, რაღაცა ცოდვა გაქვთ ჩადენილიო“.

– ბესარიონ, უფრო სერიოზული საქმე მოვნახოთ, ინფორმაციების ასე დიდოსტატს ეს საჩიჩქნი საქმე არ გეკადრება, ეკლესიას ნუ ჩავეჭრებით, თვითონ მიხედავენ!

– ამირან, ეგ კაცი სასაპატრიარქოს უნდა მოვაშოროთ, ნარკომანიც არის და ნარკოტიკების გამსაღებელიც. ის კი არა, მგონი ხატებსაც ყიდის! ეგ კაცი უნდა დავბორკოთ!

– იცი რა, მიდი დაუკვირდი, ნახე, ხატებს უცხოელებზე მართლა ყიდის თუ არა. თუ ჰო, მე თვითონ მივხედავ!

– მე მიცნობს, ჩემი ხშირად გამოჩენა არ გამოდგება, მოდი, ვინმე ჩვენი კაცი შევგზავნოთ, მაგალითად, დამლაგებლად ეკლესიაში ან მონაზვნობა ვაკისრებინოთ!

მეორე დღეს ამირანმა ბესარიონი და დეიდა მარო ერთმანეთს შეახვედრა. ამასობაში სამინისტროში ხმა გავრცელდა, ჩვენს მინისტრს პარტიის ქალაქკომის მდივნად ნიშნავენო და ცოტა ხანში მინ-

ისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ან რესპუბლიკის „ცეკას“ მდივნად მოგვევლინებაო.

ბესარიონთან საუბრიდან არ გასულა ერთი თვეც და ის ისევ შეხვედრას ითხოვდა. მაროც მასთან ერთად იყო.

— ამირან, დავადგინეთ, რომ ის მღვდელი ხატებს აგროვებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში ვითომ სარესტავრაციოდ, ზოგს მოსახლეობისაგან ყიდულობს, ზოგისგან სულ ისე იღებს და ხელწერილს უწერს — „რესტავრაციის შემდეგ დაგიბრუნებთო“.

— მერე, დანაშაული სად არის?

— მაგ არაკაცს ფრანგული ენა სცოდნია. ჩვენი მარო კი თავის დროზე უცხო ენების ინსტიტუტში მუშაობდა თურმე ფრანგული ენის მასწავლებლად.

— ეგ არ ვიცოდი, ქალბატონო მარო! — გაკვირვებით გადახედა მაროს ამირანმა.

— ჰოდა, ერთი კვირის წინათ ვიღაცა ფრანგს მოურიგდა ხატების ყიდვაზე. ხვალ ეკლესიაში ფულს მოუტანენ, ხატებს კი საქართველოს მიღწევათა გამოფენაზე წაიღებენ დიდუბეში. როგორც მე და მარომ გავარკვიეთ, იქ ფრანგული კულტურის მიღწევათა გამოფენა მიმდინარეობს, როგორ აპირებენ ამ ხატების გატანას, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, ხვალ რომ ასორმოცდაათი ათასი მანეთი უნდა მიუტანონ, კარგად არის ცნობილი.

— ძალიან კარგი, დღეს მინისტრს მოვახსენებ და ხვალ, ფულის გადაცემის დროს, თავზე დავადგებით.

— ამირან, ასე არ ივარგებს, ჯერ გადასცეს ფული, მერე გაყევით, ნახეთ, მანქანით სად მიიტანენ და მერე დაიჭირეთ!

— ბესარიონ, არა გრცხვენია, ჩვენ ეგ შეგვეშლება? — გაეღიმა ამირანს.ამირანმა იმავე დღეს შადიმანს მიღება სთხოვა:

— რა არის ახალი, ამირან, ვინ გვყავს დასაჭერი? — ღიმილით შეეგება შადიმანი.

— ერთი მღვდელი, ხატები უნდა მიყიდოს ფრანგებს ასორმოცდაათ ათას მანეთად. ხვალ უნდა გადასცენ ფული, ხოლო ხვალ იმასაც გავიგებთ ხატებს სად მოიტანენ და რა გზით აპირებენ მათ გატანას.

— ამხელა საქმეებს ხსნი და კაცს დასასჯელად ვერ იმეტებ.

— დასჯა, არ შველის საქმეს, სანამდის ეკონომიკა თავის სიტყვას არ იტყვის.

— კანონი — კანონია და ჩვენს ჭკუაზე არ უნდა „მოვაბათ დოქს ყური“!

— არის სასჯელი კანონის გაგებით, არის სასჯელი ჩვენი გაგებით, რომელშიც კაცობაც იგულისხმება და მე ამ უკანასკნელს მეტ პატივს ვცემ. რა ვქნა, ბატონო შადიმან, „ოქროს უბანში“ გაზრდილ კაცს კანონის და კაცობის გაგება ასე მასწავლეს.

— მე, ალბათ, მალე გადავალ სხვა სამუშაოზე, რესპუბლიკის სამძებრო სამმართველოს უფროსის ადგილი თავისუფლდება, სანამ აქ ვარ, გადაგიყვან, ოცნებას აგისრულებ.

მეორე დღეს, მღვდელი და დიაკვანი ეკლესიაში აიყვანეს მაშინ, როდესაც ფულის თვლით იყვნენ გართულები. ხოლო ხატები მიიტანეს დიდუბეში, გამოფენის ეზოში და სასწრაფოდ გადმოზიდეს იმ პავილიონთან, სადაც ფრანგების ექსპოზიცია იყო. მარო წინასწარ მოამზადეს დამლაგებლის ფორმაში შეჰყვა მტვირთავებს პავილიონში. ხატები კედელთან მიაყუდეს. ცოტა ხანში ვიღაც სხვა კაცთან ერთად ის ფრანგი მოვიდა, რომელმაც მღვდელს ფული გადასცა. ფრანგმა ყურადღებით დაათვალიერა ხატები და საფრანგეთიდან ჩამოტანილ ყუთში ჩააწყობინა მუშებს. მარომ ყუთის ნომერი დაიმახსოვრა, იმ უცხო კაცის ნათქვამი მოისმინა. ნათელი იყო, რომ ზეგ გამოფენის დამთავრებისთანავე, თავიანთ ექსპონატებთან ერთად ქართულ ხატებსაც გაიტანდნენ საფრანგეთში.

ამირანმა უშიშროება საქმის კურსში ჩააყენა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დატაცების განყოფილებაში მისი საქმიანობა ამით დაამთავრა.

* * *

ამირანმა ბინის კარებში წერილი ნახა, ელექტრომონტიორი სთხოვდა შაბათს სახლში ყოფილიყო, ელექტრომრიცხველის გამოცვლა იყო საჭირო.

დილის ათ საათზე მონტიორი მოვიდა. შემოუშვა, კაცი, რომელმაც თავი ელექტრომონტიორად გააცნო, ამირანს ეცნო, მაგრამ საიდან, ვერ გაიხსენა. ელექტომონტიორმა მრიცხველი გახსნა, დაათვალიერა და თავსახური ახლით შეცვალა. შემდეგ, ამირანის ნებართვით, სამზარეულოში შეამოწმა ელექტროგამანაწილებელი და მასაც ახალი თავსახური მოარგო. ხელოსანმა მუშაობა დაამთავრა, ამირანს რაღაც ქაღალდზე ხელი მოაწერინა და ის იყო, წასვლა დააპირა, რომ ამირანმა მასში შეიცნო სამინისტროს დაზვერვის განყოფილების აგენტი „ბაცილა". მოულოდნელად ამირანმა „ბაცილას" ზურგიდან ყელში ხელი ამოსდო და მოგუდვა დაუწყო, როცა მან წინააღმდეგობის გაწევას უკლო, ამირანმა ხელი შეუშვა და ტახტზე დააგდო.

— მე შენი დედა..., ახლავე თქვი, ვინ გამოგგზავნა! თორემ... — მან კარგად იცოდა, რომ ამის შემდეგ „ბაცილას" საქმე მოთავებული იყო. შტატიანი აგენტებიდან მოყვარულებში უნდა გადასულიყო, რადგან გამომჟღავნებული აგენტი აღარავის სჭირდება.

— ბატონო ამირან, — სული ძლივს მოითქვა შეშინებულმა „ბაცილამ", — ნუ დამღუპავ, ჩემთან რა გინდა, მე რაც მიბრძანეს, ის გავაკეთე, განა შენც იმას არ აკეთებ, რასაც გიბრძანებენ ზევიდან? — ძლივს ლუღლღებდა „ბაცილა".

— კი, მაგრამ მე რატომ დამიყენე მოსასმენი მოწყობილობა, მე შენი... არ ცხრებოდა ამირანი, ვის განყოფილებაში მუშაობ, ვისი დავალებით აკეთებ?!

— ხომ იცი სადაც ვმუშაობ და იმ განყოფილებას ვინ კურირებს, იმ კურატორის ბრძანებით კეთდება ეს ყველაფერი...

— როდის გიბრძანეს ამის გაკეთება?

— აგერ უკვე ერთი თვეა.

— ახლავე მოაშორე ეგ მიკროფონი.

— ამირან, არ გირჩევ, ახლა მაინც იცი, რა და სად აყენია. მივლინებაში გაგიშვებენ და მაშინ მაინც სხვას დაგიყენებენ. მაშინ ნაღდად არ გეცოდინება და შენთვის უარესია!

— თუ არ მასწავლი მაგ მიკროფონების გამორთვას, მილიციაში წაგიყვან.

— რა, მე თუ გამაფუჭებ, გგონია ჩემს შემცვლელს ვერ იპოვნიან?

— როგორ უნდა გამოვრთო ეგ მიკროფონები? — შედარებით მშვიდად სცადა ამირანმა ლაპარაკი.

— დენის გამანაწილებელს სახურავი მოხსენი და დაკუჭული ქაღალდი ჩატენე და შემდეგ ისევ ეგ თავსახური დაახურე, რაც შეეხება მრიცხველში დაყენებულ მიკროფონს, შენც დერეფანში ნუ იყვირებ, ხმამაღლა ნუ ილაპარაკებ. მე შენ პატივი გეცი, ოთახებში რომ არ დავაყენე მიკროფონები.

— კარგი, ჯანდაბას შენი თავი, ჩვენი ლაპარაკი უკვე მოისმინეს?

— ჯერ არა, ორი დღის შემდეგ შევამოწმებთ და ჩავრთავთ.

— კარგი, აბა წადი! დღევანდელი ჩვენი ლაპარაკი სხვამ არ უნდა გაიგოს!

— მე რა, ჩემი თავის მტერი ხომ არა ვარ?

— „ბაცილა“ წამოდგა, ტანსაცმელი გაისწორა და გარეთ ჩუმად გავიდა.

ამირანს გაახსენდა გივის ნათქვამი: „შადიმანს თავისი დაზვერვა ჰყავს, ის არავის ენდობაო“ და გული დასწყდა, რადგან ეს კაცი გაღმერთებული ჰყავდა და არ ეგონა, ამირანის წესიერებაში თუ ეჭვს შეიტანდა. ამირანი ბრძანებით რესპუბლიკის სამძებრო განყოფილების უფროსად გადაიყვანეს, რაც ფაქტიურად თბილისის სამმართველოს უფროსის ადგილს უდრიდა, მინისტრის მოპირდაპირე მხარეს მდებარე კაბინეტში დასვეს.

ამირანს მისცეს საქმე, სადაც 6 წლის გოგონას მშობლები ითხოვდნენ მოეძებნათ და მკაცრად დაესაჯათ გარეწარი, რომელმაც მათი გოგონა გააუპატიურა. ეს განსაკუთრებული, მძიმე შემთხვევა იყო. მთელი სამინისტრო ფეხზე დადგა. ამირანის პირველი ნათლობაც აქედან იწყებოდა სამძებრო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

ამირანმა გოგონას მშობლები დაკითხა, მაგრამ ხელმოსაკიდი ვერაფერი გაიგო. გოგონას არაფერი ახსოვდა, ტკივილების გარდა. ამირანს აღშფოთებული მეზობლების დაკითხვამაც არაფერი მისცა.

განსაკუთრებით აქტიურობდა ქურთი აზიზა. ამირანს და მის თანამშრომლებს გვერდიდან არ სცილდებოდა. ამირანმა და მისი თანამშრომლებმა მოიარეს სართულები. აზიზამ თავის სადარბაზოში მეგზურობა იკისრა და ამირანს შეუძღვა. მეცხრე სართულზე ერთ-ერთ ბინას მიადგნენ. დარეკა. კარი ღრმად მოხუცებულმა რუსმა ქალმა გაუღოთ. ამირანი გაეცნო.

— მე, ქალბატონო, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსი, ამირან ლომჯარია გახლავართ. მინდა რამდენიმე შეკითხვა მოგცეთ, თუ უფლებას მომცემთ.

ქალმა აზიზა შეამჩნია და გაღიზიანებულმა უპასუხა:

— კი ბატონო, მობრძანდით, მხოლოდ ერთი პირობით, ეგ კაცი გარეთ დარჩეს. მაგას ჩემს სახლში არ შემოვუშვებ.

მისულნი თავის ერთოთახიან ბინაში შეიპატიჟა. მათ ყეფით გამოეგებათ პატარა ძაღლი „პუდელი“.

— თუ შეიძლება, ჩამოვჯდები, ქალბატონო... თქვენი სახელი?

— მარუსია მქვია. 90 წელს გადავაბიჯე. თქვენს ორგანოში ორმოცდაათი წელი ვიმუშავე აგენტად, ხანდახან ახლაც მოდიან ჩემთან რჩევისათვის. ვიცი რაც გაინტერესებთ. ეგ იმ დამპალი ქურთი აზიზას საქმეა, თქვენ რომ დაგყვებათ კუდში, სხვა გადამთიელი აქ არ მოვიდოდა!

— ეტყობა ჩემმა მეგზურმა რაღაც გაწყენინათ.

— აი, ამ პუდელს ხომ უყურებთ, მამალი ძაღლი ჯერ არ ჰყავდა გაკარებული, მაგ პირუტყვმა გააუპატიურა!

— ვინ გააუპატიურა, ქალბატონო? — ვერ გაერკვა ამირანი.

— ვინ და ჩემი ძაღლი, ჩემი პუდელი.

ამირანი გაოგნდა.

— კი, მაგრამ თქვენი თვალით ნახეთ!

— ნახვა რათ უნდა, ძაღლი მაგას რომ დაინახავს, ისტერიკაში ვარდება, ყეფით სახლისკენ გამორბის, ჩემი პატარა — მოეფერა ქალი ძაღლს, თავზე ხელი ნაზად გადაუსვა — სიკვდილს ძლივს გადავარჩინე ისეთ დღეში იყო, ბატონო ამირან, ეგ შემეშლება სტაჟიან აგენტს? ეგ საქმე აზიზას გაკეთებულია! — დარწმუნებით თქვა ქალმა.

— ცოლ-შვილი თუ ჰყავს აზიზას?

— მშვენიერი რუსი ქალი ჰყავს, ორი გადასარევი შვილი, მაგათი ღირსია ეგ გარეწარი? მაგრამ ავადმყოფი რომ დაიბადება კაცი, იმას არაფერი ეშველება.

— თუ არ გჯერათ, გაჩხრიკეთ სახლი. სისხლი რომ არ ეცხოს ტანსაცმელზე შეუძლებელია.

— გმადლობთ ქალბატონო მარუსია, — ამირანმა რაცია ჩართო, — სასწრაფოდ ოპერატიული ჯგუფი მესამე სადარბაზოში მეცხრე სართულზე ამოვიდეს! — ამირანი მარუსიას დაემშვიდობა.

აზიზა გარეთ დახვდა.

— აქ ვინ ცხოვრობს, აზიზ?

— აქ, მე და ჩემი ოჯახი ვცხოვრობთ.

— აბა, გამაცანი შენი ოჯახი, სტუმრებს ხიმ მიგვიღებ! — აზიზამ ღილაკს თითი დააჭირა. კარი საკმაოდ სიმპათიურმა ქალმა გააღო. ამირანმა ჯგუფის წევრებს ხელით ანიშნა და ყველანი ოთხში შეცვივდნენ გაფითრებულ აზიზას ბორკილები დაადეს. იქაურობა კარგად დაათვალიერეს. საბაზანო ოთახში გასარეცხად გამზადებული ტანსაცმელი გადაქექეს. აზიზას ჯინსის შარვალზე სისხლის ლაქა აღმოაჩინეს, ლაქა აღმოაჩინეს პერანგზეც. ნივთმტკიცება ჩაალაგეს ცელოფანის პარკებში. აზიზა სამმართველოში გააქანეს. ამირანმა გადაწყვიტა „რქებით“ მისწოლოდა აზიზას, რომელიც ძალზე დაბნეული ჩანდა.

— ბავშვმა გიცნო, თქვა „ძია აზიზა იყო“, ქალბატონმა მარუსიამ დაგინახა, როგორ ჩამოხვედი სხვენიდან. ყველაფერი დაწვრილებით მოყევი თუ გინდა „ისეთ“ კამერაში არ შეგიშვა თავის „ქსივით“. იცი, იქ რა მოგელის!

— ამირან-უფროსო, იმ დღეს მთვრალი ვიყავი, მე თვითონ არ ვიცი, როგორ დამემართა, როცა დავთვრები, გონებას ვკარგავ, რაღაც უკუღმართი სექსის სურვილი მიჩნდება, იმ დროს ვინც მომხვდება ხელში, სულერთია.

— შეიძლება ძაღლიც იყოს, არა?

— მაგის გულისთვის ვერ მიტანს მარუსია, ჭირივით ვეჯავრები.

— რა შესაყვარებელი შენა ხარ, შენი.... მერე?

— ეგ ბავშვი რომ დავინახე, ჭკუა დავკარგე, სისხლი ამიდუღდა, უკნიდან წავავლე ხელი, პირზე მეორე ხელი ავაფარე და სხვენში ავიყვანე, ეგ სხვენი ჩემდა საუბედუროდ სულ ღიაა.

— ბიჭო, ეგ ბავშვი შენი კარის მეზობელის, ძმაკაცის შვილია, სულ დაკარგე კაცობა?

— რომ დავთვრები, უფროსო, ყველაფერი მავიწყდება, გონებას ვკარგავ, რას ვაკეთებ, არ ვიცი!

— ბიჭებო, — დაიძახა ამირანმა, — გაიყვანეთ ეს არაკაცი დაწ-ეროს ყველაფერი, რაც მითხრა, თუ ცოლთან დარეკვა ან ნახვა გთხოვათ, ნუ დაუშლით!

ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და თავი შემოყო შინაგან საქმეთა მინისტრის ახლადდანიშნულმა მოადგილემ ვაჟა სანებლიძემ, რომელიც ადრე სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსი იყო.

— გამარჯობათ, ბატონო ვაჟა!

— როგორ არის საქმე, კვალს ხომ არ მიაგენით? მესმის რომ ესეთი საქმე ასე უცბად არ იხსნება, მაგრამ, თუ სამ-ოთხ დღეში არ გავშიფრეთ, ტყავს გაგვაძრობენ.

— ბატონო ვაჟა, ეგ საქმე გავხსენით კიდეც და დამნაშავეც დავაპატიმრეთ, ჩვენებას იძლევა.

— მართლა?! — გაუკვირდა ვაჟას, ვინ გამოდგა ეგ ნაძირალა!?

— იმ ბავშვის მამის მეგობარი და კარის მეზობელი!

— კანონს რა ვუყუთ, თორემ ასეთი გარეწარი ადგილზევე უნდა მიახვრიტო, მინისტრს მოვახსენებ, ძალიან გაიხარებს!

ცოტა ხნის შემდეგ ვაჟამ ამირანს დაუძახა და მინისტრთან შევიდნენ. მინისტრი ახალი კაცი იყო, პაპუნა კელაშვილი. ადრე უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. მინისტრი მათ კარებში მიეგება:

— დიდი სადავიდარაბო საქმე მოგვაშორე, ამირან, მაგრამ შენ-თან ერთი თხოვნა მაქვს.

— გისმენთ, ბატონო პაპუნა!

— თუ გვყავს რესპუბლიკაში მაღალი კლასის ჯიბის ქურდები?

— ჯიბის ქურდების მეტი რა გვყავს, მთელი კატალოგი მაქვს მაგათი, — გაეცინა ამირანს.

— არა, შენს კატალოგში რომ ქურდი მოხვდება, ის ქურდი უშიშროების კომიტეტს არ გამოადგება.

— აბა სხვა ქურდები საიდან გამოვთხაროთ.

— ჩვენი პრესის მუშაკების შეცდომით, თუ ხელშეწყობით, ამერიკული „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტს ისეთი საბუთები მიაქვს, რომ ქვეყანაზე თავი მოგვეჭრება!

— მერე, რა უნდა, ეგ ვერ ამოაცალეს?!

— საქმე იმაშია, რომ სასტუმროში ღამეს არ ათევს, უცხოელი კორესპონდენტებისთვის აკრედიტებულ ოთახშია, სადაც ჩვენი თანამშრომლების გამოჩენა გამორიცხულია. ის კაცი ზეგ მიფრინავს ნიუ-იორკში, მოსკოვის გავლით. საჭიროა ძალზე მაღალი კლასის პროფესიონალი ქურდი.

— მე მყავს ასეთი, „ვასკა“ ჰქვია, გონებას ტყუილად ნუ ძაბავ, ვაჟა, ეგ შენს კატალოგში არ არის, — გაეცინა ამირანს.

— იმ ქურდს ვერ დავიბარებთ, შეხვედრას ვერ მოგვიწყობ?

— შეგახვედრებთ, ვეცდები, დღესვე მოვნახო და თქვენც დაელაპარაკეთ.

— ხვალ ჩემთან მოიყვანე კაბინეტში, უშიშროების მინისტრიც მოვა.

— ის აქ არ მოვა, სადაც ის იტყვის, იქ მივალთ.

— თანახმა ვარ!

* * *

მეორე დღეს „ვასკა“ და ამირანი პირისპირ ისხდნენ საიდუმლო ბინაში.

— „ვასკა“, შენთან თხოვნით გამომგზავნა ორმა მინისტრმა, თუ იკადრებ მათთან შეხვედრას.

— მაშაყირებ, ბატონო ამირან? — ალმაცერად შეხედა „ვასკამ“ ამირანს.

— რას ამბობ „ვასკა“, ჩვენს ძმობას გეფიცები!

— ვის უნდა ჩემთან შეხვედრა? — კიდევ კითხა „ვასკამ“.

— შინაგან საქმეთა მინისტრს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავჯდომარეს.

— ვა, მერე დავებარებინე და მივიდოდი!

— ეს მაშინ, როდესაც შენ გაქვს საქმე, ახლა იმათ აქვთ შენთან სათხოვარი და კეთილი ინებონ, თვითონ მობრძანდნენ!

— რახან ასე გინდა, მოვიდნენ, რაღაც სერიოზული სათხოვარი აქვთ თორემ აქ მოსვლას არ იკადრებდნენ!

— აბა დავრეკავ და ვნახოთ, რა გადაწყვიტეს! — ქალბატონო ნატაშა, ამირანი ვარ ლომჯარია, თუ მინისტრი თავის კაბინეტში ბრძანდება, გთხოვ შემაერთო!

— ახლავე ბატონო ამირან, თქვენს ზარს უცდის ამდენი ხანია!

— ბატონო პაპუნა, ჩვენ ადგილზე ვართ!

— ორმოც წუთში მანდ ვიქნებით!

— „ვასკა", მინისტრებთან უნდა გაქეიფო! დელიკატესები გუშინ მოვახლაფორთე, შენ პური, ლიმონათი და ბორჯომი ამოიტანე, მე სუფრას გავაწყობ..., არა, მოიცადე, სადმე არ დამეკარგო, თვითონ ჩავალ და ამოვიტან, შეიძლება რამეც წავუმატო.

სუფრა გაშალეს და ზარის ხმაც გაიმა. ოთახში ოთხი კაცი შემოვიდა: პაპუნა კელაშვილი. ვაჟა სანებლიძე, ალექსანდრე ბინაური და კოტე სახვაძე.

— ამირან რაშია საქმე, შენ აქ ღვინის სასმელად მოგვიყვანე თუ საქმის საკეთებლად?! — გაეცინა პაპუნას.

— ეს „ვასკას" მარიფათია, მან ასე გადაწყვიტა თქვენთან შეხვედრა.

ყველანი სუფრას შემოუსხდნენ.

— ჩვენ, ჩემო „ვასკა", ერთი სათხოვარი გვაქვს, ალბათ ამირანმა უკვე გაგაცნოთ.

— ამირანს ჩემთვის არაფერი უთქვამს, მითხრა, რომ თქვენ ჩემი ნახვა გინდათ, მე მისი გულისთვის ყველაფრის გამკეთებელი ვარ.

— ჩემო „ვასკა", საქმე შემდეგშია, ხვალ ერთი კაცი მიდის ამერიკაში, უნდა გაჰყვე და გულის ჯიბიდან ქაღალდების დასტა უნდა ამოაცალო, მას ოთხი უცხოელი ჟურნალისტი იცავს. რას იტყვი, ეს სახელმწიფო დავალებაა — უთხრა კოტე სახვაძემ.

— საბუთების ამოცლა პრობლემა არ არის, არც გამყოლი ხალხი შემიშლის ხელს, მაგარმ საქმე ის არის, მომენტი შეირჩეს და საბუთებიც გულის ჯიბეში ნაღდად ჰქონდეს!

— ჩვენი აგენტები დღე-ღამე ყარაულობენ და იციან, რომ საბუთებს სხვას არავის ანდობს, პიჯაკიანად იძინებს, ისიც იციან, რომ გულის ჯიბე „ზმეიკით“ აქვს შეკრული და თან ძაფით ამოკერილი.

— კი მაგრამ თბილისიდან მოსკოვამდე მაგ საბუთების ამოცლა რომ არ მოხერხდეს?

— ჩვენ ამაზეც ვიფიქრეთ, — ჩაერია საუბარში ალექსანდრე — პასპორტს და ბილეთს ნიუ-იორკამდე გაგიმზადებთ, ამავე თვითმფრინავით დაბრუნდებით უკან, რადგან ვიზის გაკეთება ასე მცირე დროში შეუძლებელია.

— გარჯისთვის სამი ათას მანეთს მიიღებ — დაუმატა კოტე სახვაძემ.

— ფული არ მაინტერესებს, მინდა თქვენი ნდობა გავამართლო. მიხარია, რომ ჩვენი პროფესიაც დაფასდა მთავრობის მხრიდან — ყველას გულიანად გაეცინა.

ამირანი ამ დღეს ბედნიერი კაცი იყო, მასთან სტუმრად და სათხოვნელად რესპუბლიკის ორი ძალოვანი სტრუქტურის მინისტრები იყვნენ და მისგან დახმარებას ელოდნენ.

მეორე დღეს „ვასკას“, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ბიჭებთან ერთად, ამირანიც აცილებდა. უცებ, თვითმფრინავის ტრაპზე ჩოჩქოლი ატყდა, მილიციას გამოუძახეს, უცხოელი ჟურნალისტი თავის კოლეგებს სამართებლით გადაჭრილ პიჯაკს უჩვენებდა და ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ხელს თავის კოლეგა ფრანგ ჟურნალისტს ადებდა. გაფრენა შეაჩერეს, ყველას სთხოვეს უკანვე შესულიყვნენ აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში. ჩხრეკვაში ამირანიც იღებდა მონაწილეობას, მას მოუწია „ვასკას“ გაჩხრეკა, რომელმაც მოპარული საბუთები მანამდე ისე ჩაუდო გულის ჯიბეში, რომ ამირანმა ვერაფერი გაიგო. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტმა რატომღაც ახლა „ვასკაზე“ მიიტანა ეჭვი. ეს რომ „ვასკას“ მოუთარგმნეს, მან პიჯაკი გაიძრო და კორესპონდენტს მიაწოდა. მოკლედ ყველანი ისევ თვითმფრინავში ავიდნენ, „ვასკამ“ კი მოსკოვში გაფრენა გადაიფიქრა.

უშიშროების თანამშრომლებმა მოპარული საბუთები მოსთხოვეს. ვასკას გაეცინა: — ეგ საბუთები ორი საათია ამირანს უდევს გულის ჯიბეში.

ამირანს გაოცებისაგან თვალები შუბლზე აუვიდა. ხელი ჩაიყო უბეში და იქიდან საბუთები ამოაძვრინა.

ყველანი გულიანად ახარხარდნენ და ტაში დაუკრეს.

— მაგარი ხარ, „ვასკა“, მაგას არ უნდა ლაპარაკი. კი, მაგრამ რა გეჩქარებოდა, მოსკოვში ამოგეცლია ან ამერიკაში გესეირნა, ფული არ გქონდა თუ რა, — გაეხუმრა ამირანი.

— ვა, კაცო, ჯერ — ერთი, მომენტი ხელიდან როგორ გამეშვა და მეორეც, ხვალ ჩემს ძმაკაცს ქორწილი აქვს. ამერიკაში წასასვლელად მეცალა ახლა მე!?

— რაციით თავმჯდომარეს ველაპარაკე, ძალიან გახარებულია — უთხრა ამირანმა „ვასკას“. — სამი ათასი მანეთი შეგიძლია უკვე მიიღო შემნახველ სალაროში. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო გჩუქნის ათას მანეთს. ამას როდისმე იფიქრებდი, „ვასკა“?

— ცხოვრება ჩემო ამირან, საბოლოოდ პატარ-პატარა სიამოვნებების და დიდი უსიამოვნებების კრებულია, რომელსაც იმ ქვეყნად გადაბარგება ჰქვია და სანამ ამ ქვეყნად ვართ, როგორც ირკვევა, ყველაფერი შესაძლებელია.

— „ვასკა“. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი სიტყვიერ მადლობას გიცხადებთ, სამწუხაროდ შენი დაჯილდოების უფლება ჩვენ არა გვაქვს.

— ეგ არაფერი, ბატონო კოტე, შემდეგშიც თუ გექნათ მაგდაგვარი საქმე, ძალიან გთხოვთ ნუ მომერიდებით! აბა, კარგად იყავით, ამირან მაღარიჩი შენზეა იცოდე!

— ვა, ფულს შენ იღებ და მაღარიჩს მე მაწერ, რომელ ქურდულ კანონში წერია ეს?

— კარგი, კანონს არ დავარღვევ, მე ვკისრულობ!

ორივეს გაეცინა. ამირანი ძალიან გახარებული იყო საქმის ასე მოულოდნელად გამოსვლით და სასიკეთოდ დამთავრებით.

* * *

ვაჟა სანებლიძე ამირანს დიდის ამბით ესალმებოდა, მაგრამ ძველებურ სითბოს აღარ აფრქვევდა. ვაჟა ამირანის სახით აშკარა კონკურენტს ხედავდა. ამირანიც გრძნობდა რომ საკუთარი ძალების გაფურჩქვნის დრო დამდგარიყო. აგენტურა საკმარისზე მეტი ჰყავდა და თუ მოინდომებდა უამრავ წვრილ-წვრილ საქმეებსაც გახსნიდა.

ერთ დღეს ვაჟამ დაიბარა კაბინეტში. მასთან ერთი ქალი დახვდა.

— ამირან-ბატონო, ეს ქალბატონი მოსკოველი ქართველია, ელეონორა ყიამურალაშვილი, გაიცანი! — ამირანმა ქალს ზრდილობიანად დაუკრა თავი.

— თავის გოგონასთან ერთად ერთი თვის წინ ჩამობრძანდა მოსკოვიდან მცხეთის რაიონში, მშობლების სახლში. აგერ უკვე მეოცე დღეა გოგონა გაუჩინარდა. ერთი კვირის წინათ პატარა ბიჭის ხელით, წერილი გამოუგზავნეს, სადაც აფრთხილებდნენ, რომ თუ ასი ათას მანეთს არ მიიტანდა, გოგონას მოკლავდნენ.

— რამდენი წლის არის ქალბატონო თქვენი ქალიშვილი?

— ჩემი ნინუცა უკვე ოცდაორი წლისაა, ენაცვალოს დედა მართლა არ მომიკლან ეს სიმწრით გაზრდილი ბავშვი! — წაიტირა ქალმა.

— ამირან, გაესაუბრე ქალბატონს შენს კაბინეტში, ესეც ქალბატონისადმი მიწერილი წერილია, მინისტრის თხოვნაა ზედმიწევნით ყურადღებით მოეკიდოთ ამ საქმეს. გუშინ მოსკოვიდანაც დარეკეს, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროდან და დახმარება გვთხოვეს.

— წამობრძანდით, ქალბატონო! — ამირანმა ელეონორა თავის კაბინეტში შეიყვანა.

— ქალბატონო ელიონორა, თუ გინდათ თქვენი ქალიშვილი დროზე მოვნახოთ, ალალად უნდა უპასუხოთ ჩემს მიერ დასმულ კითხვებს.

— კი ბატონო, რაც გინდათ მკითხეთ, ყველაფერზე გულწრფელად გიპასუხებთ.

— რამდენჯერ ხართ ოფიციალურად გათხოვილი?

— სამჯერ.

— რამდენი შვილი გყავთ?

— ერთი.

— რომელი ქორწინებიდან გყავთ თქვენი გოგონა?

— პირველიდან.

— რამდენი წლით იყო უფროსი პირველი ქმარი თქვენზე?

— ოცდაორით.

— რითი გარდაიცვალა?

— გულის შეტევით.

— ღალატობდით?

— როგორ გეკადრებათ!

— კიდევ ერთხელ გიმეორებთ, თქვენი პირველი ქმრის ხელში, რომელიმე სხვა მამაკაცი ხომ არ გეტრფოდათ?

— ასეთი, იყო ერთი კაცი, რომელსაც მეორედ გავყევი ცოლად.

— მეორე ქმარს დაშორდით თუ ისიც. . .

— არა, დავშორდი.

— რატომ?

— უსაქმური გამოდგა, სულ ჩემი პირველი ქმრის დატოვებულ ფულზე ეჭირა თვალი!

— მესამე, მესამე ქმარი როგორი გყავთ? ის მაინც თუ გამოდგა მუყაითი?

— ისიც ისე რა, ხელფასის კაცია, პატიოსანი. ჩემს ფულს თუ ვხარჯავ, მაშინ მომჭირნეობაზე არ მელაპარაკება!

— რა განათლება აქვს თქვენს ქალიშვილს?

— საშუალო.

— სად მუშაობს?

— არსად.

— სადმე თუ უმუშავია?

— ერთი ორჯერ სცადა, მაგრამ არ მოეწონა სამსახური.

— გათხოვილია?

— არა.

— ბიჭებში თუ დადის?

— ერთი ბიჭი უყვარდა, იმან შეაცდინა, შემდეგ, რამდენიმე ბიჭთან სცადა ბედი, მაგრამ არ გაუმართლა.

— ალკოჰოლს თუ ეტანება?

— როგორც ყველა მაგის ასაკის გოგონა, მოსკოვში ქალები შედარებით უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს.

— ქალბატონო ელეონორა, თქვენ საკმაოდ მომხიბლავი ქალი ბრძანდებით, ვერ დავიჯერებ, თაყვანისმცემლები არ გყავდეთ!

— მაგით რა გინდათ თქვათ?

— მოკლედ, სცოდავთ თუ არა დღეს?

— როგორ გითხრათ, მთლად ანგელოზი ვარ-მეთქი, არ იქნება მართალი, თუ მამაკაცი მომეწონება და მასაც მოვეწონები, შეიძლება შევცდე კიდეც.

— დიდი მადლობელი ვარ, ქალბატონო, თქვენი გულწრფელობისათვის.

— აბა, რა გაარკვიეთ ამ პასუხებიდან? საქმეზე ჯერ არაფერი არ გიკითხავთ!

— ძალიან ბევრი, თქვენი ქალიშვილი ცოცხალია, ალბათ, მალე მეორე წერილსაც მიიღებთ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ამ ერთი კვირის განმავლობაში მე თქვენი ფაორიტი ვიქნები.

— კი ბატონო! მე არ ვარ წინააღმდეგი, თუ თქვენ ფაორიტობა უფრო მეტ მოთხოვნებში არ გადაიზრდება!

— პირობას გაძლევთ, თქვენ რომ მთხოვოთ მაშინაც. . .

— ნუთუ ასეთი მახინჯი ვარ თქვენთვის? — ტუჩი აუბზუა ქალმა.

— მე სამსახურებრივი საქმიანობი დროს არც ვეწევი, არც ვსვამ და ქალებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! — გაეღიმა ამირანს.

— თქვენ მილიციის მუშაკი კი არა წმინდანი ყოფილხართ — ღიმილითვე უპასუხა ქალმა.

— რას ვიზმთ, ქალბატონო ელეონორა, ხანდახან ცხოვრება გვაიძულებს წმინდანები ვიყოთ. ახლა გადავიდეთ ჩვენი საუბრის მეორე ეტაპზე. სად ცხოვრობენ თქვენი მშობლები?

— საგურამოში.

— თქვენი გოგონა თუ იცნობს იქურ მეზობლებს, თუ ჰყავს სოფელში ნაცნობები?

— ყოველ ზაფხულს აქ ჩამომყავდა, რა თქმა უნდა, ყველას იცნობს.

— ხომ არ ჰყავს ან ჰყავდა აქ შეყვარებული?

— კი, ერთი ბიჭი უყვარდა, ნიკო, მაგრამ რატომღაც ციხეში მოხვდა, მაგრამ ახლა გარეთ არის.

— ხომ არ განუახლებიათ ურთიერთობა?

— არა მგონია, მაგრამ ერთმანეთს თბილად ესალმებიან.

— კიდევ ვინმესთან ხომ არ ამხანაგობს?

— რამდენჯერმე თვალი მოვკარი თამაზისთან, სოფელში ხმა დადის ნარკომანიაო, მაგრამ არა მგონია, სასიყვარულოდ გაიკაროს!

— ერთი სიტყვით, ხვალიდან გადმოვდივარ საცხოვრებლად დედათქვენის სახლში, ყველას გააცნობთ ჩემს თავს როგორც მოსკოვის ნომერ მეორე თამბაქოს ქარხნის დირექტორს, გასაგებია?

ამირანი თამბაქოს ქარხნის ხელმძღვანელ პოსტებს ვერ ელეოდა, რადგან ამ ქარხნის „ხელმძღვანელობა“ კარგად ჰქონდა დაცდილი.

— მერე დედაჩემი რას იტყვის, ასეთ ახლაგაზრდა და ლამაზ ბიჭს რომ მივიყვან, ჩვენს შორის სულ ცოტა 15 წელი მაინც იქნება სხვაობა.

— ქალბატონო ელეონორა, თქვენი ოჯახისთვის ასაკის სხვაობით მამაკაცის ამორჩევა პირველი ხომ არ არის?

— ჩემი პირველი ქმარი ჩემზე უფროსი იყო 22 წლით, მეორე ხუთი წლით, მესამე, ჩემი ტოლია, მეოთხე ახლა 15 წლით არის უმცროსი, პერსპექტიული ქალი ვარ, რას მერჩით? — გაეცინა ელეონორას.

— ჩემთან ერთად იქნება ჩემი პირადი მძღოლიც, ისიც დედაშენთან უნდა მოვათავსოთ სახლში. ასე, რომ ხვალ ათი საათისთვის მოგადგებით სახლში და სიხარული, ქათინაურები და ვნებიანი კოცნა არ მომაკლოთ!

მართლაც, ელეონორამ ამირანს რამდენჯერმე შემთხვევით ტუჩები შეაგება. პურმარილი გადაიხადა, მეზობლებიც დაპატიჟა. მათ შორის იყო გოგონას საგურამოელი შეყვარებული ვაჟი.

— ჩვენმა საერთო მეგობარმა სასიხარულო ამბავი ჩამომიტანა, ჩემი გოგონა გაგრაში ყოფილა დასასვენებლად. მის დას უნახავს.

მეორე დღეს, თბილისიდან საგურამოში მიმავალ ამირანს გზაზე „ვოლგა“ გადაუდგა. ამირანის მანქანას უკან ტაქსი მიჰყვებოდა, რომელსაც მილიციის თანამშრომელი მართავდა. ამირანმა ხელით ანიშნა ტაქსს გზა გაეგრძელებუნა. „ვოლგიდან“ ორი ახლგაზრდა გადმოვიდა და დაუკითხავად ჩაუსხდნენ ამირანს უკანა სავარძელზე.

— ბიძაჩემო, უკან არ მოიხედო. ეგ გოგონა ჩვენ გვყავს მოტაცებული და გადამალული. გუშინ სუფრაზე ტყუილი რომ დაახეთქე, ის გოგო ჩემმა დამ ნახა, გაგრაში ისვენებსო, რატომ ატყუებთ ქალბატონ ელეონორას? თუ მაგ ქალის ალერსი გინდათ და მაგ ქალზე გადარეული ხართ, ცოტა ფულის შოვნაში დაეხმარეთ იმ გოგოს გამოსასყიდად.

— რამდენია საჭირო?

— ასი ათასი.

— მე მითხრეს ორმოცდაათი, თუ ჩემს ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოუმატეთ, შემიძლია ხვალვე დავემშვიდობო ელეონორას, მაგრამ ვიცი, რომ მაგ ქალს მაგდენი ფული აქ არა აქვს.

— წავიდეს და ჩამოიტანოს.

— ეგ მაგის საქმეა.

— თქვენ რას ურჩევთ, როგორ უნდა გამოისყიდოს თავისი გოგო?

— მე თუ მკითხავთ, ეგ გოგო მაგდენი არ ღირს, მე ვურჩევდი, რომ ერთი ოცი ათასი გადაეხადა, თანაც მილიციაში არ გააცხადოს და ასე უმტკივნეულოდ მოაგვაროს ეს საქმე.

— ოცი ათასი ცოტაა, მაგ საქმეში ხუთი კაცი გავდივართ!

— მაშინ ოცდახუთი ათასი იყოს. თითოს ხუთ-ხუთი ათასი გეყოფათ!

— შეფი ათი ათასზე ნაკლებს არ დათანხმება.

— ჯანდაბას იმისი თავი ოცდაათი ათასი იყოს და ნაღდი.

— ფულს როდის მოიტანთ, — ჩაერთო ლაპარაკში მეორე ახალგაზრდა.

— ნახევარს, როდესაც ცოცხალს და საღ-სალამათს დაგვანახვებთ, მეორე ნახევარს მეორე დღეს.

— გაცვლა როგორ მოხდება?!

— ჩვეულებრივად, თქვენ გოგოს გამოუშვებთ მანქანიდან, ჩვენი მანქანიდან კაცი გამოვა, ფულს დაგანახებთ და აიღებთ, ჩვენ კი გოგოს წამოვიყვანთ. კი მაგრამ კინოში მაინც არ გინახავთ გაცვლა როგორ ხდება?

— კინო კინოა: ჩვენ ასე მოვიქცევით, გოგოს გაჩვენებთ, დაელაპარაკეთ, მაგრამ ისევ ჩვენთან წამოვა, როცა მეორე ნახევარსაც მოიტანთ, ის გოგოც თქვენი იყოს, მოვიდა?

— მოვიდა, ე.ი. ხვალ მოგვაქვს თხუთმეტი ათასი, ოღონდ როგორც შევთანხმდით, გოგონას მანქანიდან გადმოიყვანთ და დავინახავთ რომ ჯანმრთელაა, მხოლოდ მაშინ მიიღებთ ფულს!

— „კაროჩე“, ხვალ 12 საათისთვის გელოდებით საგურამოს ნაკრძალის შესასვლელში! როგორც მოვრიგდით ბიძაჩემო, ისე იქნება ყველაფერი, რა!

მეორე დღეს ოპერატიული ჯგუფი დილიდანვე ჩასაფრდა საგურამოს ნაკრძალში, რამდენიმე მილიციის თანამშრომლები ტაქსისტების მძღოლების ფორმაში გამოწყობილები ტაქსებით წინ და უკან დაჰაქროდნენ ნაკრძალამდე და ტურისტებს დაატარებდნენ, რა თქმა უნდა ტურისტებს შორისაც იყვნენ ამირანის თანამშრომლებიც.

მეორე დღეს, პირობისამებრ, მომტაცებლები 12 საათისთვის ტაქსით მოვიდნენ. მანქანის უკანა კარი გაიღო და იქიდან საღსალამათი გადმოვიდა ელეონორას ქალიშვილი, რომელსაც მოწყენილობა არ ეტყობოდა. ამირანმა ფულიანი „დიპლომატი“ მძღოლს გაატანა. „დიპლომატში“ ჩამონტაჟებულიიყო ელექტროსიგნალი. მძღოლი მივიდა მანქანასთან, სადაც მომტაცებლების ტაქსის მძღოლში გადაცმული მილიციის თანამშრომელი შეიცნო. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ „დიპლომატი“ გააღო, ფული ჯიბეში ჩაიწყო და ჩანთა მძღოლს დაუბრუნა. შემდეგ ტაქსის მძღოლს უთხრა „წავიდეთო“ და გეზი საგურამოს ტყისკენ აიღეს. ამირანმა და მისმა ყველა თანამშრომელმა დაინახა, რომ ელეონორას გოგონა, ნინუცა, ყოველგვარი დაძალების გარეშე ჩახტა მანქანაში.

ამირანი მანქანით გაჰყვა მათ. ცოტა ხანში უკან მომავალი ტაქსს გადაეყარა:

— სად მიიყვანე?

— აქედან ორი კილომეტრი იქნება, შემდეგ ტყეში გზის მარჯვენა მხარეს გადავიდნენ, მე ფული გადამიხადეს და გამომიშვეს.

— ახლო-მახლო რაიმე შენობისთვის ხომ არ მოგიკრავს თვალი?

— არა, არაფერი დამინახავს.

— აბა, ახლა გაგვიძეხი წინ და გვაჩვენე ის ადგილი, სადაც გადმოვიდნენ.

ამირანმა მეტყევის ფორმა ჩაიცვა, ულვაშები მიიწება, თავზე ქუდი დაიხურა, სათვალე მოირგო, ზურგზე ორლულიანი თოფი გადაიკიდა და ტყეში ბილიკს გაუყვა. ოციოდე წუთის შემდეგ ფაცხა დაინახა; ფაცხაში არავინ ჩანდა, ცოტა წინ წაიწია და მდელოზე ორი კარავი დაინახა. იქვე სახელადხელო სუფრაც გაეშალათ, სადაც ორი გოგონა და სამი ვაჟი მხიარულობდნენ. ერთ-ერთ მათგანში ამირანმა ნინუცა შეიცნო.

— გამარჯობათ, შვილებო! — მიესალმა ამირანი, — ფრთხილად იყავით, ცეცხლი არ გააჩინოთ.

— ნუ გეშინია ბიძაჩემო, მოდი ერთი ჭიქა დაგვილიე! — შამპანურის სავსე ჭიქა გაუწოდა ნინუცამ.

— რა დაგილოცოთ, შვილო, რას ზეიმობთ!

— პირველ გამარჯვებას ცხოვრებაში, გაგვიმართლა და მაგარი ბანდა შევქმენით! — იცინოდა ნუნუცა.

— ალბათ კოლექტივი, თქვენს კოლქტივს გაუმარჯოს, თქვენს შრომას და საქმიანობას!

— შენ რა, ბიძაჩემო, არ გესმის, მაგარი ბანდა შევქმენით-მეთქი ჩვენი ბანდის სადღეგრძელო უნდა დალიო! — არ ცხრებოდა ზედმეტად აღგზნებული ნინუცა.

— თქვენს კოლექტივს გაუმარჯოს. . .

— წადი შენი დედაც..., შე ახვარო, რას დაგიჩემებია კოლექტივი, კოლექტივი — წამოენთო ნუნუცა. აქ უკვე ბიჭებიც წამოიქაჩნენ.

— ჩვენი უფროსის წყენინება არ გამოვა ბიძაჩემო!

ამირანს გაუკვირდა, ასე მალე დათრობა როგორ მოასწრესო, ეტყობა, ადრე ჰქონდათ დალეული, ახლა კიდევ დაუმატეს და სასმელმა თავისი საქმე გააკეთა.

— კარგით, კარგით, შვილებო, მე წავედი და ამირანი ფაცხისაკენ გაემართა, რაცია ამოიღო და ხუთ წუთში ყველა ეჭვმიტანილი მიწაზე ეყარა დაბორკილი. ნინუცას საგურამოელმა შეყვარებულმა და მოლაპარაკების ინიციატორმა ნიკომ, მოულოდნელობისაგან თუ შიშაგან შარვალში ჩაისვარა რის გამოც მისი მანქანით წაყვანა არ მოხერხდა. ის ჯერ მდინარეში აბანავეს, ტიტველი სახლში მიიყვანეს, ტანსაცმელი ჩააცვეს და ისე მიაბრძანეს მილიციაში. ამირანის ბიჭებმა მაგრად იცინეს! რას არ ნახავს კაცი ცხოვრებაში.

— ამირან, როგორ მიხვდი, რომ ეგ გოგო მკვდარი არ იქნებოდა და რომ ამ საქმეში მისი ხელიც ერია? — ეკითხებოდა მერე ამირანს ვაჟა სანებლიძე.

— მაგას რა მიხვედრა უნდოდა, დედას შევხედე, გავესაუბრე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ იმ ქალთა კატეგორიას განეკუთვნება, ფულის გულისთვის ყველაფერზე რომ ხელს აწერენ, ქალიშვილიც წესით უკეთესი არ უნდა ჰყოლოდა. ეჭვი უფრო გამიძლიერდა, როდესაც გავიგე, შვილი და ფული პირველი ქმრის დანატოვარი რომ იყო, ხოლო მომდევნო ქმრები გამომძალველები. ბუნებრივია, ამ გარემოში გაზრდილ გოგოსაც გაუჩნდა მამის კუთვნილი ქონების გამოძალვის სურვილი. უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, გადაწყვიტა დედამისისთვის ფული ამ გზით დაეტყუა. ჩვენ რომ ეგენი დროზე არ დაგვეჭირა, სხვა ბევრ სისულელესაც ჩაიდენდნენ.

* * *

ამირანს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა საკომისიო მაღაზიის დირექტორმა, რომელიც თავის დროზე გივი ხაბაზმა გააცნო, თუმცა არ უთქვამს რომ მასთან თანამშრომლობდა; ერთხელ ამირანმა იგი ნაქურდალი ნივთების მიღებაში გამოიჭირა; ფორმალურად თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, ნივთები ჩაიბარა, საბუთები წესიერად იყო გაფორმებული, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ნივთები ჩაიბარა

სხვისი პასპორტით, ამას კი დამტკიცება უნდოდა. ამირანი შეუდგა გამოძიებას და დაუმტკიცა კიდეც, მაგრამ საქმე არ გაახმაურა, სამაგიეროდ, საკომისიოს დირექტორი გადმოიბირა და მისი აგენტი გახდა. იგი ამირანთან იშვიათად რეკავდა.

ამირანი აბრამ გონიაშვილს აგენტებისთვის განკუთვნილ ბინაში შეხვდა.

— ამირან, ჩემთან კაცი გამოგზავნეს მოსკოვიდან, სპორტსმენი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, ვალერი ბრიუცინი; მას ვინმე ემა მიხაილოვნა დაყვება თან, დიდი გაქექილი ქალი ჩანს. ჯერ ერთი ანტიკვარული ნივთი მოიტანეს, გავუყიდე. მერე მეორე, მესამე და ა.შ. თითო ნივთი ათი-თხუთმეტ ათასზე ნაკლები არ ღირს. შენ იცი, მაგ ნივთების მყიდველი ხალხი მყავს, მაგრამ ორი დღის წინათ ისეთი ძვირფასი ნივთები მომიტანეს, რომ მართალი გითხრა, შემეშინდა მისი მიღება და მაღაზიაში გამოფენა.

— რა იყო ასეთი?

— რა და მწყერის კვერცხისხელა ბრილიანტი, რომელიც ასე არ იყიდება, ძვირფასი თვლებით მოჭედილი ხატები. ეგენი უკვე გავაცანი ერთ მდიდარ კაცს, შენ მას იცნობ, ისიც იცი, ვისი ცოლის ძმაც არის. ნაღდი მყიდველია.

— ეს რომელი, დამზადების სამმართველოს უფროსი?

— შენ ჩემზე კარგად გცოდნია, საქმე ისაა რომ ნივთები საიდან მოსდით, ვერ გავიგე!

— შენ ისე ნუ იზამ, რომ აქეთ ჩვენ დაგვიჭირონ!

— ამირან, რაღაც მყრალი სუნი ასდის ამ საქმეს, ერთი-ორი ნივთი რომ ჩაებარებინათ, ამხელა სპორტსმენია ბოლოსდაბოლოს, ეჭვი არ შემეპარებოდა, მაგრამ ისეთი უნიკალური ნივთიებია, რომ შეფასებაც არ შემიძლია, უბრალოდ, არ ვიცი რა ღირს!

— სად ცხოვრობენ, თუ იცი?

— სასტუმრო საქართველოში, ტელეფონის ნომერიც მაქვს. მე მგონი, ეგ ნივთები იმ ქალისაა და ბრიუცინსაა ამოფარებული.

— დიდი მადლობა, ჩემო აბრამ, დავიწყებთ მაგ ხალხის დამუშავებას, თუ რამე გამოვიდა სახეირო, შენც შეიტყობ. წილში ზიხარ.

ამირანს ამ შეხვედრის შესახებ არავისთვის უთქვამს, ოღონდ მეორე დღესვე დაიწყო ამ წყვილის დამუშავება. გაირკვა, რომ სამი დღის შემდეგ უკან მიფრინავდნენ მოსკოვში. სასტუმროს ნომერში საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს.

შაბათ დილით პირველ რეისზე მგზავრთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა. წყვილი მაინცდამაინც არ ჩქარობდა. ვალერა ახოვანი, ლამაზი ბიჭი იყო, ხოლო ემა საშუალო ტანის, გაჩხინკული, მაგრამ თავისებურად მიმზიდველი ქალი გახლდათ. იმ დღეს ამირანს ვალერა ცოტა შესუქებული მოეჩვენა. როდესაც ვალერამ აეროვაგზლის „ლითომაძებარა“ გაიარა, მანქანა აწკრიალდა. ვალერამ ჯიბიდან გასაღებები, ხურდა ფული ამოყარა და ისევ გაიარა, მაგრამ ზარმა ისევ დაიწკრიალა, ეს უკვე აეროპორტის დაცვის ბიჭების დამსახურება იყო. როდესაც მესამეჯერ ახმაურდა ზარი, ვალერას ბოდიში მოუხადეს და სთხოვეს შესამოწმებლად გვერდით ოთახში შესვლა. ემა აშკარად ანერვიულდა და ვალერას მიაძახა: „ვალერა, უთხარი ვინც ხარ და თავს დაგანებებენ“.

— გვაპატიეთ ბატონო ვალერი, ჩვენ მშვენივრად ვიცით ვინც ბრძანდებით, მაგრამ ხომ იცით ჩვენი სამსახური, ჩვენ თვითმფრინავის უშიშროებას ვიცავთ.

ვალერი ხმას არ იღებდა.

გაჩხრიკეს; ტანზე თხელი ნაჭრისაგან სპეციალურად შეკერილი მრავალჯიბიანი ჟილეტი ეცვა, რომელიც ბანკიდან ახალგამოტანილი, ტკიცინა ასმანეთიანებით იყო გატენილი.

— ბატონო ვალერი, ნაღმი არ აღმოგაჩნდათ, მაგრამ ამხელა თანხა, თანაც ახალთ-ახალი ასმანეთიანი კუპიურები ნაღმზე უარესია და სანამ არ შეგამოწმებთ, ვერ გაგიშვებთ.

ვალერი ხმას არ იღებდა, თვითმფრინავის პირველი რეისი უკვე ჰაერში იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ამირანიც გამოვიდა სამალავიდან და გაეცნო ვალერის და ემას:

— რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამძებრო სამმართველოს უფროსი, ამირან ლომჯარია.

— ვალერი ბრიუტინი და ემა ციგანკოვა, ჩემი მეგობარი ქალი, საცოლე.

— დიდად სასიამოვნოა, ბატონო ვალერი, სანამ ამ საკითხს შევამოწმებდეთ, თქვენ და თქვენს საცოლეს აეროპორტის სასტუმროს ლუქსში მოგაწყობთ ჩვენი სამინისტროს ხარჯზე, როდესაც გავარკვევთ ამ გაუგებრობას, პირველივე თვითმფრინავით მოსკოვს გაფრინდებით.

ვალერი და ემა ლუქსში მოათავსეს, რომელსაც ამირანის სამოქალაქო ფორმაში გადაცმული ბიჭები იცავდნენ.

საღამოს ამირანი თავის აგენტ ქალთან ერთად მივიდა სასტუმროში და ემას ყვავილები მიართვა. ამირანმა აგენტი თავის მეუღლედ გააცნო. შემოიტანეს შამპანური, შესვეს რამდენიმე ჭიქა, ქალები მეორე ოთახში გავიდნენ სალაპარაკოდ.

— ვალერი, შენ იცი, რომ ყველანი გეთაყვანებით, უპირველესი სპორტსმენი ხარ, თუ რამე კრიმინალში ხარ გახვეული, ვეცდები დაგეხმარო.

— რა კრიმინალი, ეს ნივთები ბებიაჩემს და ემას ბებიას ჰქონდათ, ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ, ფული დაგვჭირდა და გავყიდეთ!

— ვალერი, ფულიც არის და ფულიც, რომ გადავთვალე, ოცდარვა ცალი სულ ასმანეთიანების შეკვრა აღმოჩნდა, აქედან ნახევარზე მეტი გაუხსნელი და საქართველოს ცენტრალური ბანკის დამღა აზის. დავუშვათ, დავიჯერეთ, რომ ეს ყველაფერი ბებიათქვენის ქონებაა, მაგრამ ჩვენ გვაინტრესებს თქვენი ნივთების მყიდველი და არა — თქვენ.

— ამ ნივთების უმეტეს ნაწილს საკომისიო მაღაზიას ვაბარებდით რუსთაველის ქუჩის დასაწყისში.

— ჩვენ გვაინტერესებს თქვენი ნივთების მყიდველები.

ამ დროს ოთახში შემოვიდა ემა:

— თქვი, ვალერი, ვისაც მივყიდეთ, ერთი ვნახოთ, როგორ გაუბედავენ დაჭერას!

— კი მაგრამ ვინ არის ასეთი?

— იური დიდებულიძე, თქვენი ცეკას მდივნის ცოლის ძმა, — ირონიულად გაიცინა ემამ.

— მდაა, ეგ ვერ გვითხარით კარგი ამბავი, მაგრამ, რადგან ბორბალი დავატრიალეთ, მისი გაჩერება უკვე ძნელია!

— ხომ გითხარით ყველაფერი, ახლა მოგვეცი ჩვენი კუთვნილი ფული და გაგვიშვი, ბატონო, მოსკოვში! — გაანჩხლდა ემა.

— ქალბატონო ემა, თქვენ წარმოშობით საიდან ბრძანდებით?

— მე, ჩემი ბებია, იმის ბებიის ბებია ვილნიუსში ვართ დაბადებულები, ბებიაჩემი ნადეჟდა ცუკანოვა მოხერხებული ქალი იყო სულ მდიდარ და სახელოვან კაცებს მიჰყვებოდა ცოლად, ამიტომაც დარჩა ეს სიმდიდრე.

— როგორც ვატყობ არც შვილიშვილს ეშლება ეს საქმე!

— მე და ვალერას დიდი ხანია გვიყვარს ერთმანეთი, ახლა გადავწყვიტეთ გემრიელი მდიდრული ოჯახის შექმნა და თქვენ გამოეჩხირეთ! — ვერ მშვიდდებოდა ქალი.

— სამსახურს რა ვუყოთ, თორემ სხვა შემთხვევაში ისეთ ქორწილს გაგიმართავდით, თქვენგან მოწონებულს, მოკლედ, ვალერი ორშაბათამდე აქ მოგიწევთ ყოფნა, დღეს შაბათია, ხვალ — კვირა, დაისვენეთ და ორშაბათს შევეცდები ბოლო რეისით მოსკოვში გაგიშვათ; აბა, თინა დაემშვიდობე და წავიდეთ.

ვალერამ თინას ხელზე აკოცა და სასტუმროს კარებამდე გააცილა, სადაც ამირანის ბიჭები იდგნენ. ვალერას გაეცინა.

— ეს ისევ თქვენი უსაფრთხოებისთვის, ვალერა, დამიჯერეთ, ასე ჯობს!

დილის ცხრა საათზე ტელეფონის ზარის ხმა გაისმა:

— ათი საათისთვის ჩემთან იყავი კაბინეტში!

— ვინ ბრძანდებით? — უცბად ხმაზე ვერ იცნო თავისი მინისტრი ამირანმა.

— ვინ ვარ და პაპუნა! ათ საათზე ჩემი ძმაც იქნება, ალექსანდრე, ხომ გახსოვს?

— კი, ბატონო პაპუნა, უკვე მოვდივარ.

კაბინეტში პაპუნა და ალექსანდრე რაღაცაზე კამათობდნენ.

— შეიძლება? — იკითხა ამირანმა.

— ბიჭო, საიდან მონახავ ხოლმე ასეთ საჩოთირო საქმეებს; გუშინ რადისადგურმა „ბი-ბი-სიმ“ გადმოსცა, თბილისის აეროპორტში

დააკავეს ცნობილი სპორტსმენი და მისი თანხლები ქალი, რომელთ-აც აღმოაჩნდათ, ორას ოთხმოცი ათასი მანეთი, მათი წინაპრების მიერ დატოვებული ძვირფასი ნივთების რეალიზაციიდან აღებული. ის, რაც თავის დროზე რევოლუციური განუკითხაობის დროს ვერ წაართვეს მათ წინაპრებს, დღეს კანონის ძალით ამას აკეთებს საბ-ჭოთა ხელისუფლება, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომლის ცეკას მდივნის ცოლის ძმამ იური დიდებულიძემ შეიძინა ეს ძვირფასი ნივთები.“

ამონაბეჭდი ალექსანდრემ მომიტანა ამ დილით.

— რა ვქნა, ბატონო პაპუნა თქვენ მითხარით და ეს ფული ბანკში კი არ ჩამიბარებია, ჩემთან არის, სეიფში, გნებავთ, ახლავე მივცემ და ერთ საათში მოსკოვს გავისტუმრებ!

— მოკლედ, მაგარი მაზოლი ვინმე ხარ, წყალს აამღვრევ და მის დაწყნარებას ჩვენ გადმოგვაბარებ.

— რად გინდა მაგ კაცთან, რა ქნას, არ დაიჭიროს? — გამოე-სარჩლა ალექსანდრე.

— ვინ ეუბნება არ დაიჭირო, მაგრამ ...

— თუ არ მოგწონს, პაპუნა, ეგ ბიჭი, მე წავიყვან, — თვალი ჩაუკრა ალექსანდრემ ამირანს და გაეცინა.

— მაგ საქმეს დღესვე რომ გადმოგილოცავ, ჩემო ალექსანდრე, მერე ვნახავ რა ხასიათზე დადგები, რა ჩვენი საქმეა ოქრო და ფული, ეგ შენმა კომიტეტმა იტეხოს თავი! — ვერ მშვიდდებოდა პაპუნა.

— ამ ფულის გადაადგილება საკავშირო ტერიტორიაზე ხდება, ამიტომ შენ უნდა დაადგინო, საიდან აქვთ ამ ხალხს ამდენი ფული! — იცინოდა ალექსანდრე.

— ბატონო პაპუნა, გუშინ ჩემს აგენტთან ერთად სტუმრად ვიყავი ვალერასთან, პატარა პურ-ღვინო მოვუწყვეთ.

— ხო, პურ-ღვინო არ გეშლება, სულ სიმღერ-სიმღერით ამოხდი კაცს სულს!

— ვალერასთან მყოფი ქალი, ელენა მიხაილოვნა ცუკანოვა, ვილნიუსში ცნობილი „ფარსოვშიცაა“, იქაც დიდ წრეებშია გასუ-ლი, სასურველია მაგის ბინის გაჩხრეკვა, გული მიგრძნობს იქ ბევრი

პარტიული და სახელმწიფო მოხელის ქონება იქნება დამალული, რადგან მინისტრთა საბჭოს პრესტიჟულ სახლში ცხოვრობს, რომელსაც სახელმწიფო დაცვა იცავს. ჩემს აგენტთან საუბარში გაირკვა, რომ ამ ორი თვის წინათ ტაშკენტში ყოფილან, მანამდე ერთი თვე კი — ყაზახეთში, ალმა-ატაში. ეგ ქალი ტყუილად არსად ფეხს არ გადაადგამს. ეს ის კრიმინალური რესპუბლიკებია, ჩვენი არ იყოს, სადაც შედარებით ადვილად იშოვება აღურიცხავი ფული. ამ ქალს თავის სამალავიდან გააქვს ძვირფასეულობა და ფულიან ხალხს ეძებს, ყიდის, მერე კი სახელმწიფო ბანკში დოლარებს იძენს.

— რა ვქნათ, ალექსანდრე, გავყვეთ ამ ძაფს? გული მიგრძნობს, რომ ცეკას მდივანი უკვე მეძებს ტელეფონით.

— სხვა რა გზა გვაქვს, შუა გზაზე შეჩერება არ გამოვა!

— როგორც ვატყობ შენც საქმეში ხარ ჩემო ალექსანდრე!

— კი, ბატონო, ჩვენც აქტიურად ჩავერთვებით.

დარეკა მთავრობის ტელეფონმა. პაპუნამ ალექსანდრეს ანიშნა, „ხომ გითხარითო“.

— გისმენთ ბატონო შადიმან, კი, საქმის კურსში ვართ, დღეს ბატონმა ალექსანდრემ გამომიგზავნა ამ პროვოკაციის ასლი... დიახ, ყველაფერს ზუსტად გამოვიძიებთ, შევამოწმებთ ბატონ იური დიდებულიძეს, კი, ბატონო, იმ სპორტსმენს გავუშვებთ დღესვე მოსკოვში, აბა, აურზაურს ხომ არ ავატეხინებთ ამერიკის ხმას. კი, ბატონო, მაგ საქმეს ამირან ლომჯარია იძიებს... კი, ბატონო, მოკითხვას გადავცემ, კარგად ბრძანდებოდეთ!

— ისე ხომ არაფერი შეეშალა ბატონ შადიმანს, ჩემო პაპუნა? — გაეცინა ალექსანდრეს.

— მაგას არაფერი ეშლება, მთავარია ჩვენ არ შეგვეშალოს რამე, თორემ შემდეგ ისეთ დროს გამოგვდებს კვანტს, სულ რომ არ ელოდები, მაგის ამბავი მე მკითხეთ! ამირან, მითხარი, რას აპირებ?

— ერთი სიტყვით, სიტუაციიდან გამომდინარე, ვალერი თავის ემასთან ერთად დღესვე გავაფრინოთ მოსკოვში, ფული უკლებლივ დავუბრუნოთ, ბოდიშს პიარადად მე მოვუხდი, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ვილნიუსში გამგზავნეთ ჩემი ოპერატიული ჯგუფით, ემას ბინის გასაჩხრეკათ, ვნახოთ, რა აღმოჩნდება.

— რას იტყვი, ალექსანდრე?

— მეტი რა ჩარაა, მაგრამ შენთან ერთად ჩემი ხალხიც წამოვა. როგორც ზევით მითხრეს, ვალერა არ ყოფილა კონტაქტში საკავშირო უშიშროებასთან, ახლა მომენტი გვაქვს, აგენტობაზე უნდა დაგვთანხმდეს, კომპრომატი ხელში გვიჭირავს. ასე, რომ ორ კურდღელს დავიჭერთ, ცეკას დავალებასაც შევასრულებთ და აგენტებსაც გადმოვიბირებთ!

— „ებრაელს წყალი მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონდაო“. ალექსანდრე, ერთი ეს გამაგებინე, ის სპორტსმენი მე და ჩემმა თანამშრომლებმა დავაკავეთ, ჩემს გარდა სასაუბროდ იმ კაცს არავინ გაკარებია, „ბი-ბი-სიმ“ ეს ინფორმაცია როგორ მოიპოვა?

— მაგასთან დაკავშირებით ერთ ანეგდოტს გეტყვით: „მომდინარეობს პოლიტბიუროს სხდომა, ძალზე გასაიდუმლოებული, კარებიდან არავის არ უშვებენ. გავიდა ოთხი საათი, ხუთი; ბრეჟნევს პატარა საქმის მოსაქმება უნდოდა და ტუალეტის ოთახში, პოლიტბიუროს წევრები არ უშვებდნენ. „ვერ ვითმენო“, იხვეწება ბრეჟნევი, „არ შეიძლება, მოითმინეთ“, — ურჩევენ პარტიული ამხანაგები. ამ დროს კარებზე ბრეჟნევის დაცვის წევრმა დააკაკუნა და პოლიტბიუროს მოახსენა: „ბი-ბი-სიმ“ გადმოსცა, ბრეჟნევს უჭირსო და ღამის ქოთანი მოვუტანეთო. ასე, რომ შენს ბიჭებში ტყუილად გეპარება ეჭვი, ამირან!

— ამირან, მე გაგაყოლებ ჩემს უშიშროების ბიჭებს, იმ ქალისგან დამოუკიდებლად შეახვედრებ ვალერას, ისინი დაელაპარაკებიან და შემდეგ დაუბრუნებ ფულს, ხელს მოაწერინებ ჩაბარებაზე და მოსკოვისკენ გაისტუმრებ.

საღამოს, ბოლო რეისზე, ამირანი და მისი ბიჭები აცილებდნენ ვალერი ბრიუცინს და ემა ცუკანოვას. ვალერი თანამშრომლობაზე დათანხმდა უშიშროების ბიჭებს, შესაბამისი საბუთებიც გაფორმდა.

ერთი კვირის შემდეგ ამირანი ვილნიუსში იყო. ადგილობრივი მილიციის სამინისტროს გააცნეს მივლინების მიზანი და თავისი ხალხიც გააყოლეს. ამირანმა იცოდა, რომ ემა ცუკანოვა ორი დღით იყო ჩასული ქალაქში. დილის ცხრა საათზე, ცუკუნოვას კარზე ზარის ხმა გაისმა, ემამ გამოიხედა, აშკარად არ ესიამოვნა ამირანის დნახ-

ვა, მის უკან თანამშრომლებიც რომ შეამჩნია გაშრა, მაგრამ ეცადა არ შეემჩნია.

— ქალბატონი ემა მიხეილის ასული ცუკანოვა აქ ცხოვრობს?

— აქ ცხოვრობს, ბატონო ამირან, აქ.

— ჩვენ თქვენი ბინის ჩხრეკის ორდერი გვაქვს — ამირანმა ფურცელი გადასცა, ემას არ დაუხედავს ორდენისთვის, ისე გაუღო კარები.

ამირანს ამხელა საცხოვრებელი ბინა თავის დღეში არ ენახა, მისაღები ოთახიდან დაწყებული ყველგან სურათები იყო ჩამოკიდებული, ხოლო ზალის ფართი ალბათ ორას კვადრატულ მეტრზე მეტი იქნებოდა, ყველა კუთხე-კუნჭული ფუფუნებას აფრქვევდა.

— ქალბატონო ემა, ჩხრეკაში მონაწილეობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი თანამშრომელი, ესწრება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორი ექსპერტი, ვილნიუსის სამძებროს ორი თანამშრომელი, დამსწრეებად მოვიწვიეთ თქვენი კარის მეზობლები, თქვენთვის ნაცნობი ცოლ-ქმარი, ქეტრინ და გედიმიანას პეტრაუსკასები. თუ წინააღმდეგი არ ხართ, დავიწყებთ ჩხრეკას.

— კი ვარ წინააღმდეგი, მაგრამ მე ვინ მეკითხება

— მე შემადგენლობაზე შეგეკითხეთ, იქნებ არ გინდათ, რომ პროცედურაში თქვენი მეზობლები დაესწრონ?

— დაიწყეთ, ჩემთვის სულერთია, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე, რას ეძებთ, იქნებ მე თვითონ გაჩვენოთ, რაც გინდათ!

— ჩვენთან შემოსულია ცნობა, რომ თქვენ ინახავთ გარკვეულ პირთა სიმდიდრეს, რომლის რეალიზაცია თქვენ გაქვთ დავალებული.

— მე არავის ქონებას არ ვინახავ, რასაც ხედავთ, სუყველაფერი ჩემია და ამის აღიარების არც მეშინია!

— ჩვენ ოქროს და ბრილიანტი გვაინტერესებს!

— კი, მაგრამ ამ სიმდიდრეს რომელი ოქრო და ბრილიანტი შეედრება? მთელი ჩემი ცხოვრება ამ სურათების შეძენას მოვანდომე, ბებიაჩემის მიერ დატოვებულ კოლექციას ვავსებდი, რომ დავბერდები, სახელმწიფოს დავუტოვებ — მეთქი ვფიქრობდი, მაგრამ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ მაგათთვის რაიმეს დატოვება არამია!

— სურათები ჩვენ არ გვაინტერესებს. პირიქით, ჩვენც ვტკბებით მათი სილამაზით. — ფერწერულ ტილოებს კომისიის წევრები გაოცებით შეჰყურებდნენ და თითქოს მოკრძალებულნიც გახდნენ მათი ხიბლის წინაშე, ხოლო ცოლ-ქმარი პეტრაუსკასები გაკვირვებისაგან თავს აქიცინებდნენ.

— ბატონო ამირან, რაც აქ არის წარმოდგენილი, ყველა ორიგინალი არ გეგონოთ, თორემ ესენი რომ ყველა ორიგინალი იყოს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

— კი, მაგრამ თქვენი ნიჭის პატრონი, დავიჯერო, პლაგიატორის ნამუშევარსს ჩამოკიდებდა კედელზე?

— რატომ არა, მტრების გულის გასახეთქად. ვინ მიხვდება, ორიგინალია თუ დედანი, ამის გარჩევა ხანდახან ექსპერტსაც უჭირს!

— თუ გინდათ ასლი იყოს, მაინც დიდებულად გამოიყურება, თანაც ასლიც საკმაოდ ძვირი ღირს!

— საქართველოში კარგი ანეგდოტი მითხრეს, საბჭოთა ხალხზეა ზედგამოჭრილი: ვიღაცამ საჩივარი დაწერა მეზობელზე, მთელი ცხოვრება მე ყველსა და პურს ვჭამ, ჩემი მეზობელი კი ყოველდღე ხაჭაპურს მიირთმევსო. გამოაცხვე შენც ხაჭაპური, განა ეგ ყველისა და პურის ფქვილისაგან არ ცხვებაო“. ასეა, თუ კაცმა ზედმეტად ხელი გაანძრია, ლამაზი და გემრიელი ცხოვრება მოინდომა, რომ არ ჩაამწარონ, არ შეიძლება. ეს ყველაფერი ჩვენი დაკომპლექსებული უსაქმური ხალხისა და სახელმწიფოს ბრალია.

— მე თქვენს განათლებაში, ემა მიხაილოვნა, ეჭვი არასდროს შემპარვია, მაგრამ ისმის კითხვა: საიდან ყოველივე ეს?

— საიდან და ბებიკოდან.

— ჩემი, დედა ვატირე, რატომ არც ერთი ჩემი ბებია თქვენსას არ დაემსგავსა?

— იმიტომ ჩემო ამირან, რომ ბებიასაც შერჩევა უნდა.

— ეგ რანაირად?

— კომერციის და ეშმაკობის თანდაყოლილი ნიჭის მქონე ადამიანი თავისი დაუფარავი სიმდიდრის გასამართლებლად, ყოველთვის გამოჩხრეკს ისეთ მდიდარ გარდაცვალებულ ბებიას, დედამთილს, სიდედრს, რომლიც მსგავსი არც არავის ჰყოლია და არც არავის

გაუგონია და თქვენ წარმოიდგინეთ, გაავებულ ხალხს ქრთამის დახმარებით ვარწმუნებ კიდეც!

— ქრთამის აღებასაც ნიჭი უნდა, ემა მიხაილოვნა! — გაეღიმა ამირანს.

— ბედი არ მაქვს, რა ყველა უნიჭო და ხელმოცარული მე მხვდება ამ ბოლო დროს.

— ემა მიხაილოვნა, თქვენის ნებართვით დავიწყებთ მაძებარათი ოქროს და ძვირფასი თვლების ძებნას, რომ გითხრათ, გამოგვიჩინეთ-მეთქი, აზრი არ აქვს.

— კი, ბატონო ამირან, რასაც ნახავთ, თქვენი იყოს!

— ამირანმა ბიჭებს ანიშნა დაეწყოთ კედლების დათვალიერება ოქროსმაძებარათი. თვითონ კი სკამზე ჩამოჯდა და ემას თვალს არ აცილებდა. ემაც დივანზე იყო ჩამომჯდარი და აქეთ-იქით იხედებოდა, თავს ძალას ატანდა მარჯვნივ ჭერისკენ არ გაეხარდა, მაგრამ ერთი-ორჯერ მაინც გაეპარა თვალი. ამირანს კი ეს არ გამოპარვია. კედლებში სურათების უკან რამდენიმე საიდუმლო სამალავი აღმოჩნდა, საიდანაც ოქროს და ბრილიანტისთვლიანი ნივთები იქნა ამოღებული, რომელმაც ერთი მოზრდილი „დიპლომატის“ ჩანთა გაავსო. ემა ამირანს გვერდზე მიუჯდა და ჩუმად გადაულაპარაკა:

— ნახევარი თქვენი იყოს, ამირან, — ამირანმა უარის ნიშნად თავი გააქნია — ჯანდაბას, სულ წაიღეთ! — ამირანმა კვლავ უარი ანიშნა. მაშინ ემა გაბრაზებული წამოდგა, აკრიფა ტელეფონის ნომერი და ისტერიულად ჩაყვირა:

— იანის, აქ მე „პოგრომს“ მიწყობენ, თქვენ კი ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გაქვთ, მოდით და ამ ხალხთან თქვენ თვითონ გაარკვიეთ საქმე! — და ყურმილი დაახეთქა.

ამირანმა თავის თანამშრომელს გადაულაპარაკა, რომ კიბე მოეტანათ და ჭერის მარჯვენა მხარეს შეემოწმებინათ აპარატით. აპარატმა იყვირა. ჭერს აკრული ბიაზი გაჭრეს და გამოჩნდა სამალავის მაგვარი ხვრელი, რომლიც სართულებს შორის ფიცრულ გადახურვებს შორის იყო მოთავსებული. ასეთი ფიცრული გადახურვები დამახასიათებელი იყო ომამდე აშენებულ მაღალჭერიანი სახლებისათვის.

ემა ზევით არ იხედებოდა. ჭერიდან ჩამოტანილმა ოქრომ და ბრილიანტებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ორი მოზრდილი ჩანთა გაავსეს, მათი ღირებულება მანამდე, სხვა სამალავებიდან, ამოღებულ ნივთებთან შედარებით გაცილებით მეტი იყო.

კარზე გაბმული ზარის ხმა, გაისმა. ოთახში ჯიქურ შემოიჭრნენ უშიშროების გენერალ-მაიორი და მილიციის პოლკოვნიკი.

— ვინ არის ჯგუფის ხელმძღვანელი?

— საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მივლინებული მილიციის პოლკოვნიკი ამირან ლომჯარია.

— სახელმწიფო უშიშროების გენერალი იანის ლანდსბერგისი და მილიციის პოლკოვნიკი გენრიხ რეხიპაპი, თუ შეიძლება თქვენთან საუბარი ცალკე გვინდა.

— მობრძანდით, სამზარეულოში გავიდეთ!

— არა, სამზარეულოში არა, — კატეგორიულად განაცხადა ემამ, — სჯობს ჩემს კაბინეტში ისუბროთ. ამირანს ემას აღელვებული ტონი არ მოეწონა და მიხვდა, რომ სამზარეულოშიც, ალბათ, დიდი სიმდიდრე იმალებოდა, მაგრამ გაიფიქრა, ჯანდაბას მაგათი თავი, რაც ამოვიღე ესეც საკმარისიაო და ემას სურვილს დაჰყვა. მდიდრულად მოწყობილ კაბინეტში დასხდნენ. ლაპარაკი გენერალმა დაიწყო:

— ემა ჩვენი აგენტია და უნდა ითქვას, რომ ძალზე მაღალი კლასის. ეს, რაც დღეს ნახეთ, ლიტვის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამალავია. მოგეხსენებათ, რა სიმდიდრეც უნდა ამოეღო ჩვენი უშიშროების თანამშრომლებს, ყველაფერი მოსკოვში იგზავნებოდა. ლიტვის სახელმწიფო უშიშროების პატრიოტმა წევრებმა ეს სამალავი მოვაწყეთ, ეს ყველაფერი ლიტვის საკუთრებაა. დღეს თქვენ ხედავთ, რომ გარკვეული პოლიტიკური ძვრები ხდება საბჭოთა კავშირში, „პერესტროიკა“ მიმდინარეობს, დღეს თუ არა, ხვალ ლიტვა დამოუკიდებელი ქვეყანა იქნება და ეს სიმდიდრე მის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს. ჩვენი თხოვნაა, ეს საქმე ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს გადმოსცეთ, პოლკოვნიკი რეხიპაპი ჩვენი მინისტრის პირადი მრჩეველი და თანაშემწეა. თუ ჩვენს თხოვნას გაითვალ-

ისწინებთ და დაეთანხმებით, რა სახის წერილიც იქნება საჭირო, პრიველი უწყებიდან მოგართმევთ!

— ამხანაგო გენერალო. ბატონო იანის, თქვენც იყავით ჩემხელა და პოლკოვნიკიც, ალბათ, კარგად გახსოვთ თქვენი შესაძლებლობები. მე პატარა ჭანჭიკი ვარ იმ უწყების, რომელმაც აქ მომავლინა საქმის გამოსაძიებლად. თქვენმა მინისტრმა დაურეკოს სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს ან სულაც ჩემს მინისტრს, მან მიბრძანოს და პირობას გაძლევთ უკანმოუხედავად დავტოვებ თქვენს რესპუბლიკას.

— ჩვენ ამას შევეცდებით, ჩვენს მინისტრს ჩავაყენებთ საქმის კურსში და ხვალ გეწვევით სასტუმროში, კარგად ბრძანდებოდეთ!

ამირანმა სტუმრები გააცილა და დაემშვიდობა.

— ბიჭებო, სწრაფად დაამთავრეთ ჩხრეკა, რაც ვნახეთ, გვეყოფა, დაიწყეთ ამოღებულის ნუსხა-აღწერა, მე კი თბილისში დავრეკავ.

— ამირან, ბევრი ნივთის დასახელებას ჩვენ ვერ შევძლებთ, „ჯობს რაოდენობა დავთვალოთ, დავნომროთ, სასწორზე ავწონოთ და „დიპლომატები“ დავლუქოთ. არც სადაოიქნება და საქმეც სწრაფად წავა. ამ ნივთების გარკვევას ერთი თვე მაინც უნდა, ჩვენ კი ამას ერთ დღეში ვცდილობთ.

— კარგით, დავამთავროთ აღწერა!

ამირანმა თბილისში დარეკა, შინაგან საქმეთა მინისტრი ადგილზე არ აღმოჩნდა, სანებლიძესთან დარეკვას კი აზრი არ ქონდა, თავის თავზე მაინც არაფერს აიღებდა. არადა, დრო არ ითმენდა. აკრიფა უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ალექსანდრე ბილაურის, ნომერი. მორიგეს სთხოვა, სასწრაფოს დაეკავშირებინა მასთან.

— გისმენ „გოროზ“, როგორ არის საქმე?

ამიარნი ყველაფერს მოუყვა, და რჩევა ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო. ალექსანდრემ წუთიერი პაუზის შემდეგ უთხრა:

— სასწრაფოდ დაამთავრეთ ჩხრეკა, „დიპლომატები“ დალუქეთ, ხელი მოაწერინეთ დამსწრეებს და წადით სასტუმროში. მაგ ქალს შინაპატიმრობა გამოუცხადეთ და სახლში დატოვეთ, ტელეფონი გამოურთეთ და თქვენი ერთი თანამშრომელი დატოვეთ უთხ-

არით ტელეფონს არ გააკაროს. სასტუმროში მიდით, ნუ ამოეწერებით, ეს შემდეგ გააკეთოს იმ ქალთან დარჩენილმა თანამშრომელმა. სასტუმროს სათადარიგო კიბით გამოდით, ჩასხედით ტაქსში და დაუყოვნებლივ გადადით ბელორუსიაში, იქედან მატარებლით ხვალ დილით იქნებით მოსკოვში. მოსკოვიდან კი მატარებლით წამოხვალთ თბილისში. მორიგეობა დააწესეთ. ჩემი ხალხი ხვალ მოსკოვში იქნება და თქვენს უსაფრთხოებას დაიცავენ მატარებელში. გოროზ", ახლა შენს მოხერხებულობაზეა დამოკიდებული მაგ ტვირთის ჩამოტანა. ხვალ მეორე ჯგუფი ჩაფრინდება ვილნიუსში.

ამირანი ალექსანდრეს მიმართ სიმპათიურად იყო განწყობილი და მისი სჯეროდა. ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც უთხრა. მეორე დღეს ის უკვე მოსკოვ-თბილისის მატარებელში იჯდა თავის ბიჭებთან ერთად, გარდა იმ ერთი თანამშრომლისა, რომელიც განტევების ვაცად დატოვეს ლიტვაში. ამირანმა გვერდით კუპეში დაინახა უშიშროების თანამშრომლებიდა დამშვიდდა. სამივე „დიპლომატი" კუპეში, ლეიბების შესაწყობ ადგილას, ჰქონდა დამალული: ძალიან დაიღალა, ეძინებოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა, რომ ეფხიზლა. ერთი საკომისიო მაღაზიის პატარა ჭანჭიკმა, ცოტათი მოზრდილ ჭანჭიკს რაღაცა შეატყობინა, ეს რაღაც დიდ ჭანჭიკებამდე აგორდა და დაიწყო მოძრაობა მანქანამ, მაგრამ საკმარისი იყო პატარა ჭანჭიკი არ ამოძრავებულიყო და ამხელა ქვეყნის მანქანა გაჩერდებოდა, არ იმოძრავებდა. აქ მთავარი ჭანჭიკის სიდიდე კი არ არის, არამედ მისი ხარისხი და როგორ მოხერხებულად, გონაბამახვილურად არის ჩადებული, ჩამაგრებული ამ მანქანაში.

საოცარია, ამ ქვეყნის მართვა სულ აგენტურული ინფორმაციაზეა აგებული. აგენტურულ მონაცემებს და ინფორმაციას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი აღწერს ფაქტებს, მეორემ, ფაქტების გარდა, შესაძლო შედეგებიც განჭვრიტოს. ერთმანეთის დასმენას ვეჩვევით, მაგრამ ვერ ვგრძნობთ. თავისი პირმშოს ცელქობის შესახებ მასწავლებელი ბავშვს დაასმენს დედიკოსთან, დედიკო — მამიკოსთან და ამაზეა დამოკიდებული, ბავშვი დაისჯება თუ არა, რადგან მეორე წუთში ამ ბავშვს არაფერი ახსოვს და ისევ განაგრძობს ცელქობას.

ასეა ხალხიც, რამდენიც არ უნდა დაიჭირო, თუ ცხოვრების პირობები არ გაუმჯობესდა, საინტერესო სამუშაო არ გამოიძებნა, ქვეყანას არაფერი ეშველება. რადგან მართლმსაჯულება უნდა ებრძოდეს მხოლოდ დაავადებული გენის ვიგინდარა ბუნების ადამიანებს.

მაინც რამდენი უჯიშო კაცი იბადება ამ ქვეყანაზე, ზოგისთვის ყბედობაა გართობა, დროსტარება. ისე გასცემს ახლობლის საიდუმლოს, რომ სინდისის ქეჯნასაც არ განიცდის. ომის დროს პლაკატები ტყუილად კი არ აფრთხილებდა ხალხს „ყბედი ქვეყნის უნებლიე მტერიაო". ავიღოთ ბესარიონ ჯუღელი, ერთ-ერთი საუკეთესო აგენტია, მაგის დახმარებით გახსნილი საქმეები ბევრ ცნობილ გამომძიებელს შეშურდებოდა, მაგრამ ფულს არ იღებს, ძალიან თავმოყვარეა, შეურაცხყოფას ვერ იტანს, თავზე წარმოდგენა აქვს, შექება უხარია, განათლებული კაცია. ცოლისძმა ძალით დამაჭერინა იმიტომ, რომ კაცმა წაიტრაბახა, თავი ბესარიონზე მაღლა დააყენა. არ მახსოვს ბესარიონს საქმის მოცემისთვის წილი მოეთხოვოს ან ვინმეს გამო შუაკაცობით მოსულიყოს ან დახმარება ეთხოვოს. უცბად ქეთინო გაახსენდა, გაეცინა — აბა, ქეთინო კი არ არის, ყველაფერში რომ ფული მოითხოვს. სამი ათასი ხელად გამოუქვითა ამირანს, მაშინ როცა ამირანს ეგონა ქეთინოს მოვწონვარ და როცა არ უნდა დავურეკო ჩემთან გაჩნდებაო. — ამ ფიქრებში გართული ამირანი თბილისში მშვიდობიანად ჩავიდა და პაპუნას სამი დალუქული „დიპლომატი" შეუტანა.

— იმ ქალის საქმე როგორ არის? — იკითხა ამირანმა.

— გუშინ ჩამოიყვანეს, თავიდან არ გვაძლევდნენ, მაგრამ რომ გაიგეს, ეს დიპლომატებიჩვენს ხელთ იყო, ცარიელიქალივის რაღაში სჭირდებოდა.

— პაპუნა, ეგ ქალი დავკითხოთ, მუხლი მივუყენოთ და გადავაგზავნოთ დამატებითი გამოძიებისათვის ლიტვაში, რაც ტყავი გავაძვრეთ, ეყოფა.

— გადამრევს ეს კაცი, შენმა აგენტმა ამბავი მოგვიტანა, შენ დაიჭირე, შენ ამოიღე ამდენი სიმდიდრე და ახლა გეცოდება?! მე თავი დამანებე. რაც გინდა, ის უქენი. ატეხავ ერთ აურზაურს, მოკი-

დებ ამხელა საქმეს ხელს, ბოლომდე მიიყვან და მერე დაჭერილი კაცი გეცოდება! მაგ შეცოდებას ერთი დიპლომატი არ დაგელუქა და ყველას სიცოცხლის ბოლომდე გვეყოფოდა, არ გერჩია?

— ეგ რომ მიმექარა, ახლა მე ვიქნებოდი ციხეში და ეგ ქალი — გარეთ ხომ ნახე, რამდენი მფარველი გამოუჩნდა!

— მაგაში მართალი ხარ, ცეკას მდივანთანაც კი დარეკეს ლიტვიდან!

ამირანი თავის კაბინეტში შევიდა და ემა ცუკანოვა ამოყვანინა.

— რაც წასართმევი იყო, წამართვით, ახლა, შენი ვაჟკაცობა რომ ვიცი, დახვრეტის მუხლს მომიყენებ!

— ემა მიხაილოვნა, ჯერ ერთი ყველაფერი არ წამირთმევია, სურათები დაგრჩა, სამზარეულოში რომ სამალავები გაქვს, ის შეგრჩა, ახლა დაკითხვის ოქმზე ხელს მომიწერ და დამატებითი გამოძიებისთვის ისევ შენს ვილნიუსში დაგაბრუნებ. მე ვგონებ, გიპატრონებენ, შენს თავს არავის დააჩაგვრინებენ!

— ისე, შენც კარგი შიში ჭამე, იმ დღესვე რომ აცოცხე, გენადი რომ არ მოსულიყო, იმ სურათებსაც აქეთ დაუპირებდი წამოღებას.

— ემა მიხაილოვნა, ერთმანეთს მტრებად არ უნდა დავშორდეთ, მე არავის წელში გატეხვა არ მინდა, მე მინდა, რომ დამარცხების შემდეგაც ადამიანი ადამიანად დარჩეს.

— ამირან, არ გადამრიო ახლა, ცოლობა არ მთხოვო, ჭკუაზე არ შემშალო! — ირონიულად გაეცინა ცუკანოვას.

— ნუ გეშინია, შენს საქმროს იმდენ პატივს კი ვცემ, რომ ეს არ ვიკადრო!

— რა ვიცი. საცოლე კი დაუჭირე და ვინ იცის, რამდენი წლით გამოუკეტავთ ციხის კარს.

— ემა, ვილნიუსში დაგაბრუნებენ და თქვენებს დაევალებათ გამოძიების დაბოლოება, მით უმეტეს, რომ ეს ქვეყანა მგონი ინგრევა.

— არის ჭორი, რომლის გამართლებას ქვეყანა ბედნიერებად ჩათვლიდა, მაგრამ ხალხს ვინ მისცა ამის იღბალი.

— ხომ იცი ემა სამყარო გადატვირთულია ყურმოკრული ამბებით, ეჭვებით და გაუკეთებული საქმეებით.

— მერე, ამდენი თუ იცი. ისიც უნდა იცოდე, რომ გრძნობებს სულიერი სითბოთი უნდა უმკურნალო, ხოლო სულს გრძნობების გაფანტვით; ძალზე გაუგებარი და რეალური ცხოვრების უცოდინარი კაცი ხარ ამირან, შენ ხომ არ გგონია, ფეხი რომ დაგცდეს ვინმეს დაენანები? შენ სულერთია სულით უკვე დაბერებული ხარ, ცხოვრების ეშხის შეცნობას შენ ველარ მოასწრებ.

— რას მერჩი ემა, მე ჩემს საქმეს ვაკეთებ როგორც მე მესმის, როგორც მე მომწონს, თანაც ვცდილობ ამასთან ადამიანადაც დავრჩე.

ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. მინისტრი რეკავდა.

— ამირან, ეგ ქალი ხვალვე გაგზავნე ვილნიუსში. ბადრაგად ერთი კაცი გააყოლე. ახლა დარეკეს საკავშირო სამინისტროდან და რადიოგრამაც მივიღეთ. ამით შენც მოისვენებ და ჩვენც მოგვასვენებ.

— ქალბატონო ემა ცუკანოვა, გილოცავთ, ხვალვე ვილნიუსში იქნებით.

ამირანმა ღილაკს თითი დააჭირა. ბადრაგი შემოვიდა და ცუკანოვას ქალი გაიყვანა.

* * *

ერთ დღესაც ტელეფონის ყურმილში პაპუნას ხმა გაისმა:

— გოროზ, შენმა ძმობილმა, ალექსანდრემ, დარეკა, რატომ არ მნახაო, ნაწყენია შენზე, დღეს ორი საათისთვის გელოდება. სად მუშაობ, ვერ გავიგე, მგონი მაგ კაცს, შენი წართმევა უნდა, თუ კარგ ფულს გადაიხდის, შეიძლება დავთანხმდე! — გაეცინა,

ამირანი მისი და პაპუნას დამოკიდებულებაში ვერ გაერკვა, თითქოს ძმაკაცობს პატივს სცემს, მაგრამ ამ პატარ-პატარა კბენასაც არ ეშვება. „მე მგონი, ჩემი აქედან წასვლის წინააღმდეგი არ იქნება“ — გაიფიქრა ამირანმა.

ორი საათისთვის ამირანი ალექსანდრესთან იჯდა კაბინეტში, იქვე იყო კოტეც.

— „გოროზ“, დარიგება რომ გამომტყუე, არ უნდა გენახე? მადლობის თქმას ხომ არ გთხოვ?

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ კომიტეტის თავმჯდომარე ხართ, ერთი-ორჯერ თქვენს თანაშემწეს დავურეკე და ვკითხე, „ხომ არ გავხსენებივარ“ — მეთქი? „არაო“ — მითხრა. მეც საჭიროდ აღარ ჩავთვალე თქვენი შეწუხება.

— ისე, საქმეს თუ სჭირდება, დარიდება არ იცი!

— რას იზამ, საქმე საქმეა.

— გეხუმრები, „გოროზ“, ჩემმა თანაშემწემ შენი ზარის შესახებ მომახსენა. სწორად იქცევი, მე შენი უფროსი მეგობარი ვარ, როდესაც მომენატრები, მე თვითონ მოგნახავ, დღეს შენი ნახვაც მინდოდა და კოტესაც საქმე აქვს შენთან, შენი ულამაზესი აგენტი ქალი ერთი ღამით უნდა გვათხოვო!

— კი, მაგრამ, აგენტ ქალებზე მეტი რა გყავთ, რა გჭირთ ჩემი სამათხოვრო?

— ამირან, მასეთი მომხიბვლელთვალებიანი ქალი არ მინახავს, შენ ხომ იცი, აგენტურა ჩემს განყოფილებაში რომ შემოდის? — გაეღიმა კოტეს.

— ვინმესთან იკისრე-მეთქი, მე ვერ ვეტყვი, მე მოგიყვანეთ და თქვენ დაელაპარაკეთ.

— არა საკისრებელი არაფერი არ არის. გახსოვს ის ვირიშვილი ამერიკელი კორესპონდენტი, შენმა „ვასკამ“ აეროპორტში ცხვირი რომ მოხოცა, როგორ თქვა? „ამერიკაში წასასვლელად მცალია?! ძმაკაცს ქორწილი აქვსო“.

— სწორედ ის ჩამოდის, — ჩაერია საუბარში კოტე — ერთ კვირას დარჩება, მერე წავა და ისეთ სტატიებს ბეჭდავს, ისეთ გადაცემებს გააკეთებს, რომ საკავშირო მთავრობაში ტყავს გაგვაძრობენ!

— რა უნდა გააკეთოს თინიკომ?

— ერთი-ორი საათით შენ ტურისტული ავტობუსის მძღოლი უნდა იყო, ის ქალი კი — გიდი. კოტემ, ძალიან მომხიბლავი ქალიაო. ერთი სიტყვით, ის ამერიკელი სხვა ტურისტებთან ერთად ავტობუსში უნდა შეიტყუოს. ეგ უცხოელი ჩვენს ტურისტებთან საეჭვოდ

დაძვრება, სურათებს უღებს ხალხს, ინტერვიუებს იწერს, ისეთ კითხვებს იძლევა, როგორი პასუხებიც სჭირდება. მოკლედ, მარტო არ რჩება, სულ ხალხშია.

— მერე, თინიკომ რა ჰქნას?

— უბრალოდ მოხიბლოს, ავტობუსით გაასეირნოს, მერე თბილისის ზღვაზე რესტორანში ტურისტებთან გამოსამშვიდობებელი ვახშამი გაიმართება, ამ მამაკაცთან იცეკვოს რამდენჯერმე, სასმელი დააძალოს, მერე დაიწყება სინათლეების ჩაქრობა, ანთება, ერთხელაც მოახერხოს კალთაში ჩაუჯდეს და იკივლოს, ვითომ იმ კაცმა ტრუსიკში ხელი შეუყო.

— თუ მოახერხა და ის კაცი გადარია, ხომ კარგი თუ არა...

— პროვოკაციაზე უნდა წამოვაგოთ!

— რას იზამ ამირან, ჩვენ მენაგვეები ვართ, და ჩვენი ვალია ტერიტორია ყველა სახის ნაგვისგან გავათავისუფლოთ. ხვალ შაბათი დღეა, საქმე არ გაქვს, შენც დაისვენე თბილისის ზღვაზე, შენ რომ გვერდზე ეყოლები იმ ქალს, მეტი გული მიეცემა, თან იმასაც ნახავ, როგორი ბინძური საქმეების კეთება გვიხდება. აბა, „გოროზ“ შენი იმედი მაქვს.

შაბათს, დღის ორ საათზე, ამირანი ტურისტულ ავტობუსთან იდგა, სპორტული პიჟამოში გამოწყობილი. იქვე ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი — ამერიკელი ყველას მხიარულად ესაუბრებოდა. ამირანმა ადვილად ამოიცნო ფოტოკორესპონდენტი, რომელსაც „ვასკამ“ თვითმფრინავის ტრაპზე საბუთები ამოაცალა. ეტყობა, ამ კაცმა ჭკუა ვერ ისწავლა. ამერიკელს რიდი ერქვა, რუსულს დიდებულად ფლობდა, ქართულსაც საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა. როგორც ბოლოს გამირკვა, არც გერმანულზე და ესპანურ ენებზე ყოფილა მწყრალად.

— ბატონო რიდ, ტურისტებს აინტერესებთ, სურათების ხომ ვერ დაგვიბეჭდავთო?

— ქალბატონო თინიკო, მე კორესპონდენტი ვარ, ფოტოგრაფი ხომ არ ვარ!

— მე რომ გთხოვოთ ჩემთვის?

— თქვენთვის დიდი სიამოვნებით, თქვენისთანა მომხიბლავი ქალი ძალიან ცოტაა მსოფლიოში.

— დიდი მადლობა, რიდ!

— მე მართლა გეუბნებით, მე თითქმის მთელი მსოფლიო მოვლილი მაქვს.

— მით უმეტეს, უფრო დიდი მადლობა, — გაეკეკლუცა თინიკო, — აბა, შევიდეთ ყველანი ავტობუსში, — მერე რიდს მიუბრუნდა, — თბილისის ზღვაზე მივდივართ, რიდ, თქვენც ხომ არ წამობრძანდებით.

— დიდი სიამოვნებით წამოვიდოდი ქალბატონო თინიკო, მაგრამ საქმეები მაქვს.

— ო, ო, მე თქვენს სიტყვებში უკვე ეჭვი შემეპარა, ვინც ქალის თხოვნაზე უარს, ამბობს ის კაცი საქართველოში. . . .

— ცუდი კაცია! — მიეშველა ისევ რიდი.

— ჰოდა, თუ ცუდი კაცი არა ხართ, წამობრძანდით ჩვენთან ერთად, სურათები გადამიღეთ! — თინიკომ ისეთი თვალებით შეხედა, რიდმა აშკარად ვერ გაუძლო.

ცოტა ხნის შემდეგ რიდმა ორმოცდაათს გადაცილებული კაცი მოიყვანა, რომელიც მთლად ფოტოაპარატებით იყო დახუნძლული.

— გაიცანით, ჩვენი ინგლისელი კორესპონდენტი, რიჩარდი, რუსული იცის საკმაოდ ცუდად.

თინიკომ ყველანი ავტობუსში შეიპატიჟა. რიდს და რიჩარდს ავტობუსში წინა ადგილები დაუთმო. ყველანი ავტობუსში ავიდნენ. მათ შორის კოტე და კიდევ უშიშროების ორი თანამშრომელი იყო, ამირანი კი ავტობუსის საჭეს უჯდა, მეორე მძღოლს ის აგენტი თამაშობდა, რომელსაც პროვოკაციის მოწყობა ჰქონდა დავალებული. რიდის შემოტყუების პირველი ეტაპი წარმატებით დამთავრდა.

თბილისის ზღვაზე, რესტორანთან, ავტობუსი გაჩერდა. ტურისტები ჟრიამულით გადმოვიდნენ, ზოგმა ბანაობაც მოინდომა, მაგრამ თინიკომ სთხოვა თავი შეეკავებინათ და ყველანი იქვე რესტორანში შეიპატიჟა, თინიკოსავე თხოვნით მაგიდასთან დაიკავეს ადგილები. საღამო საგანგებოდ მოწვეულ წამყვანს მიჰყავდა. ირგვ-

ლივ სასიამოვნო მელოდიები ისმოდა. რიდთან და რიჩარდთან თინიკო და უშიშროების ერთ-ერთი აგენტი ქალი მოკალათებულიყვნენ. რიდი და რიჩარდი აპარატებს აჩხაკუნებდნენ. სუფრას თინიკო ხელმძღვანელობდა. მესამე ჭიქით ქალების სადღეგრძელო შესვა და მამაკაცებს სთხოვა ფეხზე ამდგარიყვნენ და ბოლომდე გამოეცალათ არყიანი ჭიქები. რიდმა პირველად იუარა, მაგრამ თინიკომ აუხსნა, რომ ეს საქართველოში ქალების შეურაცხყოფად ითვლებოდა, „ამიტომ მამაკაცი მკვდარიც რომ იყოს ამ სადღეგრძელოს მაინც შესვამსო“. რიდი დაჰყვა თინიკოს ნებას და ჭიქა ბოლომდე გამოცალა. ამასობაში თინიკოსთან რამდენჯერმე მოვიდა ავტობუსის მეორე მძღოლი და თინიკოს რაღაც ჰკითხა.

— ვინ არის, ქალბატონო, თინიკო, ეგ მამაკაცი?

— ჩემი ყოფილი ქმარია, მეხვეწება, შევურიგდე, მე მაგას სხვა ქალებში სიარულს არ ვაპატიებ! — შუბლი შეიკრა თინიკომ.

— ეს, როგორ, თქვენისთანა ქალი ჰყავს ცოლად და სხვა ქალებში დადის! ძალიან რისკიანი კაცი ყოფილა!

რიდმა მხრები აიჩეჩა. თან პირჯვარი გადაიწერა. ამ დროს დარბაზში გაისმა ქართული საცეკვაო მუსიკა, ყველა ტურისტი ადგა და აცეკვდა, თინიკოც წამოდგა, რიდს ხელები გააშლევინა და უთხრა, როგორ უნდა გაყოლოდა ქალს. უშიშროების ბიჭებმა რიდი წრეში მოაქციეს და მასთან ერთად დაიწყეს ცეკვა. შემდეგ რიდს და რიჩარდს სთხოვეს მათთან ერთად თითო ჭიქა შეესვათ. რიდი უარობდა. თინიკო აძალებდა. ამ დროს გაისმა „ლამბადას“ მუსიკა.

რიდმა თინიკო გაიწვია საცეკვაოდ. თინიკომ მხრებზე ხელები შემოხვია. დაიწყეს სინათლის ჩაქრობა-ანთება. ერთ მომენტში რიდმა ყვრიმალზე აკოცა. თინიკომ თითი დაუქნია, მაგრამ თან ისე გაუღიმა, რომ ეს გამეორების ნებართვას უფრო ნიშნავდა. თინიკომ იქ მყოფთ ნამდვილი მამაკაცების სადღეგრძელო შესთავაზა, თვითონ რიდთან ვახტანგურად დალია, რაც წესისამებრ კოცნით უნდა დამთავრებულიყო. შექეიფიანებულირიჩარდიჭიპს უხახუნებდა აგენტ ქალს. თინიკოს და რიდის შემხედვარებმა სხვებმაც დაიწყეს სადღეგრძელოს ვახტანგურად დალევა და ატყდა ერთი ხვევნა-კოცნა. ამირანი ვიღაც ტურისტ ქალს კოცნიდა. სასმელი ყველას მოეძალა. რიდი უკვე მესამედ

კოცნიდა თინიკოს ტუჩებში. სინათლე უფრო ხანგრძლივად ქრებოდა.

უცებ ქალის კივილის ხმა გაისმა. როდესაც სინათლე აინთო თინიკო რიდს კალთაში ეჯდა. მოვარდა თინიკოს „ქმარი“, რომელმაც დაბნეული რიდი წამოაყენა და სახეში მუშტი უთავაზა. რიდს ცხვირიდან სისხლი წასკდა. უმალ მილიციაც ადგილზე გაჩნდა. მოჩხუბრები გააშველეს. ყველაფერი დაფიქსირდა ვიდეოზე.

მეორე დღეს, ამორალური საქციელისათვის (რაც გამოიხატა ქალის საცვალში ხელის ჩაყოფით და მისი გაუპატიურების მცდელობით) რიდი „ნონ-გრატად“ გამოაცხადეს და 24 საათში ქვეყნის დატოვება ოფიციალურად მოსთხოვეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ამირანმა თინიკოს სახლში დაურეკა:

— პრემია თუ გამოგიწერეს?

— პრემიაც გამომიწერეს ათასი მანეთი და მათთან მუშაობაც შემომთავაზეს, აბა, თქვენს გაუბედურებულ ორგანიზაცია კი არ ჰგავს, ასი მანეთისთვის მეც მიხმართ და ჩემს კლიენტსაც!

— ახია ჩემზე, არ უნდა გამეცვნე მაგათთვის!

— რატომ არ უნდა გაგეცვნე, რამდენი პატივი მაქვს შენზე ნაცემი,

— იმიტომ, რომ აწი ჩემსკენ არ გამოიხედები!

— გააჩნია ჰონორარს, პირობებს, ჩემო „გოროზ“ ნუ გეშინია, თუ კარგი საქმე იქნა არ დაგივიწყებ. აბა, კარგად იყავი.

* * *

ამირანი ამ ბოლო დროს სულ უხასიათოდ იყო. თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა, მაგრამ მაინც არ მოსწონდა სამინისტროში მუშაობა, რატომღაც შეზღუდულად გრძნობდა თავს. არც თავის უფროსებთან ურთიერთობით იყო კმაყოფილი.

ერთ დღეს პარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა, ნოდარ ერგემლიძემ დაურეკა:

— ამირან, გამარჯობა, სად დაიკარგე, ასე უნდა ძველი მეგობრების დავიწყება?

— ნოდარ, მომილოცავს დაწინაურება!

— ადრე უნდა მოგელოცა!

— რაც არ უნდა იყოს, ახლა დიდი კაცი ხარ, ჩემთან საუბრისთვის დროს ხომ არ დაგაკარგვინებდი.

— შენ მაიმუნობას თავი დაანებე, ერთ საათში გადმოდი ჩემთან, საქმე მაქვს.

ერთ საათში ამირანი ერგემლიძეს ულოცავდა დაწინაურებას.

— ამირან, შენი ძმაკაცი, გივი ხაბაზი, დროზე ადრე გაუშვი პენსიაში, არ გააფუჭეს რაღაც შეემთხვა. ჩვენი წინადადებაა, შენ დაიკავო მისი ადგილი, ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე იქნები. ჩემთან დაწინაურების პერსპექტივა გექნება, მანდ კი უპერსპექტივო ხარ, შენი უფროსები ჯერ-ჯერობით მტკიცედ სხედან.

— ჩემო ნოდარ, შენ ხომ იცი ჩემი ხასიათი, ცოცხალი სამუშაო მიყვარს, არ შემიძლია უკანალში ძრომიალი. მართალი გითხრა, სამინისტროდან წამოსვლა მინდა. ჩემი ადგილი წესიერ ქვეყანაში უდიდეს საქმეთა გამომძიებლობაა, არც მეტი, არც ნაკლები.

— შენ ეს ადგილი დაიკავე ჯერ-ჯერობით, მეძებრის გეშის მქონე ხალხი უნდა შეარჩიო, იმიტომ კი არ მიმყევხარ, რომ ჩვენ ვმეგობრობთ, მინდა საქმე გაკეთდეს, კადრები მომზადდეს. გივის დატოვებულებიდან არც ერთი არ უქნია ღმერთს!

— გივი უმუშევარი დატოვეს?

— არა, საუწყებო დაცვის უფროსია, რა დონეც აქვს, იმ დონის სამსახურშია, თავს მშიერი არ მოიკლავს, მგონი, ძალიან კმაყოფილია. შენ რას იტყვი, თანახმა ხარ თუ არა?

— მე, კი ვარ თანახმა, მაგრამ ჩემი მინისტრი პაპუნა განზრახ თავს მოიკლავს ჩემს გაშვებაზე!

— პაპუნას ვინ ჰკითხავს, თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებას რომ მიუტან, ისე გამოგიშვებს, როგორც დაგიბარებია.

— აბა, ერთი დაურეკე და მომასმენინე რას იტყვის ჩემს წამოსვლაზე, მაგის სიაფანდი თომარის მოსმენა მაინტერესებს!

ნოდარმა ტელეფონის ნომერი აკრიფა:

— პაპუნას გაუმარჯოს, როგორ ხარ?

— ოჰ. ძლივს გიცანით, ბატონო ნოდარ, ალბათ, კიდევ დაგაარწინაურებენ!

— მეტი სადღა უნდა დამაწინაურონ, ნეტავი იმ საქმისთვის მომავლევინა, რაც ჩამბარეს! პაპუნა, ამ ბოლოს ქალაქის მილიცია მოიკოჭლებს, დანაშაული მომრავლდა, რამდენიმე ადგილი გამოთავისუფლდა, თქვენ ხომ არ მომცემდით კანდიდატურას?

— მაგალითად, ვის ადგილზე?

— გივი ხაბაზის. ახალგაზრდა, ენერგიული კაცია საჭირო პირველ მოადგილედ.

— მაგისთვის ზედგამოჭრილი ერთი კარგი ბიჭი მყავს, მაგრამ არ მემეტება.

— რას ჰქვია არ გემეტება, შენ ხომ არ გავიწყდება, პირველ რიგში ჩვენი პარტიული ორგანიზაციის წევრი ხარ და მერე ხარ რესპუბლიკის მინისტრი!

— მგონი, რომ ჩვენი „გოროზა“, ამირან ლომჯარია, გამოდგება მაგ საქმისთვის!

— კარგი, მოვიფიქრებ ამხანაგებს მოვეთათბირები და თუ გადავწყვეტთ შეგატყობინებ. რას ერჩი, მომცა შენი კანდიდატურა.

— ისე რა უცბად გამწირა მაგ შობელძაღლმა, მეგონა, თავპატიჟს გამოიდებდა.

— ხომ ნამდვილად გინდა მაქედან წამოსვლა?

— იცი, რა, ჩემო ნოდარ, კარგ სპეციალისტს უნდა უფრთხილდებოდე, „მაგას მე რომ ვეძაგებინე და ეთქვა“ ეს კაცი არ ვარგა, არაფერში გამოგადგებაო“, მე გაცილებით კმაყოფილი ვიქნებოდი.

რადგან ქალაქის მილიციის უფროსის მოადგილის თანამდებობა სამინისტროს ნომეკლატურა იყო, ის სამინისტროს კოლეგიაზე უნდა გაეტანათ. საკითხი ოქმის შედგენა და ბრძანების დაწერა სამინისტროს საქმე იყო.

თვეში ერთხელ, კოლეგიის წინ სამინისტროში ღია კარის დღე ეწყობოდა მოსახლეობის იმ კატეგორიისათვის, რომელიც თავს დაჩაგრულად გრძნობდა. ამჯერად ღია კარის დღეს პაპუნა უძღვებოდა. მინისტრის მისაღებში ათამდე კაცი იცდიდა. ამირანი ორჯერ შევიდა მინისტრთან, დადგენილების ასლი და ბრძანება წინასწარ აჩვენა გამზადებული, რომელსაც კოლეგიის შემდეგ ავტომატურად ხელი მოეწერებოდა. ამირანი მეორედ რომ გამოვიდა მინისტრის

კაბინეტიდან, ვიღაც ქალი და კაცი დაუკითხავად შევიდნენ მინისტრის კაბინეტში. ცოტა ხნის შემდეგ მისაღებში პაპუნას ხმა გაისმა.

— ამირან ლომჯარია მომინახეთ, სასწრაფოდ ჩემთან შემოვიდეს!

ამირანი მისაღებში შემოვიდა და მდივანმა კარებისკენ ანიშნა, გელოდებაო!

— ამირან, ამ ხალხს თუ იცნობ, კარგად დააკვირდი! — ამირანმა დაკვირვებით შეხედა.

— არა, არცერთი არ მეცნობა.

— შვილო შენ და შენი მეგობარი არ იყავით, ამ აგვისტოს თვეში, მანქანით? გადმოხვედით, სამი საზამთრო აარჩიეთ და მანქანაში ჩადეთ, ჩემმა კაცმა ფული რომ მოგთხოვათ, შეუღრინეთ, ნასვამი იყავით, მერე ჩემს ქმარს წაუთაქეთ და ჯიბიდან იმ დღის ნავაჭრი ამოაცალეთ?

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, ვიღაცაში გეშლებით!

— რა როგორ გვეკადრება, შენისთანა კაცი როგორ შეიძლება მილიციაში მუშაობდეს!

— სად მოხდა, ქალბატონო, ეგ ამბავი?

— სად და მცხეთის ბაზრობაზე, მცხეთაში!

— ბატონო პაპუნა, უსინდისო ვიყო, თუ შარშან ვყოფილვიყავი მცხეთაში ბაზრობაზე!

— მოწმეს დავაყენებთ პირზე, იმ შენ შოფერსა, იმ მანქანის ნომერი ჩაწერილი გვაქვს, ეგრე კი არ არის საქმე!

— ბატონო პაპუნა, სანამ ეგ საქმე არ გაირკვევა, მე მაგ თანამდებობაზე არ წავალ, ვინმეს დაავალეთ ამ საქმის სასწრაფო გამოძიება.

— შენს თანამშრომელს, გივის, დავავალებ, ყოჩაღი ბიჭია, შენს ადგილზე მაგას ვუპირებ დაწინაურებას, შენც მიეხმარე გამოძიებაში, სიმართლე დაადგინეთ!

— მე ხომ გითხარით, სანამ ამ საქმეს არ გავარკვევთ, მე სხვაგან სამუშაოდ არ გადავალ!

— ქალბატონო, თქვენი სახელი?

— ელენე ყელაური და ჭიაბერ ყაყიტაური.

— ქალბატონო ელენე, ბატონო ჭიაბერ, კიდევ ერთხელ დააკვირდით ამ კაცს, ეს კაცი ჩვენი სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსია, მე გამოვრიცხავ, რომ ამას ეს ხულიგნობა ჩაედინოს!

— თქვენ რას გამორიცხავთ არ ვიცი, მაგრამ ასე იყო და!...

— კაცი რომ დათვრება, მერე თავიც ავიწყდება და თავის თანამდებობის პატივისცემაც ბატონო მინისტრო!

— შეგიძლიათ იმ მანქანის ნომერი მოგვიტანოთ?

— რად უნდა მოტანა რა, ზეპირად მახსოვს იმ მანქანის ნომერიცა და ამ კაცის სახეს კიდენა რა დამავიწყებს, დაიწერეთ გ 05-06-გა. ნომერიც ხომ მოწყობილი აქვს, „ფიატია“, თეთრი ფერის 03.

— ხვალ შეგიძლიათ მობრძანდეთ ხუთი საათისთვის, იმ მძღოლს ხვალვე მოვიყვანთ.

მეორე დღეს დაპირისპირება პაპუნას კაბინეტში მოხდა, პაპუნა თვითონ იყო დაინტერესებული ამ გამოძიებით, მიუხედავად იმისა, რომ არ სჯეროდა.

— თქვენი გვარი? — შეეკითხა პაპუნა ოცდაათ წელს გადაცილებულ ახალგაზრდას.

— შოთა ვირეშმაკაშვილი, მცხეთელი.

— გვარი კარგი გქონია, ამ კაცს იცნობ? — მიუთითა ამირანზე.

— როგორ არა, ეგ კაცი იყო ამ ქალბატონს და ამ კაცს შეურაცხყოფა მიაყენა და სამი საზამთრო წაართვა.

— სად ნახე ეგ კაცი?

— დიღმის გადასახვევთან იდგა, მითხრა, მცხეთაში მოვდივარო, შემდეგ მილიციის მოწმობა მაჩვენა და ბაზარში შევიდა, აუწონავად სამი საზამთრო ჩააწყო, მე მაგათი ნაცნობი მეგონა, ამ კაცმა რომ წინააღმდეგობა გაუწია, ერთი მოსდო, ჯიბიდან ფული ამოუღო და უთხრა: „მე ამირანი ვარ ლომჯარია, მილიციის პოლკოვნიკი, ფეხებსაც ვერ მომჭამთო“.

— მართალი ხარ, შვილო, ახლა რომ თქვი სახელი და გვარი ახლა გამახსენდა ლომჯარია,

პაპუნა გაოცდა, ამირანი პაპუნას უყურებდა, ეგონა შანტაჟს მოწყობენო და რატომღაც პაპუნაშიც კი შეეპარა ეჭვი.

— თქვენს გარდა. სხვას ხომ არ დავუნახივარ?

— კითხა ამირანმა.

— როგორ არა, ბაზრიდან რომ წამოვედით, ავტოინსპექტორმა გაგვაჩერა, ჩვენი რაიონისამ, ამირან კეტაშვილმა, შენ უთხარი: „სეხნია, როგორ ხარ, ჩემიანებთან ხომ არ ამიყვანო, იმან თანხმობა გითხრათ, ჩემი მანქანიდან ორი საზამთრო გადაიტანეთ, ერთიც მე დამიტოვეთ და იმის მანქანით წახვედით.

— არ ვიცნობ, ამ ჩემს სეხნია ავტოინსპექტორს, პაპუნა, ის კაცი დავიბაროთ, სხვა გზა არ არის და ეს ხალხიც ხვალ კიდევ შევაწუხოთ, სანამ ყველაფერს არ გავარკვევთ.

— შვილო, შენ ჩვენ შეწუხებაზე ნუ იფიქრებ, თუ საჭიროა ხვალაც მოვალთ, ბატონო მინისტრო და ზეგაცა!

— კი, ბატონო, ხვალაც ამ დროს მობრძანდით, იმ ავტოინსპექტორს დღესვე დავიბარებთ.

— რად უნდა დაბარება რა, შენ წერილი გამატანე, მაგ კაცსა ხვალა მე თვითონ მოგიყვან თავის „ჟიგულითა“, ჩემს მეზობლადა ცხოვრობს.

— ამირან, დაბეჭდე წერილი, ხელიც შენ მოაწერე, თან დაურეკე მცხეთის ავტოინსპექციის უფროსს უზრუნველყოს მისი ხუთ საათზე მოსვლა!

— ბატონო მინისტრო, ეგ კაცი დილის ათი საათისათვის რომ მოგგვარო, ივარგებს?

— ივარგებს ქალბატონო ელენე, ივარგებს!

— ამირან, წერილიც გააყოლე!

მეორე დღეს დილის ათ საათზე, ისევ მინისტრის კაბინეტში მოხდა დაპირისპირება. ამირან კეტაშვილი ცოტა შეცბუნებული იყო.

— ამ კაცს იცნობთ თუ არა, მითხარით გულწრფელად!

— არა, ბატონო მინისტრო!

— აბა ის კაცი ვინ იყო, აგვისტოს თვეში ორი საზამთრო რომ შენს მანქანაში გადმოიტანა და გითხრა „სეხნია, როგორ ხარო“ და სადღაც ახლობლებთან მიგაყვანინა თავი?

— ის კაცი ვინ იყო, არ მახსოვს, შეიძლება ვიღაც მივიყვანე, შეიძლება თვითონ მიცნობდა, რა გითხრათ, არ ვიცი.

— თქვენ ამირან კეტაშვილი ხართ, ეს ამირან ლომჯარიაა, როგორ არ იცნობთ ერთმანეთს?

— არა ბატონო, არ ვიცნობ, ამ კაცს პირველად ვხედავ.

ცოლ-ქმარი გაკვირვებულები უყურებდნენ მეზობელს.

— თქვენ ყველანი თავისუფლები ხართ, ხოლო თქვენ, ამირან კეტაშვილო, გარეთ დაელოდეთ.

— ამირან, თვალებში ვატყობ, ცრუობს, იმ კაცს იცნობს ახლა შენს მოხერხებულობაზეა იტყვის ეგ ინსპექტორი იმ კაცის გვარს თუ არა.

— ქალბატონო ელენე, ბატონო ჭიაბერ, ბატონი ამირანი ცოტახანს აქ დარჩება, თქვენ ავტობუსით მოგიხდებათ სახლში დაბრუნება. — უთხრა მინისტრის კაბინეტიდან გამოსულმა ამირანმა მოსაცდელში იქვე მსხდომ ცოლ-ქმარს.

— რას ვიზამთ, ჩვენ პატარა ხალხი ვართ, მაგრამ მაგ შეურაცხყოფას მაინც არ შევარჩენთ არავისა!

— ბატონო ამირან, წამობრძანდით ჩემს კაბინეტში! — მიმართა ავტოინსპექტორს სეხნიამ,

ამირანი გაჰყვა.

— ამირან, მე სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსი ვარ, კაცს თვალებში რომ შევხედავ, მაშინვე ვხვდები ის ტყუილს ამბობს თუ არა. უნდა მითხრა, ვინ იყო ის კაცი და პირობას გაძლევ დავეხმარები რომ მილიციის რიგებიდან არ გააგდონ.

— არ მახსოვს, ბატონო ამირან, ვინ იყო, თორემ ვინ ეშმაკი. . .

ამირანმა აკრიფა ნომერი:

— ამოვიდნენ ზევით! — ჩასძახა.

რამდენიმე წუთში ორი ოპერატიული მუშაკი ამოვიდა.

— დაადეთ ბორკილები და შეაგდეთ კამერაში, ურტყით, სანამ არ იტყვის, ვინ იყო ის კაცი!

ბიჭები თვალისდახამხამებაში ეცნენ ამირან კეტაშვილს, ბორკილები დაადეს, ხელი წაავლეს და ლიფტით სარდაფში ჩაიყვანეს. სასწრაფოდ გახადეს მილიციის ფორმა და ტრუსიკის ამარა შეაგდეს კამერაში. ცოტა ხნის შემდეგ ამირანიც შევიდა, ხელში რეზინის მათრახი ეჭირა!

— ამირან, დღეს სასწორზე ჩემი კაცობა დევს, ან იტყვი ვინ იყო ის ჩემი ცოდვით სავსე, ან ამ მათრახის ცემით ამოგხდი სულს, აირჩიე, რომელიც გინდა! რადგან უდანაშაულოდ კაცის დაჩაგვრაზე დიდ ცოდვად მე სხვა არა მიმაჩნია რა!

— გამახსებდა, გამახსენდა, — ამირან ბორჯღაძე იყო, ადრე ჩემთან მუშაობდა მილიციაში, ახლა რომელიღაც რაიონშია, მილიციის მაიორია.

ამასობაში შეშინებული ვაჟა სანებლიძე ჩამოვიდა ამირანის დასაწყნარებლად.

— ვინ არისო, რას ამბობს? — შეეკითხა ვაჟა.

— ამირან ბორჯღაძე, თბილისში მუშაობს, რაიონს არ ამბობს, — ამირანი შუბლს ისრესდა, რაღაცას იგონებდა, — მოიცა, მოიცა, მგონი ვიცნობ, მგონი კი არა, ვიცნობ, ეგ საუწყებო დაცვაში მუშაობს, მაიორია, ერთ დროს ვმეგობრობდით კიდეც, ახალგაზრდობაში ერთმანეთს გვამსგავსებდნენ. შე ვირიშვილო! — მიუბრუნდა თავის სეხნიას — დროზე გეთქვა, ახლავე დავურეკავ, სახლის ნომერიც მიწერია და სამსახურისაც. ჩაიცვი ტანსაცმელი და ხვალ ის ცოლ-ქმარი მოიყვანე დილის ათი საათისთვის, თქვენ საშვი გამოწერილი იქნება.

მეორე დღეს ამირანის კაბინეტში ფორმიანი გამოწყობილი ამირან ბორჯღაძე იჯდა.

— ამირან, რამ გაგვახსენა ჩემი თავი?

— შენზე ჩამოვარდა რატომღაც საუბარი და მინისტრმა მთხოვა ეს კაცი მანახეო, უარს ხომ ვერ ვეტყოდი.

— დაწინაურებას ხომ არ ფიქრობს ჩემსას, ამირან, შენ გეცოდინება, თუ დამაწინაურეს, შენი დამსახურება იქნება და მაღარიჩი ჩემზე იყოს.

— არ ვიცი, მთხოვა, გამაცანიო! — ამირანმა საათს დახედა, — წასვლის დროა!

პაპუნას კაბინეტში ცოლ-ქმარი უკვე იჯდა.

— ბატონო პაპუნა, შემოვიყვანო?

— შემოვიდეს უშენოდ!

— შედი, გიცდის! — ამირანმა კაბინეტის კარი ბოლომდე არ დაკეტა.

— მილიციის მაიორი, ამირან ბორჯღაძე, თქვენი ბრძანების თანახმად გამოცხადდა!

— ქალბატონო ელენე, ბატონო ჭიაბერ, გეცნობათ ეს კაცი თუ არა?

ბორჯღაძეს ფერი ეცვალა.

— ეგ იყო, იმ კაცს რას ვერჩოდი, მაგან წაგვართვა საზამთროები და გვცემა.

— კარგით, თქვენ წაბრძანდით. ამირან, შემოდი! ამას ჩვენ მოვუვლით.

გახარებული ცოლ-ქმარი გარეთ გამოვიდა, ამირანს დარცხვენით შეხედეს.

— ამირან, ასეთი მეგობრები ბევრი გვყავს თუ ეს ერთად-ერთი ეგზემპლარია? — ჰკითხა მინისტრმა

— მაპატიე, მთვრალი ვიყავი, ხომ იცი, არც სიფხიზლეში ვარ მთლად დალაგებული, რომ გავიგე, სამძებრო სამმართველოს უფროსად დააწინაურესო, გახარებულმა მარტომ დავლიე, შენს ადგილზე თავი ყოვლისშემძლედ წარმოვიდგინე და ჩემდაუნებურად შენი გვარი წამომცდა.

— ამირან, რა ვუყოთ ამ პროვოკატორს? — მკაცრად იკითხა მინისტრმა.

— ეგ საკითხი მე მომანდეთ, მაგას მე ძმაკაცობის კანონით გავუსწორდები.

— მაგის დასჯა შენთვის მომინდვია, დღეს საღამოს ხუთ საათზე კოლეგიაა, საბუთები შემოიტანე და შემოდი. ახლა კი ორივენი წადით.

ცოლ-ქმარი მინისტრის მოსაცდელში ელოდებოდა ამირანს.

— შემოდით ჩემთან კაბინეტში. — კბილებიდან გამოსცრა ამირანს.

ყველანი სკამებზე ჩამოსხდნენ.

— რა თანხის იყო ზარალი? შეეკითხა ცოლ-ქმარს.

— ზარალი, იმდენი არაფერი, შვილო, ოცდაათი მანეთი და სამი საზამთრო, მაგრამ შეურაცხყოფა იყო დიდი, თუნდაც ის, რომ ხელი თქვენ დაგადეთ უდანაშაულოსა, მართალი კაცის დამნაშავედ გამოცხადება ყველაზე დიდი ცოდვა და შეურაცხოფაა! განსაკუთრე-

ბულად თქვენს წინაშე ვგრძნობთ თავს დამნაშავედ, შვილო, თქვენი სახე ამ კაცის სახისაგან რომ ვერ გავარჩიეთ, რა ვქნათ, ძალიანა ჰგევხართ ერთმანეთსა, გვაპატიეთ გენაცვალე, ბოდიშს გიხდით!

— ერთი სიტყვით, რა თანხაა საჭირო, თქვენი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად?

— ერთი ჭედილა და ასი ლიტრა ღვინო! — თქვა აქამდე ჩუმად მყოფმა ჭიაბერმა — წინათა ასეთი დანაშაულისთვის სიკვდილითა სჯიდნენ. რადგან ეგ კაცი თქვენი ნაცნობი გამოდგა, ჭედილა სიკვდილით დავსაჯოთ, ხოლო მაგ კაცსა სუფრაზე ღვინო არ დავალევინოთ!

— მოკლედ, ამ კეთილ ხალხს შენ ძმაკაც ავტოინსპექტორთან, ამირან კეტაშვილთან ერთად ნახავ და სამას მანეთს აუტან, თუ ფული არ გაქვს, მე მოგცემ, — ამირან ბორჯღაძე ხმას არ იღებდა.

— მაგდენი თანხა პურღვინოსა არ დასჭირდება. — ჩუმად გამოსცრა ჭიაბერმა.

— ყოველ შემთხვევაში, არ დააკლდება. თქვენ თავისუფლები ბრძანდებით, თქვენი ავტოინსპექტორი გარეთ გიცდით, უთხარით, სახლში მიგიყვანოთ, კარგად ბრძანდებოდეთ!

— პურღვინის დროს შეგატყობინებთ. აბა, გვაპატიე, ბატონო ამირან, ნახვამდის!

— ამირან, უნდა მაპატიო, — უცებ მუხლებზე დაიჩოქა ბორჯღაძემ — რაღაც სისულელეებს ჩავდივარ ამ ბოლო დროს, რა მომდის, მე თვითონ არ ვიცი, ეტყობა, კიდევ ვერ დავღვინდი, ჩემს ასაკში ახლა რაღა დროს დაღვინებაა, ან ეტყობა შური მახრჩობს, სამსახურში წინ რომ ვერ წავიწიე!

— კარგი, ადექი, ჩავიდეთ ქვევით, იქ მოგწმენდ ჩვენი მეგობრობის წინაშე ჩადენილ სირცხვილს!

ლიფტით სამინისტროს წინასწარი დაკავების სარდაფში ჩავიდნენ. ამირანმა ცარიელი კამერა გააღებინა, შევიდნენ და კარი მიიხურეს.

— აბა, ამირან ბორჯღაძე, ძმობის მოღალატევ, ჩაიწიე შარვალი და დუნდულები გამოაჩინე და დაწექი ტახტზე. ბორჯღაძემ უსიტყვოდ შეასრულა ამირანის ბრძანება. ამირანმა შარვლიდან ქამარი გამოაძრო და ათჯერ რაც ძალა და ღონე ჰქონდა რბილ ადგილებზე

გადაუჭირა. შემდეგ კარზე დაკაკუნა და მორიგე მილიციონერს უთხრა:

— გაუშვი სახლში!

საღამოს ხუთ საათზე კოლეგია შედგა, ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი ამირანის გადასვლას ქალაქის სამმართველოში. მინისტრმა იქვე მოაწერა ხელი ბრძანებას და ვაჟა სანებლაძეს სთხოვა ხვალ დილით გაჰყოლოდა ქალაქის სამმართველოში კოლექტივთან გასაცნობად.

დილის 7 საათზე ამირანი ტელეფონის ზარმა გააღვიძა, ამირან ბორჯღაძის ცოლი მერი, იყო ტელეფონთან:

— გუშინ ამირანმა თავის მოკვლა სცადა, ორი ფლაკონი დასაძინებელი წამალი დაულევია, საავადმყოფოდან ვრეკავ, ძლივს გადავარჩინეთ! ამირან, წერილი დატოვა შენს სახელზე, ბოდიშს იხდის. გუშინ მე ყველაფერი მომიყვა. ღამე ამდგარა ჩუმად, მე არაფერი გამიგია და ის წამლები დაულევია. ეხლაც საავადმყოფოში ვართ!

— კარგი, მერი, რაც იყო, იყო, რადგან გადარჩა, თავს აწი აღარ მოიკლავს, შენ იცი, რომ მე ეგ ციხეს და სამსახურიდან გაგდებას გადავარჩინე. თავისგვემა ახლა მაგას არ აწყენს. დროა ჭკუაზე მოვიდეს. მერი, რამდენი შვილი გყავთ?

— სამი, ამირან, ორი ბიჭი და ერთი გოგო, შენი ნათლული.

— მერი, ახლა მე ახალ სამსახურში გადამოყვანეს, მოვიცლი და ვნახავ მაგასაც და ჩემს ნათლულსაც. აბა, კარგად იყავი და გამოჯანმრთელებას ვუსურვებ მაგ ვირიშვილს!

* * *

ორთაჭალის ციხის დერეფანში ამირანი შემთხვევით „ვასკას“ შეხვდა და გაუკვირდა.

— შენ აქ რა გინდა, „ვასკა“, შენც ჩავარდი?

გამარჯობა, ამირან, მე ქურდობაზე არ ჩავვარდნილვარ, ხულიგნობაზე უნდა დავეჭირე და ნარკოტიკებზე ჩამსვეს.

— ვა, ვის მიაყენე შეურაცხოფა?

— ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანს.

— რაა? ზუგდიდში რაღა გინდოდა?

— წარმოშობით იქიდან ვარ, მშობლები იქ ცხოვრობენ, ქალაქში რომ საქმე აირევა, იქ ჩავდივარ-ხოლმე დასავენებლად.

— მერე?

— ეს ჩვენი რაიკომის მდივანი გადაკიდებულია, მეუბნება, ჩემს რაიონში ჩამოსული არ დაგინახოო!

— რა უნდა შენგან?

— ბიჭები მოდიან სახლში, პატარას ვქეიფობთ, დროს ვატარებთ.

— მერე?

— მეუბნება: „ახალგაზრდებს მიფუჭებო, შენ გბაძავენო, ავტორიტეტი გაქვს ახლაგაზრდობაშიო“.

— შენ რა, შენს რაიონში ქურდობ?

— როგორ გეკადრება ბატონო ამირან, ხომ იცი, მაგას რომ არ გავაკეთებ, თანაც მე ჯიბის ქურდი ვარ, იქ ხომ არ დავიწყებ ტროლეიბუსში სიარულს და ქურდობას?

— მერე, როგორ მოხვდი აქ?

— გამომიგზავნა მილიციის უფროსი და უთხრა: „თუ არ წავა, დაიჭირეო“. მე და მილიციის უფროსი თანაკლასელები ვართ, სულ ჩემგან იწერდა ხოლმე, ახლა დიდი კაცია. მითხრა „ვასკა, ახლავე უნდა წახვიდე, თორემ იძულებული ვიქნები ან ანაშა ან იარაღი ჩაგიდო ჯიბეშიო“. მეც ცოტა ნასვამი ვიყავი და ვკითხე „სად არის ახლა ეგ რაიკომის მდივანი, მე თვითონ მივალ და ვეტყვი რომ თავი დამანებოს, რას გადამეკიდა-მეთქი“.

„ჩვენმა რაიონმაო — მეუბნება ჩემი კლასელი — სოციალისტურ შეჯიბრში გაიმარჯვა გამახარაძის რაიონთან გამართულ წესრიგის დამყარებაში და შენი რაიონში ყოფნა სახელს გვიტეხავსო“. ვკითხე, თვითონ სად არის — მეთქი“, „სტუმრები ჰყავს ჩამოსული თბილისიდან და რესტორან „ოდიშის“ კუპეში ქეიფობსო“, „მერე ამ შუადღეს თვითონ რატომ არ არის სამსახურში, თავად რატომ არ იცავს წესრიგს-მეთქი“?

— „ვასკა“ არ გამოვა, დღეს თუ არ წახვედი, უნდა დაგიჭირო და მერე ჩემგან არ გეწყინოს.

— კარგი, წავალ ამაღამ მატარებლით. აბა, კარგად იყავი. დავემშვიდობე, ჩავჯექი მანქანაში და წავედი. რესტორანთან რომ ავიარე, ვიფიქრე, რამეს წავიყოლებ, ბიჭებს გამოვეთხოვები-მეთქი. გადმოვედი მანქანიდან. და ვხედავ იქვე დგას რაიკომის პირველი მდივნის მანქანა, დღის სამი საათია, სისხლმა ამომასხა. შევედი კუპეში, სადაც მდივანი იჯდა თავისი სტუმრებით, მერე გაირკვა ცეკას ინსტრუქტორები ყოფილან. ავწიე ჭიქა და ვუთხარი: „ეს იმ რაიონის ხელმძღვანელობას გაუმარჯოს, ვინც ნაღდად იცავს რაიონში წესრიგს, მაგრამ შენ თუ წესიერი კაცი ხარ, ამ გაქანებულ სამუშაო საათებში რა გინდა რესტორანში რომ ქეიფობ, მე შენი პაკაზუხა დედა ვატირე-მეთქი“ და ჭიქა ღვინო სახეში შევასხი. მომცვივდნენ მილიციელები, დამიჭირეს, ნარკოტიკების გაკეთება და რეალიზაცია გამიფორმის, ოქმზე ხელი მოვაწერე, თავს ხომ არ გავალახინებდი და სამი წელი მომარჭვეს მდივნის ხათრით. ასე იყო ყველაფერი, ჩემო ამირან!

— ახლა რას აპირებ?

— უნდა გავასაჩივრო, ექიმებმა დაამტკიცეს, რომ მე ნარკოტიკს არ ვხმარობ, ამასთან პასუხისგებაში არ ვყოფილვარ, ციხეში აქამდე არ ვმჯდარვარ, ეს პირველია, ცოტა თქვენი დახმარების იმედიც მაქვს, ამირან!

— გამოდის, რომ ხულიგნობაზე უნდა იჯდე და ნარკოტიკებზე ზიხარ?

— აბა, რაც იყო ხომ არ გაამხელდა, მაშინ მაგასაც მოხსნიდნენ.

— კარგი, „ვასკა“, ჩვენი მეგობრობის საფასურად ყველაფერს ვეტყვი ალექსანდრეს, „შენს ძმაკაცს“ და ის მოუვლის ამ საქმეს. უშიშროებას მეტი ძალა აქვს.

მართლაც, მეორე დღეს, ამირანმა ყველაფერი უამბო ალექსანდრე ბილაურს.

— მოიცა, ახლავე დავრეკავ, მაგ ბიჭს იმის მერე ვცემ პატივს, რაც გაჭირვებიდან გვიხსნა.

ალექსანდრემ ნომერი აკრიფა:

— გამარჯობა, ზაურ — ბატონო, ალექსანდრე ბილაური გაწუხებთ, ჩვენ ერთი არასასიამოვნო ამბავი მოგვივიდა: თქვენზე გვაც-

ნობეს ავტორიტეტი დაკარგაო, რაიონში ქეიფს მიეძალაო, რესტორანში, სამუშაო საათებში, ღვინო შეასხეს სახეში და ხელიც გაულაწუნესო; ერთი სიტყვით, თბილისში რომ იქნები, შემოდი ჩემთან, ერთი გამარკვიე მაგ საქმეში. გუშინ ჩემმა ხალხმა დაჰკითხა და საჩივარი შეუტანია, „ღვინო შევასხიო“, ხელის დარტყმას უარყოფს, ნარკოტიკები ჩამიდესო“. ცნობაც აქვს, რომ ნარკომანი არ არის, თანაც, ჩემო ზაურ, ვეცდები ეგ ცეკას მდივნის ყურამდე არ მივიდეს, მაგრამ თუ ეგ ციხეში დავტოვეთ, ეგ ამბავი გახმაურდება, და მერე ვეღარ დაგეხმარები, ვინ იცის პირველი როგორ შეხედავს მაგ საქმეს! კარგი, ზაურ, ვეცდები დაგეხმარო, მაგ ვირიშვილს ჩემთან გადმოვიყვან, ერთს მოვდებთ კარგად და გავაგდებთ, თორემ ძალიან აამყრალა აქაურობა. მაღარიჩი და პატივისცემა შენგან არ მაკლია, ზაურ, რომ ჩამოხვალ, შემოიარე, ერთხელ მეც ხომ უნდა ვიკისრო, ოღონდ სამსახურის მერე! — გაიცინა ალექსანდრემ და ყურმილი დადო.

— დიდი მადლობა, ბატონო ალექსანდრე, როდის გამოუშვებთ?

— ხვალვე გამოვაგდებ! ისე, კარგი ბიჭია, აგენტობაზე რომ დაგვთანხმდეს, შტატში ავიყვანდი!

— ისე, როგორ კარგად მოუარეთ მდივანს? — შეაქო ამირანმა ალექსანდრე.

— აბა, რა ჰგონიათ მაგ პარტიულებს, ჩვენ რომ არ ვიყოთ, ეგენი სულ თავს წავლენ! — შეიფერა ალექსანდრემ, — ისე, ისიც ცუდი ბიჭი არ არის, რამდენჯერაც ჩავსულვარ, პურ-ღვინო არ ეშლება!

— ალექსანდრე-ბატონო, კაცობა ისაა, როდესაც ამ სავარძელში აღარ იჯდებით, მაშინ გცემდნენ პატივს, თორემ მანამდე პატივისცემა შენი სავარძელი იმსახურებს!

— მაგაში მართალი ხარ ჩემო ამირან! სხვა რას შვრები, ჩვენთვის რამე საქმე ხომ არ გამოჩხრიკე, ჩვენთან მუშაობს არ კადრულობთ არც შენ და არც შენი „ვასკა“, ინტელექტუალური სამუშაო არ გინდათ, მაინცდამაინც იმ ჭუჭყიან ხალხში გინდათ ტრიალი.

— ბატონო ალექსანდრე! ყველას თავისი აქვს, თქვენს კლიენტებს სულ ნოტებზე და ქარაგმებით უნდა ელაპარაკო, ჩვენს კლიენ-

ტებს, თუ აუცილებელია კიდეც მოვდებთ ხოლმე. ამასთან, ჩვენი აგენტებიც უფრო მიწიერები არიან.

— ამირან, 90%-ზე მეტი საქმე აგენტების დახმარებით იხსნება და მაგათ მიხედვა და მოფერება უნდათ, მაგრამ ყველას არ უნდა ენდო. როგორც ხალხია სხვადასხვა, ისე აგენტებიც სხვადასხვაა, განსაკუთრებით თქვენთან. აგენტი შეიძლება იყოს ძაღლივით ერთგული, შენს გარდა არავის არ ემორჩილებოდეს და სხვასაც საქმეს არ მისცეს, მაგრამ შენც თანდათან უნდა ახვიდე კარიერის საფეხურებზე მან რომ შენი იწამოს და შენით იტრაბახოს. არის მგელის ტიპის ვაჟკაცი აგენტები, ყველა საქმეში მოგყვება, გეხმარება, თავს არ ზოგავს, მაგრამ არც თავის წილს გაუშვებს ხელიდან. კი არ მოგპარავს, გეტყვის „აი ეს მიმაქვსო“! არის მელას ტიპის აგენტები, ეშმაკები, ფრთხილები, ყველა კარტს არ გაგიშლის, თუ დაჭირდება შეუძლია საქმე გაყიდოს თუ დიდ ფულს შეაძლევენ. ამიტომ ყველას ბუნება უნდა იცოდე. ამასთან აგენტები ხშირად უნდ შეაქო, უნდა უთხრა რომ მან ამ საქმეში პროფესიონალის დონეზე იმუშავა, — ძალიან სიამოვნებით.

— ბევრი აგენტი თვითონ გვთავაზობს თავის სამსახურს, მაგრამ რომ დავუკვირდები მასში შეამჩნევ საცოდავ ადამიანებს, რომლებსაც თავის წარმოსაჩენად და დასაცავად უნდათ ჩვენთან თანამშრომლობა; არიან აშკარა ავანტიურისტული ბუნების ხალხი, რომლებიც დასმენაში ნახულობენ ცხოვრების აზრს. არიან ღირსებას მოკლებულნი, მშიშარა ბუნების ხალხი, ზოგსაც უყვარს თავის თავზე შექმნას იდუმლებით მოცული ისტორიები და ისინი ცხოვრებასთან ამ თამაშში ღებულობენ უდიდეს სიამოვნებას.

— არიან მასეთებიც.

— ზოგი ბატონო ალექსანდრე, მაზოხისტად იბადება, იმ დღეს ექიმებს ვეკითხები „მაზოხიზმი“ დაავადებაა თუ ფსიქიკური გადახრა მეთქი, ვერ მიპასუხეს. ადამიანი რაშიც თვითკმაყოფილებას ნახულობსო, ის მედიცინისთვის დაავადებად არ ითვლებაო.

— ამირან, ამერიკაში ბევრ მოქალაქეს სადარბაზო კარებზე აქვს გაკრული აბრა წარწერით „პოლიციის დამხმარე“ და ამით ამაყობენ და მიაჩნიათ, რომ ყველამ პასუხი უნდა აგოს თავის საქციელზე.

— ბატონო ალექსანდრე, ჩვენთან ყველა იპარავს, ყველა რაღაცას მაიმუნობს და ამიტომაცაა, რომ არ უყვართ დასმენა, აბა წესიერი საზოგადოება — თან ეკონომიკურად ძლიერი რომ იყოს, მაშინ კი არ შეხედავდნენ ამ საქმეს ასე. მაშინ ის ვინც კანონს დაარღვევს, ან ავადმყოფია, ან სხვანაირად ცხოვრება არ შეუძლია.

— ამირან, ყური მოვკარი აგენტებს ახლა რეკეტი დაუწყიათ და ამბობენ მილიცია „ნე ვიჟუს“ თამაშობსო, რადგან წილი მიაქვთო, რას იტყვი მართლა?

— არც მთლად მასეა საქმე, მაგრამ ჩვენი წამპალი სახელმწიფო მათ თავის საკმარის ფულს არ გვაძლევს, უმაგითოდ საქმე არ კეთდება, ამიტომ ზოგჯერ აძლევენ ფულის შოვნის საშუალებას ბიჭები. ახლა ვერ გაიგეს ვინ გადამყიდველია და ვინ წესიერი ვაჭარი, ამიტომ ბაზრებში ეგენიც ვიღაცას პატრონობენ, ეხმარებიან და ხელს ითბობენ.

— და თქვენი ხალხიც წილში გაყავთ.

— ეტყობა არც მთლად უმაგისობაა, როცა ქვეყანა აირევა, ყველა თავის საძრომიალოს ეძაბს.

— დამიჯერე ამირან, არაფერი ხეირიანი ამ „პერესტროიკიდან“ არ გამოვა, ხალხს ასე უცბად ძველი ჩვევების მოშორება და ახლის შეჩვევა არ შეუძლია. არც ასე ადვილია კერპების მსხვრევა და ახლის შეთვისება.

— ბატონო ალექსანდრე, ეს ჩვენ გვეჩვენება ასე, თორემ ახალგაზრდობა ყველაფერს ჰარი-ჰარალოდ უყურებს და ადვილად ეჩვევა, განსაკუთრებით კარგ ცხოვრებას.

— რაც მოსახდენია, მაინც მოხდება, მე ჩემი დრო და ცხოვრება მოვჭამე ავად იყო თუ კარგად, მაგრამ როდესაც ახალ სახლს აშენებ, ძველი არ უნდა დაანგრიო, ახალ სახლში ნელნელა გადადი, მიეჩვიე, გაითავისე, შემდგომ ან თვითონ დაინგრევა ეს ძველი ან დაანგრევ და უკეთესს ააშენებ. რაც არის ეგ არის, ამირან შენი დავალება ხომ შევასრულე პირნათლად, ხანდახან ისედაც მომიკითხე ეს გენერალ-პოლკოვნიკი კაცი, მთლად გადასაგდებად ნუ გამიმეტებ!

— როგორ გეკადრებათ ბატონო ალექსანდრე, დიდი მადლობა, თქვენს გარეშე მაგ საქმეს არ მოევლებოდა, ხომ იცით პარტიასთან

ჩვენ არაფერი გაგვდის, სოციალიზმის ნებაყოფილ ყაჩაღებს გვიწოდებენ.

— ჩვენი სოციალიზმის უმთავრესი შეცდომა ის არის, რომ ცდილობს საზოგადოებას სხვადასხვა ფენების გათანაბრებას, როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად, იმის მაგიერ რომ კანონთან გაათანაბრონ ყველა. მაგრამ მაგათ კანონი სხვისთვის უნდათ, თავისთვის პარტიის ნება-სურვილების თავის სასარგებლოდ აღსრულება.

— ეს „პერესტროიკა“ ბატონო ალექსანდრე ალბათ იმიტომ დაგვჭირდა, რომ პოლიტიკაზე ფეხმორთხმით ყბედობა და ოცნების ღადარის ქექვა ყველას შეუძლია, მაგრამ სახელმწიფოს ღირსეული მართვა და ხალხის წვრთნა, ერთეულთა ხვედრია.

— განსაკუთრებით ჩვენი ხალხის წინამძღოლი, თუ ის მომთხოვნელობით და იუმორის გრძნობით არ არის დაჯილდოვებული, მას პიროვნებად არ აღიარებენ და არც საქმე წაიწევს წინ. კარგად იყავი ჩემო ამირან, გულის მოფხანა ხანდახან მეც მჭირდება — ფეხზე წამოდგა და ამირანს ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა.

* * *

ამირანი ერთ რამეს დაუკვირდა, ყველა ძველი სამსახურიდან მისი გაშვება არ უნდოდათ და რაღაც სიძნელეებს უწყობდნენ, ახალ სამსახურში კი პირველად ისეთი ძნელი საქმე ხვდებოდა, რომ მისი გახსნა ხშირ შემთხვევაში ძაფზე ეკიდა.

ქალაქის პოლიციის უფროსმა პეტრე ობოლაძემ, იგრძნო რომ ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა ამირანის სახით და უაღრეს სიფრთხილეს იჩენდა ურთიერთობაში.

ამირანს ერთი კარგი წესი ჰქონდა. თვეში ერთხელ თავის აგენტებს გაიხსენებდა, დაელაპარაკებოდა, მოიკითხავდა, ტკბილ სიტყვას არ დაიშურებდა. ოთხმოცდაათ წელს მიტანებული მარუსიაც ტელეფონით რამდენჯერმე მოიკითხა, ისიც ებოდიშებოდა: „შენთვის საყურადღებო ჩვენს სადარბაზოში არაფერი ხდება და სხვაგან მე არ დავდივარ, ვერაფრით გეხმარებიო“. ხანდახან თინიკოსაც გადაურეკავდა ხოლმე. თინიკო, ამჯერად, „სუკში“ მუშაობდა კოტესთან და უკვე ლიეტენანტის წოდებაც მიეღო.

საერთოდ თინიკოს მიმართ სხვადასხვა გრძნობა ჰქონდა ამირანს, ერთი პირობა ცოლად შერთვაც კი მოუნდომა, მაგრამ თავი შეიკავა. ეს ქალი რაღაც „უკომპლექსო“ იყო, დაურეკავდა, შეხვდებოდნენ, არ დაურეკავდა ამირანი, თვითონ არ გაახსენდებოდა, არც მოიკითხავდა. მაგრამ, ერთი კი ჰქონდა თინიკოს ძალიან დადებითი, თუ საქმეს ხელს მოჰკიდებდა, უსათუოდ ბოლომდე მიიყვანდა.

როგორც ყოველთვის, აქტიურობდა ბესარიონ ჯაყელი. ქეთინოს როცა ფული შემოაკლდებოდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდა ამირანი და დაურეკავდა, მაგრამ ახალს არაფერს ეუბნებოდა, რძის კომბინატში როგორც ადრე იყო, ისევე გრძელდებოდა ქურდობა. სისხლის სამართლის დანაშაულს კი იმ სახით, როგორიც ამირანის უწყებას აინტერესებდა, არავინ ჩადიოდა.

ამ ბოლო დროს რამდენიმე „სექტეტს“ გაეცნო, რომლებსაც ციხეში პატიმრებთან შეუშვებდნენ ხოლმე გამოსატეხად. მათ პატიმრები „ნასედკას“ ეძახდნენ. ამირანს ძველი, გამოცდილი „სექტეტი“ ნიკოლოზი, გააცნეს, რომელსაც ბევრი საჩოთირო და ძნელი საქმე ჰქონდა გახსნილი. განათლებული კაცი იყო, ცნობილი რევოლუციონერის შვილი, ციმბირში დაბადებული და გაზრდილი. მამამისი და სტალინი თავის დროზე კარგი ნაცნობები ყოფილან თურმე. ქართულ დეკადაზე სტალინს უცვნია ეს კაცი, ხელი ჩამოურთმევია, გადახვევია, მამამისს კი ხელი მოუხვევია სტალინისათვის და სიხარულით იატაკიდან ზევით აუწევია. რა თქმა უნდა, მაშინ მისთვის არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ თბილისში რომ ჩამოსულა, ციმბირში უკრეს თავი. იქ, გადასახლებაში გაუცვნია ასევე გადასახლებული ქართველი ქალი, რომელსაც თავისუფალი მიმოსვლის უფლება ჰქონია დასახლებაში. სტალინის სიკვდილის შემდეგ მამა მალე გარდაცვლილა. დაქვრივებული დედა ცოლად გაჰყოლია თბილისში ორთაჭალის ციხის უფროსის მოადგილეს. აქ ნახა ნიკოლოზმა ციხის ცხოვრება. ერთხელ, თხუთმეტი წლისას რაღაც დაუშავებია და დასაშინებლად მამინაცვალს საკანში შეუგდია პატიმრებთან. ორი დღის შემდეგ ნიკოლოზს მამინაცვლისთვის ისეთი რამე უამბნია კამერაში მყოფი პატიმრების შესახებ, რომ მამინაცვალი პრემიით დაუჯილდოებიათ. ეს სამუშაო ისე მოსწონებია ნიკოლოზს რომ

სტუდენტობის პერიოდშიც კისრულობდა „ნასედკობას“. ამჟამად ნიკოლოზი პენსიაში იყო, მაგრამ თუ მისი გამოყენება სჭირდებოდათ, უარს არ ამბობდა. „სექტეტები“ სხვადასხვა გზით ხდებიან, მაგრამ უმეტესობას ეს სურვილად, პროფესიად გადაექცევათ ხოლმე. აბა, რას უნდა მივაწეროთ, კაცი რომ ორი-სამი თვე ნებაყოფლობით ცხოვრობს აყროლებულ კამერაში და თუ გაუგეს, სიკვდილი არ ასცდება.

ამირანი ფიქრებიდან ტელეფონის ზარის ხმამ გამოაფხიზლა, პეტრე ობოლაძე სთხოვდა მასთან შესულიყო.

— დაბრძანდი ამირან, შენ დღეს ჩემი პირველი მოადგილე ხარ და ჩემს სამმართველოში ყოფნის დროს გევალება არა მარტო სამძებროს საქმიანობა, დატაცებაც, შენ არასაუწყებო დაცვასაც, მეხნაძრეებსაც უნდა მიხედო. ხანდახან ქალაქის მერიაში უნდა შეიარო, მარტო შენი სამძებროს საქმეებით ნუ შემოიფარგლები, ჩვენ იმიტომ გაგვიხარდა შენი ჩვენთან გადმოსვლა, რომ ჩვენი გამოძიება ამ ბოლო ხანებში ცოტა მოიკოჭლებს. ამიტომ ჩემი თხოვნა იქნება, ყველა გახმაურებული საქმე, რომლითაც მთავრობა დაინტერესდა, რა სამსახურსაც არ უნდა ეკუთვნოდეს, შენ დაგეწერება ბრძანებით, შენ დაგევალება, რა თქმა უნდა, შენთან შეთანხმებით. დანარჩენს, წვრილმან და არამყვირალა საქმეებს ერთიანი ძალებით ყველანი მივხედავთ. დღევანდელი დღე ასე მოითხოვს. მე და შენ ორთავენი უფროსები და ერთმანეთის შემცვლელები ვართ, ასე, რომ ყოველთვის შეგიძლია წარმოიდგინო თავი ჩემს ადგილზე. შეიძლება მე ხვალ პენსიაში გავიდე ან სხვაგან გადამიყვანონ, შენ ყოველთვის მზად უნდა იყო ჩემს შესაცვლელად. ამიტომ საქმეში შენი — ჩემი არ გამოვა. დავიწყოთ გუშინდელი მკვლელობით, — ამირანს საქაღალდე დაუდო წინ, — ამას იძიებს სამძებრო განყოფილების გამომძიებელი გაიოზ წოწორია, მაგარამ ჯერ არავითარი ვერსია არ აქვს. მიხედე, ხომ იცი, მკვლელობის გამოძიების მსვლელობა ცეკას მდივანს აქვს კონტროლზე აყვანილი. ეს ამ სამმართველოში შენი პირველი საქმეა და წარმატებას გისურვებ!

ამირანმა უსიტყვოდ აიღო საქაღალდე და თავის კაბინეტს მიაშურა. მიხვდა, რომ პეტრე ობოლაძემ გამოიწვია, „აბა ვნახოთ, რისი შემძლები ხარ, ყოველთვის ხომ არ გაგიმართლებსო“.

საქარხნო რაიონში, მებაღეობის ამხანაგობის ნაკვეთების მიმდებარე ტერიტორიაზე ხელოვნურად გაშენებულ ფიჭვნარის კორომში, ნახეს ოთხმოც წელს მიღწეული, დანით მოკლული, მემანქანის გვამი, რომელიც სამანევრო ორთქმავლებზე მუშაობდა. ეს კაცი დამსახურებული რკინიგზელი იყო, რამდენჯერმე ლენინის ორდენით დაჯილდოებული და როგორც ამბობენ, მხოლოდ მას ანდობდნენ ორთქმავალს როდესაც სტალინი ჩამოდიოდა ხოლმე საქართველოში დასასვენებლად. არავითარი ძალადობის კვალი არ ემჩნეოდა. ეტყობა, იგი რაღაც შემთხვევითი ამბის გამო იყო მოკლული. საქმეში მხოლოდ მოკლულის სურათი, მისი ვინაობა და ადგილის დათვალიერების აქტი იყო. დაკითხული არავინ იყო. ამირანმა წოწორია გამოიძახა:

— გაიოზ, როგორ აპირებ ამ საქმის გახსნას, ხალხი რატომ არ დაკითხე?

იმ ტყეში ვინ უნდა დამეკითხა, ის, ვინც გვამი ნახა, შემთხვევით წააწყდა, მის გარდა იქ არავინ იყო!

— როგორ დავიჯერო, ირგვლივ არ შეგროვდა უსაქმურთა ბრბო, არ შეიძლება მათ გასაუბრებოდი?

— ბატონო ამირან, ეგ საქმე პირადად მე გაუხსნელად მეჩვენება, ხოლო პირდაუღებელი ბოთეების დაკითხვას რა უნდა მოეცა, თან ეს კაცი მარტოხელა ყოფილა, ცხოვრობდა გლდანის მასივში. მკვლელობის მოტივი არ არსებობს, ან ვიღაცაში შეეშალათ ან ვიღაცა მანიაკმა წამოაგო დანაზე.

— ეს ჩემი პირველი საქმეა აქ, შენთან ერთად და არ მინდა თავი შევირცხვინოთ.

— კი, ბატონო, მირჩიეთ რამე, გზა მომეცით, მე ვერაფერ გზას ვერ ვხედავ.

— კარგი, წავიდეთ, ის ადგილი კიდევ ერთხელ დავათვალიეროთ. ძაღლი მაინც წამოგვეყვანა, იქნებ რამე გეში აეღო!

— რა გეში უნდა აიღოს, ექსპერტმა თქვა, სამი დღის მკვდარია.

ამირანმა დაათვალიერა მკვლელობის ადგილი. ტყეში რამდენიმე წყვილი დასეირნობდა, არც ისე უკაცრიელი გამოდგა ეს ადგი-

ლი, როგორც გაიოზი აღწერდა. ტყის მეორე მხარეს ახალი დასახლება მოჩანდა, გამორიცხული არ იყო მკვლელი ამ დასახლებიდანაც რომ ყოფილიყო. შეიძლება მკვლელი მებაღეობის ნაკვეთების მფლობელებშიც ეძებნათ, თუმცა ეს ნაკლებ სარწმუნო იყო.

ამირანს გაახსენდა, რომ ამ დასახლებაში აგენტი ჰყავდა. მანქანა ამ დასახლებისკენ მიაბრუნეს. ამირანმა თვალი მოჰკრა აგენტს, რომელიც მეზობლებთან დომინოს თამაშობდა.

ამირანი მოთამაშეებს მიუახლოვდა, მიესალმა და თავი გააცნო:

— მე ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე გახლავართ, პოლკოვნიკი ამირან ლომჟარია. აქ გუშინ მოკლული კაცის გვამი ნახეს, შემთხვევით ვინმე ხომ არ იცნობდით?

— ცნობით არავინ, ბატონო, მაგრამ ეგ კაცი რამდენიმე დღის წინათ ნახეს, მაგრამ რატომღაც მილიციას გუშინ შეატყობინეს.

— დასახლებაში თუ გყავთ აცვენილი ხალხი, ლოთები, ნარკომანები.

— ნარკომანები არა, მაგრამ ლოთები კი არიან. აგერ ეს ერთი, ვერ მოვიშორეთ, თამაშის საშუალებას არ გვაძლევს, — მიუთითა სათამაშო მაგიდაზე თავჩამოდებულ კაცზე ამირანის აგენტმა.

— თუ წინააღმდეგი არ ხართ ცალ-ცალკე გაგესაუბრებით მე და ჩემი კოლეგა. გიზო, მაგ ლოთს გაესაუბრე იმ ფანჩატურში, მე მეგობარს ვთხოვ, მანქანაში წამობრძანდეს თუ შეიძლება. თქვენი სახელი და გვარი?

— ივანე ქორაშვილი.

— ბატონო ივანე, თუ შეიძლება ცოტა მოშორებით გავიდეთ, მე მგონი ჯობს მანქანაში ვისაუბროთ. — ივანე, გამარჯობა! ასე უნდა ძმობის დავიწყება? შენ ეს მითხარი, ვინმეზე ეჭვი ხომ არ გაქვს?

— ჩვენთან მაგის ჩამდენი, ბატონო ამირან, არავინ არის. ღვინის სმა ბევრს უყვარს, მაგრამ კაცის მოკვლა არც ისე ადგილი საქმეა, თანაც უდანაშაულოსი, ისიც მოხუცი კაცის!

— შენ გამოცდილი კაცი ხარ ივანე, გვითხარი ამ საქმეს უფრო საიდან მივუდგეთ?

— არ ვიცი, გუშინ ჩემი ცოლო ამბობდა, ვითომ ამ ლოთის შვილს ჩემი შვილიშვილისთვის უთქვამს „ეს კაცი მამაჩემმა მოკლაო, შენ რა გგონია, მერე რა, რომ ლოთია, თუ გააბრაზეს, კაცსაც მოკვლავსო“.

— შეიძლება თქვენს შვილის შვილს გავესაუბრო? რომელ კლასშია?

— მერვეში, სკოლიდან ჯერ არ იქნება მოსული, მაგის ბიჭი და ჩემი შვილიშვილი ერთად სწავლობენ.

— როგორ ფიქრობ, შეუძლია ამ ლოთს კაცის მოკვლა?

— კაცის მოკვლა კი არა, მაგ საცოდავს სული ძლივს უდგას, ოჯახს ცოლი არჩენს, ეგ თვითონ ელექტროშემდუღებელია, მაგის ხელფასს ცოლი იღებს მთლიანად. სულ მთვრალია, მაგრამ რაღაც ფულს მაინც შოულობს დასალევად.

— კარგი, ივანე, დატრიალდი შენებურად, მოინდომე, იქნებ რამე გამოვიდეს!

— ივანე, მანქანიდან გადავიდა. გიზომ ლოთი მოიყვანა და მანქანაში ჩასვა. თვითონ მანქანის საჭეს მიუჯდა.

— ამირან, იცი ეს კაცი რას ამბობს?

— ვიცი, „ის კაცი მე მოვკალიო“!

— შენ რა იცი?

— შემოატრიალე ერთი მანქანა ისევ იმ ხალხთან მივიდეთ.

— ბატონო ივანე, ამის ოჯახს გადაეცით, რომ გამოსაფხიზლებელში მიგვყავს და ხვალ თუ არ გამოვუშვით, ქალაქის მილიციაში მოაკითხოს და ბავშვიც წამოიყვანოს.

ორი დღე ლოთისთვის არც პატრონს მოუკითხავს და არც მილიციას. მესამე დღეს სრულიად გამოფხიზლებული იჯდა წოწორიას და ამირანის წინაშე.

— თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდომარეობა.

— ნოდარ სპირიდონის-ძე გავაშელი, ვარკეთილის ბოლო დასახლება, მეხუთე კორპუსი, ბინა 5; ვარ ცოლიანი, მყავს შვილი.

— ახლა გაიმეორეთ ის, რაც უთხარით გამომძიებელ გაიოზ წოწორიას, ის კაცი მართლა თქვენ მოკალით? ადასტურებთ ამას თუ უარყოფთ.

— ვადასტურებ, მაგ კაცს ჩემი ვალი ჰქონდა, უკვე რამდენიმე წელია, არ დამიბრუნა, შევკამათდით, შესაშინებლად დანა მოვუღერე, ხელი გამარტყა, მეც შემთხვევით კისრის არეში დავარტყი, მისი მოკვლა ნამდვილად არ მინდოდა.

— რა გვარი იყო მოკლული?

— მიშა ურუშაძე, რკინიგზელი.

— სად ცხოვრობდა?

— არ ვიცი, მასთან სახლში არ ვყოფილვარ, სამსახურში, დეპოში, ვნახულობდი ხოლმე, ვალის სათხოვნელად რომ მივიდოდი.

— რას იტყვი გაიოზ, რამდენად გჯერა ამის ნათქვამი!

— რა ვიცი, ჯერ-ჯერობით კარგად მეტყველებს, წაიყვანეთ, ჩაუტარეთ ექსპერტიზა, ვნახოთ, თუ მაგისი ხელის ანაბეჭდები აღმოჩნდება, საქმე დახურულად ჩავთვალოთ.

— დანა რომ ამოვიღე, ბატონო, — თქვა ნოდარმა, — ცხვირსახოციც ამომყვა და დანაზე შეიძლება მთლად კარგად არ ჩანდეს ანაბეჭდები.

ამირანმა ზარი დარეკა. ბადრაგმა გავაშელი გაიყვანა.

ამირანს დაურეკეს და მოახსენეს „გავაშელის ცოლი და ბიჭი არიან მოსულიო“ — გაიოზ, ქვევით ამ კაცის ცოლ-შვილია მოსული. ის ბავშვი კარგად დაკითხე, ჰკითხე, როდის წაუტრაბახა მამამისმა, რომ კაცი მოკლა, ვინმემ ჰკითხა თუ თვითონ წამოიწყო ამაზე ლაპარაკი.

— რა ბედზე წავედით, ბატონო ამირან, იმ დასახლებაში, თორემ ეს საქმე კისერზე ჩამოგვეკიდებოდა!

— მე პირადად არ მჯერა, რომ ის კაცი მაგის მოკლულია, მაგრამ თუ ასე უნდა ჩვენ დაგვეხმაროს, ჯერ-ჯერობით, ხელს არ შევუშლი, მაგრამ ეს საქმე მაინც გვექნება ჩამოკიდებული, არაოფიციალურად, ჩემო გაიოზ!

— თქვენ არ გჯერათ?

— მჯერა, თუ არა, ეს სხვა საქმეა, გამომძიებელი შენა ხარ, შენ აგებ პასუხს, მე უბრალოდ კურატორი ვარ, გეხმარები.

* * *

ამირანს, როგორც იქნა, გაუფორმეს შვებულება. რაღაც გადაღლილად გრძნობდა თავს, რამდენიმე წელია შვებულებაში არ ყოფილა. გაუფორმეს ისიც იმ პირობით, რომ როგორც კი გამოიძახებდნენ, უნდა გამოცხადებულიყო.

ამირანს კუპირებულ ვაგონში ზედა საწოლი ეკავა. სოჭში მიემგზავრებოდა, სანატორიუმ „გრუზიაში". თბილისი-მოსკოვის მატარებელი სოჭში ღამის პირველ საათზე ჩადიოდა. შევიდა თუ არა კუპეში, მაშინვე წამოწვა საწოლზე და ჩათვლიმა. ხმაურმა გამოაღვიძა. მატარებელი სამტრედიაში იდგა, დაჯავშნული ადგილები სამმა ახალგაზრდამ დაიკავა. ცოტათი ნასვამები იყვნენ. ახალგაზრდებმა სპორტული კოსტუმები ჩაიცვეს და სუფრა გაშალეს. ამირანისკენ ერთი კი გაიხედეს, მაგრამ ზურგშექცეული რომ დაინახეს, იფიქრეს, ძინავსო და ყურადღება აღარ მიაქციეს.

— აბა, ხონელო ზაზა კინწურაშვილო, მოგვილოცავს შენთვის სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვა, მართალია, დიდი რუსულის მოლაპარაკე არა ხარ, მაგრამ მოსკოველი სტუდენტი გქვია, ძმაო!

— არც შენ გადმოგდის ცოდნა ყურებიდან, აგერ მეოთხე კურსზე სწავლობ და რუსულად შენზე უკეთესად მგონი მე ვლაპარაკობ.

— ბიჭებო, მოდი ამ სასმისით მოსკოვის მესამე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს, ხონელ ზაზა კინწურაშვილს, დიდ ჯიხაისელ გივი კოსტავას და სამტრედიელ გელა აბაშიძეს და „ჩვენს მამას და მარჩენალს" გურამ ხარაძეს გაუმარჯოს! ის კაცი რომ არა, ჩვენ ვერც ერთმანეთს დავუახლოვდებოდით და მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტს ვინ მიგვაკარებდა!

— ჩვენ გაგვიმარჯოს, ბიჭებო, გივი კოსტავას მამის, ნესტორის უნივერსამს, გელა აბაშიძის მამის, ზურაბის მზა პროდუქციის საწყობის და მამაჩემის, გიგას ძაფსაღები ქარხნის ფულების თამადობით ჩვენს მამებს გაუმარჯოს! ჩვენი ცოდნის დონით დღეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის იქით ვერ გავიხედავდით.

— იმ ხალხსაც გაუმარჯოს, ვისაც ჩვენი მოწყობა გაუხარდა, ვისაც, არა და იმათი დედაც ვატირე!

— ისე, მამაჩემი დამემუქრა, ამდენი ფული რომ გადამახდევინეთ, ისწავლე არ შემარცხვინოო, თორემ შენს შვილობაზე ხელს ავიღებო!

— შვილი ისეთი „ფრუკტია“, რაც უნდა გაწყენინოს, ფეხებსაც ვერ მოსჭამ, იმიტომ რომ შენი გენის ნაჩალიჩევია და რაც მთავარია შენი სისხლი და ხორცი.

— დაანებე ფილოსოფოსობას თავი, შენს მშობლებს შენი ყოლაც ეყოფათ სასჯელად, ახლა მთავარია რომ პატარაზე ხელი ჩვენც გამოვიღოთ. ბატონი გურამის თხოვნაა მომავალი წლისთვის ინსტიტუტში მოსაწყობი ხალხი მოვაგროვოთ.

— ისე, ძმაო, ეგ გურამი მაგარი კაცია, კარნახში ათ სიტყვაში ცხრა შეცდომა მქონდა, გადამაწერინეს და ერთი შეცდომა მაინც გამეპარა, ადგნენ, ჩემი კალმით გამისწორეს და ისე მივიღე ხუთიანი. მართალი გითხა, თავიდან არ მინდოდა მოსკოვში სწავლა, მაგრამ გურამის მონდომება რომ დავინახე, როგორღაც შემრცხვა.

— გურამი ხარაძეს ფულის დაკარგვა აწუხებდა, თვარა შენ და მეც ფეხებზე ვეკიდეთ!

— რად უნდაც ამდენი ფული ნეტავი, წელს ერთი ორმოცი კაცი მარტო საქართველოდან მოაწყო ინსტიტუტებში.

— ამბობენ, ქალების მოყვარულიაო, მეგობრები უყვარსო.

— დედაჩემი ელაპარაკებოდა ტელეფონით მამაჩემს ხონში, თურმე გურამს თავის ცოლისთვის ღალატი შეუმჩნევია, თმები გადაუპარსავს ცოლისთვის, წებო წაუსვამს თავზე და ტანზე, ბალიშის ბუმბულები მოუყრია ზედ და ასე ტიტველი გამოუგდია თურმე ქუჩაში!

ამირანი გატრუნული იწვა და უსმენდა ბიჭების ლაპარაკს. ყველას გვარები და სახელები დაიმახსოვრა და მიხვდა, რომ ხელში სარფიანი საქმე ჩაუვარდა. ბიჭებმა დაიძინეს, ამირანმა ტანსაცმელი გადაიცვა და სოჭში ჩავიდა.

მეორე დღეს დარეკა პაპუნასთან, მოუყვა მატარებელში მოსმენილის მოკლე შინაარსი და სთხოვა ამ ბიჭების მშობლების ვინაობა და საქმიანობა დაედგინათ.

ამირანს გულმა აღარ მოუთმინა და ერთი კვირით ადრე დაბრუნდა სოჭიდან თბილისში. მის ყოფილ განყოფილებას საკმაო მასალები შეეგროვებინა. ახლა საჭირო იყო იმ ბიჭების ნახვა მოსკოვში და დაკითხვა. თუ ეს საქმე ისე წავიდოდა როგორც ეს ამირანს ჰქონდა ჩაფიქრებული, მაშინ საკავშირო სამინისტროს მადლობასაც არ აცდებოდა. ამირანმა თვითონ ითავა გამოძიების კურატორობა. პეტრე ობოლაძეს მინისტრის ბრძანება მიუტანა მოსკოვში მივლინების გასაფორმებლად. რეზო აბუზღუნდა:

— აღარ უნდა შეგეშვან? მაგათი საქმეებიც ჩვენ უნდა ვაკეთოთ?

მეორე დღეს ამირანი, სამინისტროს თანამშრომელ გია სურმავასთან ერთად, მოსკოვში იყო. სასტუმრო „პეკინში“ დაბინავდნენ და იმავე დღეს ეწვივნენ მოსკოვის მესამე სამედიცინო ინსტიტუტს. ცოტა ხნის შემდეგ სამივე სტუდენტი კითხვებს პასუხობდნენ.

— გვაქვს ოფიციალური წერილი, რომ თქვენ ვინმე გურამ ხარაძის დახმარებით მოხვდით ამ სასწავლებელში. გურამს პატიმრობაში ავიყვანთ, ხოლო თქვენ გამოცდების თავიდან ჩაბარება მოგიწევთ.

— არა მარტო თქვენ, არამედ საქართველოდან ჩამოსულ ყველა სტუდენტს, — ჩაერია საუბარში გია სურმავა, — მთავარი მოწმეები თქვენ იქნებით.

— გამოცდებს თუ ვერ ჩაბარებთ, რაშიც ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, თქვენი მშობლების საქმიანობასაც შევისწავლით და იმათაც ციხეში ვუკრავთ თავს! ერთი სიტყვით, მოყევით, რაც იცით მაგ კაცის საქმიანობის შესახებ, ხოლო რასაც ვერ გაიხსენებთ, მე დაგეხმარებით! აბა, კინწურაშვილო, რომ იქაჩებოდი მატარებლის კუპეში, ხალხი მოვუნახოთ ბატონ გურამს და ჩვენც რაღაცა დაგვრჩებაო, მოყევი გაკვეთილი, გვითხარი ვინ არის ეს გურამი და საიდან იცნობ!

— გურამ ხარაძე ცნობილი ექიმი და საქმოსანია, არ ვიცი, ჩემმა მშობლებმა საიდან გაიცვნეს, მაგრამ მისაღები გამოცდების ჩაბარებაში რომ დაგვეხმარა, ეს ცხადია!

— რამდენი გადაიხადეს მშობლებმა თქვენს მოწყობაში?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მე მგონი ასე ოცი ათას მანეთამდე.

საუბარი იმით დამთავრდა, რომ სხვებმაც აღიარეს, რომ მშობლებმა ფული გადაიხადეს მათ მოწყობაში. მოსკოვის მილიციამ იმ დღესვე გამოწერა გურამ ხარაძის დაპატიმრების ორდერი, მაგრამ გურამი სახლში არ დახვდათ. ის სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომლებს უკვე გაეფრთხილებინათ, ერთი კვირის შემდეგ რუსი კოლეგების დახმარებით მაინც მიაგნეს, ქალაქგარეთ, „ტარასოვკაზე“, საყვარელ ქალთან იმალებოდა. იგი დაპატიმრებას მშვიდად შეხვდა. დაკითხვაზე თავის დაძვრენა არ უცდია. აღიარა ის, რის დამალვასაც აზრი არ ჰქონდა:

— ორმოცი კაცი მოვაწყე, ახია ჩემზე, ცხოვრებაში უნახავ და უცოდინარ კაცთან საქმე არ უნდა იქონიო, მაგათ ყველაფერი უკვირთ, ყველგან ტრაბახობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ეს კი შურს იწვევს, შური დასმენას. იმ ხალხის და მათი მშობლების დაკითხვას აზრი არ აქვს, მითუმეტეს რომ მე ყველაფერს ვაღიარებ,

— რა ვქნათ, ბატონო გურამ, არ დავკითხოთ ის ორმოცი სტუდენტი და მათი მშობლები?

— რაში გჭირდებათ, ამირან, მაგ ხალხის დაკითხვა, ჯერ ერთი რესპუბლიკას სახელი გაუფუჭდება, თან მაგ ორმოცი ბავშვიდან თუნდაც ხუთი მაინც ისწავლის. საქმის ჩამწყობი ჩემი სახით აღარ ეყოლებათ. რატომ გავაუბედურით ეგ ბავშვები, მივცეთ საშუალება თავისი შანსი გამოიყენონ, ვისაც შეუძლია ისწავლოს, ვინც ვერ ისწავლა დაბრუნდება სახლში.

დადგა გურამის თბილისში ჩამოყვანის დღეც. გურამი ხელბორკილებით მოიყვანეს აეროპორტში. აეროპორტის ვესტიბიულში გურამს რამდენიმე კაცი მოწიწებით მიესალმა, გურამმა ერთი-ორ კაცს ხელიც კი ჩამოართვა.

— ამირან, ხომ ატყობ, რომ მე გამქცევი კაცი არ ვარ, თუ ძმა ხარ ეს ბორკილები ამხსენი და პირობას გაძლევ შენი ნებართვის გარეშე უკან არ მოვიხედავ.

ამირანმა უსიტყვოდ ახსნა ბორკილები. გურამმა ამოისუნთქა, სახე გაებადრა.

— ამირან, თბილისში გაფრენამდე ორი საათია, რეგისტრაცია გავიარეთ, ბუფეტში ჩამოვჯდეთ და პატარა წავიქეიფოთ, ოღონდ დანახარჯი შენ უნდა იკისრო, აბა, პატიმარ კაცს რა სინდისით გინდათ პურმარილი მაკისრებინოთ? ისე, მე რომ მკითხოთ ახია თქვენზე, ჩხრეკის დროს ფული რომ ამოიღეთ, ხომ გითხარით დაიტოვეთ-მეთქი.

— შენ მაგას ნუ წუხარ! ისე, შენთან არაფერი დამეკარგება, რომ გამოხვალ, შენ იკისრე და გავსწორდებით. ოფიციანტო!

— გურამ პირველი შეხვედრისთანავე, მომეწონე, შენმა მოხერხებულობამ, ჭკუამ მომხიბლა. მოკლედ, გენიოსი ხარ, ადრე მცნობოდი ამ საქმეს აქამდე არ მივიყვანდი!

— ჩემო ამირან, ჩვენი გაცნობა არც ახლაა გვიან, ვინ იცის, ვინ სად გამოვადგებით ერთმანეთს! — ცოტახანს ჩუმად იყვნენ, შემდეგ გურამი ფეხზე წამოდგა.

— ბატონო ამირან, ამბობენ გენიოსისთვის დამახასიათებელია ღიმილის მომგვრელი ცოდვები, ხოლო ცოდვილისათვის ეს ღიმილიც აუტანელია, რაც მოხდა, მოხდა, გადაიხადეთ ამ სუფრას ფული და შევუყვეთ ჩვენ გზას, თორემ თვითმფრინავზე დაგვაგვიანდება და ხვალ ისევ მოსასვლელი გავხდებით.

გურამს აშკარად შეეტყო ხასიათის გაფუჭება, თვალებზე ცრემლი მოადგა, სწრაფად ამოიმშრალა და გასასვლელისაკენ გაემართა.

სასამართლოზე გურამმა ყველაფერი გულწრფელად აღიარა, მოინანია, ხოლო მოსამართლემ ამ საქმისთვის გათვალისწინებული სასჯელის უმაღლესი ზომა 15 წელი პატიმრობა გამოუტანა, ეტყობა მან გურამის მიამიტობამდე მისული გულწრფელობა, დანაშაულის აღიარება ვერ აიტანა, ან რაც უფრო სარწმუნოა, მოსამართლის მიერ მოთხოვნილი თანხა ბრალდებულმა ვერ ან არ გადაიხადა. გურამმა სასამართლოზე თავის ბოლო სიტყვა შემდეგნაირად დაამთავრა: „რა თქმა უნდა დამნაშავე ვარ, ამ ქაჯებს მოსკოვი ვაჩვენე და მეტიც, სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის საშუალება მივეცი და თუ ეს დანაშაულია, გულწრფელად ვინანიებ“.

ამირანმა გურამი ერთხელ საპატიმროშიც მოინახულა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ, როდესაც გურამი ციხიდან გამოვიდა (ვექილებმა

გაასაჩივრეს მისი საქმე და სასჯელი 10 წლამდე შეუმცირეს, შემდეგ კი კოლონიაში, კარგი ქცევისთვის სასჯელი გაუნახევრეს), ამირანთან სამსახურში მივიდა და რესტორანში დაპატიჟა. დღეს მან პატარა სამედიცინო ცენტრი შექმნა და პაციენტებიც მრავლად ჰყავს.

* * *

კვირა დღე იყო. დილის ათი საათი იქნებოდა, კარებზე ზარის ხმა რომ გაისმა. ამირანი დღეს არავის ელოდებოდა, როცა კარი გააღო. დაინახა მაღალი, სიმპათიური ზომიერად შესუქებული მამაკაცი.

— მაპატიეთ, მე ამირან ლომჯარია, „გოროზა“, მინდოდა მენახა.

— მე გახლავართ, მობრძანდით.

— თქვენი მეგობრის, ანზორ იაშვილის, რეკომენდაციით მოვედი.

— შემობრძანდით, რადგან მოხვედით, სტუმარი ღვთისაა! — ამირანმა უცნობუ სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა.

— ანზორი ახლა ღვინის ქარხნის დირექტორია კახეთში, თქვენზე ბევრი რამ მიამბო.

— როგორ არის, რამდენი ხანია არ მინახავს, ალბათ ის დრო ჯობდა, მაგის გულისთვის რომ ვჩხუბობდი, — გაეღიმა ამირანს — რით შემიძლია გემსახუროთ?

— მე თქვენთან ანზორთან შეთანხმების გარეშე მოვედი, თქვენი მეგობრობა გაცნობისთვის გამოვიყენე. საქმე შემდეგშია: თბილისში ერთი წლის წინათ ვხელმძღვანელობდი ერთ-ერთი რაიონის კოოპერატიულ ბინათმშენებლობას. მერე დამაწინაურეს, სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილედ გადამიყვანეს. შემდეგ მოხდა ის ცნობილი დაჭერები ქალაქის კოოპერატიული ბინათმშენებლობის სფეროში. გამოძიება თითქმის ორ თვეზე მეტია გრძელდება. ჩემი სახელი და გვარი იქ არ ფიგურირებს, მაპატიეთ, ვერ გაგეცანით — უშანგი დარბაისელი.

— ძალიან კარგი, მე რით შემიძლია დაგეხმაროთ, შემიძლია თქვენი გვარი შევატანინო! — იხუმრა ამირანმა.

— გამოძიებას ხელმძღვანელობს შოთა კიკნაძე, საქმეს აჯანჯლებს სამმართველოთვის გადასაცემად არ ემეტება.

— მე რით დაგეხმარო?

— ბატონო ამირან, მე პირდაპირი და სამართლიანო კაცი ვარ, მე მაგ თანამდებობაზე ყოფნის დროს ფული ვიშოვნე, ბინა მივიღე, გარდა ბინისა, აგარაკი, ავტომანქანა და სხვა, რაც ოჯახს სჭირდება. მოდით იმ ფულის, რაც დამრჩა სამად გავყოფ, ჩემს ცოლს ორმოცდაათი ათასი, ამდენივე მე და თქვენ. მე, ალბათ, მალე ტრესტის მმართველად დამნიშნავენ და არ მინდა, ჩემი თანამდებობაზე დანიშვნა სათუო გავხადო.

— კი, მაგრამ რაში დაგეხმარო, თუ საქმეში არ ჩანხარ?

— თქვენი დახმარება ის იქნება, რომ ჩემი გვარი საერთოდ არ უნდა იყოს ნახსენები, — თავისუფლად ამოისუნთქა მოსაუბრემ.

— კი, ბატონო, ყოველნაირად შევეცდები, რაც ჩემ ძალ-ღონეს არ აღემატება.

— ბატონო ამირან, ამ პაკეტში ის ფულია, რომელიც თქვენთვის არის განკუთვნილი.

— არ არის საჭირო, ბატონო უშანგ, ისედაც დაგეხმარები ჩემი სიყრმის მეგობრის ძმაკაცს, მე მაგის კაცი არა ვარ!

— ბატონო ამირან, მეც ხომ მაქვს ცხოვრების გამოცდილება, გთხოვთ უარს ნუ მეტყვით.

წამოდგა ფეხზე, ამირანს ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა და გავიდა. ამირანმა კარები გადაკეტა, პაკეტი გახსნა, ხუთი შეკვრა ასმანეთიანები დათვალა, დაფიქრდა, გაეცინა.

— აი, კაცი! უსიტყვოდ, უმტკივნეულოდ გაიღო თავისი გადასახდელი თანხა! ალბათ, მაგ კაცს გაგებული აქვს ფულს რომ არ ვიღებ და ამიტომ მომადგა სახლში. ჯანდაბას, რადგან მაძლევენ, ალბათ მეკუთვნის. ასეა, ჭკვიანმა კაცმა ფულიც ჭკვიანი ხალხისგან უნდა აიღოს, — საკუთარ თავს წაემლიქვნელა ამირანი, — მასაც ხომ ხელს აძლევს რომ მისგან ფული აიღო და თავი ქუდში ჰქონდეს!

მეორე დრეს შოთა კიკნაძე იხმო კაბინეტში.

— შოთა, როგორ არის კოოპერატივების საქმის გამოძიება, როდის დაამთავრებ?

— ეგ საქმე, კიდევ დიდხანს გაგრძელდება, ახლა მეორე წყება ხალხი მყავს დასაკითხავი, ძალიან დიდი საქმეა.

— ძალიან დიდი და სარფიანი, ჩემო შოთა, ამიტომაც არ გემეტება ხელიდან გასაშვებად! მაგ შენი გამოძიებული საქმით რამდენი კაცის მიცემა შეგიძლია პასუხისგებაში?

— ალბათ ოც კაცზე მეტის.

— აქედან რამდენი კაცი გადის ორგანიზატორად და თანაშემწეებად?

— ალბათ, ორი-სამი კაცი ორგანიზატორად, ერთი თხუთმეტი — თანაშემწეთ.

— ბევრია, ორგანიზატორად გაიყვანე ერთი კაცი ქალაქის კოოპერატივის თავმჯდომარის სახით, დანარჩენი გაიყვანე თანამონაწილეებად. ხუთი კაცი საკმარისია, თანამგრძნობთა სიაში კიდევ ათი კაცი დატოვე.

— გაცილებით მეტია, ბატონო ამირან, თვითონ ასახელებენ ერთმანეთს.

— მაგ საქმეს ჩვენ ბოლომდე რომ მივყვეთ, ყველა დასაჭერი გაგვიხდება, ვინც მაგ კოოპერატივს გაეკარა. კოოპერატივი რომ ფულს იღებდა ასაშენებელი ბინის მიმღებთა სიაში მოსახვედრად, ეს მთელმა ქალაქმა იცოდა. ერთი სიტყვით ორი თვე ძალიან ბევრია, ერთ კვირაში დაამთავრე.

— არ მოხერხდება, ბატონო ამირან!

— შოთა, გეყოფა, ვინც მოსაწველი იყო, უკვე უნდა მოგეწველა, თუ ეს ვერ მოახერხე, თავს დააბრალე, მე ხომ მეკუთვნის მაგ საქმიდან ფული წესით, ხომ არ გთხოვ?

— თქვენ არ მთხოვთ, სხვები მთხოვენ!

— უთხარი იმ სხვებს, ამირანის ინციატივით მოხდა საქმის შეწყვეტა-თქო. სტალინი სულელი კი არ იყო, როდესაც ხალხის მტრების სიებიდან ოც პროცენტს ხვრეტდა, ოცს შორეულში ოცდახუთი წლით ასახლებდა, ოცს ათწლიან სასჯელს აკმარებდა, ოცის თავისუფალ გასახლებას გადუწყვეტდა, ხოლო ოცს, როგორც უდანაშაულოებს, — ათავისუფლებდა. ამით ის ცდილობდა უსამართლობისთვის სამართლიანი სახე მიეცა, ვითომ უდანაშაულო ვინც იყო — გაამართლა. ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ერთი სიტყვით, გადი შენს ოთახში, საქმეები დამიწყვე მაგიდაზე და ერთად გადავხედოთ.

ამირანი შოთას ოთახში რომ შევიდა, გაოცდა, იმდენი საქმე ეწყო.

— რაა ბიჭო ეს, რამდენი ტომია?!

— ჯერ-ჯერობით, ოცი ტომია, ერთი ამდენი მომდევნო ხალხის დაკითხვას დასჭირდება.

— აბა წარმიმიდგინე ძირითადი დამნაშავენი.

— ეს არის გაერთიანების თავმჯდომარე, რომელსაც ათივე რაიონის კოოპერატივის თავმჯდომარეები ფულს აძლევდნენ, ქრთამავდნენ აღმასკომის თანამშრომლებს, ქალაქის არქიტექტორს და ასე შემდეგ.

— შორს რომ არ წავიდეთ, შენთან კონსულტაციით უნდა შევადგენოთ დამნაშავეთა სია: ორგანიზატორები — გაერთიანების თავმჯდომარე, მოადგილეები, ბუღალტერი ქათამივით ყველაფერზე უნდა წავაკლათ და დასაჭერად ერთ-ერთი რაიონის კოოპერატივის თავმჯდომარე შევარჩიოთ. ვინ აღიარა ყველაზე მეტი ფულის აღება?

— ვაკის რაიონის თავმჯდომარემ.

— გვყავს ორგანიზატორები, თანაშემწეები, მოკლედ ხუთკაციანი სია დატოვე.

— ახლა ხელის შემწყობი ორი რაიონის კოოპერატივის თავმჯდომარე შენ აირჩიე.

— კეთილაძე, დარბაისელი, ყველაიძე.

— კიდევ?

— ჭყონია, ძიძიგური, მოკლედ, ყველა დასაჭერია!

— ჩავწეროთ კეთილაძე, ჭყონია, ერთი კაცი აღმასკომიდან, ერთიც — არქიტექტურიდან, დანარჩენი შუაკაცები, მაგათ დაემატება ისინი, რომლებმაც ქრთამი გაიღეს, სულ საქმეში ოცდახუთი კაცი გადის. აქედან ორი გავათავისუფლოთ, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო. ხუთ კაცს მართალია არ უმტკიცდება ქრთამის მიცემა, მაგრამ მცდელობას ადგილი ჰქონდა. დანარჩენის ბედი პროკურატურამ და სასამართლომ გადაწყვიტოს. „ეგ ხალხიც ცოდოა, მთლად მშივრებს ხომ არ დავტოვებთ?“

— ბატონო ამირან, უფრო მეტი ხალხის მოზიდვა შეიძლებოდა ამ საქმეში! — არ ემეტებოდა საქმე დასამთავრებლად შოთა კიკნაძეს.

— შოთა, კარგი მებადური, ბადე რომ ამოქვს, დიდ თევზებს ამოიყვანს, პატარებს უკან უშვებს, რომ ღლავებად გადაიქცნენ და კიდევ დაიჭიროს. საერთოდ, ჩემო შოთა, ორ თვეზე მეტ ხანს არ ვნახო საქმე გაჩერებული, სჯობს დამნაშავემ ერთი-ორი წლით ნაკლები მიიღოს, ვიდრე ძიება ამდენ ხანს გავაჯანჯლოთ.

— ამირან — ბატონო, თუ ჩვენ ასე ადრე მოვიშორეთ საქმეები, ცოტა ხანში უმუშევრები დავრჩებით.

— ამას მეუბნება „ობეხე“-ს თანამშრომელი, იმ საზოგადოებაში მცხოვრები, სადაც ვისაც ხელი მიუწვდება ყველა ქურდობს? ამ ქვეყანაში როგორ შეიძლება მილიცია უსაქმოდ დარჩეს? გივი ხაბაზმა, ეტყობა, მიგვაჩვია, სარფიან საქმებთან კეკლუცობას. მართლა, გივი სად მუშაობს ახლა?

— ნაძალადევის საუწყებო დაცვის უფროსია, არ მოკვდება მშიერი.

— კარგი, ხვალ გაამზადე ათი-თორმეტი ტომი, დანარჩენები ნაგავში გადაყარე, ან ცალკე ყდებით გაუგზავნე პროკურატურას და სასამართლოს. მოკლედ, ეგ საქმე ერთ კვირაში გადაცემული იყოს, თუ რამე დახმარება დაგჭირდება, აქ ვარ. დამნაშავეთა სიებს, როგორც დავამტკიცეთ, აწი ნურც ვინმეს დაუმატებ და ნურც გამოაკლებ!

როგორც ხედავთ ამირანმა თავისი ძღვენი დაიმსახურა. დარბაისელი სიიდან ამოაღებინა. როგორც გაირკვა, არც ისე უცოდველი კრავი ყოფილა ბატონი უშანგი.

ბოლო დროს ქალაქი ძალიან აირია, „პერესტროიკამ“ ხალხს ტვინი აუბნია; როგორც ყოველთვის, გამოჩნდნენ მყვირალა ვიგინდარები: ზოგმა კარავი გაშალა რუსთაველის მოედანზე, ზოგმა შიმშილობა გამოაცხადა, და მილიციამ დაიწყო დემონსტრაციების დაშლა. ყველაზე მეტად ეს ბინძური საქმე ეზარებოდა ამირანს, როდესაც მტყუანისა და მართლის გარჩევა შეუძლებელია.

* * *

ქალაქში უცხოური ავტომანქანების ქურდობა გახშირდა. ამირანი სამმართველოს უფროსმა დაიბარა და უთხრა:

— ხედავ, ამირან, რა ხდება ქალაქში? აი, ეს საქაღალდე მოპარულ მანქანებზე აღძრული საქმეებით არის სავსე. რაღაცა უნდა ვიღონოთ!

— მაგ ვირიშვილებს, ეტყობა, სადღაც კერძო პროფილაქტიკა აქვთ, იქ მიაქვთ ეს მოპარული მანქანები, გადაღებავენ, ნომრებს შეუცვლიან, რაღაც ნაწილებს, საბურავებს, რამდენიმე მანქანაზე გადაადგილებენ, საბუთებს გააკეთებენ და ყიდიან!

— ჰო, რაღაც მაგის მსგავსს მეც მოვკარი ყური.

— ვეცდები, რამდენიმე მაინც დავიჭირო, მაგრამ მაგით საქმეს მაინც არაფერი ეშველება!

— ბიჭო, მუშაობის ატმოსფეროს მაინც შევქმნით, თორემ ამ ქვეყანას მე და შენ რომ ვრ გავასწორებთ, კარგად ვიცი! მით უმეტეს, ამ არეულ დროში.

ამირანმა მეორე დღეს რამდენიმე მანქანების ქურდობაში ადრე შემჩნეული კაცი მოაყვანინა და ცალ-ცალკე დაკითხა. დაკითხულებში „ჭანჭიკი“ მოეწონა, ადრე მანქანის გატაცებაზე იყო ნასამართლევი, მაგრამ რადგან მანქანის დაშლა და გაყიდვა ვერ მოასწრო, მცირე სასჯელი მისცეს და თანაც ვადამდე ადრე გამოუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მანქანების გაქურდვაც ბრალდებოდა.

— „ჭანჭიკ“, შენზე ამბობენ, ნებისმიერი მანქანის მომპარავიაო, მაგისთვის სიგნალიზაცია არაფერიაო. როგორ ხსნი ისე, რომ ამ დასეკრეტებულ მანქანის ერთი შეყვირების უფლებასაც არ აძლევ?

— ბატონო პოლკოვნიკო, ეგ ახალგაზრდობის შეცდომა იყო, ახლა მაგ საქმეს ახლოს არ ვეკარები!

— „ჭანჭიკ“, მე შენ პატიმრობაში კი არ მყავხარ აყვანილი, უბრალოდ მინდა დამეხმარო, შენი პროფესიონალიზმი გვჭირდება, თორემ შენ რასაც აკეთებ, ჩვენთვის კარგადაა ცნობილი! ხომ იცი, რატომ ჩავარდი მაშინ, ჩემო „ჭანჭიკ“?

— არა, არ ვიცი, რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

— გაუგებრობას კი არა, შენმა ნაპარნიკმა გაგყიდა, — შეუგდო „პორტმანე“ ამირანმა. დღეს „მერსედესს“ რომ დაატარებს და თავი „მამა აბრამის ბატკნად“ მოაქვს. ეგ ჩვენთან იყო შეკრული, მაშინ დღეს კი მანქანების ქურდობას ხელმძღვანელობს, თან თავისი პროფილაქტიკა გაუხსნია! სამი „სპეციალისტი“ ჰყავს, აპარვინებს მანქანებს, პროფილაქტიკაში თავისებურად გადააკეთებს და რესპუბლიკის გარეთ ჰყიდის. კაცობაზე თავს სდებს, ერთი ადგილი გაისუქა, ახლო არ გვეკარება!

— ეგ რომელი, „ბორჯალა?“

— ხო, შენი ძველი ძმაკაცი „ბორჯალა“, მაგრამ მე ეს შენთვის აქამდე არ მითქვამს. — ამირანს თვითონვე გაუკვირდა, ასე უცბად რომ წამოეგო „ჭანჭიკა“.

— მერე, მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს თანამშრომლებთან ერთად მანქანა მოიპაროთ და შენს ძმაკაცს მიუყვანო გასაყიდად.

— ციხიდან რაც გამოვედი მე ეგ არ შემხვედრია, თვითონაც არ მოსულა.

— არ ჰქონდა მოსასვლელი პირი.

— თუ თქვენი ხალხი მოიპარავს ამ მანქანას, მე რაღაში გჭირდებით?

— ჩვენ შენი ოსტატობა გვინდა. მიდი „ბორჯალასთან“ დაელაპარაკე, გადაუკარი, რომ ფული გჭირდება, ისიც მანქანას წინასწარ შეგიკვეთავს.

— რაც საჭიროა გავაკეთებ, ოღონდ საჭესთან თქვენი კაცი დაჯდეს.

— მაგ კაცსაც გაგაცნობ. ხვალ ათი საათისთვის, დიღმის გზატკეცილის დასაწყისში ჯიხურები აქვს შენს ძმაკაცს. ორივენი ვითომ შემთხვევით შევხვდით. მერე გადაუკარი, შენი ვარიანტი შესთავაზე, რომ მოპარული გაქვთ „აუდი“ ან „მერსედესი“ და გინდა გაყიდოთ. თუ წამოეგო, მიჰყიდი და ჩვენც იქ გავჩნდებით.

ამირანმა ღილაკს თითი დააჭირა, შემოვიდა ახალგაზრდა თანამშრომელი.

— ნუკრი, ეს მაგარი ბიჭია, გაიცანი „ჭანჭიკა“ ჰქვია, მოილაპარაკეთ, ხვალ შეხვდით ერთმანეთს დიღმის გზის დასაწყისში და ნახეთ ის კაცი, ჩვენ რომ გვქონდა საუბარი, უთხარით, რომ ერთად „მუშაობთ“.

მართლაც, მეორე დღეს „შემთხვევით“ შეხვდნენ „ბორჯალას“.„ჭანჭიკამ“ მას ნუკრი გააცნო, ჩემი „ნაპარნიკიაო“ და თან უთხრა, რომ მანქანა აქვთ გასაყიდი.

— მე სხვის მანქანებს არ ვყიდულობ, რომელსაც შეგიკვეთავთ ის უნდა მომიყვანოთ! — დაუსახელა სოფელ დიღომში თავისი სახლის მისამართი, პროფილაქტიკაც იქვე ჰქონდა გახსნილი. მერე ბიჭები თავისი მანქანით წაიყვანა დიღმის ტურბაზაში და აჩვენა ახალთახალი აუდი. — ტურბაზის დირექტორის მანქანაა, თუ მომიყვანთ, ათას დოლარს მოგცემთო!

მეორე დღეს, მილიციის თანამშრომლები ჩაუსაფრდნენ „ბორჯალას“ სახლთან, ხოლო „ჭანჭიკა“ და ნუკრი მანქანის მოსაპარად წავიდნენ ნუკრის მანქანით. „ჭანჭიკა“ მივიდა მანქანასთან, აქეთ-იქით გაიხედა, მერე რკინის თხელი სახაზავი ამოიღო და ჩაუყო სარკესთან სწრაფად გააღო კარები, იქვე საჭესთან ჩაცუცქდა რაღაც მავთულები გადააბა, მანქანა არ დაიქოქა, კიდევ სცადა, ისევ არ დაიქოქა, ირგვლივ მიმოიხედა, სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან, ახადა კაპოტი, აღმოჩნდა, რომ მანქანაში აკუმლიატორი არ იყო. სწრაფად ამოიღო ნუკრის მანქანიდან აკუმლატორი და „აუდი„-ს დაუყენა, ყველაფერ ამას „ჭანჭიკა“ საოცარი სიზუსტით და სისწრაფით აკეთებდა. მანქანა დაიქოქა.

„ბორჯალომ“ პროფილაქტიკაში შეუშვა მანქანა, კარგად დაათვალიერა, აკუმლატორის ასი დოლარი დააკლო და ცხრაასი დოლარი ჩაუთვალა „ჭანჭიკას“ და გამოისტუმრა.

მილიციის თანამშრომლებმა „ბორჯალას“ დააცადეს, ვიდრე მანქანას დაშლიდნენ და ნომრებს შეუცვლიდნენ. მეორე დღისთვის მანქანა უკვე მზად იყო სარეალიზაციოდ. როგორც კი პროფილაქტიკიდან გამოიყვანეს მანქანა, მაშინვე გააჩერეს მილიციის თანამშრომლებმა და პროფილაქტიკაში შევიდნენ. იქ კიდევ სამი მოპარული მანქანაც ნახეს ძარაზე და ძრავაზე ნომრების გადასწორება მოეს-

წროთ. „ბორჯალა“ დიდხანს უარობდა ბრალდებას, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ჯიუტობას აზრი არ ჰქონდა.

ამირანმა „ჭანჭიკას“ დახმარებით მოპარული მანქანის შემსყიდველი კიდევ ორი პროფილაქტიკა აღმოაჩინა. ქალაქში დროებით შეწყდა მანქანების ქურდობა.

* * *

— ამირან, ამოდი ერთი ჩემთან კაბინეტში, ძველი უფროსი სულ კი არ უნდა დაივიწყო! — დაურეკა პაპუნამ.

— ამირან, აგენტების გადმობირების საქმე გვაქვს ცუდად, სამინისტრო კურირებს ნარკომანიასთან ბრძოლას, ეს ჭირი ძალიან მომძლავრდა და ამბობენ ჩვენი ბევრი თანამშრომელიც სცოდავსო. რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა, თქვენ ჩემზე უკეთესად იცით. ჯერ ამ აგენტების საშუალებით დაიჭერდნენ ნარკომანს, თუ შეძლებული მშობლები აღმოაჩნდებათ კარგად გაფცქვნიდნენ, თუ არა და საქმედ ჩაეთვლებათ, ამოღებულ ნარკოტიკებს კი აგენტებს აძლევდნენ გასაყიდად — თქვენი გასამრჯელო ამ გზით აიღეთო!

— სწორედ ამიტომ არ მინდა მაგათი აგენტურა, ყველა გამყიდველია!

— რატომ არ არიან უშიშროების აგენტები გამყიდველები?! ჩვენზე უკეთესები არიან თუ რა! მე რომ აგენტს საკმარისი ფული გადავუხადო, ქრთამი უნდა ავიღო, აბა, ორმოცდაათი მანეთისთვის დღეს ვინ იმუშავებს, „სუკის“ ხალხს კი სტაბილური ხელფასები აქვთ, პენსიაც ჩვენზე გაცილებით მეტი.

— რა ვქნათ, ამირან ასეთ უკუღმართ ქვეყანაში ვცხოვრობთ.

—ამასთან აგენტს ოჯახი ყავს, მისი შენახვა ხომ უნდა შეეძლოს ხელფასით, ყველა მართლა გაფუჭებული კი არ არის, ბევრი მათ შორის ბუნებით წესიერი ხალხია, მაგრამ უფულობის გამო, ისინიც სჩადიან დანაშაულს.

— ბევრი გადაგვარებულიცაა, აგერ, გუშინ შვილი დავიჭირეთ ქურდობისთვის, მან კი გაქცევაში მყოფი მამა დაგვაჭერინა, რომელმაც მეზობელს შემთხვევით ფეხში მოარტყა ტყვია. მამამისი წინასწარი

განზრახვით ჩადენილი დანაშაულზე გაუშვა ციხეში, თვითონ კი სანაცვლოდ თავი გაინთავისუფლა.

— კარგები არიან, პაპუნა, თუ ცუდები, მაგათ გარეშე ჩვენი ფასი კაპიკია, ეგენი გვაძლევენ საქმეს, რომ დაინახავენ რომ მათი მუშაობიდან არაფერი ხეირი არა აქვთ, თვითონ იწყებენ ვაჭრობას. შენ ხომ იცი, რომ წინასწარი პატიმრობის საკნების უფროსი, პატიმრისაგან ყიდულობს საქმეს, ამ საქმეს შემდეგ გამომძიებელს მიყიდის, გამომძიებელი კი ეჭვმიტანილის გულშემატკივრებს და ასე კეთდება ფული.

— ვიცი ამიარან. ჩვენი ციხე და სამართალდამცავი ორგანოები ყველაზე უვარგისი და უნამუსო ორგანიზაციები არიან, მაგრამ არც რომ უჩვენოდ არ შეუძლიათ ამ ხალხს ყოფნა? ჩვენს ქრთამის აღებაში მე რომ მკითხო თავად ხალხია დამნაშავე, ვერ გვინახავენ ისე რომ სამართალდამცავ ორგანოებს სამათხოვროდ და სამამაძაღლოდ არ ჰქონდეს საქმე!

— მერე ჩემო პაპუნა, რა კანონებია, ან რომელია ჩვენთან სამართლიანი? ისეთი შთაბეჭდილება რჩება ადამიანს, რომ პარლამენტს აწყობს ეს ბარადგი სახელმწიფოში. ვთქვათ მე და შენ ვიყიდეთ ნარკოტიკი. მე ვერ მოვითმინე და მაშინვე გავიკეთე, შენ კი „კაიფი“ გინდა და სახლში გინდა გაიკეთო. გზაზე დაგვიჭირეს. მე მომცემენ ექვს თვეს როგორც მომხმარებელს და შენ კი ათ წელს მოგარჭობენ როგორც რეალიზატორს.

— ნარკომანი იმიტომ ითრევს ახალ ახალ ხალხს და ძირითადად კი ახალგაზრდებს, რომ ნარკოტიკის გაყიდვის შემდეგ წამლის ნახევარი შეხვდეს და გაიკეთოს, ხოლო ჰოლანდიაში ახალი ნარკომანები რომ არ მომრავლდნენ, ნარკოტიკებს თავად ურიგებენ უფასოდ.

— მაგას არ სჯობს, ამ ნარკომანებს რამდენიმე წელი ცალკე გამოვუყოთ ადგილი საზოგადოებიდან, თავისუფალი ჩასახლებებით და ვუმკურნალოთ? ნარკოტიკების გამსაღებლები შემცირდება, ვინ იცის იქნება დედა გვეტირებინა და რაღაც ხუთ წელიწადში ნარკომანიც აღარ გვეყოლება.

— ეე, ჩემო ამირან, მაგას გამბედავი და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული სახელმწიფოს მართველი სჭირდება, რომელსაც სხვისი გაკილვის არ უნდა ეშინოდეს. ომიანობის დროს უგზო-უკვლო

ციმბირში ორი კოლონია აჯანყდა, ერთმანეთში აირია ათი ათასი კაცი. დაცვა დააპატიმრეს, არავის არ ემორჩილებოდნენ. ხოლო ბერიას ისე გაუჭირდა რომ ამის შესახებ სტალინს მოახსენა. ძია „ჯომ“ ბრძანა: „დაბომბეთო!“ გაუშვეს ორი თვითმფრინავი და ზონაც დაწყნარდა. პატიმრებმა ძალა იგრძნეს და დაწყნარდნენ.

— ასეა ხალხი, ან ძალას უნდა ემორჩილებოდეს ან კანონის აღსრულების აუცილებლობას. დანგრეული სტალინგრადის გასაწმენდად და ასაშენებლად ბულდოზერები გამოიყენეს და ბულდოზერისტებს დიდ ფულს აძლევდნენ. მაშინვე გაჩნდა მაფია და ფულის შეწერა. ბულდოზერისტები სამუშაოდ არ გამოვიდნენ. ბერია ხელად გაერკვა საქმის ვითარებაში, ბულდოზერებზე თავისი ხალხი დასვა და ეს გამომძალველები ადგილზევე დახვრიტეს. მათი გვამები სამი დღე ეყარა ქუჩაში. ამის შემდეგ, სტალინგარდმა რა იყო რეკეტი, კარგა ხანს არ იცოდა.

— მაინც რაღაც საშველი უნდა ვნახოთ. ჩემო ამირან აგენტურა უნდა გავაქტიუროთ.

— აგენტების მეტი რა არის, განსაკუთრებით ნარკომანებში, მაგრამ ყველამ ჭკუა ისწავლა, ხომ იცი, ციხეში მაგათთვის სიკვდილის განაჩენი გამოაქვთ და კოლონიაში რომელიმე ახლადგამომცხვარ ნაბიჭვარს აღასრულებინებენ, ზონაში ქურდათ არჩევის საფასურად. პოლიციაც დაინტერესებულია იმ აგენტების მოშორებით, რომლებთანაც შავ საქმეს ერთად აკეთებენ, საჭიროზე მეტი იციან, აგენტის ნდობა კი, კარგად იცი, არ შეიძლება.

— აბა, რა ქნას პოლიციამ, არ მოიშორებს და თვითონ მოხვდება ვირის აბანოში, ჩვენთან მხოლოდ ხელფასზე ვერ იმუშავებს ათასი ნათესავი და ნათელი-მირონი გამოგიჩნდება.

— პაპუნა, დავიცვათ ჩვენი აგენტები და ისინიც კაცობის რაღაც ნიშნებს გამოამჟღავნებენ.

— ამირან, მთელი უბედურება ეკონომიკაშია, — როდესაც ქვეყანა ღარიბია, პროფილაქტიკაზე არ ფიქრობს, რადგან ეს ძვირი უჯდება, სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას, გასართობი გამოინახოს, მასობრივი სპორტი ყველასათვის ხელმისწვდომი უნდა გახდეს,

უვარგისი ხელისუფლებისათვის დაჭერებზე გადასვლა უფრო ადვილია ხალხი თვალების ასახვევად და დასამუნათებლად.

— მე თუ მკითხავ, კაცის დაჭერის უფლება სახელმწიფომ უნდა მოიპოვოს, კომუნისტების დროს, ავად იყო თუ კარგად, აუცილებლად უნდა გემუშავა. ასორმოცდაათ მანეთს მოგცემდნენ, საერთო საცხოვრებელში საწოლს მოგიხერხებდნენ, ქუჩაში არ დაგაგდებდნენ უპატრონოდ. ახლა კაცი რომ ციხიდან გამოდის, ჯიბის ფულიც კი არა აქვს. საწოლზე და სამუშაოზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია და ეს კაცი იძულებულია ისევ უკან შეტრიალდეს ციხეში, იქ მაინც აქვს ქატოს ფაფა და საწოლი.

— ამირან, ტყუილად მაცოდებ თავს, როგორც ვიცი, საკმაოდ კარგი აგენტურა გყავს!

— აგენტურა კი მყავს, მაგრამ ნარკომანებთან საქმე არა აქვთ. ზოგი ციხეში ზის. ერთის გამოყვანა მინდოდა ციხიდან და უარი მტკიცა, აქ უფრო მეტ ფულს ვაკეთებ, ვიდრე გარეთო. აქ, ქურდად ვზივარ, გარეთ რომ გამოვიდე, შეიძლება ვიღაც ნაბიჭვარმა დანა გამიყაროს ამ არეულ ქვეყანაშიო. ციხეში თავისუფალი გადაადგილების უფლება აქვს, ციხის ხელმძღვანელობასთან შეკრულია, ზოგიერთს ექსპერიმენტის სახით, შაბათ-კვირას სახლშიც უშვებენ. ამ დროს კი „ქსივი“ მიაქვს წინასწარ ძიებაში მყოფის ახლობლებთან. უკან დაბრუნებული პატიმარს ჭკუას დაარიგებს, მობილურ ტელეფონს მიაქირავებს და თავის ჭკუაზე ბაირამობს. დღეს ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ საჭირო აგენტი ვერ გამომყავს ციხიდან, წინათ განგებ ვიჭერდით გადასაბირებლად. ახლა ძალის გამოყენება მოგვიწევს მათ ციხიდან გამოსაყვანად.

— ეგენი ქურდებთან ერთად არიან კამერაში?

— აგენტი თუ საქმისთვის არ ჭირდებათ, ერთად არიან. მაგათაც თავისი შეხედულება აქვთ კაცობაზე, ცხოვრებაზე. ვინ უფრო მოხერხებულია, ვინ უფრო კეთილია, ვინ მეტ ფულს შოულობს, ვინ ემსახურება საქმეს გულით და უფულოდ, ისე რომ მაგათშიც ყველაფერს თავისი ფასი აქვს და თავისი გაგება. მაგათაც თავისებური შეჯიბრი და შეხედულებები აქვთ ყოფიერებაზე.

— ამირან, თუ ვინმე ვადამდეა გამოსაშვები და ამ საქმეშიც დაგვეხმარება, გამოვაშვებინებ. ისე მაგათი მე არ მწამს, მაგათ ახლოს არ ვიკარებდი

— შენ, ჩემო პაპუნა, პარტიულ ორგანოებში მუშაობდი, უშიშროებაშიც პარტიას კურირებდი, არ გქონდა მაგათთან საქმე. ერთერთმა ჩემმა აგენტმა თავისი საცოლის ძმა იცნო ციხეში და არ დაამუშავა, გააფრთხილა და „სროკს“ გადაარჩინა, ერთმა აგენტმა პატიმარი ლოცვის გულისთვის სცემა და მეორე აგენტი გამოესარჩლა და ასე შემდეგ, მაგათშიც იღვიძებს ხანდახან ადამიანური გრძნობები.

— ამირან შენ მაგათთან ნამუშევარი ხარ, გამაგებინე ყველა პატიმარმა იცის, რომ მას კამერაში აგენტი უზის, რატომაა, რომ მაინც სცდებიან და იმ საიდუმლოს ანდობენ სწორედ ამ აგენტს, რომელიც საკუთარ თავსაც კი არ უნდა ანდონ.

— სხვათა შორის ეგენი ფსიქოლოგებიც არიან. როგორც წესი აგენტი არ ელაპარაკება „დასამუშავებელ“ პატიმარს და თავს ისე აჩვენებს თითქოს თვითონ უფრთხოდეს. გადის დრო და დასამუშავებელი პატიმარი აგენტს თვითონ აძლევს კითხვებს, აგენტი მაინც არ ელაპარაკება. პატიმარს კი დიდი სურვილი აქვს თავისი აზრი და გაჭირვება ვინმეს გაუზიაროს, უთხრას ის, რაც აწუხებს, რაც ტვირთად აწევს. აგენტის ნდობა რომ დაიმსახუროს, თავად უყვება ამბებს, რაც გამოცდილ აგენტს ანალიზის და ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას აძლევს.

— ამირან, ერთი სასაცილო ამბავი მიამბო შენმა უფროსმა: „ერთმა ახლდდამწყებმა ქურდმა თურმე კონსულტაციის ჩატარება სთხოვა ძველ ქურდს ბინის გაქურდვაზე. ძველმა ქურდმა გადაწყვიტა გაკვეთილი ჩაეტარებინა ახალგაზრდა ქურდისათვის, მოიტანა დიდი ჭოგრიტი და მეორე სახლის სახურავიდან დაუწყეს ბინას თვალთვალი. ეს გაგრძელდა მანამ, სანამ ამ სახლში მცხოვრებმა მამაკაცებმა არ შეამჩნიეს რომ ჭოგრიტით უთვალთვალებდნენ მათ შიშველ ცოლებს და ქალიშვილებს. ჩუმად ავიდნენ სახურავზე და ეს შენი ჭკვიანი ქურდი მაგრად მითეთქვეს. მათი ბინის გაქურდვაც ამით დამთავრდა.

— მე მყავდა ერთი „დურუშნიკი“ აგენტი. ეტყობა ფული დაჭირდა და თავისი ნაცნობი ძებნილი „ჩაუშვა“ ჩვენთან. დათქმულ დროს

მისულ პოლიციას დაანახებდა ფანჯარაში ამ ძებნილს, შემდეგ თვითონვე საიდუმლო გასასვლელისაკენ აპარებდა. ბოლოს გამოირკვა, რომ ფულს ჩვენგანაც იღებდა და იმ კაცისაგანაც. ასე, რომ თქვენი არ იყოს, მაგათი ნდობა ბოლომდე არ შეიძლება.

— შენ ამირან, პატიმრის ვადამდე განთავისუფლების მექანიზმიც გეცოდინება!

— კანონის თანახმად, სასჯელის ნახევარს რომ მოიხდის პატიმარი, უფლება აქვს ვადამდე გათავისუფლება ითხოვოს. ეს კარგად იცის კოლონიის უფროსმა და ყოველი შემთხვევისათვის რაიმე დარღვევას გაუფორმებენ., სასჯელმისჯილის გათავისუფლებას სათუოდ ხდის, თუ პატიმარი გადაიხდის გარკვეულ თანხას, „დანაშაულს“ არ გამოაჩენენ და უშვებენ.

— თუ მართლა წესიერი კაცია და წესიერად იქცევა.

— ფული მაინც უნდა გადაიხადოს; ავჭალის კოლონიაში უფროსის მოადგილედ „რაჟდენიჩი“ მუშაობდა. ეს იყო ერთადერთი კაცი საქართველოში, რომლის წარდგენილ კანდიდატურას უსიტყვოდ და ყოველგვარი ქრთამის გარეშე ათავისუფლებდნენ, რადგან ის უღირს ადამიანს არ წარადგენდა და არც იმას დაუშვებდა, რომ მის მიერ წარდგენილი პატიმრისაგან ვინმეს ქრთამი აეღო.

— ჩემო ამირან, შენთან მასლათს რა ჯობს, მაგრამ სახლში წასვლის დროც მოვიდა. მოდი, ერთი შენებურად ნარკოტიკის საქმეებიდან ერთი მოზრდილი საქმე გამოვაკვარახჭინოთ, რომ ამ ახალ მთავრობას ჩვენზე ლაპარაკის საბაბი არ მივცეთ!

— ხომ გყავს ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილება, იმათ რატომ არ ავალებ?

— ისინი ლიფსიტებს იჭერენ, შენ კი ღლავის დაჭერას ხარ მიჩვეული. ხომ იცი, მაგ საქმეში დიდი ფულია, თანაც მე მაქვს ინფორმაცია, რომ ნარკოტიკების ტრანზიტი რუსეთში, ევროპაში — ავღანეთიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოზე გადის.

ამირანმა მობილიზაცია გაუკეთა თავის აგენტებს და ნარკოტიკების შემომტანების და გამსაღებლების შესახებ ცნობების შეგროვება სთხოვა.

ამ დავალებას, როგორც ყოველთვის, ბესარიონი მოეკიდა სერიოზულად, მოუხშირა ავტოსადგურებში სიარულს და დაადგინა, რომ ბაქოდან შემოჰქონდათ ნარკოტიკები, მაგარმ ჯერ-ჯერობით მხოლოდ რამდენიმე ტომარა ანაშაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, ხოლო ისეთი სერიოზული ნარკოტიკი, როგორც ჰეროინია, არსად ჩანდა. ეტყობა, ეს ნარკოტიკი ტრანზიტით გადიოდა, მაგრამ სად და როგორ, ჯერ-ჯერობით უცნობი იყო მისთვის. ერთ დღეს ბესარიონმა დაურეკა ამირანს და შეხვედრა შესთავაზა.

— გუშინ ვიყავი რკინიგზის სატვირთო სადგურში, დავინახე, ერთი აზერბაიჯანული ღვინის ცისტერნების გამცილებლები ღვინოს ყიდდნენ. გავსინჯე, არ მომეწონა, წყლის გემო დაჰკრავდა. ლოთები მაინც ყიდულობდნენ. ვუთხარი, რომ ოც ლიტრს ავიღებდი თუ ცისტერნიდან გადმომისხამდნენ.

— როგორ უნდა გადმოესხათ, ხომ დალუქულია სახურავი?!

— მაგათ წვრილი შლანგი აქვთ და თუ დასჭირდათ, ისე ამოიღებენ ღვინოს, ვერც ვერავინ გაიგებს. გამცილებელი ცოტა მთვრალი იყო, და იცი რას მეუბნება, მაგ ცისტერნის თავსახურის ახდის ფასი იმხელაა, მთელი საქართველო ვერ გადაიხდისო. ვკითხე, ისეთი რა ღვინოა-მეთქი, ისეთი ძვირფასი რამეა და ასე ათრობს, რომ მაგასთან ვერც ერთი ქართველების ნაქები ღვინო ვერ მივაო. ყოველი შემთხვევისათვის იმ ვაგონის ნომერი ამოვიწერე, რაღაც ეჭვი შემეპარა იმ გამყოლის სიტყვებში, რატომღაც გული მიგრძნობს, ნარკოტიკია.

— ბესარიონ, შენ სერიოზული კაცი ხარ, ვიღაც მთვრალმა გამყოლმა რაღაც წამოროშა, ყველაფერი ხომ არ დაეჯერება!

— ამირან, ხომ გაქვს ჩემი ხათრი, ჩემს წინათგრძნობას ჩემთვის არასდროს უღალატნია. ყოველ შემთხვევაში თუ ნარკოტიკი არ იქნება, რაღაც მაინც იქნება ისეთი, მაგ გამყოლის დაბორკვა რომ შეიძლებოდეს, მიხედე მაგ საქმეს, ნუ გამაწბილებ.

— ბესარიონ შენს წყენინებას მე ვერ ვიკადრებ. ახლავე გადავრეკავ და გავიგებთ ვისი ღვინოა, სად მიდის, ვისთან მიდის, — ამირანმა დარეკა და ვაგონის ნომერი უთხრა. უპასუხეს, ნახევარ საათში დაგირეკავთო.

გაისმა ტელეფონის ზარის ხმა: ვაგონი ეკუთვნის განჯის ღვინის ქარხანას და მიდის ბელგიაში, ქალაქ ბრიუგეში, სატვირთო სადგურზე ვაგონებს აკომპლექტებენ და შვიდ საათზე გავა თბილისის სატვირთო სადგურიდან.

— ამირან, ჰე კაცო, რად უნდათ ბელგიაში აზერბაიჯანული ღვინო, მე ახლა უფრო მეტად მეპარება ეჭვი. აქ რაღაცაშია საქმე!

— მართალი ხარ! ეგ ცისტერნები რუსეთის რომელიმე ქალაქში რომ დარჩენილიყო, ეჭვი არ შემეპარებოდა, მაგრამ რადგან საზღვარგარეთ გადის... შენ აქ გაჩერდი, ახლავე დავრეკავ მინისტრთან.

— ბესარიონ, აქ დამიცადე, ერთ საათში მოვალ!

— ამირან, რა უნდა ღვინის ცისტერნაში ნარკოტიკს? რა მიზეზით დავაკავოთ საზღვარგარეთ გასაგზავნი ღვინო, აზერბაიჯანელები იტყვიან, შეშურდათო და გავმასხარავდებით.

— პაპუნა, მე მგონი შენ და მე მთავრობის დავალებას ვასრულებთ! თუ არ დამეხმარები, ეგ საქმე არ მეხება და მე ხელები დამიბანია!

— ბიჭო, სისულელეზე როგორ წამოგყვე, გინდა საერთაშორისო სკანდალი ავტეხოთ?

— მაგის შენ ნუ გეშინია, მე დაველაპარაკები რკინიგზელებს, იტყვიან რომ ბორბლები უვარგისია. სულაც გავახვრეტინებ ცისტერნას და სხვა ცისტერნაში გადავასხმევინებ ღვინოს, თუ საჭირო გახდა. თუ ჯოხი გასატეხია, ჩემზე გავტეხოთ, მეტი რა გინდათ!

— არ გინდა, ამირან, არა მგონია, მანდ რაიმე, ჩვენთვის სახიერო იყოს!

— მოდი, ასე შევთანხმდეთ: თუ გავმტყუნდები, ჩემს ხელფასს გადმოგცემ ხალხის თანდასწრებით, თუ შენ გავმტყუნდები შენს ხელფასს მე გადმომცემ შენი თანამშრომლების თანდასწრებით, თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ, მაგრამ თუ რამე შარი აიკიდე, მე საქმის კურსში არ ვარ, იცოდე!

— ეგრე იყოს, შევთანხმდით!

ათ წუთში ამირანი თავის კაბინეტში იყო.

— ბესარიონ, ჩემს ორ თანაშემწეს წამოვიყვან და ავიდეთ სატვირთო სადგურში.

ამირანმა სატვირთო სადგურის უფროსს საქმის ვითარება გააცნო. ცისტერნა სასწრაფოდ გადაიყვანეს სათადარიგო ლიანდაგზე. ბესარიონი თავად ავიდა ცისტერნაზე, გახსნეს დალუქული თავსახური. ბესარიონმა ჩაიხედა, ცისტერნა ღვინით იყო სავსე, შემდეგ ჩამოვიდა ქვევით, იქვე მონახა ხის ტარიანი ბარი, ავიდა ისევ და ტარი ჩაყო ცისტერნაში. ტარი ერთ მეტრზე არც კი ჩასულა, რკინის ფსკერს რომ შეეხო.

ცოტა ხანში მოვიდნენ სატვირთო სადგურის მუშები და პროკურატურის წარმომადგენელთან ერთად შლანგით გადმოასხეს სამას ლიტრამდე ღვინო. როდესაც ცისტერნა დაიცალა აღმოჩნდა, რომ ცისტერნაში ჩადებული იყო მისივე ფორმის მილი, რომელიც ელექტრომაგნიტური ამწეთ ამოიღეს. მილში პოლიეთილენის პაკეტებში შეფუთული ტონანახევარი ჰეროინი აღმოჩნდა.

ამირანმა მაშინვე დააკავა ვაგონის გამცილებელი. დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ ღვინის ქარხანაში მილი მიუტანია გამცილებლის ძმას, რომელიც ამჟამად ბელგიაში ცხოვრობს. ერთი თვის წინ აზერბაიჯანში მას შეუძენია ეს ერთი ცისტერნა ღვინო, ხოლო ორი დღის წინ გაფრენილა და ბელგიაში ელოდებოდა ცისტრნის ჩასვლას.

პაპუნამ აღიარა წაგება, ამირანი გადაკოცნა, თითი დაუქნია და განყოფილების ბიჭების თვალწინ თავისი ხელფასი ამირანს მაგიდაზე დაუდო.

— პაპუნა, ვიცი, რომ უფროსებს მაინცდამაინც ფულის ხარჯვა არ გიყვართ. ჩვენი განყოფილების ბიჭებს და ბატონ ბესარიონს გაგვიშალე პურ-ღვინო მაგ ფულის ანგარიშში. თუ დაგაკლდება, ჩვენ დაგეხმარებით. ბესარიონს ერთი ათასი მანეთი მაინც უნდა გამოვუწეროთ, მაგ კაცის დამსახურებაა მთლიანად ამ ოპერაციის დაწყებაც და წარმატებით დაგვირგვინებაც.

— კი ბატონო მაგრამ ამდენი თანხის გამოწერა ერთად იცი, რომ მე არ შემიძლია, ამიტომ ხუთასი მანეთი ახლა გამოვუწეროთ, და ხუთასი მანეთი მეორე თვეში მინისტრის ფონდიდან, განსაკუთრე-

ბული დამსახურებისთვის. ბესარიონი სიხარულისაგან ფეხზე ძლივს იდგა.

— ორ თვეში, ბატონი პაპუნო, მე თვითონ მოვიტან ახალ საქმეს. — გაიქაჩა ბესარიონი.

— ჩემო ამირან, ყველაფერში ბედი გაქვს, სად პოულობ ამნაირ აქტივისტებს. ეგენი აქეთ გაძალებენ მუშაობას, მე კი ჩემს ჯგუფთან ერთად ერთი ხეირიანი საქმეც ვერ გავხსენი. წავედით რესტორანში, ყველას ამირანი გვპატიჟებს მოგებული ფულით.

სუფრა რესტორან „არაგვში“ გაიშალა. განსაკუთრებულად შეისვა ბესარიონის და ამირანის სადღეგრძელო, ამირანი კი, თავის მხრიდან, ხოტბას ასხამდა ბესარიონის დაკვირვებულობასა და მოხერხებულობას. ერთი სიტყვით, ეს დღე ბესარიონის ბენეფისად იქცა.

* * *

ამიარნს გვიან გაეღვიძა. თავი არ სტკიოდა, მაგრამ აშკარა იყო რომ გუშინ ზომაზე მეტი დალია.

თერთმეტი საათისთვის თავის კაბინეტში შევიდა. ქალაქში ღამით მომხდარი შემთხვევების სიას გადახედა. მდივანმა გოგონამ შემოუტანა განცხადება, რომელზეც პეტრე ობოლაძეს რეზოლუცია იყო სასწრაფოდ რეაგირებისთვის. განცხადებაში იტყობინებოდნენ, რომ სატელეფონო ჭაში ნაპოვნი იყო კაცის დანახშირებული გვამი. ამირანი გაიოზ წოწორიასთან ერთად შემთხვევის ადგილისაკენ გაემართა. საშინელი სურათი იხილეს. ჭაში ჩაეგდოთ, მთლად ჩაშავებული სხეული. ზევით ამოწეულ ერთ ფეხზე ეცვა ჯარისკაცის ჩექმა, რომელზეც მელნით ეწერა ინიციალები „ვ.ი.“ ჭასთან ახლოს სამშენებლო ბატალიონი მდებარეობდა. ამირანი ნაწილის უფროსთან მივიდა, გაეცნო და სთხოვა ჯარისკაცების სია ეჩვენებინა.

სულ ბატალიონში ასი კაცი ირიცხებოდა. სიას რომ გადახედა, მხოლოდ ერთი ჯარისკაცის ინიციალები ემთხვეოდა ჯარისკაცის ჩექმაზე დაწერილ ინიციალებს. ეს იყო ვლადიმერ ივანოვი. ამირანმა ივანოვთან შეხვედრა მოითხოვა. ბატალიონის უფროსმა დარეკა ასეულში. იქიდან ზემდეგმა რაკუზოვმა უპასუხა, რომ ივანოვი მივლინებაში იმყოფებოდა. ამირანმა ბატალიონის უფროსს, კაპიტან

პროკოფიევს, სთხოვა სასწრაფოდ გამოეძახებინათ მივლინებიდან ვლადიმერ ივანოვი. კაპიტანმა რაღაც მიკიბ-მოკიბა, მერე მიახალი — საქმე არა გაქვთ, შეგვეშვითო! ამირანმა დახმარებისთვის გარნიზონის სამხედრო პროკურორს, ჰაჯი-მამედოვს მიმართა, რომელიც სომხის და აზერბაიჯანელის ნაჯვარი გამოდგა და უყოყმანოდ დათანხმდა გამოძიებაში მონაწილეობაზე. ეს ის არეული დრო იყო, როდესაც უკვე გამწვავდა ურთიერთობა რესპუბლიკებს და ცენტრებს შორის და კანტი-კუნტად რუსული ჯარების გაყვანას ითხოვდნენ. მეორე დღეს ამირანმა, გარნიზონის პროკურორთან ერთად, კვლავ მოითხოვა ვლადიმერ ივანოვთან შეხვედრა. გამოირკვა, რომ ის ორი დღეა, რაც ნაწილში არ იმყოფებოდა. სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ჯარისკაცი დანით ოთხგან იყო დაჭრილი. ისიც დადგინდა, რომ გვამი ვლადიმერ ივანოვისა იყო. ცხედარი თუთიის კუბოში ჩაასვენეს და ციმბირის ქალაქ პერმში გაგზავნეს.

ამირანი ხვდებოდა, რომ ამ ბიჭის მკვლელის ვინაობა ბევრმა ჯარისკაცმა იცოდა. მათ შორის კაპიტანმაც და ზემდეგმაც. მაგრამ ხმას არავინ იღებდა. ამირანმა გადაწყვიტა ორი სამარშრუტო აგენტის გაეყოლებინა ციმბირში დასაფლავებაზე. მიცვალებულის კუბო საბარგო ვაგონში მოათავსეს. მიაცილებდა ზემდეგი რაკუზოვი, სამ ჯარისკაცთან ერთად. ამირანის თხოვნით ჰაჯი-მამედოვმა იმას მიაღწია, რომ გამცილებელი ჯარისკაცების რაოდენობა ორი კაცით გაეზარდა. მათ რამდენიმე კაცი დაემგზავრათ სხვადასხვა ზომის ჩემოდნებით და ყუთებით, მათ შორის იყო სამმართველოს ახალგაზრდა ოპერატიული აგენტი ნიკოლოზ პოპოვი და მილიციის კაპიტანი ისიდორე ნინუა, როგორც საქართველოს სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელი.

როგორც ნიკოლოზის მონაყოლიდან გაირკვა, ჯარისკაცები ჯერ ფრთხილობდნენ, შემდეგ არაყმა თავისი ჰქნა და ალაპარაკდნენ, რადგან მათი ბატალიონი რკინიგზის მახლობლად მდებარეობს. ჯარისკაცები ღამით აღებდნენ ვაგონებს და იტაცებდნენ პროდუქტებს, ავეჯს, ტანსაცმელს და იქვე აბარებდნენ, სამხედრო მაღაზიაში. ეს საქმე კაპიტან პროკოფიევის წაყრუებით ხდებოდა, ძარცვას კი ზემდეგი რაკუზოვი ხელმძღვაველობდა. გამოცდილ, დემობილი-

ზაციისთვის გამზადებულ ჯარისკაცებს ეჭვიც კი არ ეპარებოდათ, რომ მკვლელი ზემდეგი რაკუზოვი იყო. საჭირო გახდა რაკუზოვის დაპატიმრება, მაგრამ სამხილები იყო საჭირო. მიზეზიც მოინახა. სამხედრო მაღაზიაში ნაპოვნი უზედნადებო საქონლის ჩამბარებლად ზემდეგი რაკუზოვი დაასახელეს. ორი დღის შემდეგ ჩამოფრინდა ისიდორე ნინუაც, რომელიც ჯარისკაცებს დაუმეგობრდა.

— რაო, იმ დამპალმა, კარგი სიტყვა წარმოსთქმა სამხედრო ნაწილის სახელით? — შეეკითხა ამირანი.

— ეგ ბიჭი რა აქო და რა ადიდა! „თუ არა ეს უბედური შემთხვევაო — ვითომ დენის მოკლე ჩართვით დაიღუპა — თქვენი შვილი აუცილებლად გენერლობას მიაღწევდაო“. ჯარისკაცები გაგიჟდნენ ამ თვალთმაქცობაზე, საით წასულიყვნენ, არ იცოდნენ. ახლა რას ვაპირებთ ბატონო ამირან?

— მოვილაპარაკეთ რესპუბლიკის სამხედრო პროკურორთან, ხვალვე დავაკავებთ ზემდეგსაც, კაპიტანსაც და იმ ჯარისკაცებსაც, რომლებიც დაკრძალვაზე გახლდნენ.

მეორე დღეს ზემდეგი რაკუზოვი ჩვენებას იძლეოდა: „ამ პერიოდში განუკითხაობა დაიწყო საქართველოში. იძარცვებოდა ყველაფერი, მათ შორის, რკინიგზის ვაგონებიც. ყველა ცდილობდა ხელი მოეთბო. საქმის კურსში იყო კაპიტანი პროკოფიევიც. ვლადიმერ ივანოვი ძალზე პატიოსანი ახალგაზრდა იყო და არ სურდა მონაწილეობა მიეღო ვაგონების ძარცვაში. იმ დღეს მაინც ძალით წაუყვანიათ, ისიც მოხმარებია ვაგონიდან ერთი მანქანა შაქრიანი ტომრების გადმოტვირთვაში, რომელიც ჩაუბარებიათ სამგორის საბითუმო საწყობში, აქაც გადმოცლაში ვალოდია მოხმარებია. რაღაცა თანხა შეუძლევიათ, მაგრამ ვალოდიას არ აუღია და უთქვამს „თუ კიდევ მაიძულებთ, რომ მოვიპარო, ყველაფერს ვიტყვიო!“ ზემდეგ რაკუზოვს ამის შესახებ მოუხსენებია კაპიტან პროკოფიევისთვის, რომელსაც შეშინებია — ეგ დამპალი დაგვღუპავსო“! მოკლედ, ზემდეგს უყიდია რამდენიმე ბოთლი არაყი და მიუცია ჯარისკაცებისთვის. ივანოვს „კაპტიორკაში“ — სათავსოში, სადაც ჯარისკაცების აღჭურვილობა ინახება, სმისთვის თავი ადრე დაუნებებია და ყაზარმისაკენ წასულა. გზაში „შემთხვევით“ შეხვედრია ნასვამი ზემდე-

გი რაკუზოვი და უთქვამს: „შენთან სალაპარაკო მაქვს, განზე გავიდეთო“. ივანოვი წინ წასულა, როცა რკინიგზას მიახლოებიან, რაკუზოვს უკნიდან ოთხჯერ დაურტყამს დანა. ბიჭი იქვე მომკვდარა. მერე თავისი მანქანიდან რომელიც იქვე ახლოს ყავდა გაჩერებული, გადმოუღია წინასწარ გამზადებული ბენზინით სავსე ათლიტრიანი კანისტრა, გადაუსხამს ბიჭისათვის და ცეცხლი წაუკიდებია. მერე იქვე, ტელეფონის ჭაში ჩაუგდია. ყველაფერი შემთხვევის ამბავია, ჩექმა რომ დამწვარიყო, ეს საქმე არ გაიხსნებოდა ან ძალიან გაჭიანურდებოდა.

* * *

ქალაქში სიტუაცია თანდათანობით იძაბებოდა. ხალხს დაუსჯელობის სინდრომი გაუჩნდა. დამნაშავეთა სამყარო უფრო თავხედდებოდა. თუ წინათ მილიცია ფლობდა სიტუაციას, დღეს უკვე უფორმო, ავტომატიანი ხალხი მომრავლდა ქალაქის ქუჩებში და საერთოდ, საქართველოში.

ამირანი ფეხით ქვეითად მიაბიჯებდა პროსპექტზე. სასტუმრო „საქართველოს“ რომ მიუახლოვდა, გადაწყვიტა აგენტი ქალი ენახა, რომელიც სასტუმროში მუშაობდა. სასტუმროსთან ხალხი შეგროვილიყო და სეირს უყურებდა. ამირანმა სწრაფად გაარღვია ბრბო და დაინახა, რომ ვიღაც მუტრუკს ახალგაზრდა ბიჭი ქვეშ ამოედო და შეუბრალებლად ურტყამდა. იქვე ქალი კივილით იკლებდა იქაურობას, შველას ითხოვდა ხალხისაგან, მაგრამ კაცისშვილი არ ეხმარებოდა, ზოგი საერთოდ გაეცალა იქაურობას. მომკივან ქალში ამირანმა თავისი აგენტი იცნო. იგი უკნიდან მიეპარა მუტრუკს და ორჯერ ჩასცხო თავში რევოლვერის ტარი, მუტრუკი გაითიშა. ამირანმა ეს ვეება კაცი ძლივს გადმოათრია და ბიჭი გაათავისუფლა. საპატრულო მანქანაც გამოჩნდა. ამირანმა ოპერმუშაკებს უბრძანა მუტრუკისთვის ბორკილები დაედოთ და მილიციაში წაეყვანათ. ნაცემი ბიჭი ვერ დგებოდა, ბრბო კი და სეირს უყურებდა. ამირანმა ველარ მოითმინა, ხალხს შეუკურთხა „მერე ბიჭი წამოაყენა და სასტუმროში შეიყვანა, ტახტზე წამოაწვინა. ამასობაში სასწრაფო დახმარებ-

ის მანქანაც მოვიდა, ბიჭი გასინჯეს და თქვეს, თუ ჩალურჯებულ თვალს და გასიებულ ყბას არ ჩავთვლით, ყველაფერი რიგზეაო.

— ნაზიკო, ვინ არის ეს ბიჭი? — იკითხა ამირანმა.

— ჩემი უმცროსი შვილია, — ამოისლუკუნა ნაზიკომ.

— იმ მუტრუკს რა უნდოდა!?

— მოსპობა იმის თავს, ჩამოთრეული ვიგინდარა, უზრდელი, პატრიოტობაზე დებს თავს, იგინება, იფურთხება. ველარ მოვითმინე და შენიშვნა მივეცი „ნუ იგინები-მეთქი“ და „ერთი შენი დედაცო...“ გინება დამიწყო, ბიჭმა ველარ მოითმინა დედა მოუკვდეს და ამ ორმოცი წლის კამეჩმა თხუთმეტი წლის ბავშვი კინაღამ მომიკლა!

— მაგას მე მოვუვლი, შენ ექსპერტის ცნობა აიღე, რომ ბავშვი ნაცემია!

— ეგ კამეჩი მოჭიდავეა, გვარად დევდარიანი.

კაბინეტში შესვლისთანავე ამირანმა მორიგეს ნომრები აკრიფა:

— ამოიყვანეთ ჩემთან პატიმარი დევდარიანი!

— ასეთი პატიმარი არ ვგყავს, — იყო პასუხი.

— კი, მაგრამ საპატრულო მანქანით ერთი საათის წინ არ მოიყვანეს?

— აა, მოჭიდავე დევდარიანი? საპატრულო მანქანას ხალხმა გააშვებინა!

— როგორ თუ ხალხმა გააშვებინა, რანაირად?!

— სამმართველოსთან სხვა პატიმრების ახლობლებმა პიკეტი მოაწყვეს, მანქანა არ გაატარეს, ხოლო დაკავებულმა ყვირილი ატეხა, „მე არაფორმალი ამირან დევდარიანი ვარ, მიშველეთო, ტყუილად დამიჭირესო!“, ბრბოს მანქანის გადაბრუნება უნდოდა და მილიცია იძულებული გახდა, დაკავებული გაეთავისუფლებინა. ამირანმა ყურმილი დაკიდა.

კაბინეტში გაიოზ წოწორია შემოვიდა.

— ბატონო ამირან, ქალაქში ვიღაცა მილიციის პოლკოვნიკის ფორმით დადის და ზოგს ფულს სთხოვს, ზოგს აწერს, ზოგს რაღაცას ჰპირდება. აი, იმ კაცის სურათი და საორიენტაციო ვინაობა — ბათუმელი ასლან სანიკიძე. იმ დღეს „ჭყიპინასთან“, თავის ძმაკაცთან, ყოფილა. „ჭყიპინა“ ერთ დროს ჩვენიაგენტიიყო, ახლა ფულიანი

კაცია, მთავრობიდან ვიღაცამ ხელი მოუმართა. ამ პოლკოვნიკს კარგად იცნობს, შეიყვანა სახლში, პატივი სცა, სეიფიდან ფული გამოიღო და აჩუქა. მეორე დღეს ის სეიფი გამქრალა თავის ფულიანად. ექსპერტებმა თქვეს „სეიფი აივნიდან არის გადაგდებულიო“. ალბათ, მანქანით წაიღეს და სადმე სხვაგან გახსნიდნენ.

— კი, მაგრამ ამხელა სეიფის გადმოვარდნის ხმა მეზობლებმა ვერ გაიგეს?

— იქნებ გაიგეს კიდეც, მაგრამ შეიძლება სროლის ხმა ეგონათ, ახლა ყოველ ღამე თუ ქალაქში სროლა არ ისმის, გიკვირს კიდეც!

— კარგი, ამ ცრუ პოლკოვნიკს კი დავიჭერ, მაგრამ ამდენ ვითომდა პოლკოვნიკებს რა ეშველებათ?

ამირანმა რამდენიმე აგენტს დაურეკა და აცნობა იმ კაცის გარეგნული ნიშნები. ეგ თაღლითი საკბილოს ქალაქის ცენტრში ეძებს, ზოგს შვილის ციხიდან გამოშვებას ჰპირდება, ზოგს — იარაღის შეძენაში დახმარებას, ზოგს — საქონლის შემოტანას, მოკლედ, ყველაფერს „კისრულობს“. ფულს დიდხანს არ აჩერებს, რესტორანში ხარჯავს და იქვე ეძებს ახალ საკბილოს.

დაახლოებით სამი საათში და ამირანს შეატყობინეს, რომ მსგავსი კაცის რესტორან „თბილისში“ იმყოფებოდა, აცვია „მილიციის პოლკოვნიკის ფორმა და სუფრას თამადობს. ამირანს ენიშნა და რამდენიმე წუთში თავისი ოპერატიული ჯგუფით რესტორან „თბილისში“ გაჩნდა. რესტორნის შესასვლელთან აგენტი უცდიდა. ამირანმა სურათი ანახა, აგენტმა დაუდასტურა, „ეგ არისო“

ამირანი რესტორნის დარბაზში, ორ ოპერმუშაკთან ერთად, მაგიდას მიუჯდა. გვერდით სუფრაზე პოლკოვნიკი მჭერმეტყველებდა. სუფრას ათ კაცამდე უსხდა. როგორც გაირკვა, ჯერ მარტო ყოფილა, მერე სხვები მიუწვევია სუფრაზე, შემდეგ სხვებმა მიიწვიეს და გახურებული სმა-ჭამა იყო გაჩაღებული.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ გვიბრძანეთ და ჩვენ შევასრულებთ! — ემლიქვნელებოდა ერთი.

— ბიჭებო, რაც დაგპირდით, ხომ იცით, შემსრულებელი ვარ, მაგრამ ახლა ნასვამები ვართ და საქმეზე ნუ ვილაპარაკებთ!

— ბატონო ალექსანდრე, აი, ჩემი ტელეფონის ნომერი, ხვალ თქვენს ზარს ველოდები!

— ეს თუ დღესვე არ ავწიეთ, ხვალ ბევრს წაატეხინებს კისერს. — გაეცინა ამირანს.

— ოფიციანტ! რას ჰგავს ეს, იმ მაგიდასთან, ჩემი მეგობრები სხედან, ჩემს ხარჯზე სამი მწვადი და სამი ბოთლი ღვინო მიართვით!

ამირანმა მიიხედ-მოიხედა. სანიკიძე მათ მაგიდას უმასპინძლდებოდა. ოფიციანტმა მაშინვე გაუწყო სუფრა და სანიკიძის განკარგულება აღასრულა.

ამირანს გაეცინა:

— რამე ხრიკს ხომ არ გვიწყობს, ბიჭებო?

— რა ხრიკს უნდა გვიწყობდეს, პურ-მარილი გამოგვიგზავნა, ახლა ან ჩვენც უნდა გავუგზავნოთ რამე ან მაგათ სუფრას უნდა შევუერთდეთ. რასაც ვთხოვთ, ყველაფერის გაკეთებაზე თანხმობას მოგვცემს, თან ჭკუასაც დაგვარიგებს! — თქვა ისიდორე ნინუამ. ამირანმა სანიკიძის სადღეგრძელო დალია და თან ჩუმად უთხრა:

— ალექსანდრე-ბატონო, რამხელა შესაძლებლობის კაცი ყოფილხართ, დიდი ფულის შოვნა შეიძლება.

— ტუალეტთან გადი და იქ მითხარი, რა გაგჭირვებია, თუ შემეძლება, დაგეხმარები.

ცოტა ხნის შემდეგ ამირანი და სანიკიძე დათქმულ ადგილას შეხვდნენ,.

— ბატონო ალექსანდრე, ცოტა იქით გავიდეთ, იქ უფრო მოსახერხებელი ადგილია სალაპარაკოდ. — ამირანმა სანიკიძე სათადარიგო გასასვლელისაკენ წაიყვანა. ბიჭებმა თვალის დახამხამებაში დაადეს ხელბორკილი. ოცი წუთის შემდეგ ასლანი ამირანის კაბინეტში იჯდა.

— რა უჯიშო კაცი ყოფილხარ, ბატონო ამირან, დაგვემთავრებინა ის პურმარილი და მერე დაგეპატიჟებინე აქ — არ შეიძლებოდა? ჩემისთანა კაცს შენ სანთლით უნდა ეძებდე! იმდენი სარფიანი საქმის მოცემა შემიძლია, მაგრამ ჩემი წილი უნდა მივიღო!

— მერე, მოგყვები საქმეში?

— თუ ჭკუა გაქვს, უნდა წამომყვე, მალე ეს არაფორმალები წყალს შეგიყენებენ, მაგათ თავიანთი ხალხისთვის ადგილები დასჭირდებათ, შენი პროფესიონალიზმი არავის უნდა!

— მაგაში კი მართალი ხარ!

— მერე, თუ იცი, რომ მართალს ვამბობ, შენს კაბინეტში დამამთავრებინე იქ დაწყებული პურმარილი, თუ გინდა საკანში პახმელიაზე კარგად გამოვიდე!

ამირანმა ნომერი აკრიფა და წოწორია დაიბარა.

— გაიოზ, ეს პოლკოვნიკი მოსკოვიდან გვესტუმრა შესამოწმებლად, განსაკუთრებით შენი განყოფილების საკითხები აინტერესებს, აი, ფული და პატარა პურმარილი ამოგვიტანე რესტორნიდან!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ამირან! პურმარილის ფულს როგორ გადაგახდევინებთ, მით უმეტეს, ჩემს საქმეზე ყოფილა ჩამოსული!

— ანუ კა, „ბისტრო ორგანიზუი, ა ტო მი პრაგალადალი“! — ჩაურუსულა ასლანმა.

ცოტა ხნის შემდეგ, გაიოზი სუფრას ამირანის კაბინეტში აწყობდა. ჭიქები ღვინით შეავსო, ამირანმა კი სასმისი ასწია.

— ამ ჭიქით ასლან სანიკიძეს გაუმარჯოს, თავისი ჭკუის და გაგების კაცს, რომელსაც მთავრობაც ფეხებზე კიდია, დროც და ამ დროში მცხოვრები ხალხიც!

— ბატონო ამირან, როგორი ნაცნობი სახელი და გვარი აქვს!

— გაიოზ, მაგარი ხარ, დილას არ მომიტანე ამ კაცის საბუთები? ოთხ საათში კაცი მაგიდაზე დაგისვი და გაქეიფებ! — გადაიხარხარა ამირანმა — ისე, მოსკოვის მაგრად გშინებია!

— რა ვქნათ, ჩემო ამირან, — თვითონაც სიცილი აუტყდა გაიოზს, — რევიზიის ყველას ეშინია, პატარ-პატარა ცოდვები ყველას გვაქვს და მთავარია, ამას ზევიდან როგორ დახედავენ!

— ერთი სიტყვით, გიზო, ეს კაცი შენთვის ჩამიბარებია, კიდევ ერთი ბოთლი ღვინო დაალევინეთ და მერე შედარებით წესიერ კამერაში ჩააბრძანეთ. გაიოზ, ეს კაცი ჩვენთვის მეტად საინტერესო პიროვნებაა, სარფიანი საქმეების მოცემას გვპირდება!

ორი დღის შემდეგ კაბინეტში ნინუა შემოვიდა.

— რა ქენით, ბიჭებო, გამოაფხიზლეთ ის პოლკოვნიკი კაცი? ფორმა ხომ არ გახადეთ? ხომ კარგი ვინმეა!?

— მგონი „გადაგდებას“ აქეთ გვიპირებს, იმდენი საინტერესო საქმე დაგვიხატა! ან საიდან აქვს ამხელა ინფორმაცია, ყველა ფულიანი კაცი აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი და იცის, როგორ უნდა წაართვას კუპიურები!

— მერე, მიხედე საქმეს!

— იცი, რას ამბობს? თქვენ ჭკუა არ გაქვთო, ქვეყანა არეულია, ახლაა დრო, თქვენთვის ზევით არავის სცალია, პირიქით, ეგენი თქვენზე არიან დამოკიდებულნი, მხარდაჭერას ელიანო“.

— გაიოზ, შენ მიხედე საქმეს, მე თავი დამანებეთ!

ტელეფონმა დარეკა. გაიოზმა იცნო პეტრე ობოლაძის ხმა და ყურმილი ამირანს გადასცა. ამირანს მასთან კაბინეტში შესვლა სთხოვა.

— გახსოვთ საქარხნო რაიონში, ახალ დასახლებაში, კაცი რომ მოკლეს?

— როგორ გასკდა ეგ საქმე?

— უბრალოდ, აგენტმა გამოიტანა ეგ ამბავი ციხიდან, თურმე ორი კაცი მოუკლავთ, ერთი მცხეთაშივე ჩაუმარხიათ, ხოლო მეორე საფლავის გათხრაზე კი ჩხუბი მოსვლიათ, ჩვენი ნაპოვნი მოხუცის გვამი მანქანით წამოუღიათ საქარხნო რაიონში, ამ შენი ნოდარ გავაშელის ხათრით.

— რა უნდოდათ მაგ ბებერ კაცთან!

— ეგ კაცი და მისი თანაშემწე, მეორე მოკლული, სამანევრო დიზელს მართავდნენ, მკვლელი იარაღით დადგომია და მისი ბრძანებით ორი ვაგონი იმ ჩიხში შეუყვანია, სადაც უბრძანეს. შემდეგ ეს თქვენი ნოდარი მიუყვანიათ რკინის კარების გასაღებად. „ავტოგენით“ კარები გაუღიათ და ვაგონები გაუძარცვიათ. მემანქანეს და მის თანაშემწეს გაქცევა უცდიათ და იქვე მიუხვრეტიათ. მერე ნამდვილ მკვლელს ნოდარისთვის უბრძანებია საფლავის გაჭრა, ერთი საფლავი გაუჭრია იქვე, რკინიგზის მახლობლად, ბუჩქებთან და თანაშემწე იქ დაუმარხავთ, ხოლო მეორე საფლავის გასაჭრელად ამ ლოთს ძალ-ღონე არ ყოფნია.

— რა წაუღიათ იმ ვაგონებიდან?

— ათას — ათასი ყუთი არაყი, რამდენიმე ყუთი ნოდარისთვისაც მიუციათ. მასაც მიცვალებული და არყები თავის ჟიგულით წამოუღია, მიცვალებული ტყეში დააგდო, არყები კი ავტოფარეხში დამალა. მეტი რა უნდოდა, ყოველ დღე თავის ნებაზე „უბრახუნებდა“ მუქთა არაყს!

— კი, მაგრამ ის მკვლელობა რატომ აიღო თავის თავზე.

— შვილთან წაიტრაბახა, „ხედავ მე მთლად ასე ხელწამოსაკრავი კაცი კი არ ვარო, ჩემი უნდა გერიდებოდეთო, უნდა გეშინოდეთო და პატივს მცემდეთო“. შენ გაიგებ ადამიანის ბუნებას?

— როგორც ირკვევა, მთლად ტყუილად არ დაგვიჭერია. რა ეშველება ახლა მაგ საქმეს?

— არაფერი, პროკურატურა თავიდან გამოიძიებს. შენ და გაიოზ წოწორია ერთი უგემური საყვედურით, და გემრიელი პურმარილით გადარჩებით. ისე, შენ ახალი ამბავი არ იცი, ეტყობა, მაღარიჩი მეც მაქვს საკისრებელი. გენერალ-მაიორობა მიბოძეს, მე ახლა პოლიციის კომისარი ვარ, შენ კი პოლიციის კომისრის პირველი მოადგილე! ერთი სიტყვით, სუფრის გარეშე აზრი არ აქვს ამაზე ლაპარაკს.

— მაღარიჩი ჩემგან დავიწყოთ!

— რატომ კაცო, დავიბაროთ წოწორია, ერთი გემრიელად შევახუროთ, შენ კი ჩაუფუჩუნე, პეტრეს ქეიფი ტაბახმელის რესტორანში უყვარს“-თქო.

პეტრემ ტელეფონის ნომერი აკრიფა:

— გაიოზ წოწორია შემოვიდეს ჩემთან!

* * *

ქალაქში სიტუაცია ნელ-ნელა იძაბებოდა: შეიცვალა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და ზოგიერთი თანამშრომელი. მთავრობაში ნელ-ნელა ახალი ხალხი მოვიოდა. თანდათან იმატა დანაშაულობებმა. წინათ თუ კანტი-კუნტი მკვლელობის გამოძიება პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ იყო, დღეს ეს საკითხი თითქმის აღარავის აინტერესებდა.

ამირანს მოუტანეს ერთ-ერთი ტრესტის მმართველის მკვლელობის საქმე, რომლის გვამი ტყეში იპოვეს. ორი ტყვია ჰქონდა ნასროლი, ერთი გულის არეში, მეორე კი თავში — საკონტროლო.

ამირანმა საქმეს გადახედა. მიხვდა, რომ ამ საქმეს დიდი აურზაური მოყვებოდა. ამიტომ გადაწყვიტა გამოძიება თავიდან დაეწყო გაიოზ წოწორიასა და სხვა თანამშრომლებთან ერთად. მიცვალებულის გვამი მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ ნახეს ტყეში და მორგში გადმოიტანეს სადაც ექსპერტები ჩაერივნენ საქმეში.

სამუშაო საკმარისი ქონდათ. მოკლული პეტრე საზიშვილი ფულიანი და ბანქოს დიდი მოყვარული კაცი ყოფილა. მისი პარტნიორები დიდი თანამდებობის პირები, მილიციისა და პროკურატურის თანამშრომლები იყვნენ. ამბობდნენ, რომ თამაშის დროს არ სვამდა, ბანქოს აწყობდა, ჰქონია საგანგებოდ დანიშნული ბანქოს ახალ-ახალი „კოლოდები". სამსახურის შემდეგ ამაზე დიდი გასართობი, ხობი, სხვა არ გააჩნდა. ასეთ კაცს ფულს ვერ გამოსძალავ, რადგან მაღალი თანამდებობის ხალხთან მეგობრობდა, ძალოვნებშიც ბევრი მეგობარი ჰყავდა. როგორც გაირკვა, სამსახურშიც უნარიან ხელმძღვანელად ითვლებოდა. წინასწარი მოკვლევის მასალები ბადებდა ეჭვს რომ იგი ან უშუალოდ მისმა მეგობარ-ნაცნობებმა ან მათივე მოსყიდულმა მკვლელებმა გამოასალმეს წუთისოფელს.

დასაფლავების დღეს უამრავი ხალხი მოვიდა. ქალაქების, რაიონების პროკურატურის და მილიციის მუშაკების რაოდენობა საკმაოზე მეტი იყო. გადაიხადეს ხუთას კაციანი ქელეხი რესტორანში და დაკრძალეს ყველა იმ რეგალიებით, როგორც მისი შესაძლებლობისა და ნაცნობობის მქონე კაცს შეეფერებოდა. ამირანის აგენტებს არც დასაფლავება გამოუტოვებიათ, არც — პანაშვიდები და არც — ქელეხი. გაირკვა რამდენიმე საინტერესო დეტალი. ქალაქის პროკურატურის გამომძიებელს ზედიზედ წაუგია ათი ათასი მანეთი; ასევე წაუგია ამავე პროკურატურის ორ თანამშრომელს. წაგებულების სიაში ერთი გამომძიებელიც იყო ამირანის თანამშრომელი. წინასწარ გამოძიებას ქალაქის მილიცია აწარმოებდა. ისიც გაირკვა, რომ მოკლული თაღლითობდა კარტში და ვალი პარტნიორებს თავისთან სათამაშოდ მოწვეული „შულერის" წყალობით აჰკიდა. მოლაყბეები

არ გამორიცხავდნენ, რომ ეს მკვლელობაც წაგებით გამწარებული ხალხის საქმე იყო. საოცარია, მაგრამ მისი ქურდებთან კავშირის საქმეს არავინ განიხილავდა და მკვლელობაში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს სდებდნენ ბრალს. ამირანმა გამოცდილებით იცოდა, რომ ეს ბევრს ნიშნავდა, რადგან რაც არ უნდა საკვირველი იყოს, ხანდახან ბრბოს ლაყბობა უფრო საქმიანად აღიქმება, ვიდრე ზოგიერთი გამომძიებლის მოკვლევის მასალები. ამირანმა გადაწყვიტა ამ ვერსიის დამუშავება და ახლობლების დაკითხვა, გაერკვია, თუ ვინ იკრიბებოდა მათთან სათამაშოდ სახლში, ვის რა ვალი ჰქონდა, გარდაცვალების შემდეგ ვინ თქვა რომ ვალი დაუბრუნა გარდაცვლილს, როდესაც ყოველივე ეს გაირკვა, ამირანს ხელში შემორჩა ქალაქის პროკურატურის გამომძიებლები და სარწმუნო ეჭვი, რომ ეს მკვლელობა უშუალოდ მათ მიერ თუ არა, მათი დაკვეთით იყო ჩადენილი. ამირანის ბრძანებით წინასწარ მოძიებული მასალა ქალაქის პროკურატურას გადაეცა და ეს მყრალი საქმე დროზე მოიცილა თავიდან.

შეიცვალა ქალაქის მერი, ხოლო მისი მოადგილე, რომელიც ვაჭრობას და მილიციას კურირებდა, ერთი ვიგინდარა — მედროვეთაგანი იყო. ამირანის აგენტურას თავის დროზე ის ყურადღების ცენტრში ჰყავდა, მაგრამ როგორც პატარა „ჟულიკს“, თავის დროზე ხელი არ ახლო, ახლა კი უფროსად მოევლინა.

რაც შეეხება კომუნისტურ პარტიას, დღეს პარტიულობა სამარცხვინოდ ითვლებოდა და ყოფილი პარტიული ნომენკლატურა ერთმანეთს ასწრებდა პარტიის მანდატების გადაყრას და ცდილობდნენ ახალი მთავრობის თვალში „ქულები“ ჩაეწერათ. ამირანის მიერ დაჭერილი მღვდელი, რომელიც გასამართლდა ერის კულტურული განძეულის გაყიდვისათვის, დღეს პირველი პატრიოტი იყო, ერთერთ საყდარში წირავდა და საეკლესიო სინოდის წევრადაც აირჩიეს. პეტრე ობოლაძე დაიბარეს და პენსიაში გასვლა შესთავაზეს. ამირანი ხვდებოდა, რომ ისიც ახალ რელსებზე უნდა გადასულიყო, მაგრამ რომ გაახსენდებოდა, რომ იმათთვის უნდა ეკმია გუნდრუკი, ვისაც ადრე მისი აჩრდილის დანახვისაც კი ეშინოდა და გულზე სკდებოდა.

ამირანის ყოფილი აგენტებიც მოხვდნენ მთავრობაში. მართალია ამირანთან ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ, მაგრამ ეს ურთიერთობა დღეს საკმაოდ განსხვავებულ იყო.

ამირანი გულშემოყრილი იყო, როდესაც ხედავდა ქართულ არმიაში რა ხალხი მოდიოდა გენერლებად და პოლკოვნიკებად. ამ წოდებებს თვითონაც ირიგებდნენ და სხვებსაც უხვად ურიგებდნენ. ამას ხელი შეუწყო სამხრეთ — ოსეთად წოდებულ ცხინვალის რეგიონში გამწვავებულმა კონფლიქტმაც. არმია აშკარად პოლიციის ფუნქციებს ითვისებდა, რადგან ეს სარფიანი საქმე იყო. ამირანს გადაწყვეტილი ჰქონდა მილიციის დატოვება და უკვე ადგილსაც ეძებდა.

საბოლოოდ მილიციის დატოვება მაშინ გადაწყვიტა, როდესაც მის მიერ აყვანილი ორი სამხედრო ფორმიანი ბანდიტი, რომლებმაც ქუჩაში მოქალაქეები გაძარცვეს, სამხედრო პროკურატურამ სამ კვირაში გაანთავისუფლა ათი ყუთ ვაშლსა და ხუთასი მანეთის საზღაურად, „ფსიქიკურად დაავადებულები არიანო“.

ამირანმა გადაწყვიტა მაშველთა კორპუსის ჩამოყალიბება და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს იმდროინდელ თავჯდომარის მოადგილეს ესაუბრა ამის შესახებ. ბრძანება სასწრაფოდ დაიწერა. ამირანი კორპუსის უფროსად დანიშნეს. მერე მოხდა სასწაული და მისი პროტექტორი შადიმანი, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელად მოიწვიეს და ცოტა ხანში, არჩევნების შედეგად საქართველოს პრეზიდენტიც გახდა.

შადიმანმა თავისი თანამოძმეენი შემოიკრიბა. მათ შორის იყო რეზო ჩხუბიანაშვილიც. რომელსაც ამირანმა მიღება სთხოვა და მოუყვა თავისი ამბავი. რეზომ ურჩია მილიციაში დარჩენილიყო, მაგრამ თანამდებობაზე პრეტენზია არ განეცხადებინა.

— ამირან, დღეს ქვეყანა არეულია, ხვალ რა იქნება, არავინ იცის. ჯობს მეორე, მესამე მოადგილეს ადგილის დაკავება, თუნდაც იმიტომ, რომ როგორც ადვილადაც დაგნიშნავენ თანამდებობაზე, ასევე ადვილად შეგწირავენ ვიღაცის და რაღაცის ინტერესებს.

— რეზო, გაოცებული ვარ, დღეს ერთი ჩემი ყოფილი აგენტი დეპუტატია, ლაყბობა კარგი იცის და ხვალ შეიძლება მთავრობაში ან ძალოვან სტრუქტურებში მოვიდეს და მაყუთი მე შემაწეროს.

— რას იზამ, ამირან, დრონი მეფობენ!

— პენსიაში გავიდოდი, მაგრამ ცოლ-შვილს რა ვუყო, ბავშვებს გაზრდა უნდა.

— ვა, როდის მოიყვანე ამირან ცოლი, ვინ არის, რამდენი შვილი გყავს? — სიხარული ვერ დამალა რეზომ.

— ათი წელია, ორი გოგონა გვყავს, ცოლს არ იცნობ, დიანა ჰქვია.

— მერე, ეგ არის ძმაკაცობა, ერთი ქორწილი გამომაპარე, მეორეც ზედ მიაყოლე, ახლა არ მითხრა, მესამეზე დაგპატიჟებო, უკვე გვიანია!

— რატომ რეზო, ჩემი თუ არა გოგონების ქორწილი ხომ იქნება!

— ერთი სიტყვით, ამირან, დარჩი შენს ადგილზე, ჩვენს პროტექტორს თვალში ნუ შეეჩხირები, თუ უნდა, მოგნახავს და დაგიძახებს. ჯერ თვითონაც ჭადრაკულად აქვს საქმე, უნდა მომაგრდეს თანამდებობაზე.

— ახლა, ძმაო, პრეზიდენტობა ძნელია, ყველა გაგინებს, შენ კი თავი ისე უნდა მოაჩვენო, რომ არ გწყინს, რადგან დემოკრატიაა, დღევანდელი პრეზიდენტის ძალაუფლება ახლოსაც ვერ მივა მაშინდელი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან.

— ამირან, ხომ იცი, პოლიტიკა რა არის, მოთმინება და დროის შერჩევა. ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება და ყველა თავის საკადრისს მიიღებს. შენ მიხედე შენს საქმეს, ცოტა ბიზნესსაც მიჰყავი ხელი, თუ რამე გაქვს, იყიდე შენობები ცენტრში, პირველ სართულზე. ეს სახელმწიფო საკუთრება აღარ დაბრუნდება და სიბერეში შავი პურის ფული გექნება, რაზედაც ხანდახან შავ ან წითელ ხიზილალას გადაუსვამ. სხვა დრო მოდის, სხვა მსოფლმხედველობა.

— მე ისე არ დავგლახდები, თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, რომ პურის ფული ვერ ვიშოვო. ისიც მესმის, რომ ამქვეყნად წმინდანად დარჩება შეუძლებელია და მით უმეტეს, თუ ისეთი სამსახური გაქვს, რომელიც ფულს ხვეტისთვის არის შექმნილი. მაგრამ როდესაც ხელმძღვანელი ხარ, შენი ხელქვეითები უნდა ცდილობდნენ შენ გაგისწორდნენ, რიდი ჰქონდეთ, მაგრამ უფროს-უმცროსობის ინ-

სტიტური არ უნდა მოიშალოს იმის გულისათვის რომ ვიღაცამ ფული მოგცეს, თუნდაც კუთვნილი. შენ თუ ძლიერი უფროსი ხარ, შენ წილ ქრთამის მიცემას ხელქვეითი პურმარილით უნდა აღნიშნავდეს, რადგან ქრთამის აღება საქმის გაუკეთებლობას, უპატივისცემლობას არ ნიშნავს, ქრთამი იმ ხალხისაგან და იმგვარად უნდა აიღო, რომ არც საერთო საქმეს ევნოს და არც შენს ავტორიტეტს, თავმოყვარეობას.

— ამირან გიყვარს ფილოსოფოსობა, მთავარია, ცხოვრებამ უკანალი არ გვაჩვენოს და ჩვენ ზურგი არ შევაქციოთ. თუ რამე დაგჭირდება, შემეხმიანე, ან მე შეგეხმიანები. ხვალინდელი დღის არც მე მჯერა მაინცდამაინც, მაგრამ რაც მოსახდენია, მოხდება!

ამირანი თანდათან შეეგუა ახალ გარემოს. ქალაქის მილიციის სამმართველოს თანამშრომლებს რაიონის მილიციის უფროსები მაინცდამაინც აღარ აწუხებდნენ, თუ რამე სარფიანი საქმე იყო რაიონშივე გუდავდნენ, უპერსპექტივოს და მძიმედ „მოაზროვნე“ ხალხისას, რომლებმაც ქრთამი დროულად არ გაიღეს, პროკურატურას აძლევდნენ.

რესპუბლიკაში, სოციალისტური ქონების დატაცების მილიციის ყველაზე სარფიანი განყოფილებაც, გააუქმეს და მილიციას მარტო შავი სამუშაო დაუტოვეს; ქურდობა, მკვლელობა, რომელიც სამწუხაროდ ქალაქში ძალიან გახშირდა.

ამირანს იმედი ჰქონდა, რომ ძველი პროტექტორი გაიხსენებდა, მაგრამ ამაოდ. ის კაცი, რომელიც ფულს არ იღებდა და სხვას არ უნაწილებდა, არავის აინტერესებდა, რადგან წინათ მოსაჩვენებლად მაინც თუ სჭირდებოდათ პატიოსანი ხალხი, დღეს დასანახავადაც აღარავის უნდოდა.

ამირანს ახალი მინისტრი დაუნიშნეს. აშკარად ბანდიტური გამოხდომები ჰქონდა, ხშირად კოლეგიაზე თავს ვერ იკავებდა და პირდაპირ ამბობდა, მილიციის გარდა ყველა ფულს შოულობსო. შემდეგ იგი სხვა მინისტრით შეცვალეს, ეს უფრო ფრთხილი იყო, მან თავისთვის საჭირო ხალხი მოიყვანა და თავისი მაფია შექმნა. მოკლედ ამირანი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. მის

საქმეში არც ერეოდნენ, არც ჭკუას არიგებდნენ, ხანდახან ზრდილობის გულისთვის თუ დაუძახებდნენ თათბირზე.

რამდენიმე დღის წინ ისევ ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი დაუნიშნეს. ამირანი მასთან შეხვედრის, გაცნობის მოლოდინში იყო. რადგან წესი იყო, ქალაქის მილიციის უფროსს და მის მოადგილეებს მინისტრი პირადად უნდა გასაუბრებოდა და თან მათი საქმიანობაც უნდა გადაემოწმებინა, მით უმეტეს, რომ ამირანს რამდენიმე საინტერესო საქმე ჰქონდა გამოძიებაში საკურატოროდ.

* * *

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ამირანმა ყურმილი აიღო. მას ახალი მინისტრი იძახებდა. ამირანმა რამდენიმე საქაღალდეს წამოავლო ხელი და ნახევარ საათში მინისტრის კაბინეტში იყო

— ბატონო ლომჯარია, მომახსენეთ რა დუელი აუტყდათ თბილისის ზღვაზე?

— დღეს ყველა იარაღს ატარებს, და თუ რამე არ ვიღონეთ შეიძლება ეს დუელი ნარკოტიკებივით შემოვიდეს მოდაში. ერთი სიტყვით ორ ბიჭს ერთი გოგო მოსწონდა, იმ გოგოს უთქვამს: „მე არჩევა არ შემიძლია, ორივე მომწონხართო და თქვენ თვითონ გადაწყვიტეთო“. ეს საუბარი თურმე ხდებოდა უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში და ამ საქმის გარჩევას თუ საუბარს მთელი კურსი ესწრებოდა. მე მგონი ერთ-ერთ თანაკურსელ გოგონას უთქვამს „წინათ ამ საქმეს დუელით წყვეტდნენო“. ორივეს თანხმობა განუცხადებია, სეკუნდანტებიც იქვე აურჩევიათ ორ-ორი კაცი და მთელი კურსი წასულა სანახაობის საცქერლად.

— გადაირია ეს ახალგაზრდობა, იარაღი სად უშოვიათ?

— ერთ-ერთი დუელიანტის ძმა ყოფილა „მხედრიონელი“ და იმას მოპარეს, თუ ითხოვეს „მაკაროვი“, ამაზე ხმას არავინ იღებს, საქმეში იარაღი არ ჩანს, ალბათ ვექილის დარიგების შედეგად, არავინ არაფერი არ იცის, არავის არაფერი არ უნახავს. ერთი მხარშია დაჭრილი, ხელს თანაკურსელს ადებს. ამბობს „შემთხვევით გაუვარდაო ტყვიაო“ და ფულს ითხოვს მკურნალობისა და მორალური შეურაცხოფისთვის .

— საიდან იცი ასე დაწვრილებით ყველაფერი?

— ერთი ჩემი ყოფილი აგენტის შვილი სწავლობს მაგათ კურსზე და ის მოუყვა მამამისს.

— რანაირი დუელი იყო?

— როგორც კინოში უნახავთ, ოღონდაც დაშორება დუელიანტებს შორის ოცი ნაბიჯი დაუდგენიათ. „მაკაროვში“ ჩაუდიათ ერთი ტყვია, კენჭი უყრიათ — პირველი სროლის უფლება ამ დაჭრილს შეხვედრია და აუცილებია. ახლა მეორეს ჯერი რომ დამდგარა, თან ვინც უკვე ესროლა იმას უთქვამს „მე განგებ ავაცილეო“ სეკუნდანტებს გაურჩევიათ საქმე და უთქვამთ, „თუ აცილება გინდოდა ზევით უნდა გესროლაო და არა პირდაპირო“.

— მერე?

— ვინც ესროლა, „ბარიერზე“ დგომაზე უარი განუცხადებია. მაშინ ორივე მხარის სეკუნდანტებს დაუჭერიათ ეს ბიჭი, მიუბამთ ხეზე, გადაუთვლიათ ოცი ნაბიჯი და მეორეს უსვრია და მხარში დაუჭრია. დაჭრილი საავადმყოფოში მიიყვანეს, საავადმყოფომ რაიონის მილიციას შეატყობინა, მილიციამ — ჩვენ, რადგან „მხედრიონელის“ ძმაა საქმეში გარეული.

— რას აპირებ? მეც დამირეკეს!

— კი ბატონო, კისერი უტეხიათ, ერთმანეთში მორიგდნენ, დაჭრილმა თქვას, რომ იარაღს ათვალიერებდა და შემთხვევით გაუვარდა ხელიდან. ეს სახლაფორთო საქმე ამით დავამთავროთ.

— ის გოგო ვის დარჩა?

— დაჭრილს. შეეცოდა და დაჭრილი ირჩია. მანამდე აერჩია არ ჯობდა?

— ამირან, როგორც სჯობდეს ისე მოიქეცი, მაგრამ გირჩევ, დახურო ეგ საქმე, ნურც გავახმაურებთ! ქმარი რომ მოკლა ცოლმა, იმ საქმის ძიების საქმე როგორაა?

— რა ძიება უნდა, ის ქალი თვითონ მოგვიყვა ყველაფერს; სამი შვილის დედაა, ქმარი გალოთებულა, ისედაც ღარიბი ოჯახი ყოფილა და რაც მოხვდებოდა ხელში, იპარავდა სახლიდან და ყველაფერს ყიდდა ან არაყზე ცვლიდა. მოკლედ, ამ ქალმა საშველი რომ ვერ დააყენა, ერთხელ დამუქრებია: „მოხვალ კიდევ მთვრალი, ტომა-

რას ჩამოგაცმევ თავზე და ამ ნაჯახით წაგაცლი თავსო“. კაცს შეშინებია, მაგრამ ერთი დღის შემდეგ მაინც მისულა მთვრალი. ქალს დაპირებისამებრ ტომარა ჩაუცმევია და თავში რეზინის ჩექმა მოურტყია. ამ კაცს ჰგონებია მართლა ნაჯახით მაცლის თავსო და გული გახეთქვია და იქვე მომკვდარა.

— რა ქნეს, დაიჭირეს?

— თავდებში გამოვაშვებინე, ტომრის ჩამოცმა გადავათქმევინე, რადგან ეგ რომ დავიჭიროთ შვილებს ვინ მიხედავს? ქმარს რომ დაემუქრა საქმეშია. მაგ ქალის დაჭერით ქვეყანა უფრო იზარალებს, შვილებს მაინც მიხედავს.

— იმ ჩვენი დოყლაპია მილიციელის საქმე როგორღაა, მთელი ქალაქი იცინის ქურდმა როგორ დააპატიმრა!

— ქვეყანა რომ აირევა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს! ეს ჩვენი მილიციელი ავტოინსპექტორად მუშაობს, ცოტა ნასვამი მისულა სახლში შუა დღეზე, კარები გაუღია და რას ხედავს, ეს ქურდი ფეხებშემოდებული ზის სავარძელში და დამფრთხალი, გაკვირვებულა ჩვენს თანამშრომელს ეუბნება თურმე „მე უშიშროებიდან ვარ, თქვენს მოსვლას ვუცდიდიო“, მოკლედ, ჩამოართვა იარაღი, ჩაისვა მანქანაში და წამოიყვანა ვითომ მილიციაში, გზაზე მაღაზიასთან გაუჩერებია მანქანა, უთქვამს „სიგარეტს ვიყიდი და მოვალო“. გასულა ათი წუთი, ნახევარი საათი... ამასობაში კოლეგა ავტოინსპექტორები მოსულან და უთქვამთ „ეს მანქანა ძებნაშია და შენ აქ რა გინდაო“? ესეც ამდგარა და მოუყოლია ყველაფერი რაც შეემთხვა. იმათმა კი მთელ ქვეყანას მოსდეს.

— უფლება რომ მომცა, ის დაოყლაპიაც და ის ჭორიკნებიც ყველანი ციხეშია ჩასაყუდებელი, მაგრამ ეგ ვირისთავები მაინც ვერაფერს ისწავლიან.

— რატომ, ზოგჯერ ამართლებს, ერთი ნაცნობი ჯიბის ქურდი მყავდა, ერთხელ მოვიდა და მთხოვა, „ექვსი თვით ციხეში ჩამსვით, თირკმელები მტკივა, დიეტას ვერ ვიცავო“. დავაწერინე თვითაღიარება, რამდენიმე პატარა საქმე მქონდა გაუხსნელი ჯიბის ქურდობაზე. ერთი წელი მიუსაჯეს; კოლონიაში თირკმლებიც მოირჩინა, წონაშიც დაიკლო, თან სასჯელის ნახევარი აპატიეს და ჩემთან რომ შემოვი-

და ჰალსტუხითა და ცილინდრით გამოწკეპილი, ვერც კი ვიცანი.

— ამირან ციხეს რეკლამა გავუკეთოთ და შეიძლება ნებაყოფილობითი დაჭერებით ბიზნესი გავაკეთოთ.

— რატომაც არა, ამსტერდამიდან ერთი ჩემი ძველი ნაცნობი ქურდი ჩამოვიდა. მისი შვილი დაუჭერიათ, ისიც ქურდობაზე, იქ ჰოლანდიაში, მოკლედ შაბათ-კვირას სახლშია, მუშაობს სამუშაო საათების ანაზღაურებით, ციხეში საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, კალათბურთის მოედნით და ღია სტადიონით, დღეში სამჯერადი კვებაო. რა ვიცი ჩვენ სპორტსმენებს შეკრება რომ გვქონდა ხოლმე მასეთ პირობებზე ვოცნებობდით. ასე, რომ დღევანდელ პირობებში თუ გონივრულად მოვიქცევით, შეიძლება ციხე სარფიანი ბიზნესისათვის გამოვიყენოთ.

— ამირან, ბიჭებმა მითხრეს ფულს არ იღებსო, შენს ბიოგრაფიას რომ გადავხედე, სულ სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსად ხარ ნამუშევარი და როგორ გაძელ ამდენ ხანს მაგ თანამდებობაზე, თუმცა ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდი თუ არ გაჩერებდნენ? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა მინისტრმა.

— იმდენ ადგილზე მაქვს ნამუშევარი რომ მუშაობის „სტაჟს“ შრომის წიგნაკიდან ვიხსენებ ხოლმე. ფულის აღებას თავისი წესი აქვს, ქრთამს რომ იღებ, ის უნდა გეკუთვნოდეს, თანაც ეს ქრთამი სახელმწიფოს საზიანოდ არ უნდა იყოს მიმართული. აი, მაგალითად, იმ ლოთი ქმრის ცოლს ფული რომ ჰქონოდა და მოეცა, ავიღებდი, დუელში მონაწილე ბიჭებისგანაც, იმ ქურდისგანაც, ჩვენი თანამშრომელი რომ გააცუცურაკა, რადგან მათი დაჭერა ზარალის მეტს არაფერს მოუტანდა ქვეყანას.

— მასეთებს, ჩემო ამირან, ჯიბე გაფხეკილი აქვთ და შენ რას მოგცემს.

— ამიტომაცაა, ქრთამის აღება რომ ვერ ვისწავლე. ქურდისაგან რომ ფულის აღება არ შეიძლება, ქვეყანას მოსდებს, თქვენ ჩემზე კარგად იცით ეს!

— ერთი სიტყვით, მიხედე მაგ საქმეებს და ორი კვირის შემდეგ მომახსენე რა ხდება ამ არეულ ქალაქში.

არ გასულა დიდი ხანი და სწორედ ამ მინისტრმა გაუშვა პენსიაში ამირანი, თანაც ისე, რომ მასთან შეხვედრაც კი არ ისურვა.

***

ამირანი ფიქრებიდან გამოერკვა. თავს შემოუძახა, ზუსტად საღამოს ხუთ საათზე იგი რეზო ჩხუბიანაშვილის სადარბაზოსთან იყო. კარი რეზომ გაუღო. ამირანმა თავისი ლაბადა საკიდზე ჩამოკიდა და ძველი მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ. სასადილო ოთხაში სუფრა მხოლოდ ორი კაცისთვის იყო გაშლილი.

— შენი გათავისუფლების ამბავს ყური შემთხვევით მოვკარი სამინისტროში, ჩემს ერთ მეგობართან ვიყავი.

— რეზო, ჩემი ხასიათის კაცისთვის მაგათთან მუშაობას ყველაფერი ჯობს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ პენსიაში გაშვებასაც თავისი წესი აქვს, ხომ შეიძლებოდა დავებარებინე, ეთქვა, დაწერე განცხადებაო და ვინ მამაძაღლი, იქვე დავწერდი, შემდეგ მე და ჩემი ბიჭები ერთს რესტორანში შევუბერავდით და მეც კმაყოფილი ვიქნებოდი, ისინიც. მთავარია, კაცურად მოიქცე, ვინც გინდა იყო!

— შენები ვინღა დარჩა ამირან, ყველანი გაყარეს, შენც ნუ იდარდებ!

— შენ სად ხარ, რასა იქმ?

— მეც პენსიონერი ვარ, ძმაო, მაგრამ ადრე წავედი რესპუბლიკიდან, რამდენიმე წელი მოსკოვში ვიმუშავე, ახლა იმათი პენსიონერი ვარ და თან ორივე ქვეყნის მოქალაქე. წელიწადში ერთხელ რამდენიმე ხნით ჩამოვდივარ და ისევ უკან ვბრუნდები.

— გადმოსულიყავი ბარემ საცხოვრებლად, ყველა აქ გვყავს,

— ჩემო ამირან, გამიგე რა, არ შემიძლია სხვისი უფროსობის ატანა. ჩემს სახლში უკვე აღარაფერს მეკითხებიან, ყველა ჩემი უფროსია, თანაც დიდი ბაბუა გავხდი. მაგათ მე ბებერი, წყალწაღებული ვგონივარ. მე რომ მკითხო, სიბერეში არავისი სასაყვედურო და დასამადლებელი არ უნდა გქონდეს, მათ შორის შვილებისაც. აბა, ახლა მივხედოთ საქმეს!

ამირანმა ღვინო ჩამოასხა.

— ამით, ქვეყნად ახლადმოვლენილ, პატარა რეზო ჩხუბიანაშვილს გაუმარჯოს, მოდი ეს სადღეგრძელო ფეხზე ადგომით შევსვათ, მომავალში სახელოვანი ვაჟკაცი, კაცური კაცი დამდგარიყოს!

— აბა როგორ, ჯიში აქვს ცუდი თუ ჯილაგი, რატომ არ უნდა გამოვიდეს ერის საამაყო შვილი! გუშინ თანაც მონათლეს.

— რაღაც, ეს ყოფილი კომუნისტები ძალიან ჩაეხუტეთ ამ ღმერთს ზოგმა რომელმაც კარიერას ამ კომუნისტობაზე თავის დადებით და ფიცით მიაღწია, დღეს სახელი შეიცვალა და „მამაოს“ გარეშე ჭიქის აწევაც არ უნდა!

— რას ვიზამთ, ჩემო ამირან, ხალხის მსახურის ბედი ასეთია, რაც ბრბოს მოსწონს ის უნდა აკეთო, თორემ არ აგირჩევენ მთავრობაში და უყარე ამ ხალხს მერე კაკალი!

— ეგ ეგრეა, მაგრამ ზედმეტის კეთებაც არ შეიძლება, „არ შეიძლება ყველაზე უფრო დიდი უფრო იყო სხვისი რწმენის ამბავში“.

— რა უნდა ქნა ჩემო ამირან, როდესაც ყველა და განსაკუთრებით ახალგაზრდობა სადაც ეკლესიას ნახავს ყველგან პირჯვარს იწერს, ხოლო დღეში 7-ჯერ რომ უნდა ილოცოს ეს არავის აწუხებს, არც ეკლესიაში სიარულით იკლავენ თავს, არც მარხვას იცავენ, შე კაი დედმამიშვილო, თუ ღმერთი გწამს, კვირაში ერთი დღე გამოყავი ეკლესიისთვის, მიდი, ილოცე, სანთელი აანთე, შენ გულში ამ კვირის ცოდვები მოინანიე, ნერვები დაიმშვიდე და დავიჯერებ რომ რაღაცა გწამს და ვიღაცის გჯერა!

— რევაზ, შენ ხომ იცი მე ბუნებით ათეისტი ვარ და რელიგიური ზღაპრების მე არ მჯერა, მაგრამ როდესაც ავნერვიულდებოდი და ქალაქში მაგრად ჩამოცხებოდა, შევიდოდი ანჩისხატის ეკლესიაში დღისით, სიწყნარეა, სიგრილეა, იქვე ჩამოვჯდებოდი, ხატებს დავათვალიერებდი, ერთი ნახევარი საათი, ერთი საათი გავჩერდებოდი ასე ხუთ, ათმანეთს ეკლესიას შევწირავდი და რაღაც დამშვიდებული გამოვდიოდი. არც პირჯვარს ვიწერდი, არც სანთელს ვანთებდი რადგან მკრეხელობად მიმაჩნია, თუ არ გწამს „სიაფანდზე“ არაფერი არ უნდა აკეთო და თვით ღმერთსაც კი არ წაემლიქვნელო.

— რადგან ღმერთი ერთია ჩემო ამირან, და ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი „ტრასები“ სხვადასხვა, მოდი სადაც საერთო ენის გამონახვა შეიძლება ის გზები გავაერთიანოთ. მაგალითად, მარხვა — შესანიშნავი მიგნება გონიერების დიეტა, საკვები პროდუქტების ეკონომია და ფლორასა და ფაუნის გამრავლებისთვის ხელის შეწყობაა. ჩემი უფლება რომ იყოს, მარხვის პერიოდში რძის პროდუქტებით, კვერცხით და ზღვის უსისხლო ნედლეულით, მოლუსკებით კვების უფლებას მივცემდი, ხოლო პურად ებრაელების „მაცას“ გამოვიყენებდი.

— კარგი შევეშვათ ამ სარწმუნოებას, ჩვენ მაინც არავინ დაგვიჯერებს და დიდ ბაბუას რეზო ჩხუბიანაშვილს გაუმარჯოს, რომლის თავისი გვარის გამგრძელებელს მოესწრო და იცის ვისშია მისი გენის ნაწილი. ბედნიერი ხარ ჩემო რეზო, ნამდვილად ტრადიციული ქართული ოჯახი, ბებია-ბაბუების გარეშე არასრულყოფილია, ეს იგივეა, რაც ბიბლიოთეკა ბუკუსნიტური წიგნების გარეშე.

— აბა, ამირან, შენთან ერთად ჩვენს ოჯახებს გაუმარჯოს, შვილებს, ჩემს შვილიშვილებს და შვილიშვილის შვილს და ამ საქმეში დიდი წვლილის მქონე ჩვენს მეორე ნახევარს. შენ რა გენაღვლება, ორი ცოლი გამოიცვალე, აბა, ჩემსავით შვილთაშვილისშვილის ბებიას კი არ ეგლახავები, — ორთავემ გაიცინა, — ამირან, დალიე ეგ სადღეგრძელო და მოჰყევი, მეორე ცოლი როგორ მოიყვანე. ყური მოვკარი პატარძალი მოუტაცნია ქორწილშიო, მართლა ასეა? შენგან მინდა გავიგო სიმართლე!

— ამ ჭიქით ჩვენს ჭუჭულ-ბუჭულას და ჩვენს მეორე ნახევრებს გაუმარჯოს! — ამირანმა შესვა სასმისი და ღიმილით დაიწყო: — ოდესაში ვარ რესტორანში ჩემს რუს კოლეგებთან ერთად. კარგი ბიჭები იყვნენ, ერთი ძებნილის მონახვაში მეხმარებოდნენ. შევამჩნიეთ რესტორნის ერთ-ერთ კუთხეში ქორწილი იყო, რამდენჯერმე ქართული გადაძახილიც გაისმა, გამიხარდა და ცოტა რომ შევთვერი, ბიჭებს ბოდიში მოვუხადე და ნეფე-პატარძალთან მივედი, დავლოცე და პატარძალს 100 მანეთი ვაჩუქე. პატარძლის მშობლები გამომეცნაურნენ. გამოირკვა, რომ პატარძლის მამა ოდესის მახლობლად სოფელში მუშაობდა სადაც პატარა არყის ჩამოსასხმელი საწარმო ჰქონდათ და ქალიშვილი მიათხოვა იმავე სოფლის „უპრავას“ —

უფროსის ვაჟიშვილს, მოკლედ რუსულ-ქართული ქორწილი იყო. ცოტა ხანს შევყოვნდი. ამ დროს ჩემთან მოვიდა პატარძალი, ამჟამად ჩემი მეუღლე და საცეკვაოდ გამიწვია, მე კვლავ მივულოცე ბედნიერება, ამაზე გოგომ ცრემლებით სავსე თვალებით შემომხედა და მითხრა, რომ ბედნიერი არ იყო, რომ 26 წლისაა, თავისი საქმრო კი ოთხი წლით უმცროსია, რომ ვაჟი არ უყვარდა და ეს ქორწილი მშობლების ძალდატანებით იყო მოწყობილი, რომ ბიჭი-ნეფე დასცინოდა, „სოფელო"-ს უძახდა, რადგან ამ ასაკის გოგო ქალიშვილი იყო და რომ ქალი მხოლოდ ქორწილის მერე გახდებოდა. ერთი სიტყვით, პატარძალი გოგო თავს უბედურად გრძნობდა. დამშვიდება ვცადე. ცეკვა დამთავრდა, პატარძალი საქმროს მივუყვანე და ჩემს სუფრაზე დავბრუნდი. მართალი გითხრა, გოგო ძალიან შემეცოდა რაღა დავმალო, მომეწონა კიდეც. არ გასულა ერთი საათი და პატარძალი გოგო ისევ მოვიდა და კვლავ საცეკვაოდ გამიწვია. თურმე გვარიანად წაკინკლავებია საქმროსაც და მის მშობლებსაც. გავიხედე, სუფრა აჭრილიყო. დიანამ მითხრა: თუ ჩემი ბედნიერება გინდა, აქედან გამიყვანეო, მე მაგათი არაფერი არ მინდა, დასანახავადაც მეზიზღებიანო", მე ისევ დაწყნარება დავუწყე. გოგომ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ იმ ბიჭს ცოლად არ გაჰყვებოდა და მთხოვა როგორმე რესტორნიდან გამეპარებინა. რაც უფრო მეტად ვაწყნარებდი და ვარიგებდი მაგას ნუ იზამ-მეთქი, რაღაცნაირად გული უფრო მიმიწევდა მისკენ. რაღა გავაგრძელო, ცოტა ხნის შემდეგ პატარძალი ჩვეულებრივად, ყოველდღიურად, ჩაცმული გამომეცხადა, საქორწინო კაბა გაეხადა და უფრო მომხიბლავად გამოიყურებოდა. ერთი სიტყვით, რესტორნიდან გავიპარეთ, მილიციის ბიჭებმაც მხარი დაგვიჭირეს, „ეგ გოგო იმ ბიჭისთვის ცოდოაო", ყველანი გადაკრულში ვიყავით და იმ დილასვე მე და ჩემი დიანა თბილისში გამოვფრინდით ასე რომ, იმას რომ არ ეძალავა, მე შეიძლება დღესაც უცოლო ვყოფილვიყავი. — სიცილით დაამთავრა ამბავი ამირანმა.

— მერე, ქალის მშობლებს ვინ შეატყობინა, ხომ ატყდებოდა ერთი ამბავი?

— რა თქმა უნდა, ატყდა, მაგრამ თბილისში ჩამოსვლისთანავე დეპეშა გავაგზავნეთ, გავაგებინეთ, რაც მოხდა.

ერთი კვირის შემდეგ მამამისი ჩამოვიდა, გადამეხვია, გადამკოცნა და დღეს საყვარელი სიძე-სიმამრი ვართ. ახლა გამოტყდა, რომ რუსი სასიძო მასაც არ ეხატებოდა გულზე და გახარებია კიდეც, ასე რომ მოხდა.

— ბიჭო, ყველაფერი არნორმალური შენ უნდა გააკეთო! მე მეგონა ბიჭები აზვიადებდნენ, ყველაფერი მართალი უთქვამთ. შენს დიანას როდის გამაცნობ, მართალი გითხრა, ძალიან დამაინტერესა! ბარაქალა, ქალიც ეგ ყოფილა, რომ ერთ ღამეში შენისთანა ვაჟკაცს უღელი დაადგა! რომ გაგიშინაურდა, აპეურებს ხომ არ მოუჭირა?

— როგორც ყველა ქალი, შვილებს რომ გააჩენს, ოჯახის უფროსები ხდებიან და შენს მდგმურად ყოფნას თუ დასთანხმდნენ, ამისათვისაც მადლობა უნდა უთხრა.

— ამ ჭიქით ჩემო ამირან, ჩვენს მეგობრებს გაუმარჯოს თავიანთი ოჯახებით, ისინი არც შენ გაკლია და არც მე. ამ ახალმა დრომ ბევრს აურია თავ-გზა, ბევრი ვერ მოერგო ამ ახალ ყოფას, ვერ გაუძლო ცხოვრებისეულ გამოცდას და რაღაც-რაღაცეები შეეშალა. მოდი იმათაც გაუმარჯოთ, ნუ განვსჯით მკაცრად!

— ძმაკაცებსაც გაუმარჯოს რეზო და დაქალებსაც. იმ დღეს ქუჩაში ვდგევარ, ვიღაც ქალი გამოექანა, გადამეხვია და გადამკოცნა, მომიკითხა, მერე მეუბნება: „ჩემო ამირან, შენ ვერ წარმოგიდგენ რა დიდი მადლობელი ვარ შენი, კიდევ კარგი შენი წყალობით იმ შენს ძმაკაცს არ წავყევი ცოლადაო, ახლა არც შვილი მეყოლებოდა და პურის ფულიც სამათხოვერო მექნებოდაო, დღეს ჩემი ქმარი ცნობილი ბიზმესმენია, როცა გავყევი ტრესტის მართველი იყოვო, ახლა ოთხი შვილი მყავს, სამი ბიჭი, ერთი გოგოო და ათი შვილისშვილიო“.

— ვისი ცოლია?

— ზურაბ ჩხეიძის, სახლებს აშენებს. ერთი მეგობარი მყავდა თამაზი სურმავა, ექიმია. ეგ გოგო უყვარდა, მაგრამ მორიდებული ბიჭი იყო, გოგო კი თამამი, მოკლედ პაემანზე მეც უნდა წავყოლოდი, თორემ ისე ლაპარაკს ვერ ახერხებდნენ. ერთი ორჯერ წავყევი. მერე ვუთხარი „მე თავი დამანებეთ“-მეთქი. მაშინ მაგ გოგომ მაინც ქალის ამბავი ხომ იცი, მკითხა: „შენს ძმაკაცს რა ვაწყენინე, აღარ

მხვდებაო“, მეც ვუთხარი: „უჩემოდ შენთან შეხვედრას ვერ ბედავს მორიდებული ბიჭია“ მეთქი, მოკლედ იმ გოგონამ ცოტა ხანს აცალა, ამ ჩემს ძმაკაცს საშველი რომ არ დაადგა, ადგა და გარიგებით თუ თავისი მოხერხებულობით და მონდომებით მაგ ზურას წაყვა ცოლად. ზურა მაგ გოგოზე ათი წლით უფროსი იყო და აგერ მშვენიერი ოჯახი შეუქმნიათ!

— შენი ძმაკაცი რას შვრება!

— არის რა ნელ-თბილად. ცოლი გვიან მოიყვანა, შვილები არ ყავს, პოლიკნინიკის მთავარი ექიმია, ვერ გაიზარდა კარიერის თვალსაზრისით და პოლიკნინიკის ექიმს რა ფული აქვთ კარგად მოგეხსენებათ.

— ხედავთ ამირან როგორაა ეს ცხოვრება აწყობილი? ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს. შენ როგორც მეგობარი ხელს უწყობ ამ საქმეში, შეუღლების შემდეგ რამდენი ჩხუბი მოუვათ, — უმაგისოდ ოჯახი არ არსებობს, იმდენს შენ გაგიხსენებენ ცუდად, ა, აბტონო გამოიჩინე გულგრილობა, ხელი არ მოგიმართია მაგ საქმეში და ხედავ რამხელა მადლობა დაიმსახურე!

— მართალი ხარ, ჩემო რეზო, მეორე ძმაკაცს ცოლის მოყვანა უნდოდა, მთხოვა ერთი კარგი გოგო გამაცანიო, მეც შევათვალიერე ერთი გოგო და მივიყვანე ეს ჩემი ძმაკაცი გოგოების შეკრებაზე, ერთ-ერთს იმათგანს დაბადების დღე ჰქონდა. მე რომლისთვისაც მოვიყვანე ის კი არ მოიყვანა, ცოლად არამედ იქ მყოფი სხვა გოგოზე გადაირია და მასზე იქორწნა, ოჯახი შექმნეს, შვილები ეყოლლათ, მაგრამ ხასიათით ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს, სულ ჩხუბობდნენ და ბოლოს უკვე თითქმის 25 წლის შემდეგ მაინც დაცილდნენ ერთმანეთს. ერთხელ ჩემი ძმაკაცი ნასვამი იყო და წამოცდა, „რამდენჯერაც ვიჩხუბებდით ცალკე ჩემი ცოლი გწყევლიდა და ცალკე დედაჩემი არ გაკლებდა „ლამაზ“ სიტყვებსო“. ხომ ხედავ იმ საქმეში, რაშიც მე ბრალი ნამდვილად არ მიმიძღვის, მაინც დამნაშავედ გამოვედი!

— ჩემო ამირან, მოდი ამ ჭიქით ჩვენს ქვეყანას, ჩვენ უცნაურ ხალხს გაუმარჯოს, საოცარია, ხალხს ამხელა მომხიბვლელობა და ასეთი უკუღმართი ხასიათი ჰქონდეს, ძნელი წარმოსადგენია. ჩვენ

ხალხს ეს შური და ერთმანეთის გაუტანლობა რომ არ გვგქონდეს, საქმეში ერთმანეთის მხარში ამოდგომა ვიცოდეთ, ჩვენზე დიდი და მისაბაძი ერი ამ სამყაროში არ იქნებოდა. ყველგან პირველობა გვინდა, ყველგან ჩვენმა კაცმა უნდა გამოყოს თავი. თუ გინდა ოქტომბრის რევოლუცია აიღე, რამდენი ქართველი იყო სტალინის დროს მთავრობაში, იქაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ბერიას გარდა იმ კაცმა ყველა იმქვეყნის გზას გაუყენა. ამირან შენ თუ იყავი ოსეთის და აფხაზეთის ბატალიონებში, ბრძოლებში თუ მონაწილეობდი?

— ისე ვინ დაგვტოვებდა! სამინისტროდან ორმოცდაათი კაცი გაგვგზავნეს. რომ შევედით ჩემი კურსელი ძმაკაცი შურა გერგულოვი მოვიდა, გადავეხვიეთ ერთმანეთს, გადავკოცნეთ, მოვიკითხეთ ოჯახები. შემდეგ ჩუმად სახლშიც წამიყვანა. ვცდილობდით ერთმანეთისთვის საყვედურები არ გვეთქვა, მაგრამ პურ-ღვინო მაინც არ გამოვიდა, ორივეს ერთმანეთის მიმართ გულში რაღაც ხინჯი გაგვიჩნდა. ვიცინოდით, მის ბავშვებს ვესიყვარულებოდი, მაგრამ ის სითბო აღარ იგრძნობოდა, ის გული აღარ ხარობდა, რა გულითაც ერთმანეთს ადრე ვხვდებოდით-ხოლმე.

— ოსეთში შესვლა დიდი სისულელე იყო! პროვოკაციას არ უნდა ავყოლოდით. თოფიანი კაცი არ უნდა შეგვეყვანა! ხალხი იყაყანებდა, იყაყანებდა, დაიღლებოდა და დაწყნარდებოდა.

— უცნაური ამბავია, რეზო, ჩვენ თუ გვაქვს უფლება ვიგინდარების და სულელების ყოლის, რა უფლებით ვართმევთ ამ ვიგინდარების და ბრიყვები ყოლის უფლებას ოსებს და აფხაზებს? — როგორ გინდა ესროლო ხალხს, რომელსაც გუშინ ძმობას ვეფიცებოდი?! ახლა რომ ვფიქრობ, გაგვიმართლა. ჩემი ათი კაცით ფორმაში გამოწყობილი ვდგევარ ცხინვალში თეატრის წინ მოედანზე. მოგვიახლოვდნენ ქალები, ბავშვები, მათ შორის დავიანხე ჩემი ძმაკაცის შურა გერგულოვის დედა და ცოლი ბავშვებით. მოკლედ ისე გაგვაიარაღეს, მოგვხსნეს ავტომატები, რომ ხელიც არ გაგვინძრევია. მაშინ, იცოცხლე, საყვედურებით აგვავსეს სამინისტროში, მაგრამ ყველა ჩვენ გულში ჩავიხედოთ, ჩვენი სინდისის წინაშე ხომ მართლები ვიყავით?

— აფხაზეთის ამბებზე რას იტყვით? დღეს ზოგს მიაჩნია, რომ იქ არ უნდა შევსულიყავით და ზოგს — პირიქით, რუსებს ვაბრალებთ ყველაფერს, ვაგინებთ!

— რეზო, რუსებთან რა გვინდა კაცო, ორმოცდაათი ათასი ავტომატი — „კალაშნიკოვი“ გადმოგვცეს უსასყიდლოდ. დილით დავარიგებდით ათასამდე ავტომატს, შევქმნიდით ბატალიონს, საღამოს შეკრებაზე ასი კაცი მოდიოდა. ბოლოს როგორც გაირკვა ამ ავტომატებს ისევ აფხაზ „ბოევიკებზე“ ყიდიდნენ, ჩვენები, ქართველები ბატონო!

— აფხაზეთის ომი ჩვენი უტვინობით და „კრახაბორობით“ წავაგეთ, ის დაქირავებულები რომ ჩამოვიდნენ აფხაზეთში, ისინი იქ ფულის გასაკეთებლად იყვნენ ჩამოსულები მიგვეცა ის ფული და ჩვენს მხარეზე იბრძოლებდნენ. მაგრამ ჩვენს კაცს საზოგადო საქმისთვის გასაკეთებლად ფულს ვერ გააღებინებ. აი, თავს მოსაჩვენებლად, პურ-ღვინოში უკანასკნელ კაპიკს დახარჯავს. ჯერ ერთი, ქურდების და საეჭვო ავტორიტეტის ხალხს, აცვენილი ბიჭ-ბუჭების იმედზე მტერი იყოს. მაგ კატეგორიის ხალხს ასე თუ ისე ვიცნობ, ხოლო ის მართლა პატრიოტი ცხვირმოუხოცავი ბიჭები, რომელთაც მართლა სულით და გულით შეწირეს საქართველოს მთლიანობას თავი, მოუმზადებლები იყვნენ, წესიერად სროლაც კი არ იცოდნენ.

— მანდ მართალი ხარ, როდესაც ქალაქში თავდაცვის მაგვარი გამოცხადდა და სასტუმრო ივერიის გვერდზე „იმელის“ შენობასთან რატომღაც ერთი ნათურა არ ჩაქრა, ვიღაცა ცხვირმოუხოცავმა ბიჭმა 10—15 მეტრიდან ავტომატის მთელი მჭიდი დაცალა და ის ნათურა მაინც ვერ ჩააქრო და შენ გინდა ამ ხალხით ომი მოიგო?

— რეზო, მოდი ამ გაუგებარ, უსამართლო ომში მხოლოდ იმ დაღუპული ხალხის შესანდობარი შევსვათ, ვინც რწმენის გულისთვის იბრძოდა და არა იმისათვის რომ ფული და თანამდებობა ეშოვათ და დაიღუპნენ. ასეთი ხალხი ძალიან ცოტა იყო. ჩვენ ნუ გავსჯით ისინი მართლები იყვნენ თუ მტყუანები.

— გაუმარჯოს იმ ქვეყნად! ჩემო ამირან, ბიჭო ამ სუფარსთან რომ გონიერად ვმსჯელობთ, სუფრის გარეთ რა ჯანდაბა მოგვდის?

— ეჰ, რეზიკო, ჩვენ რომ სუფრაზე თამადის არჩევა ვიცით, ამდაგვარი გონებით საქმიანობის შეფასებით პრეზიდენტი აგვარჩევინა, დიდი ხანია პირველი ქვეყანა ვიქნებოდით და ასე სამათხოვროდ ხელი არ გვექნებოდა გაწვდილი!

— არ ვიცი ამირან შენ როგორ მოგწონს და ამდენმა დასპონსორებამ ერი გარყვნა, ხალხს ყოველთვის იმედი აქვს გარედან ვიღაცის დახმარებისა. „რატომ?“ რომ ეკითხები „ალაბთ ვჭირდებითო და იმიტომო“ რომ სჭირდები და იმიტომ ე.ი. სხვის დაკრულზეც უნდა იცეკვო. მთავრობა და ხალხი ღირსებას რომ კარგავს, იმათი საშველი არ იქნება, რადგან ღირსება მუდმივი განზომილებაა.

— მოდი, ჩვენს თავს მივხედოთ! შენზე მითხრეს თავის სიჯიუტეს და პოლიციელის ღირსების დაცვას შეეწირაო, ასე ნაუცბადევადაც იმიტომ გაუშვეს პენსიაშიო!

— კი, ეგ იყო ჩვენი ახლადგამომცხვარი მინისტრის გაღიზიანების მიზეზი.

— ვიღაც ყალბი პასპორტების გამკეთებელი დაიცვაო.

— რეზო, ხომ იცი არ დაგიმალავ, მით უმეტეს, რომ იქიდან გამოგდებული ვარ. მოკლედ აგენტების საშუალებით უშიშროებამ გაიგო, რომ ორმა სირიელმა ქართველმა ქრთამი გაიღო და საქართველოს მოქალაქეები გახდნენ. ცხადია, ქართული პასპორტებიც მიიღეს. იმ რაიონის საპასპორტო განყოფილების გამგეს კარგად ვიცნობდი, ვმეგობრობდით. რომ გითხრა, ანგელოზია-მეთქი, არ დამიჯერებ. როგორც სხვა, ისიც პურის ფულს შოულობდა. დაიბარეს უშიშროებაში და იქვე აიყვანეს. მოულოდნელობისაგან ცუდად გახდა და ინფარქტი დაირტყა. წაიყვანეს საავადმყოფოში და დაცვაც მიუჩინეს. მე შემომითვალა, მნახეო და რა თქმა უნდა, ვინახულე. მაჩვენა იუსტიციის მინისტრის ხელმოწერილი საბუთი, რომელიც იუწყებოდა რომ იმ ორ კაცს მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა. ამის საფუძველზე გასცა ჩემმა ძმაკაცმა საქართველოს მოქალაქის მოწმობა, ხოლო მოწმობის საფუძველზე ქალაქის მილიციამ გასცა პასპორტი. ხელი არავის ახლეს, მხოლოდ ეს ძველი კადრი, ჩემი ძმაკაცი დაიჭირეს.

— მერე? შენ ჩაერიე ალბათ!

— მივედი მინისტრის მოადგილესთან და ვუთხარი, რომ პოლკოვნიკი კაცია, რომ იმ კაცს აქვს არგუმენტები თავის გასამართლებლად-, ასე როგორ შეიძლება, ასე ყველანი დასაჭერები ვართ-მეთქი“. მითხრა მაგ საქმეს მივხედავო, მაგრამ ეტყობა „მოაკეტინეს“. ოფიციალური წერილის ექსპერტიზა გააჯანჯლეს, მითუმეტეს რომ ბეჭედი სამინისტროსი აღმოჩნდა. ეტყობა იუსტიციის მინისტრს ხელი მართლაც ჰქონდა მოწერილი. შეიძლება შეგნებულად, შეიძლება შემთხვევით მოაწერა, ხშირად მდივანი რომ შემოგიტანს წერილს, მოგახსენებს, შენც დაღლილი ხარ და საბუთების ქექვას არ იწყებ, ენდობი და ხელს აწერ. მოკლედ ღმერთმა იცის როგორ იყო. ფაქტია რომ საქმე ამყრალდა. სამინისტროს სააღრიცხვო ჟურნალი სასწრაფოდ გამოცვალეს ახალი გადაწერეს, ძველი კი გააქრეს. ეს ჩემი ძმაკაცი რომ მიხვდა არაფერი ეშველებოდა, ერთი შებერტყილი ნათესავი ჰყავს, ეტყობა წინასწარ მოილაპარაკეს, კარგად დაგეგმეს და ერთ ღამესაც გაიპარა ისე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო. თურმე იმ ნათესავს მაგარი, კაპრონის თოკი შეუტანია. ეს თოკი ორმაგად გამოუბიათ საწოლის ფეხს და ფანჯრიდან მეექვსე სართულიდან მეოთხემდე ამ თოკით ჩასულა. იქ რემონტი მიმდინარეობდა თურმე, მერე ეს თოკი მოქაჩა მისმა დამხმარემ და ფანჯარაში შეითრია, მერე თოკის ერთ-ერთიმხარე დაახვიეს, ჯიბეშიჩაიდეს და ისე გაიპარა საავადმყოფოდან, კვალიც არ დაუტოვებიათ, იმ ღამესვე მანქანით, ცხინვალის გავლით, რუსეთში გადავიდნენ.

— კაცო, აკი ინფარქტი ჰქონდაო?

— ეჰ, ჩემო რეზო „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“!

— იმ პოლიციელებს რა უქნეს, ვინც ყარაულობდა — სიცილი ვეღარ შეიკავა რეზომ — კარგი მოხერხებული კაცი კი ყოფილა, ჩვენთვის რომ ვთქვათ!

— რა უქნეს და დაიჭირეს, დღესაც გაუსამართლებლად ციხეში ჰყავთ. ბედი არ მაქვს ბიჭო, იქიდან ერთი პოლიციელი ჩემი ყოფილი თანამშრომელის შვილია და ჩემი რეკომენდაციით მიიღეს პოლიციაში.

— და როგორც ყოველთვის შენთან მოვიდნენ დახმარებისათვის.

— თავისთავად ცხადია, მაგრამ ამ ბიჭებსაც ალიბი აქვთ, ისინი იცავდნენ პატიმარს გარედან. პალატიდან არ უნდა გამოეშვათ. ისინი

რას მოიფიქრებდნენ, რომ გულით ავადმყოფი კაცი ფანჯრიდან გაეპარებოდა, ისიც მეექვსე სართულიდან.

— გამოდის, რომ ის ახალგაზრდა პოლიციელები არ ყოფილან დამნაშავეები, მათაც თავისი ალიბი აქვთ.

— რეზო, კანონი იმიტომ არსებობს, რომ მას უნდა დავემორჩილოთ. ალიბი იმიტომ არის, ალიბი რომ მას უნდა დავეყრდნოთ და შევამოწმოთ. თორემ თუ სურვილებით, ემოციებით და ეჭვით მივუდექით ხალხის გასამართლებას და კანონი გვერდზე მოვისროლეთ, დავიჭერთ ვისაც ვისი ჯინი გვჭირს! მოკლედ კოლეგიაზე იმ პოლიციელი ბიჭის დამცველად მე გამოვედი.

— ჰა, ჰა, ჰა, ეტყობა ყელში ამოუყვანე შენი ამდენი სიმართლე და კანონის უზენაესობა!

— რეზო, ასე ხალხის დაჭერა არ შეიძლება, კარგი ხალხი ვმუშაობთ ამ პოლიციაში თუ ცუდი, ერთმანეთს როგორც კოლეგები გვერდზე უნდა დავუდგეთ და თუ მთლად გასაწირი არ არის არ უნდა გავწიროთ. ჯანდაბას მაგათ თავს, რაც მოსახდენი იყო მოხდა. შენ რასა იქმ? დიდი ხანია არ მინახიხარ, შენმა ტელეფონის ზარმა ძალიან გამახარა.

— ამირან, მე შენ გნახავ თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, შენ მაინც ჩემი შვილობილი ხარ, ჩემი პროტექციით დაიწყო შენი კარიერა. დაგღუპე თუ აგაშენე, ეგ შენ თავს ჰკითხე. ახლა კი მინდა სამსახური შემოგთავაზო ჩემი ფირმის ფილიალში. მე აქამდე რუსეთში ვმუშაობდი. ახლა საამშენებლო მასალების გამოშვებას ვიწყებ აქ და დაცვის სამსახური შენ უნდა ჩაგაბარო. თუ გინდა, ხვალ ამოდი და დაათვალიერე და თანხმობა, თუ უარი მერე მითხარი.

— რეზო, დაფიქრებისა და განსჯის დრო არ არის. თანახმა ვარ ვიმუშაო, მით უმეტეს, შენთან. პენსიონერ კაცს არჩევანის უფლება ჩამორთმეული მაქვს, უსაქმოდ, ხომ იცი, ვერ გავჩერდები!

— აბა, ამირან, შენ გაგიმარჯოს, ჩვენი ფირმის ახალ თანამშრომელს. რა ვქნა, ძმაო, ხომ იცი, ნათქვამია: „ძაღლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოსო“. — შესვა და ამირანი გადაკოცნა.

— რას იზამ ჩემო რეზო, ხომ ხედავ ცხოვრების დაისზე მაინც შენ მოგიწია ჩემზე ზრუნვა.

— აუ, რას ამბობ ამირან, რა დროს ცხოვრების დაისია ბიჭო, ხომ ხედავ შვილთაშვილსშვილს მოვესწარი, ჩემი აზრით მე და შენ მათ ქორწილებს და ნაშიერსაც უნდა მოვესწროთ რათა ჩვენი გვარის გამგრძელებლები კიდევ ერთხელ ამ ქვეყნად შევამოწმოთ-გადავამოწმოთ მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება იმ ქვეყნად დამშვიდებულად წასვლა.

— შენ ცხოვრების, სიცოცხლის სურვილის მადლს გაუმარჯოს ჩემო რეზო, რომლის ნასუფრალზე მე უარს არასდროს ვიტყვი.

ორივენი კარგად იყვნენ შებუჟბუჟებულები.

— მოდი, ამირან წამსვლელ-დამრჩენის სადღეგრძელო დავლიოთ და მოვრჩეთ! დილის ცხრა საათზე სამსახურში გელოდები.

კიდევ ერთხელ გადაეხვივნენ ერთმანეთს, გადაკოცნეს. ამირანი რეზომ გამოაცილა და უთხრა:

— სანამდე სახლში არ მიხვალ ჩემი სტუმარი ხარ, შენზე პასუხს მე ვაგებ!

ამირანმა ტაქსი გააჩერა. უჩვეულო სიმსუბუქე იგრძნო, მხრებიდან თითქოს რაღაც ტვირთი მოიხსნაო და სახლში ამაყად შეაბიჯა, არა როგორც პენსიონერმა, არამედ საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ საჭირო კაცმა, მოქალაქემ და პიროვნებამ.

მოგვიანებით ამირანის ბინაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. რეზო რეკავდა.

— მიხვედი ამირან მშვიდობით?

— მშვიდობა და იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა ჩემო რეზო!

მხატვრული რედაქტორი: ლ ე რ ი ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი: ზ ა ზ ა ქ ო რ ქ ი ა
მხატვარი: გ ი ო რ გ ი ყ უ ფ ა რ ა ძ ე
კორექტორი: მ ე დ ი კ ო შ ო თ ა ძ ე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: პ ა ა ტ ა ქ ო რ ქ ი ა

გიორგი (გოგი) ყუფარაძე

„გოროზა“

Giorgi Kuparadze

“GOROZA”

Гиергий Купарадзе

“ГОРОЗА”

ხელმოწერილია დასაბეჭდად 01.07.2005;
ფორმატი - საბეჭდი ქაღალდი 60x90 1/16;
ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 17,75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17

შეკვეთა 94 ტირაჟი 3000

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამთავისი“, თბილისი, ქავთარაძის 23
დაიბეჭდა სტამბაში „ანი“, ჯიქიას 8